ავტორის სტილი დაცულია


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რუსისტიკის ინსტიტუტი

დარეჯან რაზმაძე


# კონცეპტის „დიდება“ ჩამოყალიბება, ევოლუცია და ვერბალიზაცია რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში

(შეპირისპირებითი ანალიზი)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დავით გოცირიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ჟანეტა ვარძელაშვილი


თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

2013

შინაარსი


**შესავალი** 2

**თავი პირველი. კონცეპტი როგორც ლინგვოკულტუროლოგიის კატეგორია**

I.1. ტრიადა „ადამიანი-ენა-კულტურა" თანამედროვე ჰუმანიტარულ პარადიგმაში 15

I.2. ლინგვოკულტუროლოგიის ცნებითი აპარატი და კვლევის მეთოდოლოგია 23

I.3. კონცეპტების ტიპოლოგია 33

I.4. ლინგვოკულტურული კონცეპტების მოდელირების, აღწერისა და ანლიზის მეთოდიკა 43

**თავი მეორე. კონცეპტის „დიდება" ფორმირებისა და ევოლუციის ექსტრალინგვისტური საფუძვლები რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში**

II.1. ცნების „დიდება" ფორმირება და ევოლუცია კულტურულ-ისტორიულ ასპექტში: უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური 51

II.2. დიდების მოპოვების სურვილი სოციო-ფსიქოლოგიურ ასპექტში 73

II.3. ცნების „დიდება" კულტურული ეპისტემა როგორც ცნების კონცეპტუალიზაციის პროცესის დინამიკის ანარეკლი 85

**თავი მესამე. კონცეპტ „დიდების" სტრუქტურა და ვერბალიზების ხერხები რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში: უნივერსალური და ეთნოსპეციფიური**

III.1. კონცეპტების «слава» და "Glory" საკვანძო ლექსემების ანალიზი 90

III.2. ლინგვომენტალური სტრუქტურების «слава» და "Glory" პროტოტიპული ელემენტი 106

III.3. კონცეპტის „დიდება" ლექსემა-ნომინატორი როგორც კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი 117

III.4. ლინგვოკულტურული ველის „დიდება" კონტრასტული ანალიზი რუსულსა და ბრიტანულ ენობრივ ცნობიერებაში (ლექსიკოგრაფიული წყაროების მასალაზე) 167

**დასკვნა** 201

**გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა** 229

## შესავალი

*«Желание славы свойственно всем людям. Мы как бы умножаем*
*свое существо, когда можем запечатлеть его в памяти других»*
*Ш. де Монтескье*

თანამედროვე მეცნიერების ანთროპოცენტრულ პარადიგმაში ენა მოიაზრება როგორც კონცეპტუალიზებული ინფორმაციის რეპრეზენტაციისა და ტრანსფორმირების ინსტრუმენტი, როგორც ადამიანის კოგნიტიური და სოციალური აქტივობა კულტურის სივრცეში. ენა განისაზღვრება როგორც ეთნოსის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება, რომელშიც ასახულია ხალხის სულიერი ეროვნული ღირებულებები და კულტურა, მსოფლმხედველობრივი და მენტალური თავისებურებები, იდეალები, სამყაროს გააზრებისა და კატეგორიზაციის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. აღიარებულია, რომ ენა კულტურის ფაქტი და მისი არსებობის პირობაა. ენის შესწავლისადმი ასეთი მიდგომა განსაზღვრავს ჰუმანიტარული ციკლის სამეცნიერო კვლევების ინტერდისციპლინურობას, რომელშიც ლინგვისტიკა, ვ. ა. მასლოვას თქმით, „ავანგარდულ პოზიციას" იკავებს. თანამედროვე ლინგვისტიკაში ენის ფაქტების შესწავლისა და ანალიზისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული დაინტერესება ენის კოგნიტიური ასპექტით. ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთკავშირები, ადამიანის მიერ შექმნილი სიმბოლიკური სამყაროს ვერბალიზაცია, ენის ერთეულების მეორეული სახელდების უნარი, ნიშნებში თავმოყრილი და დისკურსულ პრაქტიკაში კონოტაციური ინფორმაციის გამოვლენა, ლოგიკური უნივერსალური და სპეციფიკური ენობრივი კატეგორიების სტრუქტურებს შორის შესაძლო შესაბამისობების დადგენა, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კულტურის ინვარიანტული კატეგორიების სემანტიკის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა და მათი ვარიანტული რეალიზაცია კონკრეტული ეთნიკური ენების ლექსიკაში, ხალხების მენტალიტეტის ამსახველი სამყაროს ნაციონალური სურათების რეკონსტრუქცია და შეპირისპირება – ეს ის პრობლემებია, რომელთა აღწერაც გაძლიერებულ ინტერესს იწვევს (იხ.: Вежбицкая 1996, Воркачев 2005, Ревзина 2004, Rene Dirven 2004, Barsalou 1992, Стернин 2006 და სხვ.).

ენის შესახებ მეცნიერების იზოლაციიდან გამოსვლასა და კვლევების ინტერდისციპლინურობას თან ახლავს სხვადასხვა დონორი-მეცნიერების ჩარჩოში ფორმირებული ტერმინების დამკვიდრება ლინგისტიკაში.

განსკუთრებული აქტიურობით მუშავდება ფილოსოფიიდან და კოგნიტივიზმიდან ნასესხები ტერმინი „კონცეპტი". ლინგვისტიკა მას უპირატესად იკვლევს კოგნიტიური (სემანტიკურ-კოგნიტიური), ლინგვოკულტუროლოგიური ("Cultural anthropology" – ამერიკული სკოლა) და კონცეპტუალურ-კულტუროლოგიური მიმართულებებით. მათი საზღვრები ერთმანეთში გადადის და პრობლემის გამსხვილების შემთხვევაში ფართოვდება. ასე მაგალითად, კოგნიტიურ ლინგვისტიკაში კონცეპტი დისკრეტული კოგნიტიური სტრუქტურაა, რომელიც შედგება ენობრივი საშუალებებით ობიექტივირებული ოპერატიული ცნობიერების ერთეული-სუბსტრატებისგან. კონცეპტები ინდივიდის ცნობიერებაში იბადება ხატებად, რომლებიც სხვადასხვა ხარისხის სიზუსტით ვერბალიზდება. აღიარებულია, რომ მენტალური ლექსიკონის ამ აბსტრაქტული ერთეულების წვდომა ენის საშუალებით ხდება: „ცნობიერების სტრუქტურები ცნობილია მხოლოდ ენის წყალობით, ის გვამცნობს ამ სტრუქტურების შესახებ და გვაძლევს მათი აღწერის საშუალებას ნებისმიერ ბუნებრივ ენაზე" (Кубрякова 1997, 21). ვერბალიზებული კონცეპტების შინაარსისა და სტრუქტურის რეკონსტრუქცია ხდება სიტყვების სემანტიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კოლოკაციების, წინადადებების სქემების, ტექსტების ანალიზით. შესაბამისად, მათ ლინგვისტიკური მეთოდებით იკვლევენ.

კოგნიტიურ კვლევებში კონცეპტის სრულყოფილი ანალიზი გულისხმობს გარკვეულ ეტაპზე კულტუროლოგიის მონაცემების ჩართვას, რადგან კონცეპტი მოიაზრება ენობრივ ფორმაში განსხეულებულ კულტურული მნიშვნელობის სოციო-ფსიქიკურ წარმონაქმნად. სხვადასხვა მეცნიერული შეხედულების მომხრეები კონცეპტს აღიარებენ ენობრივ სურათში ასახულ სამყაროს ნაციონალური სურათის ერთეულად. ლინგვოკულტუროლოგიასა და კონცეპტუალურ-კულტუროლოგიური განხრით, სამყაროს კატეგორიზაციის პროცესებისა და ენობრივი ფაქტების შესწავლა ემყარება პრეზუმფციას: „ენა არის კულტურის პროდუქტი, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და არსებობის პირობა როგორც კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორი" (Маслова 2001, 7). განზოგადებულად, კვლევის საგანია ენისა და კულტურის კორესპონდენცია მათ სინქრონულ ურთიერთქმედებაში, ნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო განზომილებაში (Телия 1996, 217). ასეთ რაკურსში კონცეპტი გაიგება როგორც კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერების მენტალური არსი, რომელიც ატარებს გარკვეული კულტურის ანაბეჭდს და მჭიდროდ უკავშირდება „ღირებულების" ცნებას: „კონცეპტის წარმოქმნის ბაზა რეალური

სინამდვილის ყველა მოვლენა კი არ არის, არამედ მხოლოდ ის, რომელიც შეფასების ობიექტი ხდება" (Слышкин 2000, 61). კონკრეტულ კულტურაში სოციუმში სოციოლოგიზებული ენის საშუალებით ობიექტივირებულ კონცეპტებს განიხილავენ როგორც „ეთნიკურად, კულტურულად განპირობებულ, სტრუქტურულ-აზრობრივ, ლექსიკურ და/ან ფრაზეოლოგიურად ვერბალიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ემყარება ცნებით საფუძველს" (Красавский 2002).

კონცეპტების ერთობლიობა ქმნის მოწესრიგებულ კონცეპტოსფეროს – ამა თუ იმ ერის სამყაროს სურათის ფრაგმენტს. ონტოლოგიის განსხვავება არის კულტურების განსხვავება, რომლებშიც ფორმირდება „სამყაროს აზრობრივი კარკასები" (Ильин 2001, 271). ერის ისტორია და რელიგია, ლანდშაფტი და კლიმატი განაპირობებენ სამყაროს სურათის კოორდინატებს. ეს სურათი, დასახელებული მიზეზების გამო, ყოველთვის ხასიათდება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკით, თუმცა ეს სპეციფიკა ვლინდება მსოფლაღქმის ზოგადაადამიანური ერთობის ფონზე.

სხვადასხვაენოვან კულტურებში კონცეპტების შესწავლა ხელს უწყობს ხალხების კონცეპტოსფეროებში საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების გამოვლენას და იძლევა სამყაროს ენობრივი სურათის აღდგენის საშუალებას. ამ პრობლემასთან დაკავშირებულ კვლევებში აღიარებულია, რომ ენობრივი სურათი წარმოადგენს ენობრივი კატეგორიების სემანტიკაში შერეულ სამყაროს ხატს, ხალხის მსოფლხედვას „ენის პრიზმაში" (იხ., მაგ.: Басурина 2005, 125). სამყაროს ენობრივი სურათის ძირითადი მახასიათებლები, – ინტეგრალურობა და უნივერსალურობა – გამომდინარეობს ენის როგორც ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის უნივერსალური საშუალების გაგებიდან.

წინამდებარე კვლევა ეძღვნება კონცეპტის „დიდება" («слава», "Glory") ჩამოყალიბების, ევოლუციისა და ვერბალიზაციის შეპირისპირებით ანალიზს რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში, მისი სტრუქტურის მოდელირებასა და კონცეპტუალური აზრის გამოხატვის ენობრივი საშუალებების სისტემატიზაციას. ის ეყრდნობა კომპლექსურ მეთოდიკას, რომელიც ერთმანეთთან ახამებს ლინგვოკულტურულოგიურ და სემანტიკურ-კოგნიტურ მიდგომებს ობიექტთან, ენობრივი პროექციების მქონე „ადამიანის მენტალურ სამყაროში კულტურის უჯრედთან" (Степанов 1997, 40).

**თემის შერჩევა და კვლევის აქტუალობა**. თანამედროვე ლინგვისტიკაში განსაკუთრებით ხშირად მუშავდება ისეთი საკითხები, როგორიცაა სამყაროს ენობრივი სურათის საბაზისო, საყრდენი კონცეპტების

სემანტიკური და აქსიოლოგიური აღწერა, ენაში კონცეპტის ვერბალიზატორების სისტემატიზაცია და კვლევითი მიზნებისათვის კონცეპტის აბსტრაქტული სტრუქტურის მოდელირება, სამყაროს კარკასის შემადგენელი კონცეპტების დადგენის მეთოდიკის და ანალიზის მეთოდების დაზუსტება. მკვლევართა გამორჩეულ ინტერესს იწვევს კულტურის უნივერსალური კონცეპტების თემა (დ. ს. ლიხაჩიოვი, იუ. ს. სტეპანოვი, ა. ვეჟბიცკაია, ნ. დ. არუტიუნოვა, ვ. ა. მასლოვა, ჟ. დელიოზი, დ. ოლფორდი, ვ. გ. გაკი, ე. ს. იაკოვლევა, ს. ა. ჩუგუნოვა, ვ. ი. კარასიკი და სხვ.). ამით აიხსნება ლინგვოკულტუროლოგიაში კვლევების ახალი დარგის – შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიის სწრაფი განვითარება, რომელიც სხვა ენისა და კულტურის მატარებელი ინდივიდის პოზიციიდან იკვლევს კონკრეტული ეთნოსის მენტალიტეტის თავისებურებებს.

უდავოა ის ფაქტი, რომ კაცობრიობას დასაბამიდან იზიდავდა დიდების თემა. დიდების ღირსი ადამიანის ქცევის, ცხოვრებისა და გმირობის შესახებ წარმოდგენები ამა თუ იმ სახით ნებისმიერი ხალხის ნაციონალურ ცნობიერებაში არსებობს. ამის დასტური უხვად მოიძებნება სხვადასხვა ერის აფორიზმებში, ანდაზებში, სხარტულებსა და ფრაზეოლოგიზმებში. ამასთანავე, ჩვენი მონაცემებით, დღეისათვის არ არსებობს შრომები, რომელიც კონცეპტის „დიდება“ სამყაროს სურათის უნივერსალურ (საყრდენ, საბაზისო) კონცეპტად მიჩნევის საფუძველს იძლევა. ასევე აქტუალურია გამოკვლეული იქნას დიდების ფენომენი როგორც ყოფიერების ცალკე, თავისთავადი კულტურული სფერო, რომელიც ადამიანის არსებობის უცვლელ ფონს წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილია „დიდების“ კულტურული ეპისტემის მოდელი, რომელიც ემყარება ამავე სახელწოდების ევოლუციური სემიოტიკური რიგის რეკონსტრუქციას; გაანალიზებულია სინქრონული სემიოტიკური რიგები, რომლებიც კულტურაში დაკავშირებულია ცნება „დიდებასთან“ და ურთიერთობისას ქმნიან მენტალურ იზოგლოსებს კონცეპტთან (იუ. ს. სტეპანოვის ტერმინოლოგიაში).

წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას ასევე განსაზღვრავს შემდეგი ინტრა- და ექსტრალინგვისტიკური ფაქტორები:

- თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიისათვის ენობრივი მასალის კვლევის ახალი მეთოდების შემუშავების მნიშვნელოვნება;
- კომპლექსური შეპირისპირებითი კვლევების შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა;

- მზარდი კულტურათაშორისი ურთიერთობების ფონზე ეფექტური კულტურათაშორისი ურთიერთობების უზრუნველყოფის ამოცანები;
- უცხო ენების სწავლების ახალი მიდგომების საკითხები: ენები უნდა ისწავლებოდეს ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურასთან მჭიდრო კავშირში.

ამგვარად, დისერტაცია აქტუალურია თემატიკის, დისციპლინათაშორისი ხასიათის, კონცეპტის კოგნიტიური მოდელის უფრო ზუსტი წარმოდგენის, მისი კულტურული შინაარსისა და სხვადასხვა ტიპის დისკურსში მისი აქტუალიზაციის ხერხების ანალიზისათვის კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენების მხრივ.

**კვლევის მიზნებია** კონცეპტის „დიდება" («слава», "Glory") როგორც სამყაროს რუსული და ინგლისური ენობრივი სურათების სტრუქტურული ელემენტის - ძირითადი სემანტიკურ-პრაგმატული და ნაციონალურ-კულტურული ნიშან-თვისებების დადგენა, კომპლექსური გამოკვლევა და აღწერა; კონცეპტების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეთოდიკის დაზუსტება და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით რუსული და ინგლისური ენების სამყაროს სურათის ფრაგმენტისა და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის აღწერის შეძლებისდაგვარად შევსება. აღნიშნული მიზნების მიღწევა გულისხმობს შემდეგი **ამოცანების** გადაჭრას:

1) ლინგვოკულტურული კონცეპტების გაგების, შესწავლისა და შეპირისპირებითი ანალიზის შესახებ თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული კონცეფციების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა;

2) დარგში არსებულ ტერმინთა პოლიფონიასთან დაკავშირებით შედგეს კვლევაში ენისა და კულტურის ფაქტების დამუშავებისას აუცილებელი ძირითადი ტერმინების გლოსარიუმი; წარმოჩინდეს კონცეპტების ტიპოლოგია და მის ფარგლებში განისაზღვროს ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" («слава», "Glory") სტატუსი;

3) დადგინდეს კონცეპტის ონტოლოგიური საფუძვლები, შეგროვდეს მასალა კულტურული ეპისტემის „დიდება" სინონპსისისათვის და მისი მოდელი წარმოდგეს როგორც შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში ცნების კონცეპტუალიზაციის ევოლუციური პროცესის ანარეკლი;

4) კონცეპტის ,,დიდება” («слава», “Glory”) ლექსემა-ნომინატორების კომპონენტური ანალიზის მეთოდით დადგინდეს სიმრავლეების პროტოტიპული ელემენტები ორივე ლინგვოკულტურაში;

5) პირობითი ენობრივი პიროვნების პოზიციიდან გაანალიზდეს ორივე ლინგოკულტურაში კონცეპტუალური რეფლექსიის მოვლენა, რომელიც მოტივირებულია კონცეპტის ,,დიდება” («слава», “Glory”) ლექსემა-ნომინატორებში არსებული დენოტაციური და კონოტაციური ინფორმაციით;

6) კონცეპტის პროტოტიპთან ექსპლიციტური და იმპლიციტური კავშირის დასადგენად ანალიზის შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით შედგეს კონცეპტის ,,დიდება” («слава»,“Glory”) მავერბალიზებელი რუსული და ინგლისური ენების სიტყვების საბაზისო სიები;

7) შეიკრიბოს რუსული და ინგლისური მაგალითების კარტოტეკა პარემიოლოგიური ფონდის მასალაზე უნივერსალური და ეთნოსპეციფიკურად მარკირებული კონცეპტუალური აზრების დასადგენად;

8) რუსული და ინგლისური ენობრივი ერთეულების კლასიფიკაციის საფუძველზე, რომელიც თავის სემანტიკაში ასახავს სამყაროს სურათის უნივერსალური ფრაგმენტის „დიდება” კოგნიტიურ ათვისებას, აიგოს იმავე სახელწოდების ლინგვოკულტურული ველის მოდელი და ჩატარდეს მოდელირებული სიმრავლის შეპირისპირებითი ანალიზი;

9) გამოვლინდეს კონცეპტის „დიდება” უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში;

10) დადგინდეს პარამეტრები, რომლის საფუძველზეც მოხდება კონცეპტის „დიდება” როგორც სამყაროს სურათის უნივერსალური (დასაყრდენი, საკვანძო, საბაზისო) კონცეპტის სტატუსის პოსტულირება; თეორიულად განზოგადდეს მიღებული მონაცემები.

**კვლევის ობიექტად** შერჩეულია ფრაგმენტები «слава» და ”Glory” საერთო ცივილიზაციური საფუძვლის მქონე შესაპირისპირებელი სამყაროს სურათებიდან, რომლებიც მოტივირებულია ცნობიერების არქეტიპული განწყობებით კულტურის პირობით მაკრო არეალში (ეფუძნება ვიტალურ ენერგიას). ისინი ცნების ევოლუციის შედეგად შეეფარდება მორალურ-ზნეობრივ, ეთიკურ, რელიგიურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევის ჩარჩოს რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში.

**კვლევის საგანია:**

ა) ცნების „დიდება" ფორმირებისა და ევოლუციის პროცესი შეპირისპირებულ არეალებში; დამოკიდებულებები სინქრონული სემიოტიკური რიგების შიგნით, რომლებიც ერთ ეპოქას მიეკუთვნება, მაგრამ ყალიბდებიან სხვადასხვა ევოლუციური რიგის კულტურის კონცეპტების მონაწილეობით;

ბ) კონცეპტის „დიდება" პროტოტიპული ელემენტი შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში;

გ) დენოტაციური და კონოტაციური ინფორმაცია, დაკავშირებული კონცეპტის სახელთან შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში;

დ) კონცეპტის „დიდება" გამოხატვის ენობრივი საშუალებები, რომელიც დაფიქსირებულია ორივე ენის ლექსიკოგრაფიულ წყაროებში და აქტუალიზებულია ყოფით, მხატვრულ და რელიგიურ დისკურსებში, პარემიებსა და ფრაზეოლოგიაში;

ე) კონცეპტის „დიდება" სახელის როგორც კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივის დისკურსული რეალიზაცია შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში.

**კვლევის თეორიული ბაზა** გახდა უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, სამეტყველო ქმედების, ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის, ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის სფეროში (მ. ბახტინი, იუ. ს. სტეპანოვი, ნ. დ. არუტიუნოვა, ვ. ა. მასლოვა, ა. ვეჟბიცკაია, ჰ. გ. გადამერი, მ. ჰაიდეგერი, კ. ლევი-სტროსი, ე. სეპირი, ჯ. ლაკოფი, უ. მ. ლოტმანი, ე. კასირერი, იუ. ნ. კარაულოვი, ვ. ნ. თელია, ვ. ვ. კოლესოვი, ე. ს. კუბრიაკოვა, ა. რ. ლურია, ზ. დ. პოპოვა, ნ. ა. სტერნინი, მ. მინსკი, ა. ა. ლეონტიევი, რ. მ. ფრუმკინა, ჟ. ა. ვარძელაშვილი, ნ. ნ. ბოლდირევი, ა. ა. ზალევსკაია).

კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კონცეპტოლოგიის დარგში არსებული მოსაზრებებისა და ჩატარებული კვლევების შედეგების განზოგადებით, ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონცეპტის დამახასიათებელი შემდეგი ნიშან-თვისებები, რომლითაც ვხელმძღვანელობდით კვლევისას:

- მეცნიერული აბსტრაქცია, მენტალური ლექსიკონის პირობითი ერთეული, რომლის ანალიზი, რეკონსტრუქცია და მოდელირება ხორციელდება კვლევითი მიზნებისათვის;

- კონცეპტების გამოვლენა ძირითადად ხდება ემპირიული კვლევის პროცესში: ენის ფაქტების ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე და ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემებზე;
- კონცეპტებს საფუძვლად უდევს ყველა ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული რეალია; ასევე – გამოგონილი, წარმოსახვითი არსებები, ფანტაზიის ნაყოფი;
- კონცეპტში როგორც სამყაროს შესახებ ცოდნისა და მეხსიერების ერთეულში დაფიქსირებულია მსგავსი თვისებების მქონე საგნების დიდი რიცხვი. ის მოიცავს რეალიების მთელ კლასს;
- ვერბალიზებული კონცეპტების შინაარსი ხელმისაწვდომი ხდება სიტყვების სემანტიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კოლოკაციების, წინადადებების სქემების, პრეცედენტული ტექსტების ანალიზით, რომლებიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად შეიცავენ კონცეპტის ნიშნებს.

ლინგვოკულტურული კონცეპტი ნაშრომში გაიგება როგორც კულტურულად განპირობებული და კულტურულად ნიშანდობლივი ლინგვომენტალური სიმრავლე კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ცნობიერებაში, რომელიც ვერბალიზებული სახით ფიქსირდება ენის ფაქტებში. კონცეპტის სემანტიკური სიმჭიდროვე დაკავშირებულია მის ონტოლოგიურ სტატუსთან და წარმოადგენს მისსავე აქსიოლოგიურ მარკერს, რაც მოწმობს კონცეპტის ადგილზე ლინგვოკულტურაში.

ნაშრომის **მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეპტუალური დებულება ენის, შემეცნებისა და კულტურის დიალექტიკური ურთიერთკავშირისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის შესახებ.

**კვლევის მასალაა:** შერჩეული ლექსემების, სიტყვათშეთანხმებების და ფრაზეოლოგიზმების მონაცემები, რომლითაც ნომინირებულია კონცეპტი „დიდება“ რუსულსა და ინგლისურ ენებში (ჩვენი კვლევის მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს ინგლისური ენის ბრიტანული ვარიანტული სპეციფიკის ანალიზს); ამ ენობრივი ერთეულებით შედგენილი კონსტრუქციები ორივე ენის ბილინგვური, განმარტებითი, ასოციაციური, ენციკლოპედიური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან, კონტექსტები რუსული ენის ნაციონალური კორპუსიდან (სულ გაანალიზებულია მიყოლებული შერჩევის მეთოდით ამოკრებილი 850 კონტექსტი) და ინგლისური ენის ნაციონალურ კორპუსიდან (500 კონტექსტი), ასევე კულტუროლოგიური წყაროების მონაცემები და

მასალები პირადი კარტოტეკიდან. სულ გაანალიზებულია რუსული ენის 300 და ინგლისური ენის 250 ენობრივ ერთეულზე მეტი.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლეა**: რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში კონცეპტის „დიდება“ ზოგადი და სპეციფიკური თავისებურებების დადგენა და კომპლექსური აღწერა, კონცეპტის მოდელისა და იმავე სახელწოდების ლინგვოკულტურული ველის რეკონსტრუქცია, მისი ფრეიმული სტრუქტურის განსაზღვრა, კონცეპტის „დიდება“ ე. წ. „სუბკატეგორიული ნიშნების“ (ვ. ი. კარასიკის ტერმინოლოგიაში) დადგენა, კონცეპტუალიზებული ცნების სხვადასხვა რაკურსების ვერბალიზატორი ენობრივი ერთეულების სისტემატიზაცია და კონტრასტული ანალიზი. პირდაპირი რეფერენტული კავშირისა (კონცეპტუალიზაციის საბაზისო დონე) და ირიბი რეფერენციის საფუძველზე (აბსტრაქციის II და III დონეები, ვერიფიცირდება კოგნიტიური კონტექსტით, ლოგოსქემებისა და მენტალური იზოგლოსების დადგენით) კონცეპტში ჩართული შესასწავლი კონცეპტების სახელების ვრცელი სინონიმური რიგისა და ენობრივი ერთეულების კვლევა საფუძველს იძლევა, გამოიყოს საკვანძო იდეები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება კონცეპტების სემანტიზაცია რუსულ და ინგლისურ ენებში.

ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება“ ანალიზი ადრე არ ჩატარებულა მისი კულტურული ეპისტემის სინოპსისის მასალაზე, რომელშიც ასახულია ცნების ფორმირებისა და ევოლუციის პროცესი რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში. კულტურული ეპისტემის „დიდება“ წარმოდგენილი მოდელი თვალნათელს ხდის ფაქტს, რომ დიდება ის ფენომენია, რომლის კონცეპტუალიზაცია შეუწყვეტლივ მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. გამოყვანილია დიდების კონცეპტუალიზაციის უნივერსალური რაკურსები: ღირსება და დამსახურება, რეპუტაცია, პატივი, პატივისცემა, პრესტიჟი, მატერიალური კეთილდღეობა, სახელგანთქმულობა, პოპულარობა, დიდება და სახელის განთქმა ნებისმიერი საშუალებით, 15-წუთიანი დიდება ნებისმიერისათვის, დიდება ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ მის საქმეზეც.

ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ პირველად არის გაანალიზებული როგორც კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი. ეს საშუალებას გვაძლევს, შევაპირისპიროთ ორი ლინგვოკულტურის პირობითი ენობრივი პიროვნების რეფლექსია, რომელიც მოტივირებულია რიგი ფაქტორებით და დაკავშირებულია კონცეპტების «слава» და ”Glory” ლექსემა-

ნომინატორების კონტექსტში აქტუალურ გამოყენებასთან. ეს რაკურსი აფართოებს ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის შესაძლებლობებს და პასუხობს ლინგვოკულტუროლოგიის აქტუალურ ამოცანებს: აღწეროს სამყაროს ყოფითი სურათი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ენის მატარებელთა ყოველდღიურ მეტყველებაში, განსხვავებულ დისკურსში და კულტურის სხვადასხვა ტექსტში. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს არა მხოლოდ ენაში ასახული კოგნიტიური პროცესები, არამედ შესაპირისპირებელ ენებში უნივერსალურსა და უნიკალურს შორის რგოლები. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ლინგვოკულტურული კონცეპტის ცალკეული რაკურსის აღწერის მეტაენა.

**კვლევის ჰიპოთეზაა:** კონცეპტი „დიდება“ მიეკუთვნება კულტურის უნივერსალურ საბაზისო კონცეპტთა კატეგორიას, რომელთაც საერთო ცივილიზაციური საფუძველი გააჩნიათ. მის ნაციონალურ ვარიანტებს (კონცეპტების «слава» და “Glory” მაგალითზე) გააჩნიათ როგორც ზოგადი ნიშნები, ისე მითითებები მენტალიტეტისა და დისკურსული პრაქტიკების, აქსიოლოგიური პრიორიტეტებისა და სტერეოტიპების სპეციფიკაზე, რომელიც თითოეულ ცალკეულ ლინგვოკულტურაში ჩამოყალიბდა. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება”-ს ნომინატორი მიეკუთვნება „კულტურისათვის საკვანძო სიტყვათა” რიცხვს. კონცეპტი „დიდება” უკავშირდება კულტურის დომინანტებს, რომლებთან ერთად ის აფიქსირებს და ასახავს მოცემული კულტურის თავისებურებებს.

**დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებებია**:

1. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ («слава», ”Glory”) არის უნვერსალური არაპარამეტრული რეგულატიური კონცეპტი (ვ. ი. კარასიკის ტერმინოლოგიაში), კონცეპტი-მაქსიმუმი (ა. ვეჟბიცკაიას ტერმინოლოგიაში), ურთიერთობის წრებრუნვის კონცეპტი (იუ. სტეპანოვის ტერმინოლოგიაში), რომელსაც გააჩნია მსოფლმხედველობრივი მიმართულება;

2. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ («слава», ”Glory”) წარმოადგენს კულტურული ნიშნით მარკირებულ ყოფითი ფილოსოფიური ცნობიერების აზრობრივ ერთეულს, რომელსაც ორივე შეპირისპირებულ ლინგვოკულტურაში გააჩნია უნივერსალური პარამეტრები: კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური გააზრება, მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია და ემოციური შეფერილობა (ე. წ. „გლორიული ემოციები“);

3. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ («слава», ”Glory”) ხანგრძლივად არსებობს კულტურაში. ის სამყაროს სურათის ბირთვული, საბაზისო ერთეულია, რომლსაც გააჩნია ეგზისტენციალური მნიშვნელობა (მტკიცდება კულტურული ეპისტემის „დიდება“ მასალით და მისი დისკურსული რეალიზაციის ანალიზის მონაცემებით);

4. ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება” ნომინატორები «слава» და ”Glory” მიეკუთვნება „კულტურისათვის საკვანძო სიტყვათა” რიცხვს (ვეჟბიცკაიას ტერმინოლოგიაში); ამ კონცეპტს გააჩნია უნივერსალური თვისება – სამყაროს სურათის სხვა კონცეპტებთან («честь», «достоинство», «мужество», «величие» და სხვ., “Fame”, “Honor”, “Fortune” , ”Grand” და სხვ.) დაკავშირებითი იზოგლოსები;

5. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ («слава», ”Glory”) არის კოლექტიური აზროვნების შედეგი, ინახება ენობრივი პიროვნების ინდივიდუალურ ცნობიერებაში და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით. კონკრეტული ლინგვოკულტურის ჩარჩოში ის ერთდროულად შეიძლება იყოს უნივერსალური და ინდივიდუალური ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის;

6. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ სტრუქტურირდება პროტოტიპული ბირთვული ელემენტის, საბაზისო გრძნობითი ხატის ირგვლივ, აქვს ფრეიმული ორგანიზაცია და წარმოადგენს რთულ მრავალფენიან წარმონაქმნს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული და ბრიტანული ლინგვოკულტურებისათვის. რუსული ენობრივი ცნობიერებისათვის გამოყვანილია სემანტიკური პროტოტიპი **«всеобщее признание, оценка» (დადებითი ან უარყოფითი)**, ხოლო ბრიტანულ ენობრივ ცნობიერებაში – “**widespread reputation, estimation**“; ორივე ლინგვოკულტურაში კონცეპტის ჩამოყალიბებულობა მტკიცდება სემანტიკური სიმჭიდროვით, სინონიმიისა და ანტონიმიის დადგენილი შიდასისტემური დამოკიდებულებებით, კონცეპტუალიზაციის დონეების არსებობით;

7. ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება” ვერბალურ მანიფესტაციაში («слава», ”Glory”) ვლინდება როგორც უნივერსალური (ოპოზიცია „საკრალური-პროფანური”, ცნების დევალვაციის და კომერციალიზაციის თანამედროვე ტენდენცია), ისე ნაციონალურ-სპეციფიკური ასპექტები (მაგ., ანთროპომორფული კოდის რეალიზაციის განსხვავებული მოდელები: XVIII ს. ბრიტანულ ლინგვოკულტურაში კალვინისტური იდეების

ზეგავლენით ცნების „დიდება“ ღირებულებითი ორიენტაციის გადანაცვლება და ცნებასთან „სარგებლობა” დაკავშირება *(modesty, kindliness, learned, veryknowing, sensibility)*; ცნების იდეოლოგიზაცია XX ს. რუსულ ლინგვოკულტურაში), რომლებიც ასახავს ორი ხალხის ყოფიერების შესაბამისი კოგნიტიურ-პრაგმატული სფეროსა და სამყაროს ენობრივი სურათის ფორმირების კულტურულ-ისტორიულ განპირობებულობას; გამოვლენილი განსხვავებები მოტივირებულია დივერგენციის პროცესით კულტურაში, რის ფონზეც მოხდა უნივერსალური ცნების „დიდება” ევოლუცია;

8. ორივე ლინგვოკულტურაში ლექსემა-ნომინატორების თანამედროვე გამოყენების კონტექსტების ანალიზი მოწმობს კონცეპტუალიზაციის პროცესის დინამიურობას და დაუსრულებლობას; კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივების «слава» და “Glory” დისკურსული სპეციფიკა ვლინდება შეპირისპირებული ლინგვოკულტურების წარმომადგენელთა ცნობიერებაში იმავე სახელწოდების ცნებების მრავალწახნაგოვან ინტერპრეტაციებში, რომლებიც აქტიურდებიან როგორც კულტურის განწყობებით მოტივირებული რთული კონტრასტული შეფასებები;

9. ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ («слава», ”Glory”) ორივე ლინგვოკულტურაში ვრცელი კოგნიტიური მოცულობისაა და მოიცავს სხვადასხვა რიგის კომპონენტებს, რომლებიც შეფარდებულია უნივერსალურ ფრეიმულ სტრუქტურასთან (სულ რვა ფრეიმი და შვიდი სუბფრეიმი) და განსხვავდებიან აქტუალიზირებულობის ხარისხით სხვადასხვა ტიპის დისკურსში.

**კვლევის თეორიული მნიშვნელობა** დაკავშირებულია კონცეპტის დამუშავების პრობლემასთან თეორიულ და შედარებით-შეპირისპირებით პლანში. გარდა ამისა, ნაშრომში განვითარებულია ენისა და კულტურის, ენისა და აზროვნების შეფარდების პრობლემა.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომის შედეგები შეიძლება სასარგებლო იყოს კონცეპტების სტრუქტურების ანალიზისას, კონცეპტოსფეროებისა და სამყაროს კონცეპტუალური სურათის მოდელირებისას ბუნებრივ ენებში. სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი მასალები და განზოგადებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგადი და სლავური ენათმეცნიერების, ლექსიკოლოგიის, დისკურსის თეორიის, კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, კულტურათაშორისი კომუნიკაციის თეორიისა და პრაქტიკის, თარგმანის

თეორიისა და პრაქტიკის ლექციებში, სპეცკურსებსა და სპეცსემინარებში. ენობრივი ერთეულების კონტრასტული აღწერის მიღებული შედეგები შესაძლებელია უშუალოდ დაინერგოს რუსულისა და ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებაში, რადგანაც ისინი აღწერს ენობრივი ფაქტების კონკრეტული წყვილების განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ორ ენაში და შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების პროცესში ლექსიკის დიფერენციულ სემანტიზაციაში.

წინამდებარე კვლევაში დასმული ამოცანების გადაჭრა ხორციელდება კომპლექსური მეთოდიკის ბაზაზე, რომელიც ერთმანეთთან ახამებს ობიექტის მიმართ ლინგვოკულტურულ და სემანტიკურ-კოგნიტიურ მიდგომებს, რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში ლინგვოკოგნიტიური ერთობის – კონცეპტის „დიდება" («слава» და "Glory") შემადგენელი ლექსემებისა და კოლოკაციების ანალიზის დედუქციურ-ჰიპოთეტური, ველის, დეფინიციური, დისტრიბუციული, კომპონენტური, ლინგვოკოგნიტიური, კონტრასტული, შედარებითი, კულტუროლოგიური და ინტროსპექციული მეთოდების მოხმობით.

**კვლევის შედეგების აპრობაცია:** დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენებების სახით გატანილ იქნა და განიხილებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგი და ენობრივი კონტაქტები", ქუთაისი, 2010; გრანადის უნივერსიტეტის (ესპანეთი) II საერთაშორისო კონფერენცია „La lengua y literature en el espacio educativo internacional: estado actual y perspectivas", 2010; გრანადის უნივერსიტეტის (ესპანეთი) საერთაშორისო კონფერენცია „Investigaciones comparadas: aspectos teoreticos y metodologicos", 2011; მინსკის ლინგვისტიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბელორუსი) V საერთაშორისო კონფერენცია «Национально-культурный компонент в тексте и языке», 2012 და ასევე განიხილებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის სხდომებზე. სადისერტაციო კვლევის შედეგების მიხედვით გამოქვეყნებულია ექვსი სტატია რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემებში და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცების მასალების კრებულებში.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა** ნაკარნახევია კვლევის ლოგიკითა და მიზნით და განპირობებულია დასმული ამოცანების გადაჭრის თანამიმდევრულობით. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურის სიისაგან (217 დასახელება).

ნაშრომის ტექსტი მოიცავს 10 სქემას და 5 ცხრილს, რომელიც წარმოადგენს დაცვაზე გამოტანილი მასალის ილუსტრაციას. სადისერტაციო ნაშრომი შეადგენს 240 გვერდს.

## თავი პირველი
## კონცეპტი როგორც ლინგვოკულტუროლოგიის კატეგორია

### I.1. ტრიადა „ადამიანი – ენა – კულტურა" თანამედროვე ჰუმანიტარულ პარადიგმაში

თანამედროვე ჰუმანიტარულ პარადიგმაში აღიარებულია, რომ ენა კულტურის იმანენტურია. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, ენა ეთნოსის იდენტიფიკაციის ყველაზე მკვეთრი ნიშანია. ფენომენისადმი ასეთი მიდგომა ქმნის მაკროლინგვისტურ პრობლემას – ენა, საზოგადოება, კულტურა, ენობრივი პიროვნება. მისი კვლევა გულისხმობს ინტერდისციპლინარული მონაცემთა ბაზისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას. ამგვარი სინერგეტიკული კვლევები უახლესი ლინგვისტიკის ძირითადი ნიშან-თვისებაა. ენის შესახებ არსებულ თანამედროვე და უახლეს თეორიებში, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ეცილებიან კიდეც, შეიძლება გამოიყოს ერთიანი მიდგომა: ენა გაიგება როგორც ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელი რგოლი. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური კვლევა აღარ წარმოადგენს ენის კვლევას „თავის თავში", არამედ გულისხმობს ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირებისა და მექანიზმების შესწავლას ტრიადაში „ენა – კულტურა – ენობრივი პიროვნება".

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენისადმი ასეთი მიდგომა სათავეებს იღებს დიდი ვ. ჰუმბოლდტის მემკვიდრეობიდან. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჰუმბოლდტი ამტკიცებდა, რომ ენის ნიშნების მიღმა დგას ამა თუ იმ ეთნოსის „სულით" განპირობებული სამყაროს აღქმა. შემდგომში ეს იდეა განვითარდა გამოჩენილი ლინგვისტების: გ. შტეინტალის, კ. ფოსლერის, ა. ა. პოტებნიას, ბ. დე კურტენეს შრომებში და სხვა მრავალ მეცნიერთა მიერ. ასე, მაგალითად, ბოდუენ დე კურტენე მიუთითებდა, რომ ენა არსებობს მხოლოდ „ცალკეულ ტვინში", მხოლოდ იმ ინდივიდთა ფსიქიკაში, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მოცემულ ენობრივ საზოგადოებას" (Б. де Куртенэ 1963.т. 1, 412).

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულია, რომ ენა ერთდროულად არსებობს როგორც სისტემა და როგორც ქმედება (More, Carling 1982; Lehmann 1984; Кубрякова 1994; Степанов 1997; Харман 2003), და ეს ფაქტორი ხსნის არა მხოლოდ მისი რთული დიალექტიკური ბუნების არსებობას, არამედ ენისა და ენობრივი ერთეულების კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების მუდმივი ძიების პროცესს.

ენა როგორც სისტემათა სისტემა XX საუკუნის განმავლობაში აქტიურად შეისწავლებოდა ფ. დე სოსიურის და მისი მიმდევრების მიერ (სტრუქტურალისტები). ლინგვისტიკაში ეს პერიოდი აღინიშნა ენის სისტემის სიღრმისეული შესწავლით, რომელმაც, პირველ რიგში, ლინგვისტიკას როგორც მეცნიერებას თვისობრივად შეუცვალა მეცნიერული სტატუსი: ლინგვისტური კვლევა გახდა თანამიმდევრული, სისტემური და კანონზომიერი. სტრუქტურალიზმის უდავო მიღწევების მიუხედავად, ამ მიმდინარეობის ყურადღების მიღმა დარჩა ენაში ადამიანური ფაქტორის არსებობა. მაგრამ ენა მეტისმეტად რთული ორგანიზმია იმისათვის, რომ მისი აღწერა ჩაეტიოს „მარტივ" ლოგიკურ სქემებში (Воркачев 2001; Фрумкина 1996; Пищальникова 2002; Бабенко 2004; Попова 2002; Макаров 2003); ამიტომ ენათმეცნიერთა უმრავლესობა დღეს თვლის, რომ ენა არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებელი სისტემა. ის უნდა შეისწავლებოდეს როგორც „ანთროპოლოგიური ფენომენი", როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანია, თავისი მთავარი მსაზღვრელით – ენით: „ენას ემყარება და მასში გამოიხატება ის, რაც ადამიანისათვის წარმოადგენს სამყაროს... სამყაროს ყოფა არის ენობრივი არსებობა" (Гадамер 1988, 704). ამგვარად, უახლესი ლინგვისტიკის კვლევის არეალში მოექცა არა მხოლოდ და შეიძლება არა იმდენად ახალი ფაქტები, რამდენადაც განსხვავებული კუთხით დანახული ძველი პრობლემა.

ყველაზე გავრცელებულ ლინგვისტურ თეორიათა რიცხვს, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს XX ს. დასასრულისა და XXI ს. დასაწყისის თეორიული ენათმეცნიერების განვითარებაზე, მიეკუთნება გენერატიული ლინგვისტიკა, ინტერპრეტაციონიზმი, კატეგორიალური გრამატიკები, ფუნქციონალიზმი, პროტოტიპთა თეორია, ტექსტის ლინგვისტიკა, სამეტყველო ზემოქმედების თეორია, კოგნიტიური ლინგვისტიკა" (Демьянков 1994, 5-37). ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე ინტენსიურად ვითარდება კოგნიტიური მიმართულება, რომელიც ენაში შემეცნებით პროცესებს შეისწავლის არა მხოლოდ იმ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ლინგვისტიკაშია დაგროვილი,

არამედ მთლიანი ანთროპოცენტრული წრის დისციპლინათა მონაცემების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკის ასეთი ინტერდისციპლინარობა პასუხობს თანამედროვე მეცნიერების ზოგად მოთხოვნებს.

კოგნიტური ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრშია ენა, გაგებული როგორც კოგნიტიური მექანიზმი, რომელიც ექსტრალინგვისტური ინფორმაციის კოდირება-დეკოდირებას ახდენს. მეტყველების გაგებისა და პროდუცირების მენტალური საფუძვლები კი შეისწავლება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოჩინდება ენობრივი ცოდნის სტუქტურები, რომლებიც შემდეგ ინფორმაციის გადამუშავებაში მონაწილეობენ (Кубрякова 1994), და თუ როგორ „ხდება ამ პროცესში ენის, მისი შესაძლებლობების აღმოჩენა" (Ревзина 1998, 16). კოგნიტიური ლინგვისტიკა ენობრივ პროცესებს იკვლევს ცოდნის ტიპებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩადებულია ენობრივ სემანტიკაში და გამოყენებულია ენის მატარებლის მიერ სამეტყველო კომუნიკაციაში. ენობრივი ერთეულების სემანტიკა განიხილება როგორც კონცეპტუალური სტრუქტურების ანალოგი, რომელთა უკანაც დევს ცოდნის გარკვეული ფენები.

ამგვარად, ლინგვისტიკაში ფეხს იკიდებს ენობრივი ერთეულების კოგნიტიურ შინაარსსა და ფუნქციონირებაზე ორიენტირებული კვლევის პრინციპები. ეს გამოავლენს სემანტიკურ პრინციპებს, რომლებშიც იშლება ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, ბუნებით განპირობებული ენობრივი სისტემის სიცოცხლისუნარიანობის არსებითი კანონზომიერებები.

კოგნიტიური ლინგვისტიკა ოპერირებს საბაზისო ტერმინებით: კონცეპტი, კონცეპტუალიზაცია, სამყაროს კონცეპტუალური ხატი. ტერმინი „კონცეპტი" ლინგვისტიკურ მიმოქცევაში ფილოსოფიიდან არის შემოსული. თავდაპირველად ის გაიგებოდა როგორც ტერმინის „ცნება" სინონიმი. მაგრამ კოგნიტიურ კვლევებში ის მოიაზრება ენობრივ ფორმაში განსხეულებულ კულტურული მნიშვნელობის სოციო-ფსიქიკურ წარმონაქმნად. და, თუ კონცეპტის სრულყოფილი ანალიზი მოითხოვს მასში ჩაქსოვილი კულტურული კომპონენტის გააზრებასაც, მაშინ, ბუნებრივია, რომ ასეთი კვლევა აუცილებლად ვარაუდობს კულტუროლოგიის მონაცემების ჩართვას. ონტოლოგიის განსხვავებულობა კულტურის განსხვავებულობაა. ამიტომ „ონტოლოგია უნდა განვიხილოთ როგორც კულტურის სემანტიკური ბირთვი, რომელიც წარმოქმნის სამყაროს აზრობრივად მნიშვნელოვან კარკასებს" (Ильин 2001, 271).

მეცნიერებაში ტერმინ კულტურის განსაზღვრება მრავალმხრივია, მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს. კემბრიჯის ლექსიკონში ის განმარტებულია როგორც „the way of life, especially general customs and beliefs of a particular group of people at a particular time'' (Cambridge International Dictionary of English 1995, 298). ხოლო ედვარდ ბარნეტ ტეილორის თანახმად, კულტურა არის ცხოვრების წესი, განსაკუთრებით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის გარკვეული პერიოდის საერთო ადათები და მრწამსი. ტეილორმა ჩამოაყალიბა კულტურის ეთნოგრაფიული განმარტება: „კულტურა იქმნება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, ზნეობრიობის, კანონების, ადათებისა და სხვა უნარ-ჩვევებისაგან, რომელთაც ადამიანი ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი'' (Тэйлор 1989, 18). გამოჩენილი თანამედროვე ლინგვისტი ა. ვეჟბიცკაია კი იზიარებს კლიფორდ გერცის შემოთავაზებულ განმარტებას: „კულტურა არის ისტორიულად გარდამავალი, სიმბოლოებში განსახიერებულ მნიშვნელობათა მოდელი, მემკვიდრეობითი წარმოდგენების სისტემა, გამოხატული სიმბოლოების ფორმით, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ, და რომელთა საფუძველზეც ფიქსირდება და ვითარდება მათი ცხოვრებისეული ცოდნა და ცხოვრებისეული განწყობა'' (Вежбицкая 2001, 44). ამ განმარტების შესაბამისად, სიმბოლოები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ურთიერთობენ, არის ენა. ე.ი., კულტურა არის ენაში განსახიერებულ მნიშვნელობათა ისტორიულად გარდამავალი მოდელი. აქედან გამომდინარე, ენა წარმოადგენს კულტურის რეალურობის საუკეთესო გამოხატულებას.

ამდენად, კულტურა რთული, მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომელიც ხასიათდება კომუნიკაციურ-ქმედითი, ღირებულებითი და სიმბოლური ბუნებით. ის წარმოადგენს სინამდვილის სულიერი ათვისების სისტემას, რომელიც მოიცავს სულიერი ფასეულობების წარმოქმნას, შენახვას, განაწილებასა და გამოყენებას.

ზემოთქმულის განზოგადების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კულტურა ზემოქმედებს შემეცნებაზე. კულტურა განსაზღვრავს, თუ როგორ აღიქვამს და გადაამუშავებს ადამიანი სამყაროს შესახებ ინფორმაციას.

კვლევის ლოგიკიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ ინფორმაციის მიღება-გადამუშავების, ანუ – შემეცნების პრობლემის იმ ასპექტთა რიგზე, რომელიც არსებითია ამ ნაშრომისთვის. ტერმინი „შემეცნება'' აღნიშნავს სენსორული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის საბაზისო ფსიქიკური

პროცესების ერთობლიობას. ესენია შეგრძნება, რაციონალური აზროვნება და განსჯა, კატეგორიზაცია და ა.შ. (Matsumoto 2003).

საგნების კატეგორიზაცია საბაზისო ფსიქიკური პროცესია. ის წარმოადგენს ადამიანის მიერ მსგავსების საფუძველზე ობიექტების დაჯგუფებასა და ამ ჯგუფებისათვის სიტყვიერი სახელის დარქმევას – ნომინირებას.

სამყაროს აღქმასა და შემეცნებას საფუძვლად უდევს საგნობრივი მნიშვნელობის, სოციალური სტერეოტიპების, კოგნიტიური სქემების თითოეული ერისათვის დამახასიათებელი სისტემა, ადამიანის ცნობიერება ეთნიკურად არის განსაზღვრული. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კატეგორია უნივერსალურია სხვადასხვა კულტურისათვის, ნაციონალური და ეთნიკური თავისებურებები განაპირობებს აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების საშუალებების თავისებურებებსაც. ნათელია, რომ ეს პროცესი ხშირად გაუცნობიერებლად მიმდინარეობს, რადგანაც თავად ცნობიერების გარკვეული სისტემურობა ქცევის ეთნიკური სტერეოტიპებით განისაზღვრება. ხოლო ეს სისტემურობა, ანუ სამყაროს ხატები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამა თუ იმ კულტურის მატარებელთა ქცევაზე და განსაზღვრავს მას (Багдасарова 2004).

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართოდ გავრცელებულია თეზისი: მატერიალური და სულიერი კულტურა განსხეულებულია ენაში. ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტი მიუთითებდა: ნებისმიერი კულტურის ეროვნული ხასიათი ასახულია ენაში სამყაროს განსაკუთრებული ხედვით. ენას ახასიათებს თითოეული ხალხისათვის სპეციფიკური შინაგანი ფორმა, რომელიც „ეროვნული სულის“, მისი კულტურის გამოხატულებაა; ენა არის ადამიანისა და მისი გარე სამყაროს დამაკავშირებელი რგოლი (Гумбольдт 1985).

ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა პერიოდის, ქვეყნისა თუ მეცნიერული სკოლის წარმომადგენლები გარკვეულწილად თანხმდებიან, რომ ენა არის ურთიერთობისა და აზრების გამოხატვის საშუალება. ასე, მაგალითად, ბ. რასელი თვლიდა, რომ „ენას ორი ურთიერთდაკავშირებული ღირსება აქვს: პირველ რიგში, ის არის სოციალური, მეორე მხრივ კი საჯარო გამოხატულებას ანიჭებს „აზრებს“, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ პირადული იქნებოდა... ენა არა მხოლოდ აზრების გამოხატვის, არამედ მათი წარმოქმნის საშუალებაცაა, რომლებიც სხვა მხრივ არც იარსებებდნენ ... ენა გარე სამყაროსთან ურთიერთობაში გვეხმარება სიმბოლოების მეშვეობით, რომელთაც

გააჩნიათ განსაზღვრული ხარისხის მდგრადობა დროში და მნიშვნელოვანი ხარისხის დისკრეტულობა სივრცეში (Russell 1948, 58-61).”

ენაში აისახება და ღვივდება ღირებულებები, იდეალები და ადამიანთა მისწრაფებები. ენის უმთავრესი ფუნქციაა შეინახოს და თაობიდან თაობას გადასცეს კულტურა: „ენა არის კულტურის პროდუქტი, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და არსებობის პირობა როგორც კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორი” (Маслова 2001, 7). რადგანაც ენა არის აზროვნების განუყოფელი ნაწილი, ის მონაწილეობს სულიერი შემოქმედების ყველა სფეროში იმისდა მიუხედავად, არის თუ არა სიტყვა ხელოვნების უშუალო იარაღი. ენობრივ ნიშანთა სისტემის მეშვეობით ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების მატერიალიზაცია.

ამ კონტექსტში მიზანშეწონილად გვესახება მოვიყვანოთ ე. სეპირისა და ბ. უორფის თეორიის მოსაზრებები, რომელიც, მიუხედავად თანამედროვე მეცნიერთა არაერთგვაროვანი შეფასებისა, დღესაც აქტუალურია. ასე მაგალითად, სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბ. ბერნსტაინი გამორჩეულად აღნიშნავს ბ. უორფის შრომების მნიშვნელობას, რომელთაც მისთვის ცხადყვეს „კულტურის შერჩევითი გავლენა (განხორციელებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით) გრამატიკის გარკვეული ფორმების წარმოქმნაზე, აგრეთვე ამ ფორმების სემანტიკური და, შესაბამისად, შემეცნებითი მნიშვნელობა” (Бернстайн 1972, 224). ე. სეპირისა და ბ. უორფის ჰიპოთეზაში წამოწეულია დებულებები იმის შესახებ, რომ ენა განაპირობებს მასზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების საშუალებას; რეალური სამყაროს შეცნობის საშუალება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ენებზე აზროვნებენ შემმეცნებელი სუბიექტები. რადგან ენობრივი ნორმები გარკვეულწილად ასახავენ სინამდვილეს, ისინი ამით ახდენენ მის „მოდელირებას”. კულტურული ნორმები და ენობრივი მოდელები ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა არ გააჩნიათ პირდაპირი შესატყვისები; ენა სინამდვილეს არასაკმარისად ობიექტურად ასახავს; ცნობიერებისაგან განსხვავებით, ენობრივი სისტემა (მისი სირთულიდან გამომდინარე) ვერ ახდენს „სიახლეებზე” მყისიერ რეაგირებას და ამიტომ ენის ბუნება მის განვითარებას გარკვეული მიმართულებით განსაზღვრავს; ენა ზემოქმედებს ადამიანთა საქმიანობაზე მუდმივად მოქმედი საერთო ენობრივი კანონების ფარგლებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენა – ნიშანთა სისტემა – წარმოადგენს ადამიანთა აზროვნებისა და კომუნიკაციის

საშუალებას. ის არის კულტურის წარმოქმნის, შენახვისა და განვითარების იარაღი. შესაბამისად, ენა და კულტურა მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული და ვერ იარსებებენ ერთმანეთის გარეშე. კ. ლევი-სტროსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ერთდროულად არის კულტურის პროდუქტიც და მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილიც, ასევე – კულტურის არსებობის პირობა. უფრო მეტიც, კულტურის არსებობის ეს სპეციფიკური პირობა კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორია (Levi-Strauss 1966). ენისა და კულტურის სუბიექტია ადამიანი. ენა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის პიროვნული თვისებების გამოხატვას და ის როგორც „ადამიანის სულის სარკე" აუცილებლად ასახავს ცალკეული პიროვნების მსოფლმხედველობის თავისებურებას.

კულტურის კატეგორიებია (სტეპანოვის ტერმინოლოგიაში – „კულტურის კონსტანტები") **სივრცე, დრო, ბედი, სამართალი, სიმდიდრე, შრომა, სინდისი** და ა.შ. ისინი ასახავენ კონკრეტულ ლინგვოკულტურაში ღირებულებების არსებული სისტემის სპეციფიკას და ადგენენ სოციალური ქცევისა და სამყაროს აღქმის ნიმუშს. ეს არის კოორდინატთა ერთგვარი სისტემა, რომელიც აყალიბებს ენობრივ პიროვნებას, ამა თუ იმ ენობრივი აზროვნების მატარებელს. შესაბამისად, ლინგვისტური კვლევების ინტერესის სფეროში ექცევა ენის მატარებლისა და ენობრივი პიროვნების საკითხი. „აშკარაა, რომ, თუ ყოველი ენის მატარებელი იმავდროულად კულტურის მატარებელიცაა, მაშინ ენობრივი ნიშნები იძენენ უნარს შეასრულონ კულტურის ნიშნების ფუნქცია. ამის გამო ისინი გვევლინებიან კულტურის ძირითადი განწყობების წარმოდგენის საშუალებად. სწორედ ამიტომ ენას შეუძლია ასახოს მისი მატარებლების კულტურულ-ნაციონალური მენტალობა" (Базарова 2007, 75).

ცნება „ენობრივი პიროვნება" ინტერდისციპლინარული ტერმინია და ასახავს ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური შეხედულებების ერთობლიობას ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების შესახებ. ტერმინი „ენობრივი პიროვნება" პირველად გამოიყენა ი. ნ. კარაულოვმა, რომელმაც მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ენობრივი პიროვნების მოდელი. მისი აზრით, პირობითად არსებობს ენობრივი პიროვნების შემდეგი სამი სტრუქტურული დონე:

1) ვერბალურ-სემანტიკური (სემანტიკური რიგის, ინვარიანტული) დონე, რომელიც ასახავს ყოფითი ენის ცოდნის ხარისხს;

2) კოგნიტიური, რომელზეც ხდება სოციუმისათვის (ენობრივი პიროვნების) დამახასიათებელი იმ შესაბამისი ცოდნისა და წარმოდგენების აქტუალიზაცია და იდენტიფიკაცია, რომლებიც ქმნის კოლექტიურსა და/ან ინდივიდუალურ კოგნიტიურ სივრცეს. ეს დონე გულისხმობს პიროვნების ენობრივი სამყაროს მოდელის, თეზაურუსის, კულტურის ასახვას;

3) პრაგმატული (უმაღლესი) დონე, რომელიც მოიცავს იმ მოტივებისა და მიზნების გამოვლენასა და დახასიათებას, რომლებიც ენობრივი პიროვნების განვითარებას წარმართავს. შესაბამისად, ინფორმაციის კოდირება და დეკოდირება ხდება „პიროვნების კომუნიკაციური სივრცის" ამ სამი დონის ურთიერთქმედებით (Караулов 1987).

თანამედროვე ლინგვისტთა მოსაზრებების თანახმად, ენობრივ პიროვნებად მიიჩნევა ადამიანი როგორც კონკრეტული ენის მატარებელი. ეს მეცნიერული აბსტრაქცია გულისხმობს, რომ ენობრივი პიროვნება იმ საბაზისო ნაციონალურ-კულტურული პროტოტიპების მატარებელია, რომელთა უმეტესობა ასახულია ენის ლექსიკურ სისტემაში. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, კულტურის ზეგავლენით იქმნება კონკრეტული ლინგვოკულტურული ერთობის აზროვნების სტილი: სამყაროს ხედვის რაკურსი, ერის აქსიოლოგიური შკალა, პრაქტიკული რეალობის კატეგორიზაცია და ფიქსაცია. როგორც ლინგვოკულტურული ერთობის წევრი, ენობრივი პიროვნება ფლობს მოცემულ ერთობაში შემავალთათვის საერთო „კულტურულ ობიექტთა" და მათ სიმბოლოთა გარკვეულ ნაკრებს, საერთო ცოდნას, წარმოდგენებს, ღირებულებით ორიენტაციებსა და მათი სემიოტიზაციის საშუალებებს (Прохоров 1999, 40-41).

მაგრამ ენობრივი პიროვნებები განსხვავდებიან ცნობიერების დონისა და კოგნიტიური ბაზის მოცულობით, ამიტომ ენობრივი პიროვნების შესწავლისას ყოველთვის გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ზოგადი, არამედ ის ინდივიდუალური, რაც განასხვავებს კონკრეტულ ინდივიდს.

ენობრივი პიროვნება – გარკვეული კულტურის კონტექსტში ჩამოყალიბებული ენობრივი ცნობიერების მატარებელი – წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიის ცენტრალურ ობიექტს.

ამგვარად, თანამედროვე ლინგვისტიკა იკვლევს ენას როგორც ადამიანურ ფენომენს, რომელშიც აისახება ერის – ენობრივი ცნობიერების მატარებლის კოგნიტური (შემეცნებითი) მოღვაწეობა. ამასთანავე, ენა

წარმოადგენს ცალკეული ენობრივი პიროვნების მსოფლმხედველობის გადმოცემის საშუალებას.

ენისა და კულტურის ურთიერთკავშირი და მისი ასახვა ერისა და ცალკეული პიროვნების ენობრივ ცნობიერებაში, ენობრივი ფორმების მოტივირება კულტურის ტიპის მიხედვით – ის საკითხებია, რომელთაც შეისწავლის ლინგვისტიკის ერთ-ერთი უახლესი მიმართულება ლინგვოკულტუროლოგია.

## I.2. ლინგვოკულტუროლოგიის ცნებითი აპარატი და კვლევის მეთოდოლოგია

გამოჩენილი ფილოსოფოსების, კულტუროლოგებისა და ლინგვისტების მ. მ. ბახტინის, ლ. ვიტგენშტეინის, ჰ. გ. გადამერის, მ. ჰაიდეგერის, ლევი-სტროსის, დ. ოლფორდის, ჯ. ქეროლის, იუ. მ. ლოტმანის, დ. ს. ლიხაჩიოვის, იუ. ს. სტეპანოვის, ა. ვეჟბიცკაიას და სხვ. შეხედულებებიდან გამომდინარე, XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა პოსტულატი: ენა არა მხოლოდ დაკავშირებულია კულტურასთან, არამედ იზრდება მის წიაღში და გამოხატავს მას. ენა ერთდროულად არის კულტურის შექმნის, განვითარებისა და შენახვის საშუალება და კულტურის ნაწილიც, რადგანაც ენის საშუალებით იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურის რეალური, ობიექტურად არსებული ნიმუშები.

სწორედ ამ იდეის საფუძველზე ჩაისახა ახალი მეცნიერება ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იკვლევს ერის კულტურის იმ გამოვლინებებს, რომლებიც ენაშია ასახული და დამაგრებული. ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგია" გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა ვ. ნ. თელიას, იუ. ს. სტეპანოვის, ა. დ. არუტიუნოვას, ვ. ვ. ვორობიოვის, ვ. ა. მასლოვასა და სხვათა შრომებში. აღვნიშნავთ, რომ დასავლურ მეცნიერულ ტრადიციაში კულტუროლოგიას უწოდებენ „კულტურულ ანთროპოლოგიას". ხოლო ლინგვოკულტუროლოგიას – „ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკას". ჰუმანიტარული მეცნიერების ამ ახალი დარგის განვითარებაში გამოიყოფა ორი პერიოდი: ლინგვოკულტუროლოგიის როგორც მეცნიერების განვითარების წინაპირობა (ვ. ჰუმბოლტის, ა. ა. პოტებნიას, ე. სეპირის და სხვათა შრომები) და

ლინგვოკულტუროლოგიის როგორც კვლევის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების პერიოდი.

მეცნიერთა აზრით, დარგის განვითარების დინამიკა ნათელყოფს რამდენიმე მიმართულების ჩამოყალიბებას:

- კერძო სოციალური ჯგუფის, ეთნოსის ლინგვოკულტურულოგია გულისხმობს კულტურული თვალსაზრისით რომელიმე გამორჩეულ პერიოდში კონკრეტული ლინგვოკულტურული სიტუაციის კვლევას;
- დიაქრონიული ლინგვოკულტუროლოგია ანუ გარკვეულ პერიოდში ეთნოსის ლინგვოკულტურული მდგომარეობის ცვლილების შესწავლა;
- შედარებითი ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც იკვლევს სხვადასხვა მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ეთნოსების ლინგვოკულტურულ გამოვლინებებს;
- შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც იკვლევს რომელიმე კონკრეტული ეთნოსის მენტალიტეტის თავისებურებებს სხვა ენისა და კულტურის მატარებელი ინდივიდის პოზიციიდან;
- ლინგვოკულტურული ლექსიკოგრაფია, რომლის ფარგლებშიც იქმნება ლინგვისტური ქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონები და ცნობარები (Маслова 2001).

ლინგვოკულტუროლოგია ვითარდება როგორც კომპლექსური სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ონტოლოგიურად განსხვავებული მაგრამ ურთიერთდაკავშირებული სისტემების – ენისა და კულტურის კავშირებს მათი სისტემური მახასიათებლებისა ფუნქციონირების ერთიანობაში. ცოდნის ამ დარგში არ დაისმის „ტოლობის ნიშანი ცნებებს შორის „კულტურული ენაში" და „ეთნიკური" ან „წმინდა ნაციონალური". სწორედ ეს არის პრინციპული განსხვავება ლინგვოკულტუროლოგიასა და ეთნოლინგვისტიკას ან ლინგვოქვეყანათმცოდნეობას შორის[1]. ენის ნიშნები, რომლებიც შეიცავენ ზენაციონალურსა და ზოგადსაკაცობრიო კულტურულ კატეგორიებსა და ღირებულებებს, ლინგვოკულტურული პოზიციიდან განიხილებიან როგორც კულტურულად მარკირებულნი" (Опарина 1999, 183). როგორც ე. ვ. ოპარინა აღნიშნავს, ლინგვოკულტუროლოგია მიმართული არ არის გამოავლინოს მხოლოდ ხალხური სტერეოტიპები, სიმბოლოები,

[1] გამოყენებითი დისციპლინა, რომელიც იყენებს ლინგვისტიკის და კულტუროლოგიის, ასევე ლინგვოკულტუროლოგიის მონაცემებს უცხოური ენების სწავლების პროცესში, აგრეთვე ლექსიკონების შედგენისას.

მითოლოგემები, რომლებიც ქმნიან სამყაროს ეთნიკურ სურათს. მისი მიზანია აღწეროს სამყაროს ყოფითი სურათი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ენის მატარებელთა ყოველდღიურ მეტყველებაში, განსხვავებულ დისკურსში და კულტურის სხვადასხვა (ვერბალურ და არავერბალურ) ტექსტებში" (იქვე, 28).

ამგვარად, ლინგვოკულტუროლოგია შეისწავლის ცოცხალ ნაციონალურ ენაში ასახულსა და ენობრივ პროცესებში გამოხატულ კულტურას. ის ადგენს და ხსნის, თუ როგორ ხორციელდება ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – შექმნას, განავითაროს, შეინახოს და გადასცეს კულტურა. მისი მიზანია შეისწავლოს ამ პროცესების ხერხები. მიუხედავად განსხვავებული მიმართულებებისა, ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის საგანია ენობრივი ნიშნების კულტურული სემანტიკა, რომელიც ყალიბდება ორი სხვადასხვა კოდის, ენისა და კულტურის ურთიერთქმედებით. თითოეული ენობრივი პიროვნება იმავდროულად კულტურული პიროვნებაცაა. ამიტომ ენობრივი ნიშნები კულტურის „ენის" ფუნქციასაც ასრულებს და, შესაბამისად, მათ შეუძლიათ ასახონ ენის მატარებლის კულტურულ-ნაციონალური მენტალობა.

ლინგვოკულტურულოგიური ანალიზის პროცესში კულტუროლოგიისა და ლინგვისტიკის მეთოდები შერჩევით გამოიყენება. ამდენად, ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში შეიძლება გამოყენებულ იქნას კონტენტ-ანალიზის, ფრეიმთა ანალიზისა და ნარატიული ანალიზის მეთოდიკა, საველე ეთნოგრაფიის მეთოდი (აღწერა, კლასიფიკაცია, გადმონაშთების კვლევა), ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ღია ინტერვიუ, კულტურის ლინგვისტიკური რეკონსტრუქციის მეთოდი. მასალის შესწავლა შესაძლებელია როგორც ეთნოგრაფიის ტრადიციული მეთოდებით ისე კოგნიტიური ლინგვისტიკის ექსპერიმენტული მეთოდებით, რომელიც ენის მატარებელ პიროვნებას, ანუ ინფორმანტს, მასალის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მოიაზრებს. ყველა ეს აღნიშნული მეთოდი ერთმანეთს ავსებს და თანხვედრაშია სხვადასხვა შემეცნებით პრინციპებსა და ანალიზის ხერხებთან, რაც ხელმისაწვდომს ხდის ლინგვოკულტუროლოგიის რთული ობიექტის - ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის შესწავლას.

ლინგვოკულტუროლოგიაში კვლევის მასალად გვევლინება ცოცხალი ენობრივი პროცესები, სხვადასხვა დისკურსი როგორც ენობრივი საშუალებებით ასახული კულტურული ინფორმაციის წყარო. ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტად მიჩნეულია სინამდვილის ის სფერო, რომელშიც ხორციელდება ენისა და კულტურის ურთიერთქმედება.

ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის საგანია (როგორც ობიექტის ნაწილი) ენის ის ერთეულები, რომლებმაც კულტურაში შეიძინეს სიმბოლური, ეტალონური, ხატოვან-მეტაფორული მნიშვნელობა და რომლებიც განაზოგადებენ ადამიანის არქეტიპული და პროტოტიპული ცნობიერების შედეგებს, დაფიქსირებულს მითებში, ლეგენდებში, ადათებსა და რიტუალებში, ფოლკლორულსა და რელიგიურ დისკურსში, მხატვრულ ტექსტებში, ფრაზეოლოგიზმებში და მეტაფორებში, სიმბოლოებსა და პარემიებში (ამის შესახებ იხ.: Маслова 2001, 11). ეს კონცეპტები კულტურას განეკუთვნება, მკვიდრდება ყოფითსა და რიტუალური ქმედებების ფორმებში, ენაში. შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგია იყენებს ენობრივ მასალას და იკვლევს ერის კულტურის იმ გამოვლინებებს, რომლებიც ენაშია შემონახული. ლინგვოკულტურული ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს შეპირისპირება ენობრივი სისტემებისა, რომლებშიც ლექსიკური ერთეულებიცა და კონცეპტებიც შემოგვთავაზებენ არსებული სინამდვილის განსხვავებულ დანაწევრებას.

ლინგვოკულტუროლოგია ადგენს გარკვეულ ტრადიციასთან დაკავშირებული ქცევის ელემენტების გამოვლინებებს სამეტყველო ქმედებაში; აანალიზებს სხვადასხვა ენის მატარებელთა ვერბალური და არავერბალური ქცევის თავისებურებებს; იკვლევს სამეტყველო ეტიკეტს და „სამყაროს ფერადოვან ხატს".

ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტია კულტურათაშორისი ურთიერთობისას ტექსტში წარმოქმნილი ლაკუნები, ის კონოტაციები, სიმბოლოები და „ქვეაზრები", რაც ამ კულტურაში დაკავშირებულია ამა თუ იმ კულტურულად ათვისებულ რეფერენტთან. ლინგვისტიკის ეს მიმართულება აგრეთვე შეისწავლის ორ- და მრავალენოვნებას როგორც სხვადასხვა ხალხების სამეტყველო ქმედებისა და, ამავდროულად, სამყაროს ხედვის თავისებურებებს. იმდენად, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში ადამიანი სამყაროს შესახებ წარმოდგენას მისი რეპრეზენტაციებით, კოგნიტიური სურათებითა და მოდელებით იქმნის, ის სამყაროს ხედავს ერის კულტურისა და ენის პრიზმაში.

ამგვარად, ლინგვოკულტუროლოგია შეიძლება განისაზღვროს როგორც ჰუმანიტარული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ნაციონალურ ენაში ხორცშესხმულ და ენობრივ პროცესებში გამოვლენილ მატერიალურ და სულიერ კულტურას. ლინგვოკულტუროლოგიაში კვლევის საგანს შეადგენს ლინგვოკულტურული ერთეულებისა და მოვლენების შემდეგი ტიპები: სიტყვები და გამოთქმები უექვივალენტო ლექსიკის ჩათვლით, რომლებიც

ლინგვოქვეყანათმცოდნეობაში აღწერის საგანს წარმოადგენს; მითოლოგიზებული კულტურულ-ენობრივი ერთეულები: ფრაზეოლოგიზმებში, ანდაზებში, ხატოვან-მეტაფორულ ერთეულებში დამაგრებული კულტურის რიტუალური ფორმები, ლეგენდები, ჩვეულებები, რწმენები; ენის პარემიოლოგიური ფონდი; სიმბოლოები, სტერეოტიპები, ეტალონები, რიტუალები; სიტყვით, ფრაზეოლოგიზმით, მისთ. გამოწვეული ხატები; სტერეოტიპული სამეტყველო სიტუაციები, კონვენციები, სამეტყველო ეტიკეტი; რელიგიისა და ენის ურთიერთქმედება. ყველა ჩამოთვლილი შეიძლება განზოგადდეს: ლინგვოკულტუროლოგიის საგანია ენისა და კულტურის კორესპონდენცია მათ სინქრონულ ურთიერთქმედებაში, ნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო განზომილებაში (Телия 1996, 217).

ლინგვოკულტუროლოგიის მიზანია შეისწავლოს საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ენა თავის ერთეულებში ინახავს და გადასცემს კულტურას. ის როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგი მიზნად ისახავს სპეციფიკური ამოცანების გადაჭრას და პასუხის გაცემას კითხვებზე, რომლებიც ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

- როგორ მონაწილეობს კულტურა ენობრივი კონცეპტების ჩამოყალიბებაში?
- ენობრივი ნიშნის რომელ ნაწილზე მაგრდება „კულტურული აზრები"?
- აცნობიერებს თუ არა ამ აზრებს მოსაუბრე და მსმენელი და როგორ ზემოქმედებენ ეს აზრები სამეტყველო სტრატეგიებზე?
- არსებობს თუ არა ენის მატარებლის კულტურულ-ენობრივი კომპეტენცია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება და ამოიცნობა კულტურული აზრები ტექსტებში? კულტურულ-ენობრივი კომპეტენციის სამუშაო განსაზღვრებაში ვგულისხმობთ შემდეგს: ეს არის ენობრივი პიროვნების უნარი ფლობდეს მეტყველების წარმოქმნისა და მეტყველების აღქმის პროცესებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კულტურის წესებს.
- როგორია კულტურული კონცეპტოსფერო – მოცემული კულტურის ძირითადი კონცეპტების ერთობლიობა („კულტურის საკვანძო სიტყვები" ა. ვეჟბიცკაიას ტერმინოლოგიაში)?
- როგორია კულტურის დისკურსი?

- როგორია მოცემული ენობრივი ერთეულების კულტურული სემანტიკა, რომელიც ყალიბდება ორი სხვადასხვა სფეროს – კულტურისა და ენის ურთიერთქმედების საფუძველზე?
- როგორ უნდა მოხდეს მოცემული კულტურის ძირითადი ცნებების სისტემატიზაცია?

ლინგვოკულტუროლოგიაში ყალიბდება სპეციფიკური კატეგორიალური აპარატი, რომელიც აერთიანებს ლინგვოკულტუროლოგიის საბაზისო ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც წარმოადგენენ ლინგვოკულტურული რეალობის მთლიანი მოდელის დამახასიათებელ ნიშნებს. ასეთებია: ლინგვოკულტურემა, კულტურის ენა, კულტურული ტექსტი, კულტურის კონტექსტი, სუბკულტურა, ლინგვოკულტურული პარადიგმა, კულტურის პრეცედენტული სახელები, კულტურის საკვანძო სახელები, კულტურული უნივერსალია, კულტურული კომპეტენცია. ლინგვოკულტუროლოგიის ცნებით აპარატს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი ტერმინები, როგორიცაა მენტალიტეტი, მენტალობა, რიტუალი, ჩვეულება, კულტურის სფერო, კულტურის ტიპი, ცივილიზაცია, ა. შ. ამასთან ერთად, ლინგვოკულტუროლოგია, პირველ ყოვლისა, ლინგვისტიკური დისციპლინაა. მისი მეთოდოლოგია ეყრდნობა ანალიზის საკუთრივ ლინგვისტიკურ მეთოდებს, ანალიზი კი კულტურულად დეტერმინირებული ერთეულების სემანტიკის სიღრმისეულ დონეზე ხორციელდება და ითვალისწინებს ენისა და კულტურის მოვლენებისადმი სისტემურ და ინტეგრატიულ მიდგომას. მნიშვნელობების ზოგასაკაცობრიო თუ ნაციონალური კულტურის კონცეპტებთან შეპირწონებით ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი იძლევა ექსტრა- და ინტრალინგვისტური ფაქტების ღრმა და ფართე ექსპლიკაციას.

როგორც შესავალში განვაცხადეთ, წინამდებარე კვლევის მიზანია ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" კონტრასტული ანალიზი განსხვავებულ (რუსულსა და ბრიტანულ) კულტურებში. დასახული ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ისეთი ცნებების გამოყენება, რომელთა საშუალებითაც კულტურული ინფორმაცია წარმოდგენილია და ვერიფიცირდება ენობრივ ერთეულებში. ამასთან ერთად, როგორც აქ მოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, ლინგვოკულტუროლოგიის ცნებითი აპარატი ჯერ კიდევ დაზუსტების სტადიაშია, რის გამოც დისციპლინის მთელი რიგი საბაზისო ტერმინების შინაარსობრივი შევსება ვარირებს სხვადასხვა სკოლებსა და მკვლევართა ნაშრომებში.

ქვემოთ წარმოდგენილია ტერმინთა გლოსარიუმი, რომელიც შედგენილია ლინგვოკულტუროლოგიის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებული მასალის ანალიზის საფუძველზე (ანბანის მიხედვით):

- **კულტურის განწყობები** – ერთგვარი იდეალებია, რომელთა მიხედვითაც პიროვნება კვალიფიცირდება როგორც „ღირსეული/უღირსი". ეს იდეალები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება, ერის მიერ განვლილი ისტორიული გზა მის სოციალურ მეხსიერებაში ინახება და წარმოქმნის განწყობებს. სწორედ ეს განწყობები და წესები აწესრიგებს ადამიანთა ცხოვრებას. ვ. ნ. თელიას თვალსაზრისით, კულტურის განწყობები არ შეიძლება ისეთივე სავალდებულო იყოს როგორც ენობრივი ნორმები. ეროვნულ კულტურას მიეკუთვნება ყველაფერი, რისი ინტერპრეტაციაც შესაძლებელია ღირებულებითი განწყობების ტერმინებით, „ხალხური სიბრძნის პრესკრიბციებით (გამოხატულებით)" (Телия 1995).

- **კულტურის ენა** – არის ნიშანთა არსი, ამ ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება, ანუ ნიშანთა სისტემა, რომლის მეშვეობითაც დგინდება ღირებულებით-აზრობრივი ფორმების კოორდინაცია და ხდება არსებული ან კვლავ წარმოშობილი წარმოდგენების, ხატების, ცნებების და სხვა აზრობრივი კონსტრუქციების ორგანიზება. სხვადასხვა ეთნიკურ კულტურასთან მიმართებაში, კულტურის ენა გაიგება როგორც ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ნიშანთა ყველა ხერხის ერთობლიობა, რომლებიც ახდენს ეთნოსის კულტურის სპეციფიკის ობიექტივაციას და ასახავს მის ურთიერთქმედებას სხვა ეთნოსების კულტურებთან.

- **კულტურის კონცეპტები** – აბსტრაქტულ ცნებათა სახელები, რომელთა სემანტიკაშიც სიგნიფიკატური ასპექტი ჭარბობს დენოტაციურს: არაენობრივ სინამდვილეში მათ არ გააჩნიათ ნივთიერი „საყრდენი" საგნობრივი რეალია-დენოტატების სახით.

- **კულტურის საკვანძო კონცეპტები** – სამყაროს სურათის ბირთვული, საბაზისო ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის ისე მთელი ლინგვოკულტურული ერთობისათვის. კულტურის საკვანძო კონცეპტებია მაგალითად, აბსტრაქტული სახელები: სინდისი, ბედი, ნება, ცოდვა, კანონი, სამშობლო, ა.შ.

- **კულტურის ტექსტი** –ნიშანთა სივრცე, რომელშიც მიმდინარეობს გარკვეულ იდეოლოგემებსა და მათთვის დამახასიათებელი

გამოხატვის საშუალებებზე ორიენტირებული კულტურულად მარკირებული საქმიანობა.

- **კულტურის ტიპი** – გარკვეულწილად, თუმცა არა ყოველთვის, განსაზღვრავს კონკრეტული კულტურის თითოეული წარმომადგენლის პიროვნულ ტიპს.
- **კულტურული ეპისტემა** – პირობითი სქემა-კონსტრუქტია, რომლის მოდელირებაც ხდება კულტურაში ცნების ათვისებისა და მისი ენობრივი პროექციის სინოპსისის საფუძველზე.
- **კულტურული კონოტაცია** – ყველაზე ზოგადი სახით, ეს არის კულტურის კატეგორიებში დენოტაციური ანუ მნიშვნელობების ხატოვნად მოტივირებული ასპექტების ინტერპრეტაცია (Телия 1996, 214). ვარაუდობენ, რომ კულტურულ კონოტაციას გააჩნია ენის სისტემაში განხორციელების თავისი „ლოკუსი": ხატოვნად მოტივირებული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, ასევე ამ ერთეულების მნიშვნელობების გარკვეული ასპექტი, მათი ხატოვანი საფუძველი.
- **კულტურული პროცესი** – კულტურული მოვლენების სისტემის ელემენტთა ურთიერთქმედებაა.
- **კულტურული სემა** – სიტყვაზე უფრო დეტალური და უნივერსალური სემანტიკური ერთეულია; კულტურული ფონი ახასიათებს ნომინატიურ ერთეულებს (სიტყვებსა და ფრაზეოლოგიზმებს), რომლებიც აღნიშნავენ სოციალური ცხოვრებისა და ისტორიულ მოვლენებს. კულტურული ინფორმაციის ეს ორივე სახე დენოტატში აისახება (Телия, Брагина, Опарина, Сандомирская, 1994). კულტურული სემა, კულტურული მემკვიდრეობითობა აღნიშნავს კულტურული ღირებულებების, კულტურისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემას. კულტურული ტრადიციები კი წარმოადგენს სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულად ფასეული ელემენტების ერთობლიობას.
- **კულტურული სივრცე** – არის კულტურის არსებობის ფორმა მის წარმომადგენელთა ცნობიერებაში. ის შეეფარდება კოგნიტიურ სივრცეს, იქნება ის ინდივიდუალური თუ კოლექტიური, რადგანაც ის იქმნება მოცემული კულტურულ-ეროვნული ერთობის წარმომადგენელთა ინდივიდუალური და კოლექტიური სივრცეების ერთობლიობით. მაგ., რუსული კულტურული სივრცე, ქართული კულტურული სივრცე, ინგლისური კულტურული სივრცე.

- **კულტურული ფონი** – ახასიათებს ლექსემებს და ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური ცხოვრების გამოვლინებებსა და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან. ის ასევე ლოკალიზებულია მნიშვნელობის დენოტაციურ ასპექტში, მაგრამ კულტურული სემებისგან განსხვავებით, იდეოლოგიურად არის მარკირებული (208).

- **კულტურული ფონდი** – წარმოადგენს ცოდნათა კომპლექსს, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ერთგვარ თვალსაწიერს, რომელიც ამა თუ იმ კულტურის ტიპიურ მატარებელ პიროვნებას გააჩნია. თუმცა ის ამ პიროვნების კუთვნილება კი არ არის, არამედ წარმოადგენს მოცემულ კულტურაში შემავალი საბაზისო ერთეულების ერთობლიობას.

- **კულტურული ტრადიცია** – ინტეგრალური მოვლენაა და გამოხატავს სოციალურად სტერეოტიპულ ჯგუფურ გამოცდილებას, რომელიც გროვდება და ხელახლა იწარმოება საზოგადოებაში.

- **კულტურული ღირებულებები** – სხვადასხვაგვარ ფუნქციას ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. ესენია 1) ადამიანსა და ბუნებას შორის კოორდინაცია, 2) მასტიმულირებელი ფუნქცია, 3) მარეგულირებელი ფუნქცია, ა. შ. აქსიოლოგიაში არსებობს ღირებულებათა მრავალი კლასიფიკაცია. მათ შორის გამოირჩევა აბსოლუტური ანუ მარადიული ღირებულებები, საზოგადოებრივი, პიროვნული, ბიოლოგიური გადარჩენის ღირებულებები და სხვა. ადამიანი არა მხოლოდ შეიმეცნებს სამყაროს, არამედ იმასაც აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ღირებულებების სისტემის შესახებ არსებული ენობრივი ინფორმაცია მოწმობს ერის მსოფლაღქმის თავისებურებებს.

- **ლინგვოკულტურემა –** კომპლექსური დონეთაშორისი ერთეული, რომელიც აერთიანებს ფორმასა და შინაარსს. ლინგვოკულტურემები მოიცავენ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ერთეულებს, ლექსემიდან დაწყებული მთლიანი ტექსტის ჩათვლით.

- **ლინგვოკულტურული ველი** – ლინგვოკულტურული ინფორმაციის სხვადასხვა სახეობების ერთობლიობაა; ველის ერთეულია ლინგვოკულტურემა.

- **სამყაროს ენობრივი სურათი** – ღირებულებათა ორიენტაციების სისტემა, რომელიც კოდირებულია ენობრივი ერთეულების ასოციაციურ-ხატოვან კომპლექსებში და აღდგენილია მკვლევარის მიერ ამ კომპლექსების

ინტერპრეტაციით, რისთვისაც მიმართავს მათ განმაპირობებელ ნიშნებსა და კულტურის კონცეპტებს (Словарь образных выражений русского языка 1995).

ლინგვოკულტუროლოგიურ შრომებში ზემოთ მოყვანილ ტერმინებთან ერთად გამოიყენება სხვებიც, რომლებიც მიმართულია ენობრივ ერთეულებში, სხვადასხვა ტექსტებში, დისკურსებში, კომუნიკაციური ქმედების ფორმებში კულტურული ინფორმაციის გამოსავლენად.

წინამდებარე კვლევაში გამოიყენება ჟ. ვარძელაშვილის მიერ შემოთავაზებული ტერმინი „კონცეპტის კულტურული ეპისტემა" კულტურის კონცეპტების რეკონსტრუქციისა და მოდელირებისათვის. ამ კონცეპტების რიგს მიეკუთვნება კულტურული ღირებულებები, რომლებიც ქმნიან კულტურის განწყობებსა და კულტურულ ფონს და წარმოადგენენ კულტურის საკვანძო კონცეპტებს (ვარძელაშვილი 2011).

კულტურული ეპისტემის მოდელი-სქემის საფუძველზე კონსტრუირდება მეცნიერული აბსტრაქცია, რომელიც ებმის ენობრივ ცნობიერებას. ნაშრომში ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" თეორიული მოდელი გაიგება როგორც „მრავალსაუკუნოვანი პროცესების შედეგი ცნების კონცეპტუალიზაციისა, რომელიც კულტურასთან ერთად გადის ევოლუციას და აისახება ენობრივ ფორმებსა და ფაქტებში" (ვარძელაშვილი 2011, 3-7).

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა კომპლექსურ მეთოდიკას, რომელიც ერთმანეთთან ახამებს ლინგვოკულტუროლოგიურ და სემანტიკურ-კოგნიტიურ მიდგომებს ობიექტთან – კონცეპტთან, „ადამიანის მენტალურ სამყაროში კულტურის უჯრედთან" (Степанов 1997, 40), რომელსაც გააჩნია ენობრივი პროექციები.

მეცნიერულ დისკურსში დისციპლინათაშორისი ტერმინი „კონცეპტი" გამოირჩევა განმარტებების პოლიფონიით. „კონცეპტი ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარული და ყველაზე ნაკლებ ერთგვაროვნად განსაზღვრული ტერმინია თანამედროვე ლინგვისტიკაში" (Грузберг 2003, 184; cit.: Прохоров 2011). ახალი ტერმინის დამკვიდრება დაკავშირებულია „მისი ხმარების ერთგვარ თავისუფლებასთან, წაშლილ საზღვრებთან, მნიშვნელობით და/ან ენობრივი ფორმით მსგავს ტერმინებში აღრევასთან" (Карасик, Слышкин 2001, 76). კონცეპტის განმარტება და ანალიზის მეთოდოლოგია თეორიულ ენათმეცნიერებაში, სადაც ეს ტერმინი მათემატიკური ლოგიკიდან შემოვიდა, დაკავშირებულია როგორც სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა მიერ მის გაგებასთან, ისე კვლევის რაკურსთან.

ინტრალინგვისტიკურ კვლევებში კონცეპტი წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიისა და კონცეპტოლოგიის საბაზისო ტერმინს. უახლეს ენათმეცნიერებაში კონცეპტის გაგების, ტიპოლოგიის, მოდელირებისა და აღწერის შესახებ არსებულ შეხედულებათა მიმოხილვას ეთმობა კვლევის მომდევნო პარაგრაფი.

## I.3. კონცეპტების ტიპოლოგია

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის საკითხის შესწავლისას მკვლევარებისათვის ამოსავალი დებულებაა, რომ კოგნიციის მთავარი შემადგენელია ადამიანის ენა, ნიშანთა სისტემა, სიტყვიერი კოდი. ხოლო კოდში დევს აზრი. მ. ჰაიდეგერის აფორისტიკული მტკიცებით, ენა „აზრის არტიკულაციაა". ინფორმაციული სისტემის მსგავსად, ადამიანის გონება სამყაროს რეპრეზენტაციის შინაგანი სტრუქტურებისკენ გზას ხსნის სწორედ ენის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს კოგნიტური სტრუქტურების რეპრეზენტატორს. ამასთან ერთად, ნებისმიერი სტრუქტურა, „გამოსადეგი კოგნიტიური სისტემის აგების ან ორგანიზებისათვის, არის გარკვეულწილად მეტაფორული ტერმინი. ე.ი., პოსტულირებული სტრუქტურები **პირობითი წარმოდგენაა**[2] იმისა, თუ როგორ არის ორგანიზებული აზრობრივი ელემენტები, და არა მათი ზედმიწევნითი აღწერა" (Солсо 2002, 34).

გამომდინარე კოგნიტივიზმის დებულებიდან, რომ აზროვნება არავერბალურია და ის ხორციელდება უნივერსალური საგნობრივი კოდით, ითვლება, რომ ადამიანი აზროვნებს კონცეპტებით, ანუ ამ კოდის პირობითი ერთეულებით. შესაბამისად, კონცეპტი წარმოადგენს ცნობიერების ერთეულს, სტრუქტურირებული ცოდნის კვანტს. ამ კატეგორიით ოპერირება გარკვეული ხარისხის დაშვებების საშუალებას იძლევა, რაც პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია თავად კვლევის საგანთან – მენტალურ პროცესებთან და მათ ენობრივ ექსპლიკაციასთან (Вардзелашвили 2007).

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ენათმეცნიერებაში ტერმინი „კონცეპტი" განიხილებოდა იმავე თანრიგის მოვლენად, როგორიცაა „ცნება". ამასთან დაკავშირებით სტატიაში „Понятие и концепт в художественной литературе

[2] ხაზგასმა ჩვენია. დ. რ.

и научном дискурсе'' ვ. ზ. დემიანკოვი მიუთითებს: „მეცნიერულ დისკურსში უდავოდ არსებული „ცნება" და „კონცეპტი" ისტორიული დუბლეტებია, რუსული „понятие'' კალკირებს ლათინურ „conceptus" (2001, 35). ამავე სტატიაში მოყვანილია ამ მეცნიერული ტერმინის ჩამოყალიბების ანალიზი, გამოვლენილი მისი ეტიმონის საფუძველზე. როგორც ავტორი წერს, სიტყვა „conceptus" გვიან ლათინური, შუა საუკუნეების დროინდელი წარმონაქმნია და ნაწარმოებია ზმნისგან „concipere" – „con-capere", რაც ნიშნავს მოგროვებას, მოკრებას, ანთებას, ჩაფიქრებას, წამოწყებას, ჩასახვას, რეზერვუარს. ტერმინ „კონცეპტის" ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ყოფით მეტყველებაში დამკვიდრების დროის მიხედვით ენები ვარირებენ.

თანამედროვე ინგლისურენოვანი ლინგვისტების (ლაკოფი, ჯონსონი 1980, ლანგაკერი 1987, ჯაკენდოფი 1990) თვალსაზრისით, კონცეპტები შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ენობრივი ერთეულებით – საგანთა ან არსებათა ჩვეულებრივი კლასებით (მაგ., *Bird*), სიტუაციებით (მაგ., *run*) და ინდივიდუმებით (მსგავსად *George Lakoff*). ამ მეცნიერთა ტერმინებში კონცეპტი, რომელსაც გააჩნია სხვა კონცეპტებთან დაკავშირებითი თვისებები და ამდენად ჩართულია დომენებში (*domains* – სფეროები), აღიწერება ცნებით „პროფილი-ბაზა". კონცეპტებს აქვთ თავიანთი გარემო – დომენი ან დომენთა რიცხვი (*domain matrix*), ანუ რუსულ ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული „კონცეპტოსფერო". მოსკოვის სემანტიკური სკოლის ტერმინოლოგიით, პრეზუმფციას (პრესუპოზიციას) შეესაბამება ბაზა, ხოლო კონცეპტს (პროფილს) – ასერცია, ანუ კომუნიკაციური ფოკუსი (Рахилина 2000, 5).

როგორც ვ. ზ. დემიანკოვი მიუთითებს, თანამედროვე უზუსში, იქნება ეს მეცნიერული თუ არამეცნიერული, „ცნება" და „კონცეპტი" განსხვავებულად გამოიყენება. კონცეპტს „მაშინ იყენებენ, როდესაც სურთ ხაზი გაუსვან რომელიმე ცნების თავისთავადობას, მის აპრიორობას, რათა თქვან: მოცემული ცნების განხილვისას მოდი, ვცადოთ უბრალოდ კი არ შევთანხმდეთ ტერმინთა გამოყენების საკითხე, არამედ გავაკეთოთ რეკონსტრუქცია მენტალური სამყაროს იმ არსისა, რომელიც ამ ცნებაში დევს." (2001, 47). ავტორი ასკვნის შემდეგს: რუსულ ენაში „კონცეპტის" გამოყენებითობა პიკს აღწევს, როდესაც იწყებენ ამ ტერმინის არა უბრალოდ როგორც „ცნების", არამედ განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენებას, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. განცალკევება ხდება შემდეგი ხაზით: ცნებები ის არის, რაზეც ადამიანები თანხმდებიან, აყალიბებენ, რათა პრობლემის განხილვისას ჰქონდეთ „საერთო

ენა''; „კონცეპტები'' კი განყენებულად არსებობენ, მათი რეკონსტრუქცია ხდება სხვადასხვა ხარისხის დამაჯერებლობით.

აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენაში „კონცეპტს'' შეესატყვისა სემიოტიკური რიგის ლექსიკური ერთეული „ცნება'', რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად აღნიშნავს შემეცნების ფორმას, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა, გასაგები ხდება ობიექტური სინამდვილის (საგნებისა და მოვლენების) არსებითი ნიშნები, მიღებული ცალკეული მოვლენების განზოგადების შედეგად (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1964).

2008 წელს გამოცემულ ქართული ენის ენციკლოპედიაში „ცნება'' და „კონცეპტი'' არ ფიქსირდება როგორც სახეობრივი ტერმინები. თუმცა, ამავე ენციკლოპედიაში ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებების შესახებ სტატიაში კულტურის კონცეპტები კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევის საგნად მოიხსენება და განმარტებულია როგორც „კულტურაში შექმნილი საზრისი'' (ქართული ენა. ენციკლოპედია 2008, 170). ზემოთქმულთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება „ცნებასა'' და „კონცეპტს'' შორის მკაფიოდ არ ფიქსირდება ლექსიკოგრაფიულ და ენციკლოპედიურ წყაროებში, ის დამკვიდრდა უკანასკნელი ათწლეულების ქართულ სამეცნიერო დისკურსშიც, რაც პუბლიკაციებისა და მოხსენებების ტექსტებით დასტურდება. რუსულ ლინგვისტიკურ კვლევებში ტერმინი „კონცეპტი'' აქტიურად გამოიყენება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და დღეისათვის არსებობს რამდენიმე სკოლა და მიმართულება, რომელიც კონცეპტის პრობლემას ამუშავებს.

ახალი ტერმინი, რომელშიც სინთეზირდება ლექსიკოგრაფიული და ენციკლოპედიური ინფორმაცია (Кубрякова 1996, 143) და რომლის სემანტიკაშიც შეირწყმება დენოტაცია და კონოტაცია, სიტყვის „უახლოესი'' და „შორეული'' მნიშვნელობები, ცოდნა სამყაროსა და მისი შემმეცნებელი სუბიექტის შესახებ, აუცილებელია კოგნიტოლოგიის, კოგნიტიური ლინგვისტიკისა და რიგი უახლესი ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის (ლიხაჩიოვი 1993, სტეპანოვი 1997, ლიაპინი 1997, არუტიუნოვა 1998, ა.შ.) .

შევნიშნავთ, რომ თავად ტერმინი „კონცეპტი'' კვლევებში ძირითადად წარმოდგენილია კოგნიტიური მეტაფორის საშუალებით: „აზრის მრავალმხრივი შენადედი'', „ყოფიერების აზრობრივი კვანტი'', „კულტურის გენი'' (Ляпин 1997, 16–171), „მნიშვნელობის ერთგვარი პოტენცია'' (Лихачев 1993, 6), „კულტურის კოლტი ადამიანის ცნობიერებაში'' (Степанов 1997, 40), კონცეპტები „თითქოს ლივლივებენ მათი მატერიალური და წმინდა სულიერი

გამოვლინებების თავზე" (Степанов 1995, 18). ხოლო ინგლისურენოვან ლინგვისტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად კონცეპტს აიგივებენ „აზრის კაფსულასთან". მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი უკავშირდება მკვლევართა მისწრაფებას, მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცენ ამ უაღრესად აბსტრაქტული ერთეულის არსებითი ნიშან-თვისებები, რომელიც მეცნიერულ უზუსში მას შემდეგ შევიდა, რაც გაცნობიერებულ იქნა ლინგვისტიკური და ფსიქოლოგიური მონაცემების შეთავსებისათვის კატეგორია „ცნებით" ოპერირების არასრულყოფილება.

მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, აუცილებელია განვსაზღვროთ სიტყვა „კონცეპტის" მნიშვნელობა, როგორც ის ჩამოყალიბდა ლინგვისტიკურ ტექსტებში, და განვმარტოთ, როგორ განსხვავდება ის სიტყვა „ცნების" კლასიკური გაგებისგან.

იმ ენების მსგავსად, რომელშიც არ არსებობს ეტიმოლოგიური დუბლეტი, კოგნიტიური ფსიქოლოგიისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის ინგლისურენოვან ტექსტებში უფრო ხშირად გამოიყენება **mental/conceptual representation** „მენტალური/აზრობრივი რეპრეზენტაცია".

სინონიმურ წყვილში „კონცეპტი – ცნება" პირველი წევრი სტილისტურ შეფერილობას იძენს როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებში. ქართული ენის, ისევე როგორც რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების უმეტესობაში, სტატია „კონცეპტი" არ არსებობს; „კონცეპტი" აღნიშვნით „лог., книжн." შეტანილია მხოლოდ რუსული ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში (БТСРЯ, 1998, 454). ბერძნულ-ლათინური ნასესხები სიტყვების უმრავლესობის მსგავსად რუსულსა და ქართულ უზუსში „კონცეპტი" გვევლინება, ასე ვთქვათ, „მეცნიერულ სიტყვად" და მას არავინ გამოიყენებს ყოფით მეტყველებაში, ის სამეცნიერო დისკურსის კუთვნილებაა. ენციკლოპედიურ და სპეციალურ ლექსიკონებში ის დაფიქსირებულია როგორც უცხო სიტყვა ან სპეციალური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ლოგიკასა და ფილოსოფიაში.

რუსულსა და ქართულ ენებში ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ტექსტებში „ცნება" და „კონცეპტი" ძირითადად უპირისპირდება „წარმოდგენას" მათი შინაარსის აბსტრაქტულობის ხარისხის მიხედვით, რაც არ ახასიათებს ინგლისურ **concept** და **notion**. თუმცა რომანულ ენებში, სადაც არსებობს სისტემური ლექსიკური შეპირისპირება ცოდნის ზედაპირულსა და არსებით დონეებს შორის, „კონცეპტი" მიესადაგება **„არსებით ცოდნას"** და გადმოიცემა ზმნებით, რომელთა სათავეც არის ლათინური **sapere** (ფრანგ. savoir, ესპ. saber,

იტალ. sapere), ხოლო **notion, nocion, nozione**, ინარჩუნებს თავის „ეტიმოლოგიურ მეხსიერებას" და მიესადაგება ზმნებს connaitre, conocer, conoscere, წარმოქმნილს ლათინური cog-noscere – „გაგება", „გაცნობა" (იხ.: Демьянков 2001; Воркачев 2002). თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერებაში ტერმინი „კონცეპტი" გამოიყენება ლინგვისტიკური საშუალებებით მოდელირებული ნაციონალური კოგნიტიური ცნობიერების ერთეულის აღსანიშნად. ასევე, ნაციონალური კონცეპტოსფეროს (*domains*) – ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტების მოწესრიგებული ერთობლიობის – მოდელირებისა და აღწერისათვის. ფილოსოფიაში ამ ერთობლიობას კონცეპტუალური სისტემა ეწოდება: „ადამიანის გონებისათვის მისაწვდომ ყველა კონცეპტის ერთობლიობას, მათ მოწესრიგებულ გაერთიანებას ეწოდება კონცეპტუალური სისტემა" (Новейший философский словарь, 2009).

რიგი მეცნიერებისა ვარაუდობს, რომ კონცეპტი არავერბალური მენტალური წარმონაქმნია (Damasio 1989; 1995; 1999; Болдырев 1999; 2000) და მისი სახელი დუბლირებს სიტყვას, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი ვერბალიზაცია. თუმცა აკადემიური განმარტებებიდან ცნობილია, რომ ცნებაც სიტყვაში იძენს დასახელებას: „ცნება... ზოგადად ერთნაირად განისაზღვრება როგორც ლოგიკაში ისე ენათმეცნიერებაში და ყოველთვის წარმოდგენილია ერთგვარი საერთი სახელით ან მისი ექვივალენტური სიტყვათშეთანხმებით... ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ცნება განიხილება როგორც ერთ გარკვეულ ნიშნობრივ ფორმასთან – საერთო სახელთან – დაკავშირებული კატეგორია..." (ЛЭС, 384).

მკვლევართა თანახმად, კლასიკურ ცნებას არ ახასიათებს ხატოვანება, ის გამოირჩევა „წმინდა რაციონალურობით": მას ვერ აღვიქვამთ გრძნობის ორგანოებით – ვერ ვხედავთ, არ გვესმის, ვერ ვეხებით, ვერ ვგრძნობთ (Войшвилло 1989, 98). ნ. დ. არუტიუნოვას განმარტებით, კონცეპტები „ცხოვრებისეული ფილოსოფიის ცნებებია", „მსოფლმხედველობრივი ტერმინის ჩვეულებრივი ანალოგები, რომლებიც დამაგრებულია ბუნებრივი ენების ლექსიკაში და უზრუნველყოფს ეთნოსის სულიერი კულტურის მემკვიდრეობითობასა და სტაბილურობას (Арутюнова 1993, 3–6; 1999, 617–631).

კონცეპტის ცნებისგან განცალკევების ერთ-ერთი გზაა ცნების „ფენებად" დაშლა (გ. ფრეგე, ა. ჩერჩი, რ. კარნაპი, უ. კუაინი), რომლის შედეგადაც მიიღება ლოგიკური სემანტიკური წყვილები: „მოცულობა" და „შინაარსი", „ეკსტენსიონალი" და „ინტენსიონალი", „დენოტატი" და „სიგნიფიკატი", „მნიშვნელობა" და „აზრი". ამ შეხედულების მიხედვით, კონცეპტი მოიაზრება როგორც რაიმე სახელის ცნებითი შინაარსის

სემანტიკური წარმოდგენის საშუალება, ხოლო მნიშვნელობა გაიგება როგორც მისკენ მიმართულ ობიექტთა კლასი (რაოდენობა). „ჩვენ ვამბობთ, რომ აზრი განსაზღვრავს დენოტატს ან, რომ ის არის კონცეპტი” (Чёрч 1960, 19; ასევე იხ.: Тондл 1975, 177–189). თუმცა, მეცნიერული დისკუსიის საგნად კვლავ რჩება კონცეპტისა და ლექსიკური მნიშვნელობის თანაფარდობის საკითხი. ამ ცნებების გამიჯვნისათვის ნაშრომში ვეყრდნობოდით ი. ა. სტერნინისა და ზ. დ. პოპოვას თვალსაზრისს, რომელიც გადმოცემულია კოლექტიურ მონოგრაფიაში „Семантико-когнитивный анализ языка’’ (2006). ავტორები ვარაუდობენ, რომ მნიშვნელობა კონცეპტთან მიმართებაში გვევლინება მის ნაწილად, ხოლო კონცეპტის მთელი შინაარსის ექსპლიკაციისათვის ჩვეულებრივ საჭიროა მრავალრიცხოვანი ლექსიკური ერთეულები. მნიშვნელობა და კონცეპტი ერთმანეთს შეეფარდება როგორც კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილი და მენტალური მთელი.

კონცეპტების არა მარტო გაგებაა განსხვავებული, არამედ მათი არსიც ურთიერთსაპირისპირო და შეუთავსებელი ნიშნებით ხასიათდება. კონცეპტოლოგიური კვლევების ფუძემდებლები ს. ა. ასკოლდოვი და დ. ს. ლიხაჩიოვი კონცეპტს ფართოდ განიხილავდნენ და მას თვლიდნენ ინდივიდუალურ ცნობიერებაში არსებული ნებისმიერი მნიშვნელობის შემცველად. ტ. ვ. ევსიუკოვა, ვ. ვ. კოლესოვი, მ. ვ. პიმენოვა, ტ. ნ. სნიტკო კონცეპტს მოიაზრებენ ადამიანის შინაგანი სამყაროს კულტურული მნიშვნელობის მატარებელ კატეგორიად და შესაბამისად, ის შედარებით ვიწრო გაგებით განიხილება. იუ. ს. სტეპანოვის, ვ. ი. კარასიკის, ნ. ა. კრასავსკის, გ. გ. სლიშკინის, ე. ვ. ბაბაევას კვლევები წარმოაჩენს კონცეპტის გაგების ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას. კერძოდ, კონცეპტში როგორც მრავალმხრივ მენტალურ წარმონაქმნში გამოიყოფა ხატოვან-პერცეფციული, აზრობრივი და ფასეულობითი კომპონენტები. ს. გ. ვორკაჩოვი კი მიზანშეწონილად მიიჩნევს კონცეპტის სამი შემადგენლის გამოყოფას. ესენია: „აზრობრივი, რომელიც ასახავს კონცეპტის ნიშნობრივსა და დეფინიციურ სტრუქტურას; ხატოვანი, რომელიც აფიქსირებს კოგნიტურ მეტაფორებს, რაც ენობრივ ცნობიერებაში ამაგრებს კონცეპტს; მნიშვნელობითი, რომელიც განისაზღვრება კონცეპტის სახელის ადგილით კონკრეტული ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემაში, სადაც ასევე შევა ამ სახელის ეტიმოლოგიური და ასოციაციური მახასიათებლები” (Воркачев 2002, 6). აქედან გამომდინარე, რთული

მენტალური წარმონაქმნების კვლევის მთავარი ხერხებია დეფინიციური, ინტერპრეტაციული, დისტრიბუციული და სოციოლინგვისტური.

კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კონცეპტოლოგიის დარგში არსებული მოსაზრებებისა და ჩატარებული კვლევების შედეგების განზოგადებით, ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონცეპტის დამახასიათებელი შემდეგი ნიშან-თვისებები, რომლითაც ვხელმძღვანელობდით კვლევაში:

- მეცნიერული აბსტრაქცია, მენტალური ლექსიკონის პირობითი ერთეული, რომლის ანალიზი, რეკონსტრუქცია და მოდელირება ხორციელდება კვლევითი მიზნებისათვის;
- კონცეპტების გამოვლენა ძირითადად ხდება ემპირიული კვლევის პროცესში: ენის ფაქტების ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე და ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემებზე;
- კონცეპტებს საფუძვლად უდევს ყველა ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული რეალია; ასევე – გამოგონილი, წარმოსახვითი არსებები, ფანტაზიის ნაყოფი;
- კონცეპტში როგორც სამყაროს შესახებ ცოდნისა და მეხსიერების ერთეულში დაფიქსირებულია მსგავსი თვისებების მქონე საგნების დიდი რიცხვი. ის მოიცავს რეალიების მთელ კლასს;
- ვერბალიზებული კონცეპტების შინაარსი ხელმისაწვდომი ხდება სიტყვების სემანტიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კოლოკაციების, წინადადებების სქემების, პრეცედენტული ტექსტების ანალიზით, რომლებიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად შეიცავენ კონცეპტის ნიშნებს. კონცეპტის სემანტიკური სიმჭიდროვე დაკავშირებულია მის ონტოლოგიურ სტატუსთან და წარმოადგენს მისსავე აქსიოლოგიურ მარკერს, რაც მოწმობს კონცეპტის ადგილზე ლინგვოკულტურაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტიკურ ანალიზს ექვემდებარება კონცეპტის მხოლოდ ვერბალიზებული ნაწილი. ამიტომ სემანტიკური კვლევა იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც ახდენენ კონცეპტების ობიექტივაციას, არის კონცეპტის მხოლოდ ვერბალიზებული ნაწილის აღწერა. თუმცა, როგორც კონცეპტოლოგები ვარაუდობენ, კონცეპტს უნდა გააჩნდეს შინაარსის ის ნაწილიც, რომელიც არ გამოიხატება ენობრივი საშუალებებით.

გარდა ამისა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ენის მატარებელი თავის მენტალურ ლექსიკონში ინახავს არა მარტო სალექსიკონო დეფინიციებში

ასახულ სიტყვათა მნიშვნელობებს, არამედ სიტყვებთან დაკავშირებულ პირადად განცდილ მნიშვნელობებსა და ხატებს. თუ სიტყვით ვერბალიზდება კონცეპტი, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამყაროს ნაციონალურ კონცეპტუალურ სურათში, მაშინ მას ემატება მოცემული კულტურის მიერ აქსიოლოგიურად გააზრებული არქეტიპული აზრები, რომლებიც ინახავენ მითოლოგემებს, ხატებსა და ასოციაციებს. ამგვარად, კონცეპტი გვევლინება ორპლანიან ერთეულად. ერთი მხრივ, ის უნივერსალურია (საერთოა მოცემული ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის). მეორე მხრივ, კონცეპტი ინდივიდუალურია (მოცემული ენობრივი ცნობიერების ყოველი მატარებელი სიტყვით გადმოცემული ცნების გააზრებისას მას ჰმატებს პიროვნულ კომპონენტს).

კონცეპტები აზროვნების ერთეულისა და ცოდნის სტრუქტურირების ძირითადი ფუნქციის შესრულებისას შინაარსითა და ორგანიზაციით შეიძლება ძალიან განსხვავდებოდნენ. ასე მაგალითად, შინაარსის ან სინამდვილის ფრაგმენტების კონცეპტში ასახვის ხარისხის მიხედვით, ა. პ. ბაბუშკინი გამოყოფს აზრობრივ სურათებს, სქემებს, ჰიპერონიმებს, ფრეიმებს, ინსაიტებს, სცენარებს, კალეიდოსკოპურ კონცეპტებს (Бабушкин 1996, 43-67). ნ. ნ. ბოლდირევი განასხვავებს კონკრეტულ-გრძნობით სახეებს, წარმოდგენებს, სქემებს, ცნებებს, პროტოტიპებს, პროპოზიციებს, ფრეიმებს, სცენარებსა და სკრიპტებს, გეშტალტებს (Болдырев 2001, 36-38).

ლინგვოკულტუროლოგიის რაკურსიდან, კონცეპტი არის ყოფითი ფილოსოფიური ცნობიერების ერთეული, რომელსაც გააჩნია კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური შეფერილობა და მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია. ს. გ. ვორკაჩოვი განაცალკევებს უმაღლესი დონის (მოვალეობა, ბედნიერება, სიყვარული, სინდისი) და ჩვეულებრივ კონცეპტებს (ავტომობილი, ენა, კაცი) (Воркачев 2004, 44). გ. გ. სლიშკინი გამოყოფს პირველად და მეორეულ კონცეპტებს, მეტაკონცეპტებს (ისინი წარმოიქმნება წინა კონცეპტუალიზაციის პროდუქტების გააზრების შედეგად და მათში რეალიზდება ენის მატარებლის რეფლექსია), პროპორციულ, ჩამოყალიბებულ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ, ზღვრულ და რუდიმენტულ ლინგვოკულტურულ კონცეპტებს (Слышкин 2004, 5-7). ვ. ი. კარასიკის თვალსაზრისით, კონცეპტები არის **პარამეტრული**, რომლებიც წარმოადგენენ ობიექტთა რეალური ნიშან-თვისებების შეპირისპირებისათვის აუცილებელი კლასიფიკაციის კატეგორიებს (სივრცე, დრო, სიცარიელე), და **არაპარამეტრული**, რომლებსაც გააჩნიათ საგნობრივი შინაარსი (სინდისი,

პატიოსნება, მორალი, ცოდვა, ა. შ.). თავის მხრივ, არაპარამეტრული კონცეპტები იყოფა **რეგულატიურ** და **არარეგულატიურ** კონცეპტებად (Карасик 2005, 30-33). რეგულატიურ კონცეპტების შინაარსში მთავარი ადგილი უჭირავს ფასეულობით კომპონენტს („ბედნიერება", მოვალეობა", „გულუხვობა", ა. შ.). ისინი შეიცავენ კონკრეტული სოციუმისათვის დამახასიათებელი ქცევის ნორმებს. სწორედ რეგულატიური კონცეპტების ტიპი უკავშირდება უშუალოდ კულტურის დომინანტებს (კარასიკი 1996, სლიშკინი 1996, პროხვაჩოვა 2000, პალაშევსკაია 2001, ვორკაჩოვი 2002, ზუბკოვა 2003). ადამიანის სოციოტიპიური ქცევის რეგულაციის პროცესი ძირითადად აიხსნება ტრადიციის გამოვლენით, ანუ – თაობიდან თაობაში გადაცემული სინამდვილის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების თავისებურებებით: ღირებულებებით, ინტერესებით, რწმენით, ზნეობრივი ნორმებით. ადამიანის ქცევისა და ქმედების სპეციფიკური ნორმების ერთეულებია კულტურის კონცეპტები, კოლექტიური შინაარსობრივი მენტალური წარმონაქმნები, რომლებიც აფიქსირებენ მოცემული კულტურის თავისებურებებს.

ა. ვეჟბიცკაია იყენებს ტერმინებს **„კონცეპტი-მინიმუმი"** და **„კონცეპტი-მაქსიმუმი"**. პირველი გულისხმობს სიტყვის აზრის არასრულ ფლობას რიგითი ენის მატარებლის მიერ, რომლისთვისაც ცნობილია შესაბამისი რეალია, მაგრამ ცხოვრებისეული პრაქტიკისათვის პერიფერიულია. „კონცეპტი-მაქსიმუმი" კი ნიშნავს სიტყვის აზრის სრულ ფლობას, რომლის იქითაც შეიძლება იყოს ენციკლოპედიური „დანართი" (Вежбицкая 1997).

კონცეპტების ლექსიკური რეპრეზენტაციის იუ. ს. სტეპანოვისეული აღწერის მიხედვით, კონცეპტების ტიპებია: **ჩარჩო-კონცეპტები**, რომლებისთვისაც ერთ-ერთი ნიშნის ჩარჩოს სახით განკერძოება არის კონცეპტის ძირითადი შინაარსი (ინტელიგენცია, ცივილიზაცია); **ურთიერთობის წრებრუნვის კონცეპტები**, რომლებიც თავიანთი მთლიანობით, ნიშან-თვისებების ერთობლიობით კულტურულად მნიშვნელოვანია (სიტყვა, ცოდნა, რწმენა, ნებისყოფა); **მოქმედების სამფაზიანი მოდელის კონცეპტები**, რომლებიც ასახავენ კოგნიტიური მოდელის „მოქმედება – მდგომარეობა" მოძრაობას (Степанов 2001).

ლინგვოკულტუროლოგიაში აღიარებული ტერმინია **„კულტურის კონცეპტი"**, რომლის კვლევაც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს კონცეპტისა და კონკრეტული ენის მთელი კონცეპტოსფეროს ნაციონალური სპეციფიკა. ვ. ა. მასლოვა გვთავაზობს ლინგვოკულტურული კონცეპტების შემდეგ კლასიფიკაციას: 1) სამყარო – სივრცე, დრო, რიცხვი; 2) სტიქია და ბუნება – წყალი, ცეცხლი, ხე; 3) წარმოდგენები ადამიანზე – ინტელიგენტი, ახალი რუსი;

4) ზნეობრივი კონცეპტები – ჭეშმარიტება, სინდისი; 5) სოციალური ცნებები და დამოკიდებულებები – თავისუფლება, ომი; 6) ემოციური კონცეპტები – ბედნიერება, სიყვარული; 7) არტეფაქტების სამყარო – სახლი, სანთელი; 8) მეცნიერული ცოდნის კონცეპტოსფერო – ფილოსოფია, ფილოლოგია; 9) ხელოვნების კონცეპტოსფერო–მუსიკა, ცეკვა (Маслова 2006, 75). მაგრამ აბსტაქციების ნებისმიერი კლასიფიკაცია პირობითი ხასიათისაა და მას ვერ ექნება მკაფიოდ გამოკვეთილი პარამეტრები, რაც ჩანს ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად შერჩეული ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" მაგალითზე. კონცეპტი „დიდება" ამ კლასიფიკაციაში უნდა მიეკუთვნებოდეს კონცეპტების მეხუთე ტიპს– „სოციალური ცნებები და დამოკიდებულებები". მაგრამ აგრეთვე ექსპლიციტურია მისი კავშირი ჯგუფთან „წარმოდგენები ადამიანზე", რის შედეგადაც იჭრება ჯგუფში „ზნეობრივი კონცეპტები", რადგან უკავშირდება ცნებებს „ჭეშმარიტება", „სინდისი". ენობრივ ცნობიერებაში დიდება უკავშირდება არა მხოლოდ ადამიანს, მაგალითად: «Божественная слава», «Слава Отцу и Сыну и Святому духу» და სხვ. (რუსულ ენაში), "Glory be to God", "Christ in glory", "Therefore I glory in Christ Jesus in my service to God" და სხვ. (ინგლისურ ენაში), „დიდება უფალს", „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო" და სხვ. (ქართულ ენაში). შესაბამისად, ენობრივ ცნობიერებაში არსებობს ლინგვოკულტურული კონცეპტები, რომლებიც შეიცავენ დიქოტომიას „საკრალური – პროფანური", რაც აგრეთვე უნდა იქნას ასახული მათი კლასიფიცირების დროს.

ნათქვამი შეესაბამება თანამედროვე ლინგვისტიკის თეზისს იმის შესახებ, რომ კონცეპტები კულტურის საბაზისო ერთეულებია. „ისინი არა მხოლოდ უნივერსალიებია, საგნების ვრცელი კლასის ზოგადი თვისებები, არამედ სულიერი არსის მატარებლებია, რომლებსაც ძალუძთ უზრუნველყონ კავშირი სამყაროს სხვადასხვა თანრიგის იდეებს შორის – ღვთიურსა და ადამიანურს შორის, რომლებიც აღინიშნება უკიდურესი სულიერი დაძაბულობით. კონცეპტები არის ადამიანის სულიერი კულტურის ელემენტები, შექმნილი ადამიანის მიერვე, რათა შეიცნოს საკუთარი თავი და საკუთარი ადგილი სამყაროში. მათ რიცხვს მიეკუთვნება სიყვარული, რწმენა, სიკვდილი და უკვდავება, ჭეშმარიტება და ტყუილი, მშვენიერება, ბედნიერება და სხვა" (Воркачев 2004).

მიდგომათა მოყვანილი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „დიდება" არის **არაპარამეტრული რეგულატიური კონცეპტი** (ვ. ი. კარასიკის ტერმინოლოგიით), **კონცეპტი-მაქსიმუმი** (ა. ვეჟბიცკაიას

ტერმინოლოგიით), **ურთიერთობის წრებრუნვის კონცეპტი** (იუ. სტეპანოვის ტერმინოლოგიით). ამ კონცეპტს გააჩნია სხვა კონცეპტებთან დაკავშირებითი თვისებები: ის ჩართულია დომენებში და აქვს თავისი გარემო, **domain matrix** (ჯ. ლაკოფის ტერმინოლოგიით). კონცეპტი „დიდება" უკავშირდება კულტურის დომინანტებს, რომლებთან ერთად ის აფიქსირებს და ასახავს მოცემული კულტურის თავისებურებებს. როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტი, „დიდება" წარმოადგენს კულტურული ნიშნით მარკირებულ აზრობრივ ერთეულს, რომელსაც გააჩნია მსოფლმხედველობრივი მიმართულება. ის არის კოლექტიური აზროვნების შედეგი, ინახება ენობრივი პიროვნების ინდივიდუალურ ცნობიერებაში და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით. კონკრეტულ კულტურაში, სოციუმში სოციოლოგიზებული ენის საშუალებით ობიექტივირებულ კონცეპტებს განიხილავენ როგორც „ეთნიკურად, კულტურულად განპირობებულ, სტრუქტურულ-აზრობრივ, ლექსიკურ და/ან ფრაზეოლოგიურად ვერბალიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ემყარება ცნებით საფუძველს" (Красавский 2002).

## I.4. ლინგვოკულტურული კონცეპტების აღწერის, ანალიზისა და მოდელირების მეთოდიკა

ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს „პირობით მენტალურ ერთეულს, რომელიც გამოიყენება ენის, ცნობიერებისა და კულტურის კომპლექსური შესწავლისას" (Карасик, Слышкин 2001). მკვლევარების აზრით, კონცეპტი წარმოადგენს მაღალი ხარისხის აბსტრაქციის მენტალურ ერთეულს, რომლის ფასეულობითი ნიშან-თვისებაა ემოციურობა. ის ენობრივ ცნობიერებაში ასახავს ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, მოვლენის შეფასებას ემოციური განცდის შესახებ უნივერსალური და კულტურულად სპეციფიკური წარმოდგენების სახით. ყოველი ცალკეული ენის სემანტიკურ სივრცეში კულტურის კონცეპტის – როგორც სამყაროს ენობრივი სურათის ერთეულის – შინაარსი ყოველთვის ნაციონალური და სპეციფიკური ხასიათისაა, ანუ ასახავს კონკრეტული ლინგვოკულტურული საზოგადოების მსოფლმხედველობას და კულტურის თავისებურებებს, რაც განაპირობებს მისი წარმოქმნისა და სტრუქტურული ორგანიზაციის თავისთავად და განუმეორებელ ბუნებას. ამიტომ

კულტურის კონცეპტის კვლევა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამყაროს ენობრივი სურათის რეკონსტრუქციისათვის.

ლინგვოკულტურულ კონცეპტებს სხვადასხვა სახელით მოიხსენებენ: „სამყაროს სურათის ბირთვული ერთეულები" (ვ. ა. მასლოვა), „ნაციონალური კონცეპტები" (ვ. ვ. კრასნიხი); „კულტურული დომინანტები" (ვ. ი. კარასიკი), „კონსტანტები", „კულტურის კატეგორია" (იუ. ს. სტეპანოვი); „საკვანძო სიტყვები" (ა. ვეჟბიცკაია), „ლოგოეპისტემები" (ე. მ. ვერეშჩაგინი, ვ. გ. კოსტომაროვი), „ლინგვოკულტურემები" (ვ. ვ. ვორობიოვი), „ლინგვოკულტურული კონცეპტები" (ზ. დ. პოპოვა, ი. ა. სტერნინი).

ლინგვოკულტურული კონცეპტი ნაშრომში გაიგება როგორც კულტურულად განპირობებული და კულტურულად ნიშანდობლივი ლინგვომენტალური სიმრავლე კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ცნობიერებაში, რომელიც ვერბალიზებული სახით ფიქსირდება ენის ფაქტებში.

კულტურის კონცეპტის ფუნქციონირების, შინაარსობრივი და სტრუქტურული პლანის, მისი არსებობის დინამიკის განხილვისას საყურადღებოა ვ. ი. კარასიკისა და გ. გ. სლიშკინის მიერ წარმოდგენილი ლინგვოკულტურული კონცეპტის ასპექტაციის კომპლექსური ანალიზი. მეცნიერები გამოყოფენ ლინგვოკულტურული კონცეპტის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: არსებობის კომპლექსურობა (ლინგვოკულტურული კონცეპტი ცნობიერებაში შენახული და ენაში გამოხატული კულტურის ელემენტების პროექციაა); მენტალური ბუნება, მრავალგანზომილებიანი სიმწყობრე; ღირებულებითობა (კონცეპტის ბირთვი ყოველთვის არის ღირებულება, რადგან ის კულტურის კვლევას ემსახურება); პირობითობა და მკრთალი საზღვრები, ცვალებადობა; ენის მატარებლის ცნობიერებით განპირობებული შეზღუდულობა; სამკომპონენტიანი შედგენილობა (ღირებულებითი, ფაქტობრივი და ხატოვანი ელემენტების არსებობა); აპელირების უნარის მრავალფეროვნება (ერთი და იმავე კონცეპტში „შესვლა" შესაძლებელია სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებით: ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, თავისუფალი სიტყვათშეთანხმებებით, წინადადებებით. განსხვავებულ კომუნიკაციურ კონტექსტებში ერთი და იგივე ერთეული შეიძლება იყოს სხვადასხვა კონცეპტში შესვლის საშუალება. ერთსა და იმავე კონცეპტში აპელაციის საშუალებები განსხვავდება განსხვავებულ კულტურებში, რაც ქმნის კულტურათაშორისი ურთიერთობების ძირითად სირთულეს (Карасик, Слышкин 2001). აქედან გამომდინარე, კონცეპტის ვერბალური ობიექტივაციის შესწავლისათვის ვ. ი.

კარასიკი და გ. გ. სლიშკინი აცხადებენ, რომ კონცეპტის არსებობის მანძილზე მისი ვერბალიზაციის საშუალებათა ერთობლიობა გარკვეულწილად იცვლება; სხვადასხვა კულტურაში კონცეპტის აპელაციის ხერხები განსხვავებულია; რაც უფრო მრავალფეროვანია კონცეპტის ნიშნობრივი გამოხატვის საშუალებები, მით უფრო ძველია ის და მით უფრო დიდია მისი ღირებულებითი მნიშვნელობა კონკრეტული ენობრივი კოლექტივისათვის (Смирнова 2009, 247-253).

კვლევის მიზნით, ლინგვოკულტურული კონცეპტები შეიძლება დაიყოს **ავტოქტონურ** და **უნივერსალურ** (ზოგადსაკაცობრიო), **ეთნოსპეციფიკურ**, **სოციოსპეციფიკურ** და **ინდივიდუალურ** კონცეპტებად.

ავტოქტონური კონცეპტები კონკრეტული ენობრივი რეალიზაციის მნიშვნელობებიდან აბსტაგირდებიან; მათ სემანტიკაში შედის „საგნობრივი" და ეთნოკულტურული სემები. ისინი შეიძლება იყოს **მონოგლოსური** (შიდაენობრივი) და **პოლიგლოსური** (ორი ან მეტი ენის ლექსიკური ერთეულებიდან აბსტრაგირებული).

უნივერსალური კონცეპტები აბსტრაგირდებიან მრავალი ენობრივი რეალიზაციიდან და უზრუნველყოფენ შედარების ეტალონს, რომელიც აუცილებელია ენათა შეპირისპირებისა და თარგმანისათვის (Степанов 2001, 84). უნივერსალური კონცეპტებია, მაგალითად, „ჭეშმარიტება", სიკეთე", „სილამაზე".

ეთნოსპეციფიკური კონცეპტები ატარებენ კონკრეტული კულტურისათვის არსებით, გამორჩეულ ინფორმაციას. ასეთ კონცეპტებს ა. ვეჟბიცკაია უწოდებს „კულტურის საკვანძო სიტყვებს". ისინი, მისივე განმარტებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და საჩვენებელი სიტყვებია ცალკე აღებული რომელიმე კულტურისათვის (ასეთი საკვანძო სიტყვები რუსული კულტურისათვის არის „ судьба", „душа", „ тоска'') (Wierzbicka 1992). „კულტურისათვის საკვანძო სიტყვად ითვლება, თუ დგინდება, რომ სიტყვა საზოგადოდ გამოიყენება და არ არის პერიფერიული, თუ ის ხშირად გამოიყენება რომელიმე კონკრეტულ სემანტიკურ სფეროში, მაგ., ემოციურ სფეროში ან ზნეობრივ საკითხებზე მსჯელობაში. /.../ შესაძლებელია, საჭირო გახდეს წარმოვაჩინოთ მოცემული საკვანძო სიტყვის არსებობა ფრაზეოლოგიური ოჯახის ცენტრში, ანდაზებში, გამონათქვამებში პოპულარულ სიმღერებში, წიგნების დასახელებებში ... ზოგიერთი სიტყვა შეიძლება გავაანალიზოთ როგორც ცენტრალური წერტილები, რომლის გარშემოც ეწყობა კულტურის მთელი სფეროები. ეს საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ ზოგადი

საორგანიზაციო პრინციპები, რომლებიც კულტურის სფეროს სტრუქტურას ქმნის და კრავს მას” (Вежбицкая 1999, 263-305).

თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების დიდი ნაწილი შედარებით-შეპირისპირებითი (კონტრასტული) ხასიათისაა, რადგან ორი ან მეტი ენის მასალის შედარებისას განსაკუთრებული სიმკვეთრით ვლინდება კონცეპტების ნაციონალური სპეციფიკა და უნივერსალობა. კონტრასტული ლინგვისტიკის მეთოდების თანახმად, შეპირისპირებითი (კონტრასტული) ანალიზით გამოვლენილი ენობრივი ერთეულების განსხვავებები ინტერპრეტირდება როგორც სხვადასხვა ნაციონალურ კონცეპტოსფეროში სიტყვით გამოხატული კონცეპტის კოგნიტიური განსხვავებები, რომლებიც ფორმულირდება კოგნიტიური ნიშნების ენაზე.

ვვარაუდობთ, რომ „დიდება“ მიეკუთნება უნივერსალურ კონცეპტთა რიცხვს. ეს ვარაუდი განხილული იქნება კონცეპტ „დიდების” კულტურული ეპისტემის სინოპსისის მასალაზე და აგრეთვე რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში იმავე სახელწოდების ლინგვოკულტურული ველების კონტრასტიული ანალიზისას. ამასთანავე, მოსალოდნელია, რომ აზრების კონცეპტუალიზაციისა და კულტურული ათვისების პროცესში მოცემული კონცეპტი აღნიშნული უნდა იყოს ეთნოსპეციფიკური ნიშნებითაც. ეს რაკურსი აგრეთვე გაანალიზებული იქნება კვლევის შესაბამის ნაწილში.

კონცეპტების შინაარსის წვდომას შესაძლებელს ხდის ენობრივი ერთეულების სემანტიკური ანალიზი, რადგან სწორედ სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები, კოლოკაციები, წინადადებები, ტექსტები შეიცავენ კონცეპტის ექსპლიციტურსა და იმპლიციტურ ნიშნებს.

კონცეპტების შინაარსის გამოვლენა ხდება კონცეპტების რეკონსტრუქციის საფუძველზე ენის ანალიზის ლინგვისტიკური მეთოდების გამოყენებით და კვლევის შედეგების შემდგომი კოგნიტური და კულტურულოგიური ინტერპრეტაციით. კულტურის კონცეპტში შენახული ინფორმაციის გამოსავლენად შეისწავლება ისეთი ენობრივი ერთეულები, როგორიცაა სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, სიტყვის პარადიგმატიკა, სინტაგმატიკა და ეტიმოლოგია, სიტყვის დერივაციული ბადე, კონცეპტის საკვანძო სიტყვა-ექსპლიკატორების რეალიზაცია და მათი სიხშირე. ამ ენობრივ მონაცემთა ანალიზის საშუალებით კონცეპტის აღწერის ძირითად მეთოდებად ი. ა. სტერნინი, ზ. დ. პოპოვა, ა. ვ. რუდაკოვა თვლიან შემდეგ ხერხებს:

- ენაში მოცემული კონცეპტის გამომხატველი საკვანძო სიტყვის, კონცეპტის საბაზისო ენობრივი რეპრეზენტაციის განსაზღვრა;
- ენაში კონცეპტის ვერბალიზატორი საკვანძო სიტყვის სემანტემის აგება და ანალიზი (ლექსიკოგრაფიული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით);
- მოცემული კონცეპტის მთავარი ნიშან-თვისებების დადგენის მიზნით საკვანძო სიტყვის ლექსიკური თანაფარდობის ანალიზი;
- სიტყვის პოლისემანტურობის შესწავლა მისი განვითარების პროცესში;
- საკვანძო სიტყვის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ველის აგება, მისი სინონიმებისა და ანტონიმების ანალიზი და ჰიპერონიმისა და ჰიპონიმების განსაზღვრა;
- საკვანძო ლექსემის დერივაციული ველის აგება და შესწავლა;
- საკვანძო სიტყვის ლექსიკურ-გრამატიკული ველის აგება;
- ექსპერიმენტული მეთოდიკის გამოყენება;
- იმ პარემიებისა და აფორიზმების ანალიზი, რომლებშიც შედის როგორც კონკრეტული საკვანძო სიტყვა, ისე მისით გამოხატული კონცეპტის შეფასება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად მოცემული კონცეპტის სახელი ტექსტში არ არის;
- მხატვრული ტექსტების ანალიზი კონცეპტში შესული სიმბოლური ნიშნების, ასევე ინდივიდუალური-ავტორისეული კონცეპტების გამოსავლენად, რომელთა აღწერაც ხელს უწყობს მწერლის მსოფლმხედველობისა და იდიოსტილის უკეთ გაგებას;
- ზეპირმეტყველების, სასაუბრო ენაში სიტყვის გამოყენების ანალიზი;
- კონცეპტის როგორც იმ ნიშან-თვისებათა ნაკრების აღწერა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მისი ერთგვარი, ლოგიკური კლასისათვის მისაკუთვნებლად (მაგ.: ხეების კლასი ან ფრინველთა კლასი) (Попова, Стернин 2003; Рудакова 2004).

კვლევის ლინგვოკოგნიტიური მეთოდის გამოყენების საბოლოო შედეგად უნდა მივიღოთ კოგნიტიური ინტერპრეტაცია, რომელიც მდგომარეობს კონცეპტის სტრუქტურის, ანუ მისი ფენების (დონეების) აღწერაში (სტრუქტურაში გამოიკვეთება კოგნიტიური სექტორები და მათი წარმომქმნელი

კოგნიტიური ნიშან-თვისებები); კონცეპტის ფენების დალაგება ბირთვისა და პერიფერიული ზონების განსაზღვრით; ინტერპრეტაციული ველის, როგორც კონცეპტუალური (მენტალური და შეფასებითი) სტერეოტიპების, შეხედულებების ერთობლიობის აღწერა, რომელიც ერის ცნობიერებაში კონცეპტის გაგებისა და ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს (Рудакова 2004, 68–69).

მეთოდოლოგიის გაფართოების კონკრეტულ ლინგვისტიკურ მიზეზებთან დაკავშირებით მეცნიერები მიუთითებენ, რომ ტრადიციულ შემეცნებით აპარატზე დაყრდნობით შეუძლებელია ზოგიერთი მოვლენის ადეკვატურად ახსნა. „ენას, არის რა ერთი მხრივ ბუნებრივი ობიექტი, ამავდროულად გააჩნია ფსიქიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ბუნებაც. და მისი თითოეული მხარე ავტონომიურად კი არ არსებობს, არამედ სტრუქტურულად ურთიერთქმედებს და განსაზღვრავს ერთმანეთს" (Кибрик, 2003, 39).

თუ ტრადიციული ლინგვისტიკისათვის ენის აღწერა გულისხმობდა მისი შემადგენელი ერთეულების კლასიფიკაციასა და ყველა შესაძლო შესაბამისი და შეუსაბამო ენობრივი პარამეტრების აღრიცხვას, უახლეს ლინგვისტიკაში მიმდინარე კვლევების უმეტესობა ეყრდნობა ანალიზის კომპლექსურ მეთოდიკას: დედუქციურ-ჰიპოთეტური, კომპონენტური, დისტრიბუციული, სემანტიკურ-კოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური, ველების, ინტროსპექციული და კვანტიტატური მეთოდების გამოყენებით. როგორც თანამედროვე ლინგვიტიკის შრომებში მიიჩნევა, ასეთი კომპლექსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკვლევი მოვლენის ბუნება და ფუნქციონირება იმ რაკურსში შევისწავლოთ, რომელიც დასახული მიზნების ადეკვატურია.

ი. ა. სტერნინის კვალდაკვალ, კონტრასტული ლინგვისტიკის მეთოდიკის მნიშვნელოვანი ეტაპებია: საკვლევ ენაში ლექსიკური ჯგუფის გამოყოფა, რაც გულისხმობს საბაზისო სიის შედგენას, ამ სიის სინონიმური და ტექსტის ანალიზის შედეგების მიხედვით გაფართოებას, ლექსიკური ჯგუფის სტრუქტურაციას (აზრობრივი ჯგუფები და ქვეჯგუფები, ბირთვი და პერიფერია). შემდგომ, დგინდება ცალკეული ერთეულების ენათაშორისი შესაბამისობები, რაც ხორციელდება სალექსიკონო თარგმნითი შესატყვისებისა და ენათაშორისი ლექსიკური შესატყვისების გამოვლენით. მომდევნო ეტაპზე ხდება შეპირისპირებულ ენათა ლექსიკური ერთეულების სემური აღწერა გამოყოფილი ლექსიკური ქვეჯგუფების ფარგლებში, რომელიც ადგენს საკვლევი ერთეულების გამოყენების სიხშირეს; ასევე ხდება სემური აღწერის ვერიფიკაცია

(ინფორმანტთა გამოკითხვა). მეოთხე ეტაპს წარმოადგენს კონტრასტული წყვილების სემანტიკური აღწერა და კონტრასტული წყვილების მნიშვნელობების სემური აღწერა. მომდევნო ეტაპზე ხდება სიტყვის მნიშვნელობის ნაციონალურ-სპეციფიკური კომპონენტების გამოვლენა: სრული არაექვივალენტურობა, მნიშვნელობათა ლაკუნარობა, ბირთვული სემების აცდენა, პერიფერიული სემების აცდენა, სემების არაექვივალენტურობა, სემების გარჩევა მუდმივ და სავარაუდო სემებად. საბოლოო ეტაპებია კონტრასტული წყვილების წევრთა დიფერენციული სემანტიზაცია (ყოველი სიტყვის მნიშვნელობა აღიწერება როგორც კონტრასტული წყვილის მხოლოდ იმ სემების ჩამონათვალი, რომელიც არ ემთხვევა სხვა წევრის სემებს) და ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობების დიფერენციული განმარტება (საკვლევი ენის ერთეულის სემური შემადგენლობის აღწერა, რომელიც შეიცავს ყველა თარგმნით შესატყვისობას, სემანტიკურ კომპონენტებს. ისინი, თავის მხრივ, ახდენენ საკვლევი ენის ერთეულის დიფერენციაციას სხვა თარგმნითი შესატყვისებისაგან (Стернин 2004).

ვეყრდნობით რა ზემოთ მიმოხილულ კვლევებს, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 1) ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება"-ს ნომინატორი მიეკუთვნება „კულტურისათვის საკვანძო სიტყვათა" რიცხვს (ა. ვეჟბიცკაია); 2) ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება" შეიძლება განვიხილოთ როგორც:

- **ყოფითი ფილოსოფიური ცნობიერების ერთეული**, რომელსაც გააჩნია კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური გააზრება, მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია (ნ. დ. არუტიუნოვა) და ემოციური შეფერილობა;
- **არაპარამეტრული, საგნობრივი შინაარსის მქონე რეგულატიური კონცეპტი**, რომლის შინაარსში მთავარი ადგილი უჭირავს ღირებულებით კომპონენტს (ვ. ი. კარასიკი, გ. გ. სლიშკინი);
- **ზნეობრივი კონცეპტი** (ვ. ა. მასლოვა);
- **უნივერსალური კონცეპტი**, რომლის აბსტრაგირებაც ხდება სხვადასხვა ენობრივი რეალიზაციიდან, რაც უზრუნველყოფს ენათა შეპირისპირებისა და თარგმანისათვის აუცილებელ შედარების ეტალონს (იუ. ს. სტეპანოვი);
- **ურთიერთობის წრებრუნვის კონცეპტი**, რომელიც თავისი მთლიანობით, ნიშან-თვისებების ერთობლიობით კულტურულად მნიშვნელოვანია (სტეპანოვი);
- **კონცეპტი-მაქსიმუმი** (ა. ვეჟბიცკაია)

ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება" ნაშრომში მოიაზრება როგორც აბსტრაქტული კონსტრუქციული არსი, რომელიც მოდელირდება ენობრივი და მენტალური სტიმულებით; ის ერთდროულად შეიძლება იყოს უნივერსალური კონკრეტული ლინგვოკულტურის ჩარჩოში და ინდივიდუალური ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: კონცეპტი „დიდება" უნდა იყოს უნივერსალური, საბაზისო, „დასაყრდენი" (მ. მამარდაშვილის ტერმინოლოგიით) კონცეპტი სხვადასხვა ლინგვოკულტურებისათვის. ნაშრომში კვლევის ობიექტად შევარჩიეთ რუსული და ბრიტანული კულტურული არეალი და საბაზისო კონცეპტის „დიდება" რუსული და ინგლისური ექვივალენტები «Слава» და "Glory".

კონცეპტის კვლევისათვის ნაშრომში აიგება კულტურული ეპისტემის „დიდება" შემეცნებითი ველის მოდელი-სქემა, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედება მოცემული კვლევის ძირითადი მოდელის – ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" სტრუქტურის რეკონსტრუქციას და ორი ლინგვოკულტურის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შემოწმდება შემოთავაზებული ჰიპოთეზა.

# თავი მეორე
# კონცეპტის „დიდება” ფორმირებისა და ევოლუციის ექსტრალინგვისტური საფუძვლები რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში

## II. 1. ცნების „დიდება” ფორმირება და ევოლუცია კულტურულ-ისტორიულ ასპექტში: უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური

სადისერტაციო ნაშრომის მოცემული თავი მიესადაგება ლინგვოკულტუროლოგიის ძირითად საკითხთა რიგს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

- როგორ მონაწილეობს კულტურა ენობრივი კონცეპტების ჩამოყალიბებაში?
- ენობრივი ნიშნის რომელ ნაწილზე მაგრდება „კულტურული აზრები”?
- აცნობიერებს თუ არა ამ აზრებს მოსაუბრე და მსმენელი და როგორ ზემოქმედებენ ეს აზრები სამეტყველო სტრატეგიებზე?
- არსებობს თუ არა ენის მატარებლის კულტურულ-ენობრივი კომპეტენცია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება და ამოიცნობა კულტურული აზრები ტექსტებში? კულტურულ-ენობრივი კომპეტენციის სამუშაო განსაზღვრებაში ვგულისხმობთ შემდეგს: ეს არის ენობრივი პიროვნების უნარი ფლობდეს მეტყველების წარმოქმნისა და მეტყველების აღქმის პროცესებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კულტურის წესებს.
- როგორია კულტურული კონცეპტოსფერო – მოცემული კულტურის ძირითადი კონცეპტების ერთობლიობა („კულტურის საკვანძო სიტყვები” ა. ვეჟბიცკაიას ტერმინოლოგიაში)?
- როგორია კულტურის დისკურსი?
- როგორია მოცემული ენობრივი ერთეულების კულტურული სემანტიკა, რომელიც ყალიბდება ორი სხვადასხვა სფეროს – კულტურისა და ენის ურთიერთქმედების საფუძველზე?
- როგორ უნდა მოხდეს მოცემული კულტურის ძირითადი ცნებების სისტემატიზაცია?

პირველ თავში მიმოხილული თვალსაზრისები კონცეპტის როგორც ლინგვოკულტურული კატეგორიის შესახებ საშუალებას გვაძლევს, ის განვიხილოთ როგორც კოლექტიური შინაარსიანი მენტალური წარმონაქმნი, რომელიც აფიქსირებს მოცემული კულტურის თავისებურებებს (ლინგვისტიკის პოზიციიდან) პირველ ყოვლისა, ენობრივ ნიშნებში არსებულ ინფორმაციაში.

კოგნიტიური თეორიების თანახმად, ის, რასაც ადამიანი ხედავს, შეიმეცნებს, გრძნობს ბევრად არის დამოკიდებული მის მრწამსზე, იმპლიციტურ თეორიებზე, განწყობებზე, ღირებულებებზე (184).

კულტუროლოგების აზრით, ადამიანისათვის დიდებისაკენ ლტოლვა დაკავშირებულია პირველყოფილ სურვილთან, არ გაქრეს გარდაცვალების შემდეგ, ეს ე. წ. სიკვდილთან მიმართების „კონსტრუქციული ტიპია, რომელიც გამოსჭვივის ჩვენამდე მოღწეულ სენტენციებში, მაგ., „თუ სიკვდილს ვერ გაექცევი, დიდებით შემოსილი მაინც მოკვდი“ (ეზოპე); „სიცოცხლე ხანმოკლეა, დიდება კი მარადიული შეიძლება იყოს“ (ციცერონი). კულტუროლოგიაში ასევე მიღებულია „დესტრუქციული“ ტიპის გამოყოფაც. ამ შემთხვევაში სიკვდილი სრულიად იგნორირებული და ტაბუდადებულია. ასევე გამოარჩევენ „შემრიგებლურ“ ტიპს. სიკვდილის შიში, რომელიც ნაკარნახევია თვითგადარჩენის ძლიერი ინსტინქტით, წარმოშობს ადამიანის მარადიულ მოთხოვნილებას იყოს უკვდავი. ხოლო კულტურაში გაბატონებული სიკვდილთან მიმართების ტიპი გავლენას ახდენს ამა თუ იმ სამყაროს სურათის ჩამოყალიბებაზე, რომელშიც აისახება ცხოვრებისეული მოღვაწეობის სტრატეგია.

არქაულ კულტურებში დიდება აღიქმება როგორც დავიწყებისგან ხსნა. ვ. პ. გორანი, რომელიც იკვლევდა ადრეულ ბერძნულ ეპოსში ბედისწერისა და სიკვდილის ცნებების ამბივალენტობის პრობლემას თავის მონოგრაფიაში «Древнегреческая мифологема судьбы» (1990), აღნიშნავდა ინდივიდის სოციალური მნიშვნელოვნების გაზრდილ ხარისხსა და სიკვდილის ღრმა აპრიორულ-ტრაგიკულ განცდას შორის ურთიერთკავშირის არსებობას.

ფილოსოფოსის აზრით, ძველი ხანის ადამიანის ცნობიერება შეეჯახა „ცალკეული ინდივიდის ფასეულობის ფენომენს“ და ადამიანმა დაიწყო შესამჩნევი დამოუკიდებელი მნიშვნელოვნების შეძენა იმაში, რაშიც უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს. ვ. პ. გორანი თვლის, რომ ძველი ადამიანის ცნობიერება აფიქსირებს სიკვდილით მოცემული ინდივიდის შეუცვლელობის, განუმეორებლობისა და მნიშვნელოვნების

გამორჩევას. ამ აზრს ავითარებს პ. ა. პოლსკი და წერს: „ჰომეროსის ეპოსში გამოვლენილი ბედისწერა – სიკვდილის აღქმის ინდივიდუალისტური ტენდენცია თავისი ხასიათით სრულიად იდენტურია უფრო ადრეული ვერსიისა, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიოში უძველეს ტექსტში „გილგამეშის ეპოსში“. თავისი განუმეორებლობით და სხვებისგან გამორჩეული პიროვნულობით აღსავსე გმირს, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისაგან განსხავებულ ბედს და დამსახურებას მოელის, ღმერთებთან გათანაბრება სურს; ზუსტად ისევე, როგორც მთლიანად ადამის მოდგმა, ის ივიწყებს, რომ მიწისგან არის შექმნილი და საბოლოოდ მიწადვე იქცევა“(198). შესაბამისად, სამყაროს აღქმის ჯერ კიდევ არქაულ დონეზე მოხდა კონცეპტუალიზაცია ქვაკუთხედი ფორმულისა „დიდება არის უკვდავებისკენ მიმავალი გზა”, რაც შეიძლება შევადაროთ უფრო გვიანდელ შეხედულებებს: „დიდების სურვილი ყველა ადამიანის თვისებაა. ჩვენ თითქოსდა ვამრავლებთ ჩვენს არსებას, როდესაც შეგვიძლია მისი აღბეჭდვა სხვების მეხსიერებაში” (შ. დე მონტესკიე); „დიდება მკვდართა მზეა” (ო. დე ბალზაკი) და მისთ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცნება „დიდების” კონცეპტუალიზაციას საფუძვლად უდევს არქეტიპული კავშირი „სიცოცხლე-სიკვდილი”. შვეიცარელი ფსიქოანალიტიკოსისა და მითების მკვლევარ კ. გ. იუნგის მიერ შემოტანილ ცნებას „არქეტიპი” თანამედროვე მეცნიერება იყენებს თეორიულ ანალიზში (უკვე არა აუცილებლად იუნგიანელობასთან დაკავშირებით): „ნებისმიერი მხატვრული და მათ შორის მითოლოგიური სტრუქტურების საფუძველში არსებული განსაკუთრებით ზოგადი, ფუნდამენტური და ზოგადსაკაცობრიო მითოლოგიური მოტივების, წამოდგენების თავდაპირველი სქემების აღსანიშნად...”; „არქეტიპები თავად ხატები კი არა, არამედ ხატების სქემებია, მათი ფსიქოლოგიური წანამძღვრები, მათი შესაძლებლობა. /.../ მთელს მათ ფორმალურობასთან, უშინაარსობასა და უკიდურეს განზოგადებულობასთან ერთად. იმის მიხედვით, თუ როგორ ხდებიან უფრო გამოკვეთილი, არქეტიპებს თან ახლავს უჩვეულოდ ცოცხალი ემოციური ტონები,... მათ შეუძლიათ შთაბეჭდილების მოხდენა, შთაგონება, გატაცება იმდენად, რამდენადაც მომდინარეობენ ადამიანური ბუნების „უნივერსალურ-მუდმივი” საწყისებიდან” (Мифы народов мира 1980, 110-111).

შეიძლება თუ არა, რომ ცნება „დიდება” მიეკუთვნებოდეს ადამიანური ბუნების „უნივერსალურ-მუდმივ” საწყისებს? ცალკეული კულტურის

დამახასიათებელი რომელი უნიკალური აზრები შეიძლება გამოვლინდეს უნივერსალურში? სიკვდილთან დამოკიდებულების ზემოთ მოყვანილი ტიპები საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ევროპულ კულტურაში (ფართე გაგებით) ფეხმოკიდებულმა „კონსტრუქციულმა“ ტიპმა, რომელიც გულისხმობდა რჩეულთა, ჰეროიკულ პიროვნებათა გამოყოფას დანარჩენებისაგან, გავლენა იქონია ცნება „დიდების“ კონცეპტუალიზაციაზე. ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ ლინგვისტურ გეოგრაფიაში „ძველ სამყაროდ“ წოდებული მაკროარეალის ენებში უნდა გამოიყვანებოდეს უნივერსალიები და იზოგლოსები. ამასთან ერთად, ცნობიერებისა და კულტურის ევოლუციის პროცესში თითოეული კონკრეტული ეთნოსი ავითარებს მსოფლაღქმის უნიკალურ, თვითმყოფად შტრიხებს. მსოფლაღქმა, როგორც ცნობილია, ასევე დაკავშირებულია გეოგრაფიული გარემოს ტიპთან, რომელშიც ვრცელდება და ვითარდება ენები. შესაბამისად, იბადება კითხვა: როგორ აისახება ამ თუ იმ ენაში კონკრეტული უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური კონცეპტუალიზებული ზონები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაწვრილებით შევეხოთ კულტურულ-ისტორიულ ასპექტში ცნება „დიდების” ჩამოყალიბების ეტაპებს „ძველი სამყაროს” არეალში. აქცენტს გავაკეთებთ იმ კონვერგენტულ ზონებზე, რომელნიც მიესადაგება რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებს.

მაშ ასე, ანტიკური ხანიდან მოყოლებული დიდება უკვდავებაა, სახელის დატოვება სიკვდილის შემდეგ. ამასთანავე, დიდების მოპოვება გულისხმობს საზოგადოებას, რომელმაც უნდა შეაფასოს და აღიაროს პიროვნების ქმედება, საქციელი. უკვდავება რჩეულთა ხვედრია, ამიტომ დიდება გმირობის ჩამდენს ამკობს.

დიდებისკენ სწრაფვა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ანტიკურ სამყაროში და წარმოადგენდა როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების მამოძრავებელ ძალას. აღნიშნულ კულტურაში ამ ცნების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბერძნულ ენაში ცნებას „დიდება” გააჩნდა სინონიმები ,,κλέος”, ,,δόξα”, ,,αἴνεσις”, ,, καιδος”, ,, φήμη”, ა.შ. ისინი თავდაპირველად დიფერენცირებულ ცნებებს წარმოადგენდნენ. «Древние греки считали, что заслуженные признание, почет, слава (греч. kleos) и «прелесть» (греч. charis) – это и есть разум человека, внедренный в его душу. Близкое определение: doxa – «мнение, общественное признание, доброе имя» (отсюда также paradoxos)» (Словарь изобразительного искусства. 2004-2009). ძველბერძნული არაერთგვაროვანი წარმოდგენები დიდებაზე განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური და

სოციალური ცვალებადობის მრავალფეროვნებითა და განსხვავებული წეს-წყობილების თემთა თანაარსებობით. როგორც ანტიკური ხანის ლექსიკონშია აღნიშნული, ცნება „დიდების" ბერძნული გაგების ჩამოყალიბებაში შეინიშნება სამი ეტაპი: არისტოკრატული, პოლისური და ელინისტური (Словарь античности 1989).

არისტოკრატიის პერიოდში პიროვნების მისწრაფების საგანი იყო „κλέος" – საგმირო საქმეების, ძირითადად საბრძოლო და სპორტული მიღწევების სიტყვიერი განდიდება, ხოტბა. „καιδος", გულისხმობდა გარეგნულ ბრწყინვალებას, რომელსაც მოიპოვებდნენ რაიმე ერთჯერადი გამორჩეული ქმედებით. ხოლო „φήμη", ნიშნავდა პატივს, რომელშიც მოიაზრებოდა მატერიალური კეთილდღეობის გაგებაც. „ καιδος", და „φήμη" ხშირ შემთხვევაში ღმერთებისგან ნაბოძებ საჩუქრად ითვლებოდა, თუმცა „κλέος" ასევე გულისხმობდა ღვთიური ძალების არაპირდაპირ ჩარევასაც. მაგალითად, პოეტი, რომელიც ხოტბას ასხამდა გმირს, მუზების შთაგონებას უმადლოდა თავისი ლექსის სრულფასოვნებას. სწორედ ამ ლექსით (სიმღერით) გადაეცემოდა თაობებს ამბავი ჩადენილი გმირობის შესახებ. შესაბამისად, მარადიული ხსოვნა, უჭკნობი დიდების იდეა პირდაპირ უკავშირდებოდა „κλέος"-ს.

აღსანიშნავია, რომ ძველბერძნულ კულტურაში გმირის კონცეფცია განსხვავდება თანამედროვე გაგებისგან. ძველბერძენი გმირი ღმერთების მორჩილი, იდეალისთვის დაღუპული ადამიანია, რომელსაც საზოგადოება პატივს მიაგებს და თაყვანს სცემს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის გრეგორი ნეგის თანახმად, ანტიკური გმირის სიცოცხლის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რაღაც გამოცდის, განსაცდელის გადალახვა. უკვდავი ღმერთებისაგან განსხვავებით, მოკვდავმა გმირმა ტანჯვა უნდა გადაიტანოს, დაძლიოს სიკვდილის შიში და დაიღუპოს, რადგან მხოლოდ მშვენიერი, გმირული აღსასრულის შემდეგ იქნება მისი სახელი უკვდავყოფილი კულტსა და სიმღერაში. გმირის სახელის სადიდებელად გამართული ზეიმების, მათ შორის სპორტული ფესტივალების, მონაწილეები თვლიდნენ, რომ ასეთი ცერემონიები უსასრულოდ გაგრძელდებოდა, რაც სამუდამოდ უკვდავყოფდა გმირის სახელსა და განვლილ გზას.

პოლისების განვითარებასთან ერთად მოხდა დიდების შესახებ წარმოდგენის შეცვლა. წინ იწევს მოქალაქისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები, და დიდება სახელმწიფოს წინაშე პიროვნების დამსახურებისა და ღვაწლის აღიარებას დაუკავშირდა. ამჯერად ცნება დიდებაში ძველი

კრიტერიუმების შევიწროებით წინა პლანზე იწევს შეფასებითი ხასიათის შეხედულება – „δόξα“. პოლისების კულტურის დაცემასთან ერთად ქრება დიდების იდეის მიმართ მოქალაქეობრივი დამოკიდებულება. ფილოსოფიაში კი შეინიშნება კრიტიკული დამოკიდებულება და ჭეშმარიტი დიდების არსის ძიება (სოკრატე, პლატონი).

ელინიზმის ეპოქაში გაფართოვდა სამყაროს შესახებ წარმოდგენა, შეიცვალა ადამიანის ცხოვრებისეული საზრისისა და დანიშნულების გაგება, რამაც დიდების როგორც შესრულებული მოქალაქეობრივი ვალისა და ღვაწლის დაფასების როლი ეჭვქვეშ დააყენა (ეპიკურე).

გამოვიყვანოთ ცნებების კავშირის პირობითი სქემა: **■საგმირო საქმე → ■პატივი → ╣დიდება,** სადაც თავად დიდება იშლება კონცეპტუალიზებულ ზონებად:

**დიდება**

↓ ↓ ↓ ↓

| | | | |
|---|---|---|---|
| ▒ **kleos** | **kydos** ▒ | ▒ **time** | **doxa** ▒ |

რომაული კულტურისათვის დიდება სახელმწიფოს წინაშე მოქალაქის ღვაწლის აღიარებას წარმოადგენს (სიტყვა „Gloria“ არასოდეს გამოიყენებოდა ქალების მიმართ), შემფასებელ მხარედ კი თანამოქალაქეთა ერთობლიობა გვევლინება. ბერძნებისაგან განსხვავებით, რომში ღვთაება არასოდეს ითვლებოდა დიდების წყაროდ. თემსვე ხელეწიფებოდა მოქალაქის საქმიანობა სანიმუშოდ (exemplum) გამოეცხადებინა მისი სიკვდილის შემდეგ. ცნების „Gloria“ ნაცვლად ჩვეულებრივი მოქალაქის კეთილსინდისიერება (probitas) გამოიხატებოდა ტერმინით „Honos“, რომელიც ამ მხრივ არაფრით შეესაბამება ბერძნულ ცნებას „φήμη“. თუმცა, ამ ორი ცნების დაახლოება ხდება მრავლობითი რიცხვის ფორმებში – „φήμαη“ (ისევე როგორც „honores“ აღნიშნავს ჩინის, საპატიო თანამდებობებისა და ჯილდოების მიღების ერთნაირი საფეხურების საზოგადოდ დაწესებას).

ძველი ბერძნები „დიდებას“ (Kleos) გამოსახავდნენ ფრთოსანი ქალის ფიგურით, რომელსაც ხელთ უპყრია გვირგვინი, ან გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს სახით, რომელიც ორცხენიან ეტლზეა ამხედრებული ან უზენაესი ღმერთის ზევსის კვადრიგას მართავს. რომაელებიც ფრთოსანი ქალის სახით წარმოიდგენდნენ „დიდებას“ (ლათ. Gloria -„მშვენიერება, ღვაწლი, საგმირო საქმე,

სიამაყე, ღირსება”). მაგრამ ბერძნული ნიკესგან განსხვავებით „რომაული დიდების ატრიბუტია ბუკი, სამხედრო მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც რომაელებმა აღმოსავლეთის ხალხებისაგან გადაიღეს. გრძელი ბუკი სახელოვან დიდებას (добрая слава) აღნიშნავდა, მოკლე კი – სახელგატეხილს (дурная слава) (Словарь изобразительного искусства. 2004-2009). შესაბამისად, კონცეპტუალიზებულ ცნებაში გამოიკვეთება თვისობრივად ახალი ზონა: «дурная слава», რომლის ალეგორიასაც წარმოადგენს მოკლე საყვირი გრძელი ბუკისაგან განსხვავებით. დიდების ალეგორიული ფიგურის კიდევ ერთი სახელწოდებაა ფამა (ლათ. Fama – ამბავი, ხმა, სახელოვანი დიდება, ბრწყინვალება, პატივი). მას გამოსახავდნენ პალმის რტოთი, ზოგჯერ გვირგვინით შემკულს. ფამას გამოსახავენ სფეროზე მჯდომს (არამდგრადობის სიმბოლო....) (Словарь изобразительного искусства 2004-2009). რომაულ მითოლოგიაში არსებობდა კიდევ ერთი პერსონიფიკაცია Honos/Honor, რომელიც წარმოადგენდა ჯილდოს „ვირტუსისათვის” –ვაჟკაცობისა და სიმამაცისათვის, რომელიც იყო რომაელთა მთავარი სათნოება. იმპერიის პერიოდში ძირითადად პატივს მიაგებდნენ იმპერატორის ვირტუსს, შესაბამისად, იმპერატორი იყო მთავარი ობიექტი, რომელიც იმსახურებდა Honor ანუ განსაკუთრებულ პატივისცემას, პატივს და ჩინს.

ამრიგად, რომაელები ცნებაში გამოყოფდნენ რამდენიმე კონცეპტუალიზებულ ზონას, რომელსაც ენაში შეესაბამებოდა სიტყვები სხვადასხვა ვალენტობით. დიდების გაგების ერთიანი, მოქალაქეობრივ დამსახურებაზე ორიენტირებული რომაული ფორმულა და, შესაბამისად, ცნება დიდების ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა ერთადერთი ტერმინით „Gloria”, შენარჩუნებულ იქნა რომის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ საუკუნემდე. ამის შემდეგ პატივმოყვარეობით მართულმა ძალაუფლებისათვის გამუდმებულმა შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ, სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის წარმოდგენას თანდათან დააშორა დიდების ცნება, რომელიც საბოლოო ჯამში გაქრა კიდეც.

გამოვიყვანოთ ცნებების კავშირის პირობითი სქემა: **■მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა → ■პატივი → ╢დიდება**, სადაც დიდება იშლება კონცეპტუალიზებულ ზონებად, რომლებიც ერთმანეთს ექვემდებარებიან როგორც სუბკატეგორია-კატეგორია:

| **დიდება** |
|---|

↓ ↓ ↓

| **Gloria** | ▒ | **Honos** |
|---|---|---|

| ▒ | Fama | ▒ |
| --- | --- | --- |

დიდება (ებრ. „kavod"; ბერძნ. „δόξα") ერთ-ერთი მთავარი ბიბლიური ცნებაა. „ღმერთთან მიმართებაში ის აღნიშნავს ღვთის აბსოლუტურ სიდიადეს, მისგან მომდინარე ბრწყინვალებას და ვლინდება ღმერთის გამოცხადებებისას. ამიტომ, ბიბლიაში „დიდება" ხშირად აღნიშნავს თავად ყოვლისშემძლე და წმიდათაწმიდა ღმერთს: «И покрыло облако скинию собрания, и слава Господня наполнила скинию» (Исх. 40: 34). მოგვიანებით, ტაძრის კურთხევისას ღმერთის იქ ყოფნას ასევე გადმოცემს სიტყვა „დიდება": «И не могли священники войти в дом Господень, потому что слава Господня наполнила дом Господень» (2 Пар. 7: 2). ასევე, ის წარმოადგენს ღვთის საუფლოს ნიშანს, მის მარადიულობასა და სისპეტაკეს (Исх 24:16 и след.; Пс 150:2, в Синод. пер. – «могущество»).

ბიბლიაში ადამიანისათვის დიდების საფუძველი შეიძლება იყოს სიმდიდრე, მაგალითად: აბრაამს დიდებულად მოიხსენებდნენ იმიტომ, რომ ის იყო «очень богат скотом, серебром и золотом» (Быт 13.2). სწორედ ამ პერიოდში კონცეპტუალიზდება უნივერსალური კავშირი „სიმდიდრე-დიდება", რომელიც სხვადასხვა ეპოქაში გაბატონებული იდეოლოგიისა და ღირებულებითი ორიენტირების მიხედვით მეტ-ნაკლები ხარისხით აქტიურდება ცნობიერებაში. ანტიკური და ძველი რომის ტრადიციების გამოძახილია ის, რომ დიდება ასევე ნიშნავს ადამიანის მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას და მისგან გამომდინარე ავტორიტეტს. დიდება თავის თავში მოიცავს ბრწყინვალებას[3], ის ნიშნავს სილამაზის ელვარებას. ისევე, როგორც რომაელებთან, დიდება უპირატესად მეფეთა ხვედრია. ძალაუფლებასა და სიმდიდრესთან ერთად ის გამოხატავს მეფის ზეობის ბრწყინვალებას (1 Пар. 29.28; 2 Пар 17.5). სოლომონი ღმერთისგან იღებს «богатство и славу, так что не будет подобного (ему) между царями во все дни (его)» (3 Цар. 3.9-14; см Мф 6.29). ადამიანს, ღმერთის შემოქმედების გვირგვინს (царя творения) უფალი ამკობს «славою и честью» (Пс 8.6)" (იქვე). თუმცა, ბიბლიური გაგება ახალ პლასტს ადებს ცნების კონცეპტუალიზაციაზე: «Не бойся, когда богатеет человек, когда слава дома его умножается, ибо умирая не возьмет ничего; не пойдет за ним слава его» (Пс 48.17 сл). მხოლოდ ღმერთი არის დიდების ერთადერთი მყარი საყრდენი (Пс 61.6,8). ბრძენი, რომელიც ფიქრობს ცოდვილთა დიდების ეფემერულობის შესახებ, საკუთარი დიდებისათვის მხოლოდ ღმერთს ცნობს. გამოვიყვანოთ ცნებების კავშირის პირობითი სქემა:

[3]შდრ.: დიდების შარავანდი, сияние славы.

**■ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა →■სიმდიდრე და ძალა-უფლება → ■პატივი ╢დიდება ↔■ ღვთის აბსოლუტური სიდიადე ╢დიდება**

შესაბამისად, კონცეპტუალიზაციის პირობითი ზონები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

**დიდება**

↓

**ღვთის აბსოლუტური სიდიადე**

↕

**ადამის მოდგმა**

კავშირი დიდებასა და იესოს შორის ახალი აღქმის უმთავრესი გამოცხადებაა. «Вся С. Божия пребывает в Нем. Как Сын Божий он есть и «сияние славы и образ ипостаси» Божией (Евр 1.3). С. Божия - «в лице Иисуса Христа» (2 Кор 4.6). Исходя от Него, она сияет над людьми (3.18). Он - «Господь Славы» (1 Кор 2.8)» (Словарь библейского богословия 1990). რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურაში დამკვიდრებულია ღვთის სადიდებელი შეძახილი: „დიდება უფალს!", „слава Богу!", "Let us give glory to God!" ღვთისმსახურება, სახარების კითხვა ეკლესიაში ყოველთვის იწყება და მიმდინარეობს ამ სასიხარულო შეძახილით. ღმერთის ხოტბა ადამიანის არა მხოლოდ მოვალეობა, არამედ ღრმა შინაგანი მოთხოვნილებაა, ადამიანის ამაღლებული სულიერებისა და ზნეობრიობის ნიშანია: «И славословить Тебя хочет человек, частица созданий Твоих /.../» (Блаженный Августин. Исповедь: 1, 1).

ადამიანის დიდება ღვთაებრივი დიდების ანარეკლია. ჭეშმარიტი ადამიანური დიდება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ადამიანი სახარების მრწამსს იცავს და იღწვის ღვთის სამსახურისა და სულის ხსნისათვის. დიდების ცნებაში ჩნდება კონცეპტუალიზაციის თვისობრივად ახალი ზონა: როგორც იოანე ოქროპირი ამბობს, „ჭეშმარიტი დიდება ისაა, რომ შეიძულო ადამიანური დიდება, არარაობად მიიჩნიო და ყველაფერი მხოლოდ უფლის საამებლად აკეთო და ილაპარაკო (ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია)". უხუცესი პაისი სვიატოგორეცი ამბობს: «„Богатство возненавидели многие, славу никто". Это слова древних греков, не знавших Истинного Бога. В духовной жизни слава должна исчезнуть. Вынес ли кто-то из людей бесчестие большее, чем то, которое претерпел Христос? Отцы искали бесчестия, и Бог

воздавал им честью... в той славе, о которой говорится в Евангелии, есть любовь и смирение. *„Просла́ви Сы́на Твоего́,*” - говорит Христос, - *„да́ и Сы́н Тво́й просла́вит Тя... Се́ же Есть живо́т ве́чный да зна́ют Тебе́ Еди́наго и́стиннаго Бо́га*”» (194). «Искание славы от людей – доказательство неверия и отчуждения от Бога». (Святитель Василий Великий). რუსული სიტყვა «тщеславие» („ამაოება”) ხდება სიდიადის ილუზიის ნომინატორი, რომელიც შემორჩენილია სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობაში: «**ТЩЕСЛА́ВИЕ** Пустое высокомерие, кичливость, желание быть предметом славы, почитания.» (Словарь Ушакова); მისი სინონიმია «гордыня» („ამპარტავნება”), რომელიც ქრისტიანობაში ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვაა. ინგლისურ ენაში ფიქსირდება თითქმის ანალოგიური მნიშვნელობა “Vanity - empty pride, conceit, based on personal attainments or attractions or qualities” (the Concise Oxford Dictionary, 1951); ამაოების სინონიმია Vainglory, რომელიც მოძველებულ ფორმად ითვლება. “Vanity” ასევე აღნიშნავს შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან ერთ-ერთს.

გამოვიყვანოთ ცნებების კავშირისა და იდეალიზაციის პირობითი სქემა: **■შეიძულო ადამიანური დიდება** **→■ამქვეყნიური დიდება უნდა გაქრეს →■ეძიე სიმდაბლე→■სიყვარული, მორჩილება→■ ღმერთი აღგამაღლებთ (Бог воздаст честью)** **↔■ ღვთის აბსოლუტური სიდიადე ╢დიდება**. გამოვიყვანოთ კონცეპტუალიზაციის პირობითი ზონები:

**დიდება**

↓

**ღვთის აბსოლუტური სიდიადე იესო ქრისტეს სახით**

↕

**ადამის მოდგმა**

↓

**წამებულები და წმინდანები როგორც ახალი იდეალის მსახურება**

↕

**უბრალო მოკვდავი**

ეს იდეალი ვითარდება და ტრანსფორმაციას განიცდის ევროპულ კულტურაში შუა საუკუნეებში ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბებასთან

ერთად. ამ პერიოდში იქმნება მეომართა განსაკუთრებული ფენა – რაინდობა (**рыцарство**, **knightness),** რომლის დამახასიათებელი ტრადიციები და ქცევის განსაკუთრებული კოდექსი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. რაინდთა მსოფლმხედველობამ გააერთიანა ღირებულებათა წარმართული, ქრისტიანული და წოდებრივი გამოხატულებები. მხედრული ეთოსის შუასაუკუნეობრივი ევროპული ლიტერატურული მოდელი ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, სიმამაცეს, გმირობას, მეორე მხრივ კი – სიბრძნეს. რაინდული სიმამაცე მეომრის ქცევისა და მორალური სახის დამახასიათებელი ზნეობრივი თვისება გახლდათ. მისთვის ძირითადი იყო გამბედაობა, მედგარი სული, გამძლეობა, თავდაჭერა, გამჭრიახობა, საკუთარი ღირსების გრძნობა. ამ თვისებების არსებობა და მნიშვნელოვნება ნაკარნახევი იყო მისწრაფებით: თავიდან აერიდებინათ სირცხვილი და მოეპოვებინათ მხედრული დიდება. რაინდის სიბრძნე გულისხმობდა ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და გამჭრიახობას. ჰარმონიული წონასწორობა გმირობას და სიბრძნეს შორის ქმნიდა ზომიერებას. მამაცობა სიბრძნის გარეშე უგუნურებად ითვლებოდა, ხოლო სიბრძნე მამაცობის გარეშე – უპატიოსნებად.

რელიგიური თვალსაზრისით, რაინდის მოვალეობა ხდება ბიბლიისა და სახარების ცოდნა და ქრისტიანული მოძღვრების იდეალების დაცვა, სარწმუნოების სახელით სიკვდილის ჩათვლით. როგორც გვესახება, ამ ასპექტში შეიმჩნევა კავშირი პირველად (არქეტიპულ) განწყობასთან, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. ჯვაროსნულმა ომებმა მხედრული დიდების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად აქცია რაინდული ორდენის წესდებისადმი ერთგულება, რის გამოც რაინდულ ღირსებას დაემატა ქრისტიანული სიწმიდეების მედგარ დამცველთა სახელი. ამდენად, სარწმუნოებისათვის ბრძოლა გვევლინება ჭეშმარიტი კეთილშობილების, ნებისყოფისა და მაღალი ზნეობრიობის დადასტურებად, რადგან რაინდს სიქველე და სათნოება უნდა გამოეჩინა არა მხოლოდ ქალებთან, ბავშვებთან და ეკლესიის მსახურთა მიმართ, არამედ სულგრძელი უნდა ყოფილიყო ომში დატყვევებულ მტერთანაც (იხ.: Оссовская М. Рыцарь и буржуа. Исследования по истории морали, 1987; Шпаковский В.О. Рыцари средневековья, 1999). როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რაინდობა ემსახურება ქრისტიანულ იდეალებს და ამავდროულად აღადგენს დიდების „მიწიერ" გაგებას კონცეპტუალიზებული ზონის მეშვეობით **,,საკუთარი ღირსების გრძნობა**". სქემაზე წარმოვადგინოთ ცნებათა პირობითი კავშირი:

**■სიმამაცე→■საკუთარი ღირსების გრძნობა →■ქრისტიანული სიწმიდეთა დაცვა ╡დიდება.**

ინგლისში რაინდობა კონტინენტიდან გავრცელდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დიდებისაკენ სწრაფვა და დიადი საქმეები უცხო იყო ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობისათვის. VIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი ანგლო-საქსონური ეპიკური პოემა „ბეოვულფი" (ძვ. ინგლ ,,Beowulf' სიტყვა-სიტყვით „ფუტკრის მგელი", ანუ „დათვი") აღწერს სკანდინავიაში ანგლების სამეფოში განვითარებულ მოვლენებს ბრიტანეთში ანგლების გადმოსახლებამდე. ანგლების მეფე შედარებულია ღმერთთან ისეთი მეტაფორებით, როგორიცაა "Lord of Life" („სიცოცხლის მეუფე") და "the glorious Almighty" („დიდებული ყოვლისშემძლე"). პოემიდან კარგად ჩანს, რომ ანგლო-საქსებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმამაცე, სიდიადე, ღირსება, ლოიალობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ თვისებებით შემკულნი არიან მეფეები, რომელთაც პატივს სცემენ და აფასებენ ქვეშევრდომები: "the kings who ruled them had courage and greatness." სახელისა და ძალაუფლების მოპოვებისათვის საჭიროდ პოემის ავტორს საპატიო ქცევა მიაჩნია: "Behaviour that's admired is the path to power among people everywhere." „ბეოვულფის" ტექსტის მიხედვით, ანგლო-საქსები დიდად აფასებდნენ კეთილშობილებით, გაჭირვებულის მხარში დგომითა და ღირსეული თვისებებით გამორჩეულ მეომრებს. ისინი ბრძოლით მოიპოვებენ სახელს და ქონებას: "so warriors earn// Their fame, and wealth is shaped with a sword." ცნების კონცეპტუალიზაციაში ჩნდება ახალი აზრი – **ლოიალობა.**

გამოვიყვანოთ ცნებების კავშირის ლოგოსსქემა: **■სიმამაცე→■საკუთარი ღირსების გრძნობა→■ლოიალობა╡დიდება.**

ცნება დიდების განვითარება ბრიტანულ კულტურაში შეიმჩნევა ლეგენდებში მეფე არტურსა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ. მამაცი და გულადი მეფე არტური თავის რაინდებთან ერთად წარმოადგენს თავისუფლებისათვის მებრძოლ სამართლიან გმირს. "Why can't you harness Might so that it works for Right? /…/ The Might is there, in the bad half of people, and you can't neglect it", ამბობს მეფე არტური. ის პირველია, ვინც ერთმანეთისგან მიჯნავს ძალასა და სამართალს. მის მიერ დაარსებული ლოგრის სამეფო და მრგვალი მაგიდის ორდენი არის რაინდული სიქველის, კეთილშობილების, თანასწორობის, ქალისადმი რაინდული დამოკიდებულების, მეგობრობის, უანგარობის, თავმდაბლობის, ვაჟკაცობის, თავდადებისა და სამართლიანობის განსახიერება. ეს ის თვისებებია, რომლის მატარებელიც პატივისცემას, დაფასებას და

დიდებას იმსახურებს. ამგვარად, ცნება დიდების კონცეპტუალიზაციაში შევიდა აზრები **„მეგობრობა”, „სამართლიანობა”, „უანგარობა”, „თანასწორობა”,** ქრისტიანულ იდეალებს ეფუძნება აზრი „თავმდაბლობა”, „უანგარობა”, მაგრამ ცნებასთან ერთგვარ წინააღმდეგობრიობაში მოდის კვლავ ამოტივტივებული აზრი „ღირსება”, რამდენადაც საერო გაგებით, ქრისტიანული იდეალი არის ღირსებაზე უარის თქმა.

გამოვიყვანოთ ლოგოსქემა:

**■სიმამაცე→■მეგობრობა→■თავმდაბლობა→■სამართლიანობა→■თანასწორობა→■ უანგარობა→ ■ღირსება╣ დიდება.**

ეს ნიშნები ახალი აზრებით ივსება XII საუკუნეში, რაც მტკიცდება კურტუაზული რომანების ტექსტებით. რაინდი, რომელიც ისევ რჩება უშიშარ და სამართლიან გმირად, ხდება დახვეწილი და დელიკატური, თავმომწონე, გონებამახვილი, თავაზიანი, წრეგადასულად ხელგაშლილი. საყურადღებოა, რომ ამ რომანების გმირები აუცილებლად იყო ლამაზი და მდიდარი. როგორც ვხედავთ, აზრები, რომლებიც ავსებდნენ ცნებას „დიდება”, თანდათან ადგილს უთმობს ახალ აზრებს, რომლებიც ეფუძნებიან უფრო მეტად გარეგნულ, ვიდრე შინაგან ატრიბუტიკას. კვლავ იჩენს თავს აზრი „სიმდიდრე”. დიდება ემსგავსება სახელს, პოპულარობას (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით), რადგანაც ის არ ერგებათ ღარიბებს და შეუხედავებს; ის ისევ შეიძლება მოიპოვო გამბედაობითა და სამართლიანობით, მაგრამ წარმოუდგენელია გარეგნული ატრიბუტიკის გარეშე. ცნების კონცეპტუალიზაცია „თავისუფლდება” ქრისტიანული ნორმებისაგან: «Это то, о чем сказал Христос: "*Слаáву дрýг От дрýга приéмлюще*", "*прельщáюще и прельщáеми*"» (194); ქრისტიანული თვალსაზრისით, დიდება ამპარტავნებისაკენ იწყებს გადახრას. ეს პროცესები უფრო გამოკვეთილი ხდება XV საუკუნეში. გაჭიანურებულმა ასწლიანმა ომმა რაინდობა თვისობრივად შეიცვალა. საბრძოლო დიდების ნაცვლად რაინდებისა და არისტოკრატიისათვის დიდებისა და პატივის მიღების საშუალება ხდება მშვიდობიანი ცხოვრება, პოლიტიკური საქმიანობა და ზღვაოსნობა. სიმამაცისა და საომარი ოსტატობის დემონსტრირების ასპარეზი ბრძოლის ველის ნაცვლად ხდება ტურნირები, სადაც შესაძლებელია ვარჯიში, თავის გამოჩენა და ფულის შოვნაც. წინა პლანზე იწევს თეატრალობა როგორც რაინდობის შემადგენელი ნაწილი (იხ.: Рыцари Средневековой Англии (199)).

გამოვიყვანოთ ლოგოსქემა:

**■მდიდარი→■ლამაზი→■დახვეწილი→■გულუხვი→■მხიარული,თავაზიანი→**

**■უშიშარი→■ღირსება╣ დიდება.**

თვალი მივადევნოთ რაინდული ღირსების კოდექსის ჩამოყალიბებასა და მის გავლენას ცნება დიდების ფორმირებაზე ფეოდალური რუსეთის კულტურაში. წარმართულ რუსეთში დევგმირთა ქცევას განსაზღვრავდა ღირსების წერილობითი კოდექსი „Покон витязный”. რუსი ვაჟკაცები („мужи частны”) ვალდებულნი იყვნენ სრულყოფილად შეძლებოდათ იარაღის გამოყენება, აბჯარასხმულებს მოეხერხებინათ მდინარის გადაცურვა, გუსლიზე (ბარბითზე) დაკვრა, ჭადრაკის თამაში, სიმღერების შეთხზვა „речи глаголати”, „посольства правити”. წიგნის კითხვა, ცოდნა ისევე მნიშვნელოვანი იყო მათთვის, როგორც „вежество” და ქალის სილამაზისა და ღირსების დაცვის უნარი („красу женскую и честь девичью почитати и обороняти”). მაგრამ მეომართა მთავარ ღირსებად ითვლებოდა რუსული მიწის თავდადებული სამსახური (Иванов 1996, 171).

შუა საუკუნეების რუსეთის შესახებ არსებულ ისტორიულ ნაშრომებში არცთუ იშვიათად ვხვდებით მოსაზრებას, რომ მონღოლების შემოსევამდელ პერიოდში რიურიკები და მათი რაზმები ასევე ხელმძღვანელობდნენ „რაინდული ღირსების კოდექსით” (იხ.: Стефанович 2003, 22). განსაკუთრებით ხშირად რაინდულ იდეალებზე საუბრობენ ლიტერატურული ძეგლის „ამბავი იგორის ლაშქრობისა” („Слово о полку Игореве”) განხილვისას, რომლის საკვანძო საკითხია ცნებები „ღირსება” («честь») და „დიდება” («слава»). ამ პრობლემაზე დ. ს. ლიხაჩიოვის მსჯელობა ეყრდნობა თეზისს, რომელიც უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნევა ძველ რუსეთთან მიმართებაში: «Феодализм выработал своеобразный кодекс морали – понятия о дружинной и княжеской чести и славе». (Лихачев 1978, 252). დ. ს. ლიხაჩიოვი ამ ფრაზის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ სიტყვა «честь» გულისხმობდა იმას, რისი დათვლაც შეიძლება («счесть»), ანუ ქონებას, საბრძოლო ალაფს. ხოლო სიტყვა «слава» მიეკუთვნება არა მატერიალურ რიგს, არამედ ის არის მორალური ცნება: პატივისცემა, დაფასება და სახელგანთქმულობა. დიდება სიტყვით გადმოიცემა: «Слава – то, что на «словах». დ. ს. ლიხაჩიოვის მოსაზრებით, აქედან გამომდინარეობს სიტყვათშეთანხმება, «слово-слава».

იმავე აზრს იზიარებს იუ. მ. ლოტმანი, რომელიც ასევე თვლიდა, რომ ძველი რუსული ტერმინები «честь» და «слава» არ იყო სინონიმები, ფეოდალურ რუსეთში ისინი წარმოადგენდნენ სოციალური იერარქიის ერთგვარ

ნიშანს (Лотман 1967). ცნებას «честь» (პატივი, honor) მატერიალური გამოხატულება გააჩნდა და ქვეშევრდომის ატრიბუტს წარმოადგენდა. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი ან დამარცხებული მტრისგან მიღებული ძღვენი ვასალებს სუზერენისათვის უნდა მიერთმიათ. ის კი მათ უკან გადასცემდა რაინდული ღირსების ნიშნად.

იუ. მ. ლოტმანი მიიჩნევს, რომ ცნება დიდება – «слава» შეესაბამებოდა „სოციალური ღირებულებების უმაღლეს საფეხურებს". ამ იდეალურ ჯილდოს არ ჰქონდა მატერიალური სახე და სუზერენის, ანუ იმისი ხვედრი იყო, ვისაც აღარ ესაჭიროებოდა მატერიალური ნიშნით წარმოჩენა. თუ პატივი «честь» მხოლოდ გამარჯვებით შეიძლებოდა დაემსახურებინათ, დიდება – «слава» არ იყო დამოკიდებული გამარჯვებასა ან დამარცხებაზე, თუკი ფეოდალი ახდენდა რაინდული ქცევის უმაღლესი ნორმების რეალიზაციას (მათ შორის ლოტმანი განსაკუთრებით გამოყოფს იდეალურობას, უფრო მეტიც, ქიმერულობას, საომარი მოქმედების მიზნებს, გარკვეულ რიტუალებს, მაგ., მტერთან ორთაბრძოლა, ა. შ.). დიდება რაინდული კოდექსის უმაღლესი ცნებაა.

ამ დასკვნების საფუძვლად ლოტმანმა ჩათვალა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, «чрезвычайно последовательно проведённое противопоставление» «славы» и «чести». რუსთა დრუჟინა ილტვის ნადავლის მოპოვებისკენ, რაც მისთვის ღირსების ნიშანია; თავადების იგორისა და ვსევოლოდის მიმართ ცნება „დიდება" იმ შემთხვევაში იხმარება, როცა ისინი სუზერენებად წარმოგვიდგებიან. ხოლო მათი როგორც კიევის მთავარ სვიატოსლავის ვასალების საქციელი, ლოტმანის მოსაზრებით, შემთხვევით არ ხასიათდება სიტყვით «нечестно». მეცნიერმა ასევე აღიარა, რომ „დიდების" ფეოდალურ-რაინდულ გაგებასთან ერთად, არსებობდა „ქრისტიანულ-საეკლესიო" გაგებაც. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი გაგება შეიძლება ერთმანეთში აღრეული იყო, ლოტმანმა მატიანეებში ტერმინის «слава» და ფორმულის «честь и слава» გამოყენება ჩათვალა არადამახასიათებლად: ამ შემთხვევაში ცნებების «честь» და «слава» „დრუჟინული სპეციფიკა" (სუფთა სახით წარმოდგენილი ნაწარმოებში) „წაშლას იწყებს". მეცნიერი თვლის, რომ ნაწარმოების «Слово о полку Игореве» ავტორი ეყრდნობა „სამყაროს იმ მოდელს", იმ ღირებულებებსა და წარმოდგენებს, რომლებიც შეესაბამებოდა შუა საუკუნეების ეპოქას.

დავუმატებთ, რომ ცნება «слава», ისევე, როგორც ცნება «честь», შეიცავს პირველად, არქეტიპულ ელემენტს – ანტითეზას «жизнь-смерть» (სიკვდილი-სიცოცხლე), სიცოცხლე იდეალების განხორციელებისათვის, ხოლო

სიკვდილი – ამ იდეალების დასაცავად. ნათქვამი შეიძლება განვიხილოთ როგორც დადასტურება მოცემული პარაგრაფის დასაწყისში წამოყენებული თეზისისა სიკვდილთან მიმართების ე. წ. კონსტრუქციული ტიპის გავლენის შესახებ ცნება „დიდების" კონცეპტუალიზაციაზე, რომელიც მოქმედებს „ძველი სამყაროს" მთელს არეალზე.

გამოვიყვანოთ ლოგოსქემა: **<u>■საბრძოლო თვისებები →■ფიზიკური ძალა →■წიგნიერება →■ქალის პატივისცემა →■პატრიოტიზმი →■ღირსება →■პატივი ╡დიდება.</u>**

თუ რეკონსტრუირებული ლოგოსქემა სწორია, მაშინ სწორია ისიც, რომ ხდება ნიშნის „დამძიმება", დენოტატის გაორმაგება, როდესაც სიტყვაზე **«слава»** მაგრდება აზრი **«честь»**, ოღონდ როგორც მისი „საერო" შემადგენელი. ამგვარად, რუსულ ენობრივ სურათში იზრდება დიქოტომია **«земная слава-божественная слава»**, სადაც პირველი წევრი შეიძლება შევუსაბამოთ ღირსებასა და პატივს, ხოლო მეორე – ჭეშმარიტ დიდებას, რომელიც მოიაზრება მხოლოდ როგორც მარადიული, ღვთიური.

აქვე დავუმატებთ, რომ პეტრე პირველის ეპოქამდე თავადის ჯილდო პატივის (честь) სახით უტოლდებოდა ძვირფასეულობას და ფულს. ის წარმოადგენდა რაიმე გაწეული სამსახურისათვის ღირსეულ საზღაურს. მხოლოდ XV–XVI საუკუნეებში დაიწყეს ამ სიტყვით კეთილშობილი ადამიანის შინაგანი სულიერი თვისებების აღნიშვნა. იმ დროს პატივის (честь) მიღება უკვე ნიშნავდა როგორც მატერიალურ, ისე მორალურ კეთილდღეობას. თანდათან ეს ცნება იძენს თანამედროვე გაგებასთან მიახლოებულ აზრს, ანუ «достоинство личности, обязывающее к чему-либо». ამგვარად, ცნების მნიშვნელობამ განიცადა ევოლუცია და მატერიალური გაგება გარდაიქმნა ზნეობრივ კატეგორიად. პ. ა. რუმიანცევი ეკატერინე II-ძმი მოხსენებაში წერდა: «Честь всех деяний человеческих должна быть первым подвигом и живым образцом всех достоинств» (ციტ.: Гейко 1987, 188-189).

ევროპაში აღორძინების ხანა აღინიშნა ანტიკური იდეალებისაკენ, ჰუმანიზმისა და ადამიანური პიროვნების ღირებულებებისაკენ შემობრუნებით. ადამიანის მიზანია, ამოიცნოს და დაიმორჩილოს გარე სამყარო, ამქვეყნიურ ცხოვრებაში მიაღწიოს სრულყოფასა და ბედნიერებას. ამ პერიოდში ცნების „დიდება" კონცეპტუალიზაციაში შედის ახალი აზრი, რომელიც უკავშირდება იმას, რომ საზოგადოება იწყებს მოაზროვნისა და ხელოვანი ადამიანის დაფასებას მისი ქმნილებების გამო. მათ უწოდებენ ტიტანებს, ამკობენ ეპითეტით

„ღვთაებრივი” („божественный”, “divine”). მათი შემოქმედება კი კულტურული მემკვიდრეობის სახით თაობებს გადაეცემა და მარადიულ უკვდავებას ეზიარება.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, დიდების ქრისტიანული იდეალი შევიწროებული აღმოჩნდა ცნობიერების ახალ მოდელში. გამოვიყვანოთ ლოგოსქემა: **■პიროვნება → ■საბრძოლო ტალანტი → ■გენიალობა →■რჩეულობა → ■პატივი ╡დიდება.**

**დიდება**

↓

**პიროვნება**

↓ ↓ ↓ ↓

| | | | |
|---|---|---|---|
| ▒ **საბრძოლო ტალანტი** | **გენიალობა** ▒ | ▒ **რჩეულობა** | **პატივი** ▒ |

რენესანსის შემდეგ დამდგარმა განმანათლებლობის ეპოქამ უარყო სამყაროს რელიგიური აღქმა და ადამიანისა და საზოგადოების შემეცნების ერთადერთ კრიტერიუმად გონება აღიარა. ცხოვრების მთავარ ურთიერთობად ისახება არა ღმერთთან ურთიერთობა, არამედ ადამიანებს შორის დამოკიდებულება. ბედნიერების მიღწევის საშუალებად კი მიიჩნევა ადამიანური ბუნება, რომელიც თანხმობაშია ადამიანთან. განმანათლებლებისათვის ბედნიერება არის სხეულის, გონებისა და გულის სრული ჰარმონია. განმანათლებლებმა გადაიაზრეს ქრისტეს მოძღვრებით კაცობრიობის განათლების ქრისტიანული პრინციპი და ადამიანის გონების სხივით განათლების ახლი იდეა წამოაყენეს. მათი რწმენით, გონება აძლევს ადამიანს საზოგადოებრივი მოწყობისა და საკუთარი თავის შეცნობის საშუალებას. გონებას შეუძლია პროგრესის იდეის განხორციელება და სახელმწიფოსა და პიროვნების უკეთესობისაკენ შეცვლა. გონებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ შედეგად ითვლებოდა მეცნიერული ცოდნა, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება უნდა ჰქონოდა საზოგადოებისა და მრეწველობის განვითარებაში. გარდა ამისა, განმანათლებლების აზროვნება მიმართული იყო იდეალური სახელმწიფოსა და იდეალური პიროვნების (და, შესაბამისად, უტოპიური) მოდელების შექმნაზე, რომელსაც უნდა გარდაექმნა სამყარო

გონებისა და სამართლიანობის პრინციპების მიხედვით. შესაბამისად, დიდებას იმსახურებს ადამიანი, რომელიც პროგრესის იდეალებს ემსახურება.

განმანათლებლობის საერთო პრინციპების მიუხედავად, მისი ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ პირობებთან და კულტურულ თავისებურებებთან. ინგლისში, სადაც განმანათლებლობა ჩაისახა ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, ჩამოყალიბდა მიმდინარეობის ძირითადი ცნებები – **„საყოველთაო კეთილდღეობა"**, **ბუნებრივი ადამიანი"**, **„ბუნებრივი სამართალი"**, **„ბუნებრივი რელიგია"**, **„საზოგადოებრივი შეთანხმება"**. ჯ. ლოკმა (1690) განსაზღვრა ადამიანის ბუნებრივი, განუყოფელი და მუდმივი უფლებები – თავისუფლება, თანასწორობა, პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა. ადამიანთა ნებაყოფილობითი საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე აუცილებელია შეიქმნას ორგანო (სახელმწიფო), რომელიც დაიცავს მათ უფლებებს. რელიგიური შეუწყნარებლობისა და სამოქალაქო ომის შემდეგ ინგლისი სტაბილურობისაკენ მიისწრაფვოდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო პურიტანიზმის გავლენას განიცდიდა, რის გამოც გონების უსაზღვრო შესაძლებლობების განმანათლებლობის რწმენა ეხამებოდა ინგლისელი მოაზროვნეების რელიგიურობას.

რუსეთში, მიუხედავად პეტრე პირველის მიერ გატარებული ძირეული რეფორმებისა და დასავლეთიდან შემოსული განმანათლებლობისა, საზოგადოებრივი აზრი ძალიან ფრთხილად შეხვდა ლიბერალურ იდეებს. რუსული განმანათლებლობის ჰუმანიზმი მდგომარეობდა ადამიანის გვაროვნული არსის გათავისუფლების აუცილებლობაში. პირველი რუსი განმანათლებლების იდეალი იყო ჰუმანური, განათლებული, ყმებისადმი ყურადღებიანი დიდგვაროვანი. ისინი იმედს ამყარებდნენ „განათლებულ მონარქზე", რომელსაც ხელეწიფებოდა მიეღო სამართლიანი კანონები, შეერბილებინა ზნე-ჩვეულებები განათლებისა და სწორი აღზრდის გავრცელებით. ინგლისელი თანამოაზრეებისაგან განსხვავებით, ისინი გამოდიოდნენ ეროვნული თვითშეგნების და პიროვნების ღირსების გრძნობის, პატრიოტიზმის გამოღვიძების სურვილით. თუმცა მონარქია და ეკლესია რეპრესიებით ებრძოდა მოწინავე იდეების განვითარებას (საკმარისია გავიხსენოთ დეკაბრისტები, რომლებიც გამოდიოდნენ მოქალაქეობრივი ვალის იდეით და იბრძოდნენ საყოველთაო თავისუფლებისა და გონივრული საზოგადოების იდეალების განხორციელებისათვის.). საბოლოოდ, XIX საუკუნის შუა ხანებში, რუსეთში

ჩამოყალიბდა განმანათლებლობის ლიბერალურ-რეფორმატორული და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებები, რომლებიც განსხვავებულად მოიაზრებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების გზებს. თუმცა, მათ აერთიანებდათ ანტიფეოდალური მიზნები უკვე დრომოჭმული ბატონყმობის მოსაშორებლად.

შეგვიძლია გამოვიყვანოთ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ცნებათა კავშირის პირობითი სქემა: **■განათლება→■ცოდნა→■სახელმწიფო მოწყობა→ ■საყოველთაო კეთილდღეობა →■ბედნიერება →■სახელი ╡დიდება.**

XX საუკუნემ უპრეცედენტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესითა, მასობრივი წარმოების აღმავლობითა და მასობრივი კულტურის განვითარებით თვისობრივად შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. პიროვნების თავისუფლების სახელით ის აღარ ცნობდა თავს ვალდებულად ღმერთის, მოყვასის, საზოგადოების წინაშე. ადამიანი გათავისუფლდა მოვალეობებისა და იდეალებისაგან, მაგრამ თავისუფლებასთან ერთად მან დაკარგა მიზანი, რისთვისაც საჭიროა ეს თავისუფლება: „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით" (ჟ.-პ. სარტრი). გაუცხოება, ადამიანის მიერ საკუთარი არსების დაკარგვა მთელი სიმწვავით გამოვლინდა XX საუკუნეში. ამ პერიოდს ბევრი მკვლევარი გაცნობიერებული კრიზისის ეპოქას უწოდებს, რომელსაც ახასიათებს ნიჰილიზმი, დეჰუმანიზაცია, დეინდივიდუალიზაცია, ჭეშმარიტი ღირებულებების სუროგატული, მოჩვენებითი ფასეულობებით ჩანაცვლება.

ვიდრე დასავლელი მოაზროვნეები ამ კრიზისის მიზეზებს არკვევდნენ და გამოსავალზე მსჯელობდნენ, რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირი ენთუზიაზმით შეუდგა ერთ-ერთი უტოპიური საზოგადოების აღმშენებლობას. სოციალისტურ ქვეყანას, რასაკვირველია, სჭირდებოდა იდეოლოგია. საბჭოთა იდეოლოგია გვევლინება რელიგიის სუროგატად. სწორედ აქედან მომდინარეობს სახელმწიფოსა და პარტიის ფეტიშიზაცია, ბელადთა კულტი, მრავალრიცხოვანი ძეგლი-კერპი, განსაკუთრებული სიმბოლიკა, რათა ღმერთისა და სულიწმიდის თაყვანისცემა შეეცვალათ ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით. ამ სამყაროში დიდების საგანი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ყველაფერი, რაც მის გარშემო არსებობს. აქედან მივიღეთ სწორედ «славный урожай» (ჩინებული მოსავალი), ხოლო სტადიონზე – შეძახილი «слава Спартаку!». სიტყვა „დიდება" იყო საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაციის ერთ-ერთი ხერხი. ლოზუნგები

„დიდება პარტიას", „დიდება ხალხს", „დიდება შრომას", „დიდება არმიას", „დიდება სამშობლოს", „დიდება მშრომელებს", „დიდება ხალხთა მეგობრობას", «Слава труженикам советской науки и техники, пролагающим новые пути к раскрытию тайн природы и покорению ее сил на благо человечества!» (Северный колхозник. 1959. 01.06.) (209). საბჭოური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თუმცა, ეს მოწოდება სინამდვილეში ალბათ არავის შთააგონებდა რეალურად ედიდებინათ, ხოტბა შეესხათ ხსენებული ჩამონათვალისათვის. ის ვეღარ გახდა ჩვეულებრივი მოკვდავის სრულფასოვანი კუთვნილება და, შესაბამისად, სრულიად გაუფასურდა. ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით ნასულდგმულები რუსული კულტურისათვის დიდება ღმერთის ჭეშმარიტად სადიდებელ სიტყვად დარჩა.

1968 წელს პოპ-არტის ფუძემდებლის მხატვარ ენდი უორჰოლის (Andy Warhol) მიერ წარმოთქმული ფრაზა "In the future everyone will be world-famous for 15 minutes" (მომავალში ყველა შეძლებს საქვეყნოდ ცნობილი გახდეს 15 წუთით) ერთგვარი პროგნოზი აღმოჩნდა თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობისა და ცნობილი ადამიანებით მისი გატაცების შესახებ. თითქმის ორმოცდაათი წლის წინ გამოთქმული აფორიზმი დღეს მტკიცდება წარმატების საყოველთაო ფეტიშიზაციით: იმისათვის, რომ გადარჩე, აუცილებელია იყო წარმატებული, შესამჩნევი, უნდა გამოირჩეოდე ბრბოსგან. ადამიანები ოცნებობენ მოხვდნენ გლამურული ჟურნალების ფურცლებზე, ნებისმიერი გადაცემის პროჟექტორის შუქში გადაიქცნენ თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მაინც ვარსკვლავად. ადამიანი ცდილობს მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით შეინარჩუნოს თავისი სახე და გამორჩეულად იგრძნოს თავი. ინტერნეტ სივრცე, სოციალური ქსელები მას საშუალებას აძლევს საქვეყნოდ, უამრავი ადამიანის დასანახად და გასაგონად წარმოაჩინოს თავი როგორც გამორჩეულმა და მიიპყროს სხვათა ყურადღება. ნიშანდობლივად გვეჩვენება ა. გენისის განსჯა: „ Обычно слава копится годами в таинственной ноосфере, где, как утверждал Вернадский, концентрируются испарения человеческого гения. Не менее загадочен и механизм ее распределения. Славу нельзя ни дать, ни взять, только получить – по совокупности заслуг от никем не назначенных авгуров, чей приговор ты уважаешь не меньше их. /…/ Антитеза славы не безвестность…, а популярность, выдающая тщеславие за честолюбие. Поэтому не все известные люди славные. /…/. Если XX век разбавил славу, то XXI пустил ее на панель – с помощью компьютерного сутенера. ... Интернет заменяет качество количеством, а славу – известностью. ... Слава, как Суворов, брала

умением, популярность, как саранча, – числом. ./.../ Желание прослыть любой ценой сводит с ума, ибо за ним стоит патологический страх потреяться в толпе себе подобных. Этот маниакальный... ужас... порождает страсть к неутолимой публичности (Генис 2006, 570-574).

დიდების წყურვილი სულ უფრო ხშირად იცვლება მილიონობით მაყურებლის წინაშე თავის წარმოჩენის თავგამოდებული ლტოლვით. შედეგად, ჩვენს დროში, იყო ცნობილი, უმეტეს შემთხვევაში აღარ არის ღირსეული თვისებების მაჩვენებელი და აღარ უტოლდება დიდებას. უახლესი ეპოქა ცნების კონცეპტუალიზაციაზე ახდენს გავლენას, რომელიც შეიძლება აღინიშნოს როგორც ბირთვული კომპონენტების შევიწროება პერიფერიაზე: ცნებიდან „დიდება" ქრება ჰეროიკა, ღირსება. ეს ზონები იცვლება აზრებით „პოპულარობა", „ცნობადობა", „ვარსკვლავი" მნიშვნელობით «перен. Знаменитость, выдающийся по своим талантам и общественным заслугам человек (книжн. ритор.). Звезда нашей литературы. Звезда экрана.» (Словарь Ушакова). ინგლისურ ლექსიკონებში ფიქსირდება ასევე „წარმატებულობა", „სახელგანთქმულობა" – "3. a very famous or talented entertainer or sports player: *a pop star[as modifier]: she got star treatmrnt;* An outstandingly successful person or thing in a group: *he's a rising star in the party [asmodifier]: Elinor was a star pupil''*(Compact Oxford English Dictionary) (210).

აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვა «звезда» (ვარსკვლავი) უახლეს ლექსიკონებში დისტრიბუციისას აფიქსირებს ენობრივ ცნობიერებაში ღირებულებითი ორიენტირების შეცვლას, რადგანაც კარგავს შესაბამის ჩანაწიშნს, მაგალითად: «**3.** Тот, кто прославился в какой-л. сфере деятельности (обычно в искусстве, спорте). *З. балета. З. эстрады. Быть звездой экрана. Кто-л. - з. первой величины.*» (БТСРЯ-2000 под ред Кунецова). ინგლისური „Glory" ხშირ შემთხვევაში ბრწყინვალებას გულისხმობს, როდესაც ვინმეს სპორტულ ან შემოქმედებით წარმატებას აფასებს. "2. Glory - [U] great admiration, honour and praise which you earn by doing something successfully: He revelled in the glory of scoring three goals in the final 8 minutes./This was her final professional match, and she wanted to end her career in **a blaze of** glory (Cambridge Advanced Learner's Dictionary & Thesaurus, 2011)".

ცნებით ველში აქტიურდება ისტორიულად კონცეპტუალიზებული ზონა „სიმდიდრე", მაგრამ ის ახლა უკავშირდება ცნებას „მოხმარებას": «само потребление принимает все более «ритуальный» характер, и этот ритуал заменяет людям подлинный вкус жизни» (201). ისეთ მომხმარებლურ გარემოში, როგორიც თანამედროვე სამყაროა, საზოგადოებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი

სიმბოლოები – გარკვეული მოდელის ავტომობილი, ბინა პრესტიჟულ უბანში, მოდური სამოსი ადამიანს უქმნის საკუთარი მნიშვნელოვნების განცდას. ამასთანავე, შეინიშნება ისეთი ტენდენციაც, რომლის დროსაც დიდება არ წარმოადგენს საბოლოო იდეალს. ის მოიაზრება როგორც ეტაპი სიმდიდრის დაგროვების და, შესაბამისად, ძალა-უფლების მოპოვების გზაზე, რაც ადამიანს ყველაფრის ნებას აძლევს და ყოვლისშემძლეობის განცდას უქმნის.

შეგვიძლია გამოვიყვანოთ ცნებათა კავშირის პირობითი სქემა: **■სახელი (სკანდალური სახელის ჩათვლით)→■პოპულარობა→ ■წარმატება → ■ვარსკვლავი →■სიმდიდრე→ ■ძალა-უფლება ╣დიდება.**

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანის გავრცელებული სურვილი, გახდეს პოპულარული და ცნობილი, არ შეიძლება შეფასდეს როგორც დიდების კონსტრუქციული სურვილი (დ. ლეონტიევის ტერმინი), ანუ რაღაცით ამაღლდე სხვებზე, შექმნა რაიმე უნიკალური, ჩაიდინო გმირობა, დაამყარო რეკორდი. თუმცა, ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ცნებამ „დიდება" დაკარგა თავისი საყრდენი კომპონენტები თანამედროვე ცნობიერებაში. მაგრამ, ზემოთჩამოთვლილ ცნებათა გააქტიურება მოწმობს „დიდების" კონცეპტუალიზებულ ზონაში მიმდინარე ცოცხალ პროცესებზე. სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების საფუძველზე შევეცდებით, ჩამოვაყალიბოთ ამ პროცესების სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები, რომელსაც ეთმობა კვლევის მომდევნო პარაგრაფი. მოცემული ანალიზი ასევე ადასტურებს წინამდებარე კვლევის პირველ თავში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კონცეპტი „დიდება" არის. **არაპარამეტრული ურთიერთობის წრებრუნვის რეგულატიური კონცეპტი.**

ამ მიმოხილვამ, რომელიც არაფრით აცხადებს პრეტენზიას იყოს ამომწურავი კულტუროლოგიური აღწერა, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ცნებათა კავშირის ის კვანძები, რომლებიც ისტორიულად არიან ამოქმედებული ცნება „დიდების" კონცეპტუალიზაციაში და, შესაბამისად, ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად უნდა აისახებოდნენ გასაანალიზებელი ლინგვოკულტურების ენობრივ ერთეულებში. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდების ფენომენის კონცეპტუალიზაცია არის პროცესი, რომელიც დამოკიდებულია საზოგადოებაში დომინირებულ რელიგიურ და მორალურ-ეთიკურ განწყობებზე. მოყვანილი ანალიზი ასევე წარმოადგენს საფუძველს, დავუშვათ, რომ კონცეპტი «слава» სამყაროს სურათის ბირთვული, საბაზისო ერთეულია, რომლსაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა.

## II.2. დიდების მოპოვების სურვილი სოციო-ფსიქოლოგიურ ასპექტში

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ალფრედ ადლერი ადამიანს განიხილავდა საზოგადოებრივი კავშირების კონტექსტში, რადგან მას, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ არსებად თვლიდა. ადამიანს არ ძალუძს საკუთარი თავისათვის ზიანის მიუყენებლად სხვებისგან განცალკევებით ცხოვრება, რასაც მას უქადის სხვებზე ამაღლების სურვილი. უპირატესობისკენ მიდრეკილებას, რომელიც ვლინდება საგნებისა და სივრცის მოპოვებისაკენ ლტოლვაში, ადლერი მიიჩნევდა ადამიანის ქცევის მთავარ მამოძრავებელ ძალად (Адлер 2007).

სახელგანთქმულობა, ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის ლ. ე. გრინინის განმარტებით, არის ინფორმაცია ადამიანის (ჯგუფის, ობიექტის) შესახებ, რომელიც მას გამოყოფს ანალოგიური პროფესიული და/ან სოციალური თვისებების მქონე ადამიანებისაგან (ჯგუფებისაგან, ობიექტებისაგან) მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით (Гринин 2010а). მისი შეხედულებით, სახელი (известность, fame) დიდების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, დიდება პიროვნული სახელგანთქმულობის უმაღლეს ხარისხად შეიძლება განვიხილოთ. სახელი, დიდება როგორც რესურსი განსხვავდება მატერიალური რესურსისგან. თუ ქონება, ტიტული ან ძალა-უფლება შეიძლება სხვას გადაეცეს, დიდი მეცნიერის, მწერლის ან მსახიობის დიდება შეუძლებელია ვინმეს მემკვიდრეობით ერგოს, ის მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას ეკუთვნის (თუმცა ნათესავებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი წინაპრის სახელით).

მეორე მხრივ, სახელის განთქმა არა მხოლოდ დადებითი, არამედ უკადრისი თვისებებითაც არის შესაძლებელი, რასაც ადასტურებს ისტორიულად არსებული და ენობრივი ცნობიერებით გააზრებული კოლოკაციები, როგორიცაა «дурная слава», «черная слава», «худая слава», «слава Герострата» (რუსულში) „ill fame", "dishonour", „disrepute", become notorious (for), „set the Themes on fire" (ინგლისურში). ჰეროსტრატე, რომელმაც ისტორიაში მოხვედრის სურვილით გადაწვა ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი – არტემიდეს ტაძარი ეფესოში, მართლაც დამკვიდრდა ისტორიაში და კაცობრიობის მეხსიერებაში. ნებისმიერი საშუალებით სახელის მოხვეჭის თანამედროვე მაგალითებია ტერორისტთა სახელგანთქმულობა და ჯონ ლენონის მკვლელობა, რომელიც, საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით, „სიგიჟეა". სამწუხაროდ, ასეთი საბედისწერო ქმედებების ნუსხა საკმაოდ გრძელია.

ადამიანისათვის ფენომენ დიდებაში აგრეთვე მნიშვნელოვანია მოხვეჭილი სახელით მიღებული პატივი, კეთილდღეობა, სიმდიდრე. თანამედროვე ცნობილი მსახიობების, სპორტსმენების, მომღერლების შემოსავალი და პრესტიჟი უაღრესად განსხვავდება მათი უცნობი, ნაკლებად წარმატებული კოლეგების ქონებისა და პოპულარობისაგან. შესაბამისად, განსაკუთრებულად მიმზიდველი ხდება შოუ ბიზნესისა და სპორტული ვარსკვლავის კარიერა. უკვე XX საუკუნის 50-იან წლებში ჩ. რ. მილსმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ყალიბდებოდა ახალი სოციალური ფენა, რომლის კაპიტალსაც შეადგენდა სახელგანთქმულობა. მან ზუსტად და ამომწურავად დაახასიათა „პროფესიული ცნობილი სახეები" ("The professional celebrities") როგორც სოციალური ჯგუფი (Миллс 1959, 112–127; Mills 2000 [1956]:71–93). თანამედროვე საზოგადოებაში სახელგანთქმული ადამიანები ქმნიან ელიტურ ფენას და თავიანთი გლამურული ცხოვრების წესით, სიმდიდრით, გავლენით მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ საზოგადოების განვითარებას. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ლ. ბრაუდის გამონათქვამს მისი ინტერვიუდან: "Fame, which used to be connected to honor, and bestowed by achievement, has now become so separated from either that it exists in a category of its own, frequently valueless and often unrelated to anything resembling actual accomplishment" (Braudy 2005) (207).

აღსანიშნავია, რომ დიდებას ისევე, როგორც ძალა-უფლებას ან სიმდიდრეს, შეუძლია წარმოაჩინოს პიროვნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რეპუტაციისა და მოპოვებული დამსახურების შენარჩუნების აუცილებლობა სტიმულია ადამიანის საუკეთესო მხარეების გამოსავლენად. ამასთანავე, სახელი და პოპულარობა ხშირად უარესობისაკენ ცვლის პიროვნებას. პოპულარობით თავბრუდახვეული ადამიანი კაპრიზული, ფიცხი, თავის თავზე შეყვარებული ხდება. ზოგჯერ იმდენად დიდია დიდების მოპოვების, აღიარების ცდუნება, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვერ განსაზღვრავს იმ ჭეშმარიტ ღირებულებებსა და თავის პიროვნულ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაციაც მას დამსახურებულად მოუხვეჭს სახელს. ამის ნაცვლად ის ყველა გზით ცდილობს თავი დაამახსოვროს საზოგადოებას და, შესაბამისად, პოპულარობას გამოეკიდოს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძალიან ხანმოკლეა. მეტიც, მას არაფერი აქვს საერთო საზოგადოების ინტერესებსა და მისი მატერიალური თუ სულიერი სრულყოფისათვის სასიკეთო ქმედებებთან.

დიდება, სახელი, პოპულარობა იმდენად მრავალმხრივი მოვლენაა, რომ ის უდავოდ უკავშირდება ემოციურ აღქმას და ემოციურ ექსპლიკაციას. ამ ფენომენის ბუნებიდან გამომდინარე, ეს ემოციები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და არაერთგვაროვანია. აღტაცება, ძლიერი და ჭეშმარიტი გრძნობა, ღრმესი პატივისცემა, მოწიწება და სიძულვილი, თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა, შური და თავდადება მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე საზოგადოების მიერ დიდების გაგებას და მონაწილეობს საზოგადოებისა და პიროვნების მორალურ-ზნეობრივ ფორმირებაში.

აქვე აღსანიშნავია საზოგადოების წევრთა სურვილი, ახლოს იყოს ცნობილ და ავტორიტეტულ პიროვნებასთან, რაც თითქოსდა მოწმობს მათ ღირსებებზე. ნებისმიერ საზოგადოებაში თვალსაჩინო პიროვნებასთან სიახლოვე ამაღლებს თვითშეფასებას. ასეთი ურთიერთობა ერთგვარ მიღწევად ითვლება, რადგან ხაზს უსვამს დაახლოებული პირის გარკვეული პიროვნული თვისებებისა და მონაცემების არსებობას. მაგალითად, ყოველთვის საამაყოა, როდესაც ადამიანს ეძლევა საშუალება იყოს გამოჩენილი მეცნიერის ან შემოქმედის მოწაფე. აღფრთოვანებას იწვევს პოპულარულ ადამიანთან ერთხელ და მოულოდნელად შეხვედრაც. გავიხსენოთ, როგორ მოზღვავებულ ემოციებთან გვაქვს საქმე, როდესაც თაყვანისმცემლები თავიანთი კერპის ავტოგრაფს მოიპოვებენ. ამგვარ მოვლენას გრინინი უწოდებს „თვისებების გადატანის პრინციპს" („принцип переноса качеств") (იხ.: Гринин 2010а; Гринин, Коротаев 2009). მეცნიერების განმარტებით, განსაკუთრებული ღირსების მქონე პიროვნებასთან შეხების სხვადასხვა ფორმათაგან (სწავლება, პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტები, საიდუმლო ორგანიზაციის წევრად მიღება, რაიმე სახის მაგიური ქმედება, ზოგჯერ ყიდვა-გაყიდვაც) ყველაზე უფრო ბუნებრივი ყოველთვის იყო ნათესაური კავშირები, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობდა ხასიათის ბევრი თვისების გენეტიკურად გადაცემაც. ეს ქმნიდა საფუძველს გვაროვნული, ნათესაობრივი თუ სხვა ტიპის ჯგუფების წარმომადგენლებს გასჩენოდათ განსაკუთრებული სტატუსი. რაც უფრო ახლოს იყო ვინმე გამოჩენილ პიროვნებასთან, მით უფრო შეეძლო მას ჰქონოდა პრეტენზია, რომ ფლობდა განსაკუთრებულ ღირსებებს და, შესაბამისად, განსაკუთრებულ სტატუსს საზოგადოებაში. ჩვენს დროში ამას შეიძლება დაემატოს გამდიდრების შესაძლებლობაც, თუ გავიხსენებთ, როგორი პოპულარობით სარგებლობს

მემუარები ცნობილ ადამიანთა შესახებ და რა დივიდენდები მოაქვთ მათ ავტორებისათვის.

რადგან დიდება აუცილებლად უკავშირდება კონკრეტულ პიროვნებას და, ამასთანავე ის წარმოადგენს მთელი რიგი სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების რთულ ნაზავს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დიდებისკენ სწრაფვისა და მისი მოპოვების სურვილის განმაპირობებელი განწყობები და პიროვნების მიერ ქცევის გარკვეული მოდელის არჩევის მიზეზები:

1. ნებისმიერი ხერხით სხვა ადამიანებისაგან გამორჩევის სურვილი;
2. საზოგადოების მხრიდან პატივისცემის დამსახურების სურვილი;
3. მოთხოვნილება, ჰქონდეს ნათელი და ღირსეული ცხოვრებისეული მიზანი;
4. თვითშეფასების ამაღლებისა და საკუთარი ღირსების განცდის საშუალება;
5. გარშემო მყოფებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
6. მისაბაძი მაგალითის არსებობის აუცილებლობა.

როდესაც დიდების ფენომენზე ამ რაკურსში ვსაუბრობთ, პიროვნების მისწრაფებების პარალელურად გასათვალისწინებელია, თუ რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოების როგორც პოპულარული ადამიანის შემფასებლის პოზიციას. ამ საკითხის შესახებ მწირი სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების მიუხედავად, იკვეთება რამდენიმე აქსიოლოგიური ფაქტორი. პირველი: ადამიანმა, რომელიც ზნეობრივი განვითარების დონისა და მისგან გამომდინარე ქმედებისა და ზოგადად ქცევის მაქსიმუმს აღწევს, შეიძლება საზოგადოების მხრიდან ვერ დაიმსახუროს სათანადო ყურადღება და ვერ გაითქვას სახელი იმის გამო, რომ მისი საქმიანობა მიიჩნევა როგორც კონკრეტული სოციალური წრის ნორმა. შესაბამისად, ის ვერ იწვევს პოპულარობისათვის დამახასიათებელ დადებით ემოციურ აჟიოტაჟს.

მეორე: ჭეშმარიტად გამორჩეულ, თვალსაჩინო, დადგენილი ნორმებისაგან თავისუფალ პიროვნებას სახელი, დიდება, პოპულარობა წილად არ ხვდება იმ მიზეზით, რომ მისი ქმედება ხორციელდება განსხვავებული ღირებულებებისა და ზნეობრივი ორიენტაციის მქონე საზოგადოებრივ წრეში. მაგალითისათვის გავიხსენოთ სტენკა რაზინი და რობინ ჰუდი, რომელთა პოპულარობა და პირიქით, სიძულვილი მკვეთრად განაპირობა იმ სოციალური ჯგუფების განსხვავებულმა ღირებულებებმა, რომელთა შორის და რომელთა

წინააღმდეგაც მიმართული იყო მათი ქმედება. მათ წილად ხვდათ, ერთი მხრივ, ყაჩაღის და, მეორე მხრივ, სახალხო გმირის სახელები.

მესამე: პიროვნებას, გამორჩეულს დიდი პროფესიონალიზმით, გაწეული ღვაწლის მიუხედავად მისი თანამედროვენი ვერ აფასებენ ან საერთოდ ვერ აღიქვამენ როგორც ჭკუათმყოფელს. მისი საქმიანობის მნიშვნელობას მხოლოდ მომდევნო თაობები თუ მიაგებენ სათანადო პატივს.

მეოთხე: თავისი შესაძლებლობებისა და განვითარების ზენიტში მყოფი პიროვნება, რომლის წვლილიც ცხოვრებისეული ღირებულებებისა და კულტურის საქმეში მოიპოვებს საზოგადოების აღიარებას და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე და მომავალ თაობებში (ლევ ტოლსტოი, ბერნარდ შო).

მეხუთე: ადამიანი, რომელსაც ჯერ არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, მაგრამ უკვე სარგებლობს წარმოუდგენელი წარმატებითა და პოპულარობით. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ახალგაზრდა სპორტსმენებსა და შოუ ბიზნესის წარმომადგენლებში. უმეტეს შემთხვევაში მათი წარმატება ხანმოკლეა, ხოლო ნიჭისა და ტალანტის სრულად გამოვლენასა და გამოყენებას ვერ ახერხებენ. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მათი პოპულარობა არც იკლებს. აშკარაა, რომ პიროვნების შესაძლებლობები, მოტივაცია, მიზანდასახულება და აქედან გამომდინარე სათანადო ქმედებები ყოველთვის არ წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასების, ამ შემთხვევაში აღიარებისა და პოპულარობის, გადამწყვეტ ფაქტორს.

ეს პრობლემა შეიძლება ერთგვარად აიხსნას ე.წ სახელგანთქმულობის კომერციალიზაციით, საზოგადოების წევრთა სხვადასხვა ჯგუფებად და მიმდინარეობებად დაყოფით, შეფასების გართულებით. თანამედროვე პირობებში შეიძლება ვისაუბროთ ცნობილი ადამიანების შექმნის ბიზნეს-ტექნოლოგიაზე, დიდების მოპოვებისათვის აუცილებელი დამსახურების კომპონენტის შემცირებაზე, ასევე – დიდების „მინიჭებისას" შუამავალთა მნიშვნელობის გაზრდაზე. ამ კუთხით, მეოცე საუკუნეში ორი საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნეოდა: ერთის მხრივ, შემფასებელთა მაღალი კვალიფიკაციისა და შეჯიბრებითობის სხვადასხვა ფორმების განვითარებიდან (სპეციალური კონკურსები, ნომინაციები, პრემიები) გამომდინარე ობიექტურობა, მეორე მხრივ კი, ადამიანის დამსახურებისა და ღირებულებების განსაზღვრის პროცესში შუამავალთა მხრიდან სუბიექტურობის, მიკერძოებულობის, პირადი დაინტერესების, ანგაჟირებულობის, რეალური დიდების პირდაპირი

ფალსიფიკაციის როლის გაზრდა. ამასთან ერთად, დგება ინფორმაციის გამავრცელებელთა ქმედების ეთიკურობის საკითხიც. ბევრი ჟურნალისტი საკუთარი რეიტინგისა და პოპულარობისათვის უკან არ იხევს საქვეყნოდ გამოიტანოს ადამიანის მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია ან, სულაც ჭორი ისე, რომ არც დაფიქრდეს მოსალოდნელ შედეგზე. ამის გამო ზოგჯერ დაუფიქრებელ ფრაზა ან უბოროტო შეცდომა საყოველთაოდ ცნობილი ხდება, მაგრამ ინციდენტის გმირისათვის მას, აღიარების ნაცვლად, დაცინვა და სირცხვილი მოაქვს. ასეთი არასასურველი დიდების მაგალითები უხვად მოიძებნება სოციალურ ქსელებში და ხშირად საბედისწერო გავლენას ახდენენ ყბადაღებული ისტორიის გმირის შემდგომ ცხოვრებაზე.

უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებს მხოლოდ ინტერნეტი არ ქმნის. მასობრივი კომუნიკაცია უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამდეც აჯილდოვებდა შემთხვევითი პოპულარობით ჩვეულებრივ ადამიანებს (არავის დაავიწყდება 1986 წლის 17 ივლისს სსრკ და აშშ პირველი ტელეხიდი ისტორიაში შევიდა შემთხვევით წამოსროლილი ფრაზით «В СССР секса нет»). საზოგადოებაში ამგვარი პოპულარობის მიზეზი შეიძლება იყოს მასობრივი ცნობიერების თვისებები – კონკრეტული ფაქტი დააფიქსიროს როგორც ქცევის ან აზრის ზოგადი ნიმუში და როგორც კოლექტიური დაცინვის საგანი.

რაც შეეხება პიროვნებაზე საკუთარი პოპულარობის ზეგავლენას, როგორც ა. ა. ბოდოლიოვი მიიჩნევს, ის განსხვავებულია, რადგან დამოკიდებულია ცნობილი ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე – დამოუკიდებლობის ხარისხზე, ობიექტურ თვითშეფასებაზე, ცნობიერებაში საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების განსაზღვრაზე, თვითშემეცნებაზე, სამოქმედო გეგმის არჩევანზე, ემოციურ მდგრადობაზე, ა.შ. მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „он реагирует на эту популярность как: 1) на стимул еще более ответственного отношения к делу, которому он служит, и еще большей работы над собой и достижения более высокого уровня в своем личностном и профессиональном самоопределении/…/, установку на созидание, на творчество для своего народа, для Отечества, для человечества; 2) как на сигнал к самоуспокоенности и «почивания на лаврах», /…/ на внешний успех, на карьеру, на престижное положение, поэтому в них глубоко сидит потребность производить нужное им впечатление на окружающих, «втирать людям очки» по поводу своей личной и профессиональной значительности при фактическом отсутствии таковых.; 3) как на признание его исключительности и

превосходства над другими и дозволенность ему в поступках и деяниях того, что не разрешается всем остальным, /…/ все успехи относят только к своим «необыкновенным талантам», говоря фигурально, теряют голову и «заболевают» всем известной «звездной болезнью»” (Бодалев 1998) (183).

ასეთი განსხვავებული რეაგირების მიზეზს მეცნიერი ხედავს ადამიანის ქცევის, ქმედების, დასახული მიზნების მოტივაციაში, რომლის სიღრმეშიც აისახება ამ კონკრეტული ადამიანის სოციალური ჯგუფის ღირებულებითი ორიენტაცია. მოტივაცია განაპირობებს ადამიანთა რეაქციას პოპულარობის დაკარგვაზეც. საქმისათვის თავგადადებული პიროვნებები დაუღალავად აგრძელებენ შემოქმედებით პროცესს ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. პატივმოყვარეები ცდილობენ თავიდან შეუდგნენ დიდებისაკენ მიმავალ გზას, მაგრამ არასაკმარისი პროფესიონალიზმისა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გამო მათი მცდელობა უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელია. რაც შეეხება „ვარსკვლავური სენით” შეპყრობილებს, მათთვის პოპულარობა ნაკოტიკივით არის და, შესაბამისად, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საზიანოა. თუ დიდების დაბრუნების მცდელობა უშედეგოა, ისინი ადვილად ყრიან ფარ-ხმალს, მაგრამ მარცხს ვერ უმკლავდებიან და აშკარად დეგრადირდებიან როგორც პიროვნულად, ისე პროფესიონალურად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ფსიქოლოგიური კვლევა აღიარებს, წარმატების მიღწევით გამოწვეული განცდის კეთილისმყოფელ გავლენას პიროვნებაზე. მატულობს მისი თვითშეფასების დონე, საკუთარი თავისა და ძალების რწმენა და სურვილი, შემდგომი ქმედებით აქტიურად გამოავლინოს თავი იმ სფეროში, რომელშიც წარმატებას მიაღწია. მომდევნო წარმატებებისათვის ძალისხმევის დამატებითი სტიმულია ავტორიტეტული ან მისდამი დადებითად განწყობილი ადამიანების მხრიდან პიროვნების მიღწევების აღიარება.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიყვანოთ დიდების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები: 1. სახელგანთქმული და ცნობილი ადამიანები იმსახურებენ საზოგადოების აღტაცებას და პატივისცემას; 2. დიდება არის რაიმე სახის მოღვაწეობის, ქცევის დადებითი შეფასების ფორმა, რომელსაც ავტორიტეტისა და პატივისცემისაგან განსხვავებით უფრო მტკიცედ დადგენილი კრიტერიუმები გააჩნია; 3. დიდება ასევე არის რაიმე სახის ქმედების, საქმიანობის პროდუქტის შეფასების ფორმა. დიდების მოპოვება მაშინვე ჰმატებს განსაკუთრებულ წონას სახელოვანი

პიროვნების მიერ ნათქვამ სიტყვასა და შესრულებულ საქმეს; 4. კონკურენცია დიდების მოპოვებისათვის საშუალებას იძლევა, ადამიანები მეტი ყურადღებით მოეკიდნონ საზოგადოებისათვის საჭირო ქმედების მოტივს; 5. დიდება კარგი ფსიქოლოგიური ინსტრუმენტია, წაახალისოს ადამიანები ემსახურონ საზოგადოების საერთო ინტერესებს; 6. დიდება ერთ-ერთი კარგი საშუალებაა იმისა, რომ ცხოვრება უფრო საინტრესო და სისხლსავსე გახდეს; 7. სახელმწიფოებრივ დონეზე სახელგანთქმული ადამიანები ეროვნული სიამაყის სიმბოლოებად გვევლინებიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდება, პოპულარობა, სახეგანთქმულობა მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების მხრიდან პიროვნების საქმიანობის შეფასებას. ამიტომ, რაც უფრო დიდია წარმატებულ ადამიანზე ინფორმაციის გავრცელების არეალი, მით მეტია მისი დიდებაც. ყოველთვის არსებობდა „ოცნების მანქანა" (Joshua Gamson 1994), რომელიც კაცობრიობის განვითარებასა და საზოგადოების პროგრესთან ერთად იცვლებოდა. უძველეს დროში გამოჩენილი პიროვნებებისა და მონარქთა სადიდებლად იგებოდა მონუმენტები, ყორღანები, პირამიდები. ასეთი მატერიალური მემორიალებით მხოლოდ არისტოკრატიას შეეძლო სახელის უკვდავყოფა. აქვე გავიხსენოთ, რომ ძველ ბერძნულში „არისტოკრატია" შეიცავს ორ ძირს: αριστενζ – საუკეთესო და κρατοζ – ძალა-უფლება. შესაბამისად, არისტოკრატია არის საუკეთესოთა ძალა-უფლება.

გამოჩენილ ადამიანებზე ინფორმაციის გავრცელებისა და დამაგრების უფრო დემოკრატიული და მასობრივი ფორმა იყო ზეპირმეტყველება. ხოლო შემდგომში – დამწერლობა. უფრო გვიან ბეჭდური სიტყვის განვითარებამ სახელის განთქმის მეტი შესაძლებლობა მისცა ინტელექტუალურ ელიტას: ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ჟურნალისტებს, რადგან შესაძლებელი გახდა წიგნების მასობრივი გამოცემა, ნოტების, რეპროდუქციებისა და გრავიურების დაბეჭდვა. ამ დარგის კომერციალიზაციამ წინა პლანზე წამოსწია ჟურნალისტებისა და რეპორტიორების საქმიანობის მნიშვნელობა, გიგანტურად გაიზარდა აუდიტორია. კიდევ უფრო გაფართოვდა არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების არეალი, არამედ ისეთი ადამიანების პოპულარიზაციასაც შეეწყო ხელი, რომლებსაც მანამადე შეიძლება ვერც მიექციათ ხალხის ყურადღება. პრესამ დიდება და სახელგანთქმულობა თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა, მაგრამ ამასთანავე ხელი შეუწყო მის გაუფასურებას, პროფანაციასა და

ფალსიფიკაციას. ცნობილ ადამიანთა ფენის გაზრდის მიზეზები, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, შოუ ბიზნესის, გასართობი, სარეკლამო, სამოდელო, ახალი ამბებისა და ამ ტიპის სხვა საქმიანობების შესაძლებლობებისა და მნიშვნელობის გაზრდასთან. მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ახალი ტექნიკური საშუალებების (რადიო, კინო, ტელევიზია, ინფორმაციული ტექნოლოგიები) განვითარებასთან ერთად ცნობილი ადამიანების რიცხვი სულ უფრო მატულობს. ინტერნეტმა კი წარმოშვა დიდების მოსურნე ადამიანთა ახალი ჯგუფები.

დღეს ცნობილი ადამიანები წარმოადგენენ საინფორმაციო-გასართობი სისტემის აუცილებელ და ორგანულ ნაწილს. აქედან მომდინარეობს მათი პრესტიჟი, გლამური, მაღალი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ დიდებით შემკული, სახელგანთქმული პიროვნება ისტორიულად ხშირ შემთხვევაში მატერიალური კეთილდღეობითაც იყო უზრუნველყოფილი, ინდუსტრიალიზაციამდელ ეპოქაში სახელის მოხვეჭით საარსებო სახსრების მოპოვება ძალიან ცოტას თუ შეეძლო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად საკუთარ პოპულარობაზე მატერიალურად დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი გაიზარდა. დიდება ყოველთვის მოიაზრებდა მორალური და მატერიალური სტიმულების ერთობლიობას. მაგრამ, თუ ადრე დიდების მორალური მხარე მატერიალურზე ერთგვარად დომინირებდა, ამჟამად მატერიალური ფაქტორები სულ უფრო სჭარბობს მორალურ სტიმულებს. ამიტომ, ახლა დიდება თითქმის წარმოუდგენელია მდიდრული ანაზღაურების გარეშე. ვფიქრობთ, ბევრ შემთხვევაში მატერიალური სახსრები, სიმდიდრე ასევე აუცილებელი ფაქტორია დიდებისკენ მიმავალ გზაზე წარმატებული სვლისათვის.

დიდების კომერციალიზაციას მთელი რიგი დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი დიდება ორმაგი ბუნებისაა. ერთი მხრივ, ის აღიქმება როგორც გმირობის, მნიშვნელოვანი მიღწევის შედეგი, მეორე მხრივ კი პატივისა და მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების ერთგვარი ცდუნებაა. ამის გამო დიდების გაგება თანამედროვე საზოგადოებაში ისე გაუფასურდა, რომ ე. წ. „წესიერი ადამიანების" წრეში მისკენ სწრაფვაც კი ხშირ შემთხვევაში სათაკილოდ ითვლება. მაგალითისათვის ვიხსენებთ, თუ რას წერდა ანა ახმატოვა ბორის პასტერნაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: *«Здесь всё принадлежит тебе по праву./ Висят кругом дремучие дожди,/ Отдай другим **игрушку мира – Славу**,/ Иди домой и ничего не*

*жди»* (გამოკვეთა ჩვენია – დ.რ.). Эти афористические слова созвучны знаменитым пушкинским строкам: *«Что слава?* ***Яркая заплата/ на ветхом рубище певца***.*»* (გამოკვეთა ჩვენია – დ.რ.).

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, სახელი დიდების გარკვეული და განუყოფელი შემადგენელია. შეუძლებელია, მოიპოვო დიდება და არ მოიხვეჭო სახელი. მეორე მხრივ, შეიძლება მოიხვეჭო სახელი, მაგრამ ვერ მოიპოვო დიდება. «Бывают заслуги без почестей, но не бывает почести без какой-нибудь заслуги» (ფრანსუა ლაროშფუკო, ციტ.: Лавренова 2008, 123). ამიტომაც არსებობს კეთილი სახელი და ცუდი სახელი, ჭეშმარიტი დიდება და ფუჭი დიდება. მაგრამ ადამიანისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჭეშმარიტი დიდებისა და კეთილი სახელის მოპოვება, სახელის გატეხვასა და ფუჭ დიდებას კი უმეტეს შემთხვევაში გაურბოდა «Лучше не иметь славы, чем иметь ложную славу» (ფრანჩესკო პეტრარკა, ციტ.: იქვე). თანამედროვე საზოგადოებაში დამოკიდებულება არსებითად იცვლება. დიდება უკანა პლანზე იწევს და ადგილს უთმობს სახელგანთქმულობას. როგორც ჩანს, სწორედ პოპულარობა და ცნობადობა შეიძლება გადააქციოს ადამიანმა შემოსავლის წყაროდ.

რაც უფრო ძლიერად უკავშირდება ერთმანეთს სახელი და მატერიალური კეთილდღეობა, მით უფრო აქტიურად ხდებიან ცნობილი ადამიანები ბიზნეს-ტექნოლოგიების მანქანის ნაწილი. პოპულარობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად მიმდინარეობს მასობრივი რეკლამირება, შეხედულებების აუდიტორიისათვის თავსმოხვევა, აჟიტირება, რეალური თუ გამოგონილი სკანდალების, ჭორების, ინტიმური ცხოვრების პიკანტური დეტალების აფიშირება, ბოჰემური და თავაშვებული მიდრეკილებების გამომზეურება და ამ მიდრეკილებებით თავმომწონეობა. ადამიანების ყურადღების მიპყრობისათვის კონკურენცია იმდენად დიდია, რომ იზრდება ეპატაჟის ხარისხიც. თითქოს ახალ ელფერს იძენს საუკუნეების წინ ფ. ლაროშფუკოს გამოთქმული ერთ-ერთი მაქსიმა: «иные недостатки, если ими умело пользоваться, сверкают ярче любых достоинств» (ფრანსუა ლაროშფუკო, ციტ.: Комарова, Кондрашов 1998, 365).

ყოველივე ზემოთ თქმულის შედეგად კი, მცირდება პროფესიონალიზმის, ტალანტის, საზოგადოების მიმართ ღვაწლისათვის დამსახურებული აღიარება და ღირსეული სახელი ადგილს უთმობს ინფორმაციულ ცნობადობას, გარეგნულ მიმზიდველობას. შესაბამისად, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებს შორის იზრდება ნაკლებად ნიჭიერი, საშუალო,

მდარე გემოვნების ინდივიდების რიცხვი, ხოლო ნიჭიერი და საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის მსურველთა რაოდენობა მცირდება. ხდება დიდების როგორც ჭეშმარიტი ღირებულებების შეფასების კრიტერიუმის დაკნინება. მას თანდათან ენაცვლება შინაარსობრივად და თვისობრივად განსხვავებული პოპულარობის, ცნობადობისა და სახელგანთქმულობის გაგება. იცვლება სახელგანთქმულობის ფორმები და სახელის მოხვეჭის საშუალებები. შესაბამისად, იცვლება დამოკიდებულება ცნობილი ადამიანების მიმართ.

ამგვარად, თანამედროვე საზოგადოებაში დიდების აღქმის ფსიქოლოგია, რომლის მიხედვითაც „ვარსკვლავისათვის" ყველაფერი ნებადართულია, საქვეყნო სკანდალები და უწესობა ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია, გლამურულ-ბოჰემური ცხოვრების წესი და მორალი საოცნებო და მისაბაძია, ღირებულებების გაუფასურებით საზოგადოებას აყენებს ზნეობრივი ორიენტირების დაკარგვის პრობლემის წინაშე. თანამედროვე ადამიანს „დიდება სიცოცხლის წილ" შეუსაბამოდ მიაჩნია. ბევრისათვის დიდება და ცნობილობა, მიუხედავად ამ ცნებების აშკარა ძირეული არაერთგვაროვნებისა, პრაქტიკულად სინონიმებია. ამერიკელი სოციოლოგის ფ. დ. მარშალის შეხედულებით, ვარსკვლავები წარმოადგენენ არა მხოლოდ წარმატების გამოხატულებას, არამედ ყალბი ღირებულებების უკიდურეს წარმონაქმნს. ცნობილი სახე და ძალა-უფლება წარმართავს დემოკრატიული კულტურის განვითარებას და მასების ახალი ინტერესები წინ წამოსწევს ისეთ ფიგურებს, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხალხის ნაწილი, რომლებსაც ამავე დროს ინდივიდებს უწოდებენ. როგორც ასეთი, ისინი გვევლინებიან თვით-დიფერენციაციის ნიმუშად, რომელიც გვაახლოვებს ეკონომიკასთან, სადაც მოხმარება ითვლება ინდივიდუალიზმისა და პიროვნულობის დამადასტურებელ ნიშნად (Marshall 1997).

ფენომენ დიდების ევოლუცია განსაზღვრავს ზოგიერთ კანონზომიერებას, როდესაც დიდების-სახელგანთქმულობის როგორც სოციალური მარკერის როლი საზოგადოებაში იზრდება, ხოლო ამ როლის შემცირებისას უჩვენებს, თუ როგორ იცვლება დიდებისადმი დამოკიდებულება ისტორიულად და რა სახეს იღებს თანამედროვეობაში. რაც უფრო სუსტია საზოგადოების სოციალური რანჟირება, მით უფრო დიდ სოციალურ როლს ასრულებს დიდება; დიდების მოპოვების მოტივაციის გაძლიერება შესაძლებელია სპეციალური აღზრდის, განსაკუთრებული წესებისა და ტრადიციების საშუალებით; ასკეტიზმის განდიდება და მკაცრი საეკლესიო დისციპლინა ხელს

უწყობდა დიდების მოპოვებისაკენ სასულიერო პირთა სწრაფვას შუა საუკუნეებში; დიდების, სიმდიდრის და სხვა რესურსების ურთიერთკავშირის გაძლიერება მდიდარ საზოგადოებაში მატერიალური ჯილდოს საშუალებას იძლევა, რაც ზრდის მისწრაფებას დიდების მოპოვებით მიიღონ უფრო და უფრო მეტი საარსებო სახსრები; იზრდება დიდების საშუალებით სხვა რესურსების (ძალა-უფლების, თანამდებობის, პრივილეგიების, მაღალი სოციალური მდგომარეობის) მოპოვების შესაძლებლობა; ურბანულ საზოგადოებაში დიდების როლი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე აგრარულ საზოგადოებაში დიდი კონცენტრაციის, ადამიანებს შორის მჭიდრო ურთიერთობის, უფრო მრავალფაროვანი ცხოვრებისა და კულტურის მაღალი დონის გამო; დიდების როლი დიდია საზოგადოებაში, სადაც მეტად ფასობს თვისებები, რომლებიც ახასიათებს პიროვნებას და არა სტატუსს. ომი, სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება, სხვა ინტელექტუალური საქმიანობისათვის თანაბარ პირობებში წარმატების მისაღწევად ძლიერდება კონკურენცია ნიჭიერ ადამიანებში, რაც მათი შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს.

მოსალოდნელია, რომ ფენომენ „დიდების", როგორც ერთ-ერთი საკვანძო ცნების, ათვისების ყველა განხილული რაკურსი უნდა აისახებოდეს კონკრეტული ცნობიერებისა და კულტურის მატარებელი ერის მიერ აგებულ სამყაროს ენობრივ სურათში. უნივერსალურისა და ნაციონალურად მარკირებული ფაქტორების გამოვლენისა და, ასევე, კონცეპტის სტრუქტურის მოდელირების მიზნით კვლევაში შემოგვაქვს ცნება „კულტურული ეპისტემა". მოცემული კვლევის კონტექსტში ეპისტემა გაიგება როგორც „შემეცნებითი ველი", რომელშიც ფიქსირდება და ინტერპრეტირდება სამყაროსა და მისი რეალიების წარმოდგენისა და გაგების ხერხი.

## II.3. ცნების „დიდება” კულტურული ეპისტემა როგორც ცნების კონცეპტუალიზაციის პროცესის დინამიკის ანარეკლი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონცეპტი წარმოადგენს დინამიკურ წარმონაქმნს, რომელშიც აისახება ცნების ათვისების სხვადასხვა ისტორიული ეტაპი. ცნების აზრობრივი დატვირთვა დამოკიდებულია ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში გაბატონებულ ნორმებზე, იდეალებსა და აქსიოლოგიურ განწყობებზე. ჩვენ ამოვდივართ ლინგვოკულტურული კვლევების მოცემულობიდან, რომელიც აღიარებს, რომ შემეცნების პროცესში ადამიანის აზრი განიცდის ევოლუციას პირველადიდან აბსტრაქტულისაკენ, ქმნის რა სულ უფრო რთულ აზრობრივ ინტერპრეტაციულ სტრუქტურებს.

ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა მდიდარი ექსტრალინგვისტური მასალა, როგორც ამას მოითხოვს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა: ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ბუნების, ფუნქციისა და გენეზისის შეცნობა შეუძლებელია მომიჯნავე მეცნიერებების მონაცემებისა და მეთოდების მოხმობის გარეშე (ამ შემთხვევაში ეს გახლავთ, კულტურის ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია), რომლენიც ერთმანეთს დამატებითი ინფორმაციით ავსებენ. მიღებული მასალა საფუძველს გვაძლევს, გამოვიყვანოთ პირობითი საბაზო მოდელები ფენომენ „დიდების” გააზრების პროცესში – ანტიკური ხანიდან მის თანამედროვე გაგებამდე.

ჩვენს მიერ პირობითად გამოყოფილი საბაზო მოდელები თავმოყრილია კულტურულ ეპისტემაში „დიდება”, რომლის მატარებელიც არის პირობითი ენობრივი პიროვნება. ლინგვოკულტურული კონცეპტის ანალიზის ჩვენეული მიდგომის თანახმად, კონცეპტუალიზაციის ეს მოდელები გავლენას ახდენენ ცნებასთან „დიდება” დაკავშირებულ ცნობიერების ხატებსა და მათ ენობრივ ექსპლიკაციაზე. ჩვენ ასევე ამოვდივართ აზრიდან, რომ ადამიანის ცნობიერება სინკრეტულია. ამიტომ ვუშვებთ, რომ ცნობიერებაში არსებული მოდელები, რომელსაც ახალი წარმონაქმნები ავიწროვებს, მთლიანად არასოდეს ქრება. მათ შეიძლება გადაინაცვლონ პერიფერიულ ზონებში, მაგრამ კვლავ იქონიონ გავლენა „დიდების” ახალი ხატების კონსტრუირებაზე.

კულტუროლოგიური ინფორმაციის დიაქრონული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი საკვანძო ფაქტორები (ბუნებრივია,

პირობითობის გარკვეული წილით), რომლებიც განაპირობებს ცნება „დიდების" კონცეპტუალიზაციას:

| ძველი დრო | ახალი დრო | თანამედროვეობა |
|---|---|---|
| **<u>წარმართობა, ანტიკური ხანა</u>**<br>საგმირო საქმე, მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა, პატივი, დიდება (κλέος, δόξα, αἴνεσις, ,καιδος, φήμη, Gloria, Honos, Fama, Virtus). **კულტურის განწყობა: ადამიანი მიისწრაფვის, ღმერთებს დაემსგავსოს, რათა დიდების მოპოვებით უკვდავებას ეზიაროს.**<br>**<u>მონოთეიზმი, ბიბლია (ძველი აღქმა)</u>**<br>ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სიმდიდრე და ძალა-უფლება, პატივი, ღვთის აბსოლუტური სიდიადე, დიდება. **ყალიბდება ახალი კულტურული ფონი, მკვიდრდება ახალი კულტურული ღირებულებები; კონცეპტუალიზდება აზრი „ღვთიური დიდება და ბრწყინვალება"**<br>**<u>ქრისტიანობა</u>**<br>დიდება, ღვთის აბსოლუტური სიდიადე იესო ქრისტეს სახით, ადამის მოდგმა, წამებულები და წმინდანები, უბრალო მოკვდავი. **კულტურული ფონის შეცვლა; უკვე არსებული კონცეპტუალიზაციის სფეროს „ღვთიური დიდება და ბრწყინვალება" გადააზრება და გაფართოება; ახალი კულტურული ღირებულებების გაჩენა; ე. წ. ლინგვოკულტურემის ფორმირება, რომელშიც კონცეპტუალიზებული** | **<u>აღორძინება, განმანათლებლობა</u>**<br>ტალანტი, პიროვნება, გენიალობა, რჩეულობა, პატივი, დიდება განათლება, ცოდნა, სახელმწიფო მოწყობა,საყოველთაო კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი, დიდება. მოქმედი განწყობების პარარელურად, **კულტურის** ახალი **განწყობების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ნეოპლატონიზმი და ჰუმანიზმი** | **<u>XX საუკუნე</u>**<br>ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია: (слава КПСС; слава труду); ცნების დევალვაციის ნიშნები (15წუთიანი დიდება ყველასათვის; სახელი (სკანდალური სახელის ჩათვლით).<br>**კულტურული ფონის სწრაფი ცვლა; ნიშანთა ახალი არსის გაჩენა კულტურის ენაში**<br>**<u>თანამედროვეობა</u>**<br>ცნება „დიდების" დევალვაცია: დიდების ხელისაწვდომობა, პოპულარობა, ვარსკვლავი, წარმატება, სიმდიდრე, ძალა-უფლება, პრესტიჟი, ნებისმიერი სახის რეპუტაცია, რომელსაც, მოსდევს სახელგანთქმულობა. ლინგვოკულტურემაში იზრდება დონეების რაოდენობა, არსებულ დონეებს შორის იცვლება სისტემისშიდა ურთიერთობები: პერიფერიული აზრები ცენტრისკენ ინაცვლებენ და პირიქით. |

| | | |
|---|---|---|
| აზრის **„слава"** დონეებად გვევლინება **„божественная– земная".** <br><u>შუა საუკუნეები, რაინდობა</u> <br>სიმამაცე, მეგობრობა, ღირსება, თავმდაბლობა, სამართლიანობა, თანასწორობა, უანგარობა, საბრძოლო ოსტატობა, ფიზიკური ძალა, სიმდიდრე. კონცეპტუალიზაციის ზონის გაფართოება, დამატებითი დონეების გაჩენა ლინგვოკულტურემაში **„честь-слава".** | | |

შევნიშნავთ, რომ ცხრილში ქრონოლოგიურად არის მოცემული ცნების კონცეპტუალიზაციის განმსაზღვრელი საკვანძო ფაქტორების წარმოქმნა. ქრონოლოგიური სკალის მიღმა არსებობს ადამიანის ცნობიერების უნივერსალური თვისება – ანთროპომორფული კოდის რეალიზაცია, ანუ ადამიანური ნიშან-თვისებების გადატანა უსულო საგნებსა და მოვლენებზე, რაც სათავეს იღებს მითოლოგიურ და ზღაპრულ აზროვნებაში. ამიტომ ეს პარამეტრი როგორც გამჭოლი კომპონენტი წარმოდგენილ ცხრილში შეტანილი არ არის. შევნიშნავთ, რომ მაგალითად, ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია კომუნისტური მმართველობის პერიოდში, ანთროპომორფიზმის ერთადერთი მაგალითი არ არის XX საუკუნის სინამდვილეში. კოლოკაცია "Old Glory" – აშშ ეროვნული დროშის მეტსახელია.

შეკრებილი მონაცემები და გამოტანილი დასკვნები საფუძვლად დაედო ცნება „დიდების" კონცეპტუალიზაციის უნივერსალურ კულტუროლოგიურ მოდელს, ეპისტემას:




მოდელი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ფაქტს, რომ დიდება ის ფენომენია, რომლის კონცეპტუალიზაცია შეუწყვეტლივ მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. გაანალიზებული მასალა საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ კონცეპტი „დიდება" თავისი წარმომავლობით არქეტიპულია. ამიტომ, დიდების ღირსი ადამიანის ქცევის, ცხოვრებისა და გმირობების შესახებ წარმოდგენები ამა თუ იმ ხარისხით არსებობს ნებისმიერი ერის ნაციონალურ ცნობიერებაში. ვვარაუდობთ, რომ კულტურული კონცეპტის „დიდების" კონცეპტუალიზაციის საკვანძო რაკურსებია:

- ღირსება და დამსახურება, რადგან დიდება ხელს უწყობს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირსეული ადამიანების გამორჩევას;
- რეპუტაცია, პატივი, პატივისცემა, პრესტიჟი და სხვა არამატერიალური კეთილდღეობა;
- მატერიალური კეთილდღეობა, რომელიც წარმოადგენს დიდებისათვის დამსახურებულ ან დიდებით მიღებულ ჯილდოს;
- სახელგანთქმულობა, პოპულარობა;
- სახელგანთქმული პირის მიმზიდველობა სხვათა თვალში და მის გვერდით ყოფნის სურვილი;
- დიდება და სახელის განთქმა ნებისმიერი საშუალებით;
- 15-წუთიანი დიდება ნებისმიერისათვის;

- დიდება ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ მის საქმეზეც.

წინამდებარე კვლევაში ლინგვოკულტურული კონცეპტის მოდელირებისა და აღწერის ამოცანაა იმ ენობრივ ერთეულთა ამოკრება, რომელიც ახდენს ფენომენ „დიდების" კულტურული ეპისტემის რეკონსტრუქციისას გამოვლენილ აღქმის, კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის რაკურსების ვერბალიზებას. მიღებული მონაცემები საშუალებას მოგვცემს:

ა) ორ შეპირისპირებულ ლინგვოკულტურაში დავადგინოთ იმავე სახელწოდების კონცეპტოსფეროს სპეციფიკა, რომელიც მიეკუთვნება „კულტურის სემანტიკურ ბირთვს" და აგებს „სამყაროს აზრობრივად მნიშვნელოვან კარკასებს" (Ильин 2001, 271);

ბ) აღვწეროთ სამყაროს ყოფითი სურათის ფრაგმენტი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ენის მატარებელთა ყოველდღიურ მეტყველებაში, განსხვავებულ დისკურსში და კულტურის სხვადასხვა (ვერბალურ და არავერბალურ) ტექსტებში" (Опарина 1999, 28);

გ) გამოვავლინოთ კონცეპტუალიზებული აზრის „დიდება" ვერბალიზაციის ხარისხი რუსული და ინგლისური ენების საშუალებებით (სიტყვები და გამოთქმები უექვივალენტო ლექსიკის ჩათვლით), რომელთა მეშვეობითაც ენა თავის ერთეულებში ინახავს და გადასცემს კულტურას;

დ) დავადგინოთ ლაკუნები, ის კონოტაციები, სიმბოლოები და „ქვეაზრები", რაც რუსულსა და ბრიტანულ კულტურებში დაკავშირებულია ათვისებულ რეფერენტ „დიდებასთან".

კულტურული მოდელიდან ლინგვოკოგნიტიურ მოდელზე გადასვლა ხორციელდება ანალიზის რაკურსის შეცვლის მიზნით, საკითხის ლინგვისტიკური ასპექტის გამოკვლევისათვის. ამიტომ კულტურული ეპისტემა „დიდება" გამოიყენება ენობრივ ცნობიერებასთან დაკავშირებული მეცნიერული აბსტრაქციის კონსტრუირების საფუძვლად. ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" თეორიული მოდელი კვლევაში გაიგება როგორც ცნების კონცეპტუალიზაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგი, რომელიც კულტურასთან ერთად განიცდის ევოლუციას და აისახება ენობრივ ფორმებსა და ფაქტებში.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას მოგვცემს, კვლევაში გამოვავლინოთ სულ უფრო მეტად აბსტრაქტული კონსტრუქტები, რომლებიც

საფუძველად უდევს სამყაროს სურათისა და მისი ენობრივი რეპრეზენტაციის სეგმენტის მოდელირების მოცემულობებს. ნათქვამი შეიძლება მიესადაგოს ლინგვოკოგნიტურ და ლინგვოკულტურულოგიურ კვლევათა უკვე აღნიშნულ ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ თეზისს, რომელიც გულისხმობს ერთი ცოდნის მეორე, უფრო ზოგად ცოდნაში, საბოლოოდ კი კულტურაში ჩაწერას. ცნების კონცეპტუალიზაციის პროცესები, რომელიც შეიძლება „გამომჟღავნდეს" მისი კონცეპტის ვერბალიზებული ნაწილის რეკონსტრუქციისას, მოიცავს ცნების, მნიშვნელობისა და აზრის კატეგორიებს. თითოეული მათგანი მოტივირებულია როგორც შემეცნების ლოგიკით, ისე იმ კულტურით, რომელშიც ის ყალიბდება. ამდენად, კონცეპტუალიზაცია ენასა და ცნობიერებაში მიმდინარე დინამიკური პროცესია, რომელსაც განაპირობებს ფაქტორთა რთული კომპლექსი.

# თავი მესამე
# კონცეპტის „დიდება" სტრუქტურა და ვერბალიზების ხერხები რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში

## III.1 კონცეპტების «слава» და "Glory" საკვანძო ლექსემების ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზრობრივი, ხატოვანი და ასოციაციური კავშირებით გაერთიანებული კონცეპტუალური სიმრავლე ნომინირებულია იმ სიტყვით, რომელშიც ყველაზე უფრო კონცენტრირებულად „მატერიალიზდება" ცალკეული საგნობრივი სფეროს იდეა, ცნება და ცნობიერებაში არსებული კულტურის „შენადედები". ეს სიტყვა იძენს კონცეპტის სახელის სტატუსს (Арутюнова 1999; Вежбицкая 1997; Нерознак 1998). აქვე მოვიყვანთ იუ. ს. სტეპანოვის თეზისს „სახელდების" არაშემთხვევითობის, სულიერ კულტურაში „სიტყვებისა" და „ნივთების" სინონიმიზაციის შესახებ, რის შედეგადაც წარმოიქმნება „კონცეპტუალიზებული სფეროები". „სწორედ ასეთ მოვლენებში, რომლებიც ერთდროულად მიეკუთვნება ენასა და კულტურას, იხსნება სახელდების ღრმა მოტივირებულობა ... ენა უბიძგებს ხალხს სახელდებისკენ, ხოლო სახელდებულს უკავშირებს კულტურის ყველაზე სიღრმისეულ პლასტებს" (Степанов 2004, 67-74).

თუმცა, ლ. კოულმანისა და პ. კეის თანახმად, სიტყვა წარმოადგენს საგნის დასახელებას არა აბსოლუტურად, არამედ მხოლოდ გარკვეული ზომით (Coleman, Kay 1981, 26-44).

საკვანძო ლექსემის სემანტიკური შინაარსის გამოვლენა გულისხმობს ენაში კონცეპტის რეპრეზენტატორი სიტყვის შინაგანი ფორმის ანალიზს. ანალიზის ამ ეტაპზე განსაკუთრებით პროდუქტიულად მიიჩნევა, მივმართოთ სალექსიკონო განმარტებებს, რომლებიც განიხილება კონცეპტების აზრობრივ, საგნობრივ და ხატოვან შემადგენლებთან მიახლოების ერთ-ერთ საშუალებად.

კონცეპტუალური სიმრავლის «слава» საკვანძო ლექსემის შინაგანი ფორმისა და სემანტიკური შევსების ანალიზი ჩატარდა რუსული ენის შემდეგი ლექსიკონების მასალაზე: ვლ. დალის Толковый словарь живого великорусского языка, Толковый словарь русского языка დ. ნ. უშაკოვის რედაქციით, Малый академический словарь (МАС) ა. პ. ევგენევას რედაქციით, Большой толковый словарь русского языка ს. ა. კუზნეცოვის რედაქციით (БТС-2000), დ. ვ. დმიტრიევის Толковый словарь русского языка (2003), Русский семантический словарь ნ. იუ. შვედოვას საერთო რედაქციით (1998-2007), Фразеологический словарь русского языка ა. ი. მოლოტკოვის რედაქციით. ასევე, ონლაინ ვერსია ტ. ვ. ეფრემოვას Новый толково-словообразовательный словарь русского языка-2000 (156) (ითვლება არსებულ განმარტებით ლექსიკონებს შორის მოცულობით ყველაზე უფრო სრულ ლექსიკონად), Русский семантический словарь ნ. იუ. შვედოვას საერთო რედაქციით(ონლაინ ვერსია) (163); ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა მონაცემები შემდეგი წყაროებიდან: Национальный корпус русского языка (209): синтаксический, семантический, частотный, поэтический, Словарь глагольной сочетаемости непредметных имен და იუ. ს. სტეპანოვის Словарь констант русской культуры (2004).

МАС-ში ლექსემა «слава» წარმოდგენილია ექვსი ლსვ-ით, დ. ნ. უშაკოვის Толковый словарь русского языка აფიქსირებს შვიდ ლსვ-ს, БТС-2000 – ხუთს დ. ვ. დმიტრიევის Толковый словарь русского языка – ცამეტს, ტ. ვ. ეფრემოვას Новый толково-словообразовательный словарь русского языка - 2000 – სამს. შევახსენებთ, რომ ვლ. დალის ლექსიკონი განსხვავებული ლექსიკოგრაფიული კანონების მიხედვით გახლავთ შედგენილი. ამ უკანასკნელის გამოკლებით, ყველა დანარჩენი სალექსიკონო სტატია მოყვანილია საილუსტრაციო მასალის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის განსაზღვრული მოცულობის გამო. ვლ. დალის საილუსტრაციო მასალას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებასთან

დაკავშირებული შეფასებითი მახასიათებლების ანალიზისათვის, რადგანაც დიდი რაოდენობით შეიცავს რუსულ ანდაზებს, ანდაზურ თქმებსა და ხატოვან გამონათქვამებს.

МАС: «**1.** Почетная известность, как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблести и т. п. **2.** Широкая известность в качестве кого-л. или в каком-л. отношении. **3.** *с определением.* То или иное мнение о ком-, чем-л.; репутация. **4.** (*обычно в сочетании с глаг.:* „ходить“, „идти“ и т. п.). *Разг.* Слухи, толки, молва. **5.** Возглас, обозначающий: х в а л а !, ч е с т ь ! **6.** Название русской хвалебной, величальной песни.».

Толковый словарь русского языка დ. ნ. უშაკოვის რედაქციით: «**1.** Почетная, широко распространенная известность, как свидетельство всеобщего и безусловного признания чьих-н. высоких качеств, общественных заслуг, дарований и т. п. **2.** Слухи, молва, толки (разг.). **3.** Общепринятое мнение, отзыв, репутация (как в хорошем, так и дурном смысле, поэтому обычно с прил.). **4.** кого-чего. Известность в качестве кого-чего-н. **5.** кому-чему. В восклицаниях - хвала, полное и безусловное одобрение (доблестей, заслуг; ритор.). **6.** Название русской хвалебной, величальной песни, провозглашающей похвалу кому-н. **7.** Величие, блеск, великолепие как атрибут божества (церк. устар.). .»

БТС-2000: «**1.** Почётная известность как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблести и т.п. **2.** Возглас, обозначающий: хвала! честь! **3.** Название русской хвалебной величальной песни. **4.** Сложившееся мнение о ком-, чём-л.; известность в каком-л. отношении, репутация. **5.** Разг. Слухи, толки, молва. ◁ На сла́ву, в зн. нареч. Очень хорошо. **I.** в зн. нареч. Хорошо, в порядке. Дома всё слава богу. **II.** в зн. вводн. сл. к счастью. Отец, слава богу, ничего не знает.».

დ. ვ. დმიტრიევის Толковый словарь русского языка: «1. **Славой** называют всеобщее признание чьих-либо заслуг, таланта, доблести и т. п. 2. **Посмертной славой** называют известность, популярность кого-либо, которые приходят к нему после смерти. 3. Если кто-либо находится **на вершине**, **в зените славы**, то это означает, что этот человек переживает момент наибольшей популярности. 4. Если что-либо делается **во славу** кого-либо, чего-либо, то это означает, что что-либо совершается кем-либо для прославления чего-либо, кого-либо. 5. **Славой Герострата** называют чью-либо известность, достигнутую преступными средствами. 6. **Славой** называют того, кто своими заслугами, своим трудом сделал кого-либо, что-либо широко известным. 7. Возгласом **Слава... !** упоминают на парадах, торжествах самых достойных людей страны. 8. Возгласом **Слава Отцу и Сыну и Святому Духу!** оканчиваются некоторые православные

молитвы. 9. **Славой** называют общее устойчивое мнение о ком-либо, чём-либо. 10. Выражение **Добрая слава бежит, а худая – летит** означает, что плохие известия о ком-либо, чём-либо распространяются быстрее, чем хорошие. 11. Если кто-либо что-либо делает **на славу**, то это означает, что этот человек очень удовлетворён своими действиями. 12. Выражение **слава Богу** употребляется в том случае, если речь идёт о чём-либо благополучном, благоприятном. 13. Выражение **слава Богу** звучит как возглас облегчения.».

ეფრემოვას ლექსიკონი: «**Слава1 ж.** 1. Почетная известность как свидетельство признания заслуг, таланта, доблести. // перен. разг. Слухи, молва, толки. 2. перен. Общепринятое мнение о ком-л., чья-л. репутация. // Известность в качестве кого-л., чего-л. **Слава2 ж.** - 1. Название русской народной величальной песни, провозглашающей похвалу кому-л. **Слава3 м. и ж.** - 1. Тот, кто своим трудом, своими заслугами доставил кому-л. или чему-л. широкую известность.» (157).

დალის ლექსიკონი: «**СЛАВА** ж. как кто слывет, прослыл в людях; молва, общее мнение о ком, о чем, известность по качеству. О нем добрая, плохая слава ходит. Живи всяк своей славой. Кто как поживет, такая слава и пойдет (такой славой и прослывет). Поп-то Сава, да не хороша слава. Девичья слава, что зеркало: и дохнуть нельзя. | Слух, молва вообще, вести, говор. Слава ходит, что набор сказан, что будет перепись. Слава на волка, а шалят пастуха (крадут). Славите Бога, так слава и вам. Доброму Саве добрая и слава. По Саве и слава. Каков Сава, такова ему и слава. Какова баба, такова ей и слава. Богу хвала, а вам (а добрым людям) честь и слава. Учестили Саву, ни в честь, ни в славу! Хоть денег ни гроша, зато слава хороша. Хоть нет барыша, да слава хороша. Не долго жил, да славою умер. Не до барыша, была бы слава хороша. Ни в честь, ни в славу, ни в доброе слово. Хороши ребята, да славушка худа. Без гроша - слава не хороша. Деревня добра, да слава худа. Девка хороша, да слава нехороша. Добрая слава в углу сидит, худая слава по дорожке бежит. Добрая слава до порога; а худая. за порог. Нет человека, чтоб худая слава не прошла. Только славу ведет, что рано встает. Либо славу держать, либо от славы блжать (т. е. от дурной). Добрая слава за печкой спит, а худая по свету бежит. Добрая слава далеко (ходит), а худая дальше. Хороша и честь и слава, а лучше того коровай сала. От своей, славы и сам не уйдешь, и людей не упасешь. Выпила на гривну, а славы (или: а шуму) на сто рублей. Дал денежку, а славы на рубль. Пить попросить, дурную славу нажить. | Похвальная молва, общее одобрение, признание достоинства, заслуг; самые почести, хвала по ним. Про него слава на весь свет стоит. Не искать ему славы своей, она уж есть. Этот мастер в славе, все к нему! Слава за очи хвалит. Слава за очми живет. Про Волгу и в песнях слава идет. Подновские огурчики (ниж.) в

славе, за ними Потемкин из Крыму гонцов присылывал. Слава кружит голову. Слава дым, а золото тлен. Слава тебе тетереву, что ноги мохнаты! Только ему и славы, что велик вырос. Одна на свете слава: славав вышних Богу! Слава Богу, исполать, хвала и благодарение. Слава Богу, здоров! ответ: Слава Богу, всего лучше. Петь, говорить славу, церк. стих Слава Отцу и пр. Кафисма имеет три славы, а в славе три псалма. Архирей идет из собора со славой, при колокольном звоне и с поющим клиром. Приидет Сын человеческий во славе своей, в блеске величия, всеми славимый, прославляемый, чтимый гласно. Кончить со славою, при общей хвале. | Слава, старинная народная песня, из святочных, со старинным же напевом, которая славит, величает или честит хозяина; она же воздает хвалу царю. Споем славицу. Славушка недобрая. Славища обуяла его. Славный, прославленный или прослывший громкой славой, известный, знаменитый, чтимый, возносимый, хвалимый всюду. Славный полководец, он славные дела творил. Это славный писатель, живописец. Славны бубны за горами (а к нам придут - как лукошко!). | Вообще: хороший, отличный, доброго качества. Славное вино. Мы славно погуляли вчера. Дело славнехонькое. Славным-славнешенько кончил дела свои. Славить кого, славливать, прославлять, величать, восхвалять, воздавать хвалу, почет, славу. Тебе Бога славим! Дела славят, а люди величают. Кому работаю, того и славлю! Славили, хвалили, да подгору и свалили! Славить Христа, обычай во дни рождества Христова: духовенство ходит с крестом по прихожанам; мальчики ходят со звездой, колядуют, поют песни славки ж. мн., прославляя Христа, поздравляя хозяев; это славельщика, славщики, колядовшики. Славщики с мехоношей пришли. Славленные деньги, доход священника и причта со славления Христа по домам. Славитель, славящий, прославляющий кого. Славиться, быть славиму, восхваляему; | славить себя, хвалиться, превознося заслуги свои. В былое время славились вяземские пряники да еще калужское тесто. У нас ныне славятся самые безнравственные писатели. Он давно обесславился поступками своими. Возславим Господа! Дославился человек до позора. Наславили его лишку. Девка ославилась. Пославили, повеличали. Прославился искуством. Не расславляйте об этом деле. Славленье, действ. по глаг.

Славленое ср. сиб. сбор с прихожан духовенством по Рожд. Хр. Поп за славленым поехал. Славленые доходы духовенства и причта, вообще получаемые за хождение по праздникам с крестом. Славущий человек, ниж. славный, кто на славе, в славе, тул. слаущий. Славущая ж. калужск. праздник обновления Христова воскресения, славущее воскресенье, зап. первое по Пасхе. Славник церк. стих, перед которым поется слава. Славутник, славутин, славнук сев. славный, завидный, богатый жених. Славутница, девушка щеголиха. Славенка об. новг. о чем идет добрая слава. За морем славенка, дома

хаянка. Славёнка твер. бесприданница, прославленная красавица; славнуха арх. то же. Славнецкий сиб. славнейший, прекраснейший или отличный. Славолюбивый, славолюбный человек, славолюб, -бец, -бица. Славолюбие слабость всех суетных, тщеславных. Славословить кого, прославлять, ублажать, честить, возносить, величать, восхвалять, воздавать хвалу, воспевать чью славу. Славословление, славословие, действ. по знач. глаг. | Славословие, церк. песнь на утрени, после канона, а на благодарном молебне после молитвы. Славословие великое, которое не читают, поют. Славохотливый, славолюбивый».

ლექსემის «слава», გამოკვეთილი სალექსიკონო მნიშვნელობების ანალიზის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა. მიუხედავად სემანტიკური სპექტრის ვარირებისა, რომელიც უკავშირდება ცალკეული ლექსიკონის შედგენის სოციო-კულტურულ კონტექსტს და სიტყვის დისტრიბუციის შერჩეულ მეთოდიკას, ყველა მათგანში მნიშვნელობის ძირითადი კომპონენტები ერთმანეთს ემთხვევა: *почетная известность как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблести и т. п.; известность в каком-л. отношении, репутация; сложившееся мнение о ком-, чём-л.; слухи, толки, молва; название русской хвалебной величальной песни.* დ. ნ. უშაკოვის ლექსიკონში ჩანაიშნით «церк. устар.» მოცემულია «*величие, блеск, великолепие как атрибут божества»,* ოღონდ როგორც ლექსემის «слава». მნიშვნელობათა იერარქიაში ბოლო პოზიცია. სხვა ლექსიკონები, ქრონოლოგიურად დაწყებული МАС-ით და დამთავრებული ეფრემოვას ლექსიკონით, ლექსემაში ამ მნიშვნელობას არ გამოყოფენ. МАС-ში ჩანაიშნით ◊ – «фразеология» მოყვანილია: «**Слава богу** *см.* бог.». მითითების მიხედვით, «Слава богу: 1) (в знач. сказ.) хорошо. Материнские письма были коротки, наполовину состояли из родственных поклонов и успокоительных заверений в том, что дома все слава богу. Б. Полевой, Повесть о настоящем человеке; 2) (в знач. вводн. сл.) к счастью. Мы все учились понемногу Чему-нибудь и как-нибудь, Так воспитаньем, слава богу, У нас немудрено блеснуть. Пушкин, Евгений Онегин.». ზმნისზედისა და ჩართული სიტყვის - საზედნიეროდ- მნიშვნელობით ეს აზრი წარმოდგენილია კუზნეცოვის ლექსიკონში: «**I.** в зн. нареч. Хорошо, в порядке. Дома всё слава богу. **II.** в зн. вводн. сл. к счастью. Отец, слава богу, ничего не знает.», მაგრამ ლექსემასთან «слава». ეფრემოვას ლექსიკონი ამ აზრს საერთოდ არ აფიქსირებს. დმიტრიევის ლექსიკონში (2003), როგორც ლექსემის «слава» ლსვ8 მოყვანილია: «8. Возгласом **Слава Отцу и Сыну и Святому Духу!** оканчиваются некоторые православные молитвы». ამავე სალექსიკონო სტატიაში მოცემულია გამოთქმების

განმარტებები: «Выражение **слава Богу** употребляется в том случае, если речь идёт о чём-либо благополучном, благоприятном.»; «Выражение **слава Богу** звучит как возглас облегчения. = к счастью».

გამოვლენილი ფაქტი საინტერესოა კულტუროლოგიური ანალიზის თვალსაზრისით და შეიძლება მივაკუთვნოთ „ენის იდეოლოგიზაციის" პრობლემას. ენის ლექსიკონები როგორც კულტურის ნაწილი წარმოადგენენ იმ იდეოლოგიზაციის, კონცეფციებისა და იდეების ანარეკლს, რომელიც გაბატონებული იყო ლექსიკონების შედგენისა და გამოცემის დროს. დ. ნ. უშაკოვი ქმნიდა ლექსიკონს, რომელიც ასახავდა როგორც ლიტერატურული ენის მთელ სიმდიდრეს, ისე ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში რუსულ ენაში მომხდარ კოლოსალურ ცვლილებებს. სიტყვა «слава» იძენდა სტატუსს იდეოლოგემისა, ანუ სიტყვისა, რომელსაც გააჩნია გამოკვეთილი იდეოლოგიური მიმართება პოლიტიკურ დოქტრინასთან. ალბათ, უპრიანი იქნება გამოვთქვათ ვარაუდი ლექსიკოგრაფის ცნობილი გამბედაობის შესახებ – თუმცა ჩანანიშნით «церк. устар.», მან მაინც დააფიქსირა სიტყვის სემანტიკაში აღნიშნული მნიშვნელობა.

ლექსიკონებში არსებული ინფორმაცია როგორც რუსულ ენობრივ ცნობიერებაში გააზრებული „დიდების" ყველაზე უფრო ზოგადი და გამორჩეული ნიშან-თვისებები, აფიქსირებს ცნების კონცეპტუალიზაციის შემდეგ ვექტორებს: *почетная известность, всеобщее признание, сложившееся мнение*. უშაკოვის ლექსიკონში ჩანანიშნით «церк. устар.» მოცემულია სხვა წყაროებში არარსებული: *величие, блеск, великолепие как атрибут божества*. დმიტრიევის ლექსიკონში დაფიქსირებულია თანამედროვე აზრი *популярность.* ნაშრომში გამოყენებული ყველა ლექსიკონი, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული ვლ. დალის ლექსიკონის ჩათვლით, ერთნაირად აფიქსირებს ენობრივი ცნობიერებით გააზრებულ დიქოტომიას:

**слава**

↕ ↕

**почетная известность слухи, толки, молва**

დიქოტომია ეფუძნება ღირებულებითი ნიშნის გრადაციას: слава – всеобщее признание достоинств, доблести и т.п. (უმაღლესი რეგისტრი) и слава – слухи, толки, молва (ღირებულებითი ნიშნის დაკნინება). ეს დამოკიდებულება ხასიათდება აზრის ანტონიმიზაციით «общее мнение о ком, о чем»: ენობრივი ცნობიერება უშვებს კონცეპტუალიზაციას: добрая ↔ слава ↔ худая. კოლოკაცია

«худая слава» ხდება კონცეპტუალური სინონიმი მნიშვნელობისა «слухи, толки, молва» (ლექსიკონებში დაფიქსირებულია ჩანანიშნით «перен.») და «репутация». ამიტომაც გრადუაცია შეიძლება ამგვარად წარმოვიდგინოთ:

- უმაღლესი რეგისტრი – всеобщее признание достоинств, доблести и т.п.;
- საშუალო რეგისტრი – сложившееся мнение о ком-, чём-л., репутация;
- დაბალი რეგისტრი – слухи, толки, молва (უმეტესწილად უარყოფითი კონოტაციით).

სალექსიკონო დეფინიციები ვერ იძლევა პასუხს, რომელ დენოტატებთან ასოცირდება ენის მატარებლის ცნობიერებაში მნიშვნელობა «слава» მისი აზრობრივი ველის შიგნით. ისინი არ შეიცავენ ინფორმაციას მნიშვნელობებისა და მათი შეფასებების ევოლუციაზე კულტურული კონტექსტის გავლენის შესახებ. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ინგლისელი ლექსიკოგრაფი ს. ჯონსონი ამტკიცებდა: „ლექსიკონები საათივითაა, ყველაზე ცუდებიც კი სჯობია სულ არაფერს და ნურც საუკეთესოებისგან მოელით აბსოლუტურ სიზუსტეს". თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულად ითვლება, რომ სიტყვის გამოყენება ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში ააქტიურებს არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობას, არამედ ინტერტექსტუალურ ცოდნასაც და არაცნობიერის არქეტიპებსაც, ანუ ყველაფერს, რაც შეკუმშულია ნიშანში და არსებობს (უპირატესად იმპლიციტურად) როგორც აზრების ინტერპრეტაციისა და წარმოქმნის საფუძველი სამეტყველო ქმედების პროცესში. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: ნაშრომში ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ კონცეპტის ვერბალიზატორების სემანტიკაში დაფიქსირებული მნიშვნელობები არის სიტყვის შინაარსის პლანი და არა კონცეპტისა: «анализ толкования любого слова в толковом словаре показывает, что все семы, входящие в толкование, отражают именно знания о предмете, называемом словом» (Стернин 1982, 13). ამდენად, რუსულ ენაში ლექსემაში «слава» სწორედ „ცოდნა საგნის შესახებ" ააქტიურებს შესაბამის აზრობრივ ვარირებას კონტექსტებში, მაგ., «По Саве и слава»; «Кто как поживет, такая слава и пойдет»; «По Саве и слава» და სხვ.

კონცეპტუალური სიმრავლის "Glory" („დიდება") საკვანძო ლექსემის სემანტიკური შემავსებლისა და შინაგანი ფორმის ანალიზისათვის დავეყრდენით ინგლისური ენის ლექსიკონების მასალას: Merriam Webster's Collegiate Dictionary, რ. ედ. უებსტერის რედაქციით; Compact Oxford English Dictionary, Collins English

Dictionary, The Concise Oxford Dictionary of Current English, ჰ. ვ. და ფ. გ. ფოულერების რედაქციით, Cambridge Advanced Learner's Dictionary.

Webster Merriam Webster's Collegiate Dictionary. GLORY: 1.a : praise, honor, or distinction extended by common consent : renown b : worshipful praise, honor, and thanksgiving / 2 a : something that secures praise or renown b : a distinguished quality or asset / 3.a (1) : great beauty and splendor : magnificence (2) : something marked by beauty or resplendence b : the splendor and beatific happiness of heaven; broadly : eternity / 4. a : a state of great gratification or exaltation b : a height of prosperity or achievement / 5: a ring or spot of light: as a : aureole b : a halo appearing around the shadow of an object. starburst, sunburst; aura, corona.

Cambridge Advanced Learner's Dictionary. Glory •[Upraise and thanks, especially as given to God. •[U] great admiration, honour and praise which you earn by doing something successfully. •[C] an important achievement which earns someone great admiration, honour and praise.

Compact Oxford English Dictionary. Glory 1.high renown or honour won by notable achievements. 2. magnificence or great beauty. [count noun] (often glories) a thing that is beautiful, impressive, or worthy of praise. 3. praise, worship, and thanksgiving offered to God. 4 [count noun] a luminous ring or halo, especially as depicted around the head of Christ or a saint.

Collins English Dictionary. Glory – I. noun 1. exaltation, praise, or honour, as that accorded by general consent. 2. something that brings or is worthy of praise (esp in the phrase crowning glory). 3. thanksgiving, adoration, or worship. 4. pomp; splendour. 5. radiant beauty; resplendence. 6. the beauty and bliss of heaven. 7.a state of extreme happiness or prosperity. 8. another word for halo , nimbus. II. verb. 1. (intr) in to triumph or exult. 2. (intr) obsolete to brag. III. exclamation , informal- a mild interjection to express pleasure or surprise (often in the exclamatory phrase glory be!)

The Concise Oxford Dictionary of Current English. Glory 1, n. Exalted renown, honourable fame; subject for boasting, special distinction, ornament, pride; adoring praise & thanksgiving (~be! Or ~!., vulgar excl. of surprise or delight); resplendent majesty, beauty, or magnificence, effulgence of heavenly light, imagined unearthly beauty; bliss& splendor of heaven (go to~, die; send to~, joc., kill); state of exaltation, prosperity, etc. (is in his ~); circle of light round head or figure of deity or saint, aureole, halo; ~-hole (sl), untidy room, drawer, or receptacle. [f. OF glorie f. L gloria]. 2, v. i. Exult, pride onself, in thing or doing, to do. Hence ~ingLY2 adv. [f. L gloriari boast (gloria glory)]

ლექსემის “glory” მოყვანილი სალექსიკონო დეფინიციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა მოცემულ ლექსიკონში იკვეთება ძირითადი კომპონენტები: high renown or honour won by notable achievements (დიდი, საზოგადო აღიარება ან პატივი გამორჩეული მიღწევებისათვის); an important achievement which earns someone great admiration, honour and praise (რაიმე მნიშვნელოვანი მიწევა, რომელიც იმსახურებს საერთო ქება-დიდებას და მადლიერებას); magnificence or great beauty (დიდი სილამაზე და მშვენიერება); the beauty and bliss of heaven (ღვთიური ბრწყინვალება); aureole, halo (ორეოლი, შარავანდედი); exaltation, triumph (ზეიმი, ტრიუმფი). გარდა ამისა, უებსტერის, კემბრიჯისა და ოქსფორდის ლექსიკონები აფიქსირებს ლექსემის “glory” მნიშვნელობას: praise, worship, and thanksgiving offered to God (ღმერთის სამადლობელი ხოტბა, თაყვანისცემა). უებსტერის, კოლინსისა და თანამედროვე ინგლისურის ოქსფორდის დაწვრილებით ლექსიკონებში აგრეთვე შეტანილია მნიშვნელობა: a state of extreme happiness or prosperity (უკიდურესი ბედნიერებისა და კეთილდღეობის მდგომარეობა), რომელსაც უებსტერის ლექსიკონში, ჩანაიშნით „ფართე გაგებით”, დაერთვის მნიშვნელობა eternity (მარადიულობა). კოლინსისა და თანამედროვე ინგლისურის ოქსფორდის დაწვრილებით ლექსიკონებში დაფიქსირებულია მნიშვნელობა ჩანაიშნით, informal, vulgar excl. of surprise or delight – glory be!. იგივე ლექსიკონები აფიქსირებენ მნიშვნელობას “boasting”, “to brag” (ტრაბახი). ამ უკანასკნელში ასევე ფიქსირდება “honourable fame” (საპატიო სახელგანთქმულობა)[4] (35), “pride” (სიამაყე). ლექსემა “glory” ორგვარი კონოტაციისაა ფრაზებში “go to glory “, die (სიკვდილი); “send to glory”, joc. (დაცინვით), kill (ვინმეს მოკვლა), ხოლო სლენგში “glory–hole” ფიქსირდება ირონიული მნიშვნელობით “untidy room, drawer, or receptacle” (არეული ოთახი, უჯრა ან სათავსი).

შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული ლექსიკონები აფიქსირებენ ენობრივ ცნობიერებაში გააზრებულ დიქოტომიას, რომელიც ემთხვევა რუსულ ენობრივ ცნობიერებაში დაფიქსირებულ შინაარსობრივ განშტოებას.

**Glory**

↕ ↨

high renown or honour — honourable fame; subject for boasting

[4] აღსანიშნავია, რომ ლექსემა fame ეტიმოლოგიურად ნიშნავს ჭორებს, გავრცელებულ ხმებს.

როგორც ვხედავთ, ბრიტანულ ენობრივ ცნობიერებაშიც ხდება ღირებულებითი ნიშნის გრადაცია უმაღლესი რეგისტრიდან უმდაბლესი რეგისტისაკენ, რომელშიც, რუსულის მსგავსად, შეინიშნება ღირებულებითი ნიშნის დაქვეითება: უმაღლესი რეგისტრი – praise, honor, renown, a distinguished quality, accorded by general consent; საშუალო რეგისტრი – pomp, honourable fame; დაბალი რეგისტრი – subject for boasting, to brag.

ლინგვოკონცეპტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის იუ. ს. სტეპანოვის გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, კონცეპტის ლინგვისტური შინაარსის კვლევა გულისხმობს საკვანძო ლექსემის ეტიმოლოგიურ ანალიზს. მ. ფასმერის ლექსიკონის მონაცემთა მიხედვით, რუსულ ენაში კონცეპტის «слава» სახელი სათავეს იღებს სიტყვებიდან «честь, похвала; слух, молва», укр. сла́ва, блр. сла́ва, др.-русск., ст.-слав. слава δόξα, αἶνεσις (Супр.), болг. сла́ва, сербохорв. сла̏ва, словен. sláva, чеш. sláva, слвц. sláva, польск., в.-луж., н.-луж. sława. Связано чередованием гласных со сло́во, слыть (см.). Родственно лит. šlóvė ж. «честь, хвала», вост.-лит. šlãvė ж. «честь, слава», šlovẽ «великолепие, роскошь», šlãvinti «славить», лтш. slava, slave «молва, слава», греч. κλέος, диал. κλέος ср. р. «слава», др.-инд. çrávas ср. р. «хвала, слава, почет», авест. sravah- «слово», др.-ирл. clú «слава», иллир. собств. Ves-clevesis; см. Траутман, BSW 307 и сл.; Мейе, Ét. 208; MSL 9, 144, 146; М.–Э. 3, 920; Френкель, AASF 51, 50; Буга, РФВ 75, 145; Хендриксен, IF 56, 26; К. Г. Майер, Don. Natal. Schrijnen 408 и сл. Заимствование лит. šlovẽ из слав. (Лескин, Bildg. 281) неприемлемо; см. Френкель, Хендриксен. Отсюда сла́вить, сла́влю, укр. сла́вити, сла́влю, др.-русск. славити, ст.-слав. славити, славлѭ δοξάζειν (Супр.), болг. сла́вя «славлю», сербохорв. сла̏вити, сла̏ви̑м, словен. slavíti, slavím, чеш. slaviti, слвц. slavit', польск. sławić, sławię, в.-луж. sławić, н.-луж. sławiś. Ср. др.-инд. çrāváyati «заставляет слушать, возвещает», авест. sravayeiti – то же, нов.-перс. sarāyīdan «петь» (Мейе, MSL 9, 144; Траутман, там же; Уленбек, Aind. Wb. 320).» (161). ამგვარად, კონცეპტის სახელის ფორმირების ისტორიაში შეიძლება თვალი მივადევნოთ იმ აზრების ათვისებას, რომლებიც ისტორიულად ერთვებოდა კონცეპტუალიზებულ ზონაში «слава»: честь, похвала, слух, молва, хвала, почет, великолепие, роскошь → **слава**→ славить → возвещать, петь.

როგორც ეტიმოლოგიური ინფორმაციიდან ჩანს, ეს აზრები აფიქსირებენ კულტურულ მსგავსებასაც, დაკავშირებულს ცნების «слава» კონცეპტუალიზაციის ეტაპებთან არა მხოლოდ რუსულ მენტალობაში, არამედ

სლავური ეთნიკური ერთობის ისტორიულ-კულტურული და გეოგრაფიული არეალის შიგნითაც. უნდა ითქვას, რომ ტერმინი «славяне» დამოკიდებულია კვლევის კონტექსტზე, რაზეც მიუთითებს მოსკოვის სახ. უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ა. კოლესოვი: «в языкознании «славяне» – одно, в этнографии – другое, в ДНК-генеалогии – третье» (190). აქ ის გამოიყენება სლავების „წინაპარი გაპლოჯგუფის" აღმნიშვნელად, როგორც ამას გვთავაზობს ა. კოლესოვი. მ. ფასმერის ლექსიკონში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ფენომენის შესახებ მენტალური წარმოდგენების ჩამოყალიბების ზოგადი კანონზომიერებები აღნიშნული არეალის მიღმაც არსებობს. მაგალითისათვის შევადაროთ ძვ.ინდური çrāváyati „მოსმენას აიძულებს, ატყობინებს", ავესტ. sravayeiti – იგივე ახ.ირან. sarāyīdan „სიმღერა", ბერძ. δόξα, αἶνεσις, κλέος, ავესტ. sravah – „სიტყვა", ძვ.ირლ. clú „დიდება". მივუბრუნდეთ ფენომენის «слава» აზრების მატების ზემოთ მოყვანილ რეკონსტრუქციას: честь, похвала, слух, молва, хвала, почет, великолепие, роскошь → **слава**→ славить → возвещать, петь.

აქ ჩამოთვლილი ზონებიდან თითოეული წარმოადგენს არა მხოლოდ შემეცნებისა და კულტურის ევოლუციის ენობრივ ანარეკლს, არამედ მიუთითებს კიდეც ადამიანის სულიერი სამყაროს მოდელების ჩამოყალიბების ზოგიერთი კანონზომიერების უნივერსალურობაზე. ასე მაგალითად, ო. ი. ტრუბაჩიოვის აზრით, ხოტბის შესხმის რიტუალი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს ღვთაებებთან ურთიერთობის უძველეს სტადიას არც სლავებთან და არც სხვა ინდოევროპელებთან (ამის შესახებ იხ.,Трубачев. Этногенез и культура древнейших славян 2002, 61-64). ავტორი უფრო არქაულად მიიჩნევს უსიტყვო თაყვანისცემის სტადიას, ტაბუს, აღწერილობითი დასახელებების გამოყენებით ღვთისმსახურებას. წინარესლავური ენისა და კულტურის ქრონოლოგიაში უძველეს კულტუროლოგიურ ორიენტირად ო. ი. ტრუბაჩიოვი თვლის ადრეულ სლავურ-ლათინურ კონტაქტებს, ხოლო წინარესლავურ კულტურაში განვითარებული რელიგიური ცნებების გაჩენას მკვლევარი უკავშირებს სლავურ-ირანულ ენობრივ და კულტურულ კონტაქტებს (დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის შუა ხანიდან).

აქედან გამომდინარე, დიაქრონიული ჭრილის ენობრივი მონაცემები წარმოადგენენ მიგრაციული პროცესებისა და კულტურული კონტაქტების ანარეკლს, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც ცნება დიდების ფორმირების ზოგადი ონტოლოგიური ბაზა (იუ. ს. სტეპანოვის ტერმინოლოგიით,

კულტურის იზოგლოსები). ამასთანავე, კონცეპტის კულტურული კონოტაციები ასახავენ არა მარტო ვიწრო ნაციონალურ, არამედ კულტურის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე არსებულ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებას. როგორც ჩანს, საუბარი შეიძლება ცივილიზაციურ ნათესაობაზე, რომელიც სპეციალური ანალიზის შედეგად მტკიცდება ენების მონაცემებით, რომლებიც ანივთებს სხვადასხვა კულტურული არეალის სამყაროს.

Online Etymology Dictionary-ის მიხედვით, კონცეპტის "Glory" სახელი ინგლისურ ენაში ეტიმოლოგიურად უკავშირდება ცნების ათვისების შემდეგ ეტაპებს: "c.1200, gloire "the splendor of God or Christ; praise offered to God, worship," from O.Fr. glorie (11c., Mod.Fr. gloire), from L. gloria "fame, renown, great praise or honor," of uncertain origin. Greek doxa "expectation" (Homer), later "opinion, fame," and ultimately "glory," was used in Biblical writing to translate a Hebrew word which had a sense of "brightness, splendor, magnificence, majesty," and this subsequently was translated as L. gloria, which has colored that word's meaning in most European tongues. Wuldor was an O.E. word used in this sense. Sense of "magnificence" is c.1300 in English. Meaning "worldly honor, fame, renown" of "the kingdom of Heaven," and of "one who is a source of glory" are from mid-14c. Latin also had gloriola "a little fame." Glory days was in use by 1970; glory (v): mid-14c., "rejoice," from O.Fr. gloriier and directly from L. gloriari "to boast, vaunt, brag, pride oneself," from gloria (see glory). Related: Gloried; glorying" (147). ენობივი მონაცემების ბაზაზე შესაძლებელია აზრების ათვისების ევოლუციის რეკონსტრუქცია ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტუალიზებულ სფეროში "Glory" : brightness, splendor, magnificence, majesty, fame, renown, great praise or honor, worldly honor → glory (n.) → glory (v.) → to boast, vaunt, brag, pride oneself.

იმისდა მიუხედავად, რომ მითითებული ეტიმოლოგიური წყარო განმარტებას იწყებს მნიშვნელობით "the splendor of God or Christ; praise offered to God", საფუძვლიანად მიგვაჩნია, ვივარაუდოთ, რომ როგორც უნივერსალია, ინგლისურ ენაშიც პირველადი უნდა ყოფილიყო ღვთაებების უსიტყვო თაყვანისცემის სტადია (იხ. ო. ნ. ტრუბაჩიოვის მითითებული სტატია). მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მ. ფასმერის ლექსიკონი არ გამოყოფს აზრს «Божья Слава», ვთვლით, რომ დისერტაციის წინა თავში მოყვანილი მდიდარი კულტუროლოგიური მასალა შეიძლება განიხილებოდეს როგორც მტიკიცებულებითი ბაზა იმისათვის, რომ მოცემული აზრი ჩაითვალოს კულტურულ იზოგლოსად საკვლევ ლინგვოკულტურებში. აქვე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ის უნივერსალურია მთლიანად იუდაისტურ-ქრისტიანული

კულტურისათვის. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ამ არეალში იწყება ცნების ტრანსფორმაცია, რაც ასევე დაწვრილებით არის აღწერილი ნაშრომის მეორე თავში. კვლევის «Ключевые понятия Библии» მასალების მიხედვით, არსებითი სახელი «слава» (ბერძნ. Δοξα) ახალ აღთქმაში სხვადასხვა მნიშვნელობებით გამოიყენება:

1. ფიზიკური სრულყოფილება და დიდებულება, სილამაზე და სიდიადე:

ა) მეფეთა და სამეფოებთან მიმართებაში;

ბ) ადამიანის ან ღმერთის რომელიმე სხვა ქმნილებასთან მიმართებაში.

2. რაღაც მშვენიერი, რასაც ვხედავთ და რაც ღმერთის მოვლინებას მოწმობს, უფლის სიძლიერისა და სიწმინდის ხილული დასტურია:

ა) კაშკაშა სინათლე, რომელიც თან ახლავს ღმერთისა და ანგელოზების გამოჩენას;

ბ) სხვა სასწაულებრივი ნიშნები, რომლითაც ღმერთი აღნიშნავს თავის მოვლინებას და ხაზს უსვამს ამბის ზებუნებრიობას თუნდაც განსაკუთრებული ნათების გარეშე;

გ) ღვთის დიდების გამოვლინების ხსენება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისას;

დ) ღმერთის ერთ-ერთი სახელი;

3. პატივი, ქება ან ჩინი:

ა) პატივისცემა ან ხოტბა, რომელსაც ადამიანები გამოხატავენ ღმერთის მიმართ ან იმათ მიმართ, ვისაც დიადად მიიჩნევენ;

ბ) მდგომარეობა, როდესაც ვინმე სხვასთან ერთად იღებს ან იზიარებს პატივისცემას, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ქრისტესა და ქრისტიანებზე, რომლებიც ღვთაებრივი სიდიადეს ეზიარებიან;

გ) ადამიანი ან ნივთი, რომლის საშუალებითაც პატივი გადადის კიდევ რაიმეზე; სიამაყის აღმძვრელი რამ.

ყველა ამ მნიშვნელობისათვის საერთოა რაღაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავი, საოცარი, არაჩვეულებრივი, ენით აუწერელი (165). ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე ლინგვოკულტურაში შესაძლებელია გამოვლინდეს „დიდების" აზრების კონცეპტუალიზაციის ყველა ზემოთ

ჩამოთვლილი ზონა. საერთოა აგრეთვე მოხმობილ ლექსიკონებში მითითება ეტიმოლოგიურ კავშირზე ბერძნულთან δόξα,, თუმცა, მ. ფასმერის თანახმად, რუსული «слава»-ს შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბერძნული κλέος როგორც საგმირო საქმეების, ძირითადად საბრძოლო და სპორტული მიღწევების სიტყვიერი განდიდება, ხოტბა. ეს არის ადამიანის დიდება და არა ღმერთებისა. ადამიანმა შეიძლება დაიმსახუროს როგორც ნამდვილი დიდება, ისე – ცუდი სახელი. (дурная, черная, худая слава). სამყაროს რუსულ ენობრივ სურათში საკვანძო ლექსემა შეიძლება ეხამებოდეს პეიორატიულ ლექსიკას და ენის მატარებლების ცნობიერებაში მაგრდებოდეს მზა მოდელი - კოლოკაციების სახით. სამყაროს ინგლისურ ენობრივ სურათში პეიორატიული შინაარსის აზრების კონცეპტუალიზაცია გადმოიცემა, მაგალითად, მოტივირებული საკვანძო ლექსემით vainglory მნიშვნელობით: “an often unjustified feeling of being pleased with oneself or with one's situation or achievements <the vainglory that nations have historically shown after they have achieved military supremacy> “ (Marriam-Webster Dictionary) (149).

როგორც ანალიზის ამ დონეზე გამოვლინდა, ინგლისურ ენაში საკვანძო სიტყვა “glory” შეიძლება შეიცავდეს აზრს “honor”, რომელიც მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან “honos”, სადაც ის აღნიშნავდა ჩვეულებრივი მოქალაქის კეთილსინდისიერების, ჩინის, საპატიო თანამდებობებისა და ჯილდოების მიღების ერთნაირი საფეხურების საზოგადოდ დაწესებას. მაგრამ ენა ამ აზრს გამოყოფს ცალკე ველში, რომელიც ნომინირებულია სიტყვით “honor” და მისი დერივატივებით მნიშვნელობით: “1: good name or public esteem, reputation a showing of usually merited respect: recognition <pay honor to our founder>; 2: privilege <had the honor of joining the captain for dinner>; 3: a person of superior standing – now used especially as a title for a holder of high office <if Your Honor please> 4: one whose worth brings respect or fame: credit <an honor to the profession> ; 5: the center point of the upper half of an armorial escutcheon” (მითითებული ლექსიკონის მონაცემებით სულ ათი მნიშვნელობაა).

რუსული ენობრივი ცნობიერება კონცეპტუალიზაციის ამ ვექტორის ვერბალიზებას ახდენს ლექსემით «честь» მნიშვნელობით «внутреннее нравственное достоинство человека, доблесть, честность, благородство души и чистая совесть» (Словарь В. И. Даля) და მისი სემანტიკური ვარირებით: «**1.** Совокупность высших морально-этических принципов личности. || Достоинство (личное, профессиональное, военное и т. п.). || *чего* или *какая.* Хорошая, незапятнанная репутация, доброе, честное имя. || Целомудрие, непорочность, девственность (о женщинах). **2.** Почет, уважение. **3.**

*Устар.* Высокое звание, должность, чин; почесть. **4.** То, что дает право на почет, уважение, признание, является почетным. **5.** О том, кем или чем гордятся, кому или чему отдают дань уважения, восхищения и т. п.» (Малый академический словарь русского языка).

კონცეპტუალიზებული ზონის «слава» გაფართოება ორივე ლინგვოკულტურაში მატერიალიზდება ენის ნიშნით, რომელიც საკვანძო ლექსემასთან მდგომარეობს ურთიერთობაში „ჰიპონიმი – თანაჰიპონიმი". რუსულ ენაში ეს არის **слава – честь**, ინგლისურში კი – **glory – honor**.

ამგვარად, ლექსემების «слава» და "glory" ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურაში საკვანძო სიტყვით „დიდება" ვერბალიზდება უნივერსალური კონცეპტუალიზირებული დიქოტომია: **ღვთიური დიდება ↔ ადამიანური დიდება, რომელიც ასევე შეიძლება ღმერთის რომელიმე სხვა ქმნილების მიმართაც გამოიყენებოდეს.** საკვანძო ლექსემის ეტიმოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო კანონზომიერებათა უნივერსალიზმი მოდელების «слава» და "Glory" ფორმირებაში, რომლებიც მიეკუთვნება ადამიანის სულიერი სამყაროს კატეგორიებს (მეორეულობა ღვთაებების უსიტყვო თაყვანისცემის სტადიასთან მიმართებაში). გამოვლენილი მსგავსებები ასახავს ადამიანის მსოფლაღქმის უნივერსალურობას, რომელიც უკავშირდება სამყაროს სურათის კარკასის შემადგენელ ცნებათა კონცეპტუალიზაციას.

საკვანძო ლექსემის კომპონენტური ანალიზი, რომელიც გამყარებულია ინტერპრეტაციული ანალიზითა და ექსტრალინგვისტური მონაცემებით, საშუალებას გვაძლევს რუსული ენობრივი ცნობიერების კონცეპტუალურ ველში «слава» და ინგლისური ენობრივი ცნობიერების კონცეპტუალურ ველში "Glory" გამოვყოთ საბაზო გრძნობითი სახე, „მგრძნობიარე" ცნება. ის ფიქსირდება ყველა იმ ლექსიკურ ერთეულში, რომელსაც ნაშრომში განვიხილავთ როგორც გასაანალიზებელი ლინგვომენტალური სიმრავლის წევრს. ეს არის კონცეპტის ბირთვი, მისი პროტოტიპი, რომელიც ასოციაციური ვექტორებით უკავშირდება ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ახდენენ ადამიანის სულიერი და სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გააზრებული ფრაგმენტის ვერბალიზაციას.

ეს ერთეულები მოიცავენ როგორც სივრცეს, რომელშიც პიროვნება დაკავშირებულია სოციუმთან, ისე ადამიანის შინაგანი სამყაროს სივრცეს და ეს

დიაპაზონი მრავალგვარად გამოიხატება ენაში, რასაც მოწმობს გასაანალიზებელი კონცეპტის რაოდენობრივი ასპექტი. ლექსიკურ ერთეულში პროტოტიპი შეიძლება ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად არსებობდეს. პროტოტიპთან იმპლიციტური კავშირის გამოვლენა გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას თითოეული ენობრივი ერთეულის ანალიზისას, იქნება ეს კომპონენტური და ლოგიკური ანალიზი თუ ცნებითი მოდელირება, ინტროსპექცია, ინფორმანტთა ანკეტირება ან პრეცედენტულ ტექსტებში (კოგნიტიურ კონტექსტებში) მონაცემთა ვერიფიკაცია.

## III. 2. ლინგვომენტალური სტრუქტურების «слава» და "Glory" პროტოტიპული ელემენტი

შერჩეული მეთოდიკის კვალდაკვალ, კონცეპტის სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის, მოცემული აზრობრივი ერთობის წარმომქმნელი ლექსიკური ერთეულების შერჩევისა და სისტემური აღწერისათვის არა მხოლოდ უახლოესი ფორმალური კავშირის დონეზე, საჭიროა დადგინდეს მისი პროტოტიპი. ჟ. კლეიბერი ნაშრომში "La sémantique du prototype: Catégories et sens lexical" წარმოგვიდგენს პროტოტიპების თეორიის შემდეგ დებულებებს:

1. კატეგორიას გააჩნია შინაგანი პროტოტიპული სტრუქტურა;
2. ეგზემპლარის წარმომადგენლობითი ხარისხი შეესაბამება კატეგორიისადმი მისი კუთვნილების ხარისხს;
3. კატეგორიებს ანუ კონცეპტებს შორის საზღვრები წაშლილია;
4. ერთი კატეგორიის წევრებს აუცილებლად გააჩნიათ საერთო თვისებები. უფრო კი, მათ აერთიანებთ ოჯახური მსგავსება;

რომელიმე კატეგორიისათვის ამა თუ იმ ობიექტის მიკუთვნება შესაძლებელია პროტოტიპთან მისი მსგავსების ხარისხის საფუძველზე. როგორც ავტორი მიუთითებს, მკვლევარი შეისწავლის არა ანალიტიკური არამედ სინთეტური ანუ „გლობალური" მეთოდით (Kleiber 1990, 51). კ. კრეიგი თვლის, რომ ასეთი კატეგორიები მქრქალია და მკვეთრი საზღვრები არ გააჩნიათ. თუმცა, მათ შიგნით შესაძლებელია გრადაცია „კატეგორიასთან კუთვნილების" პარამეტრის მიხედვით (Craig 1986, 1-10). ერთეული, რომელიც „ავლენს მოცემული ჯგუფის სხვა ერთეულებთან საერთო ნიშან-თვისებების

ყველაზე უფრო დიდ ხარისხს" (Givón 1989, 195), კვლევითი მიზნებისათვის შესაძლებელია განისაზღვროს როგორც ამ ჯგუფის პროტოტიპი.

სემანტიკური პროტოტიპი (კონცეპტის ბირთვი) ჩვენს მიერ გაიგება როგორც კონსტანტური ელემენტი, ინვარიანტი, „ძირითადი შედარება", „კატეგორიის საუკეთესო ნიმუში", რომელიც ექსპლიციტური თუ იმპლიციტური ფორმით შედის მოდელირებულ აბსტრაქციაში ჩართულ ყველა წევრში. პროტოტიპის დასადგენად აუცილებელია ობიექტთა შედარების ლოგიკური მოთხოვნების დაცვა: ისინი უნდა მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ბუნებრივ ან ლოგიკურ კლასს, ხოლო მათი შესადარებელი ნიშანი არსებითი უნდა იყოს და უნდა მიეკუთვნებოდეს იმ ნიშან-თვისებათა რიცხვს, რომლებიც აყალიბებენ ამ საგანთა ხარისხობრივ განსაზღვრულობას.

ლოგიკის თეორიიდან ცნობილია, რომ ობიექტთა ურთიერთმიმართების სიმრავლის შედარებას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მათ შორის „რაიმე სახის მსგავსება მაინც" არსებობს. ეს მსგავსება ყოფს სიმრავლეს აბსტრაქციის კლასებად, რომელთა ფარგლებშიც ორი ნებისმიერი ობიექტი ერთმანეთს ემთხვევა იმ მიმართებით, რომლის მიხედვითაც ხდება მათი შედარება. ამასთანავე, აბსტრაქციის კლასი იგივდება ამ კლასის ყველა ობიექტისათვის საერთო ნიშან-თვისებასთან. ეს უკანასკნელი კი, თავი მხრივ, იგივდება ნებისმიერ კონკრეტულ საგანთან, რომელიც ამ ნიშან-თვისების მატარებელია. ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც ხდება ობიექტების შედარება-შეპირისპირება, წარმოქმნის შედარების საფუძველს.

თუ შედარების საფუძვლად აღებულია, მაგალითად, ფერი, მაშინ შესადარებელი იქნება უშუალო ვიზუალური დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი ყველა საგანი, ხოლო შედარებას ვერ დაექვემდებარება საგნები, რომელზედაც დაკვირვება შეუძლებელია მათი იდეალური ბუნების ან ზომის გამო. შემდგომი შეპირისპირება ხდება ნიშან-თვისებათა გამრავლების ხარჯზე და, შესაბამისად, ხდება სიმრავლის დაშლა აბსტრაქციის კლასებად: დაკვირვების ყველა საგანი შეფერილია, ან – არა; ყველა შეფერილი ობიექტი ქრომატულია ან აქრომატულია; ქრომატული ობიექტები მიეკუთვნება მზის სპექტრის „თბილ" ან „ცივ" მხარეს. შეპირისპირების ასეთი ლოგიკური პროცედურების შედეგად ყალიბდება სემანტიკური ნიშან-თვისებების ნაკრები, რომელთა ერთიანობაც ქმნის tertium comparationis – „შედარების მესამე ტერმინს", იმავე – „შედარების ეტალონს". ის უზრუნველყოფს ობიექტების შეპირისპირებითი შესწავლის

შესაძლებლობას თავისებურებათა მთელი სისრულის მიხედვით, რაც ქმნის მათ ხარისხობრივ განსაზღვრულობას.

ნიშან-თვისებები, რომელიც შეადგენს შედარების ეტალონს, იერარქიულად და რაოდენობრივად ეწყობა, მათზე იგება ლოგიკური დასკვნისა და ტრანზიტულობის ურთიერთობა. მათი ერთიანობა იძენს სემანტიკური თეორიის მოხაზულობას, რომელიც ექსპლიციტურობისა და ფორმალიზებულობის გარკვეული ხარისხის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სემანტიკურ მოდელად ანუ პროტოტიპად (202).

წინამდებარე კვლევის კონტექსტში „ექსპლიციტურობისა და ფორმალიზებულობის ხარისხის" პარამეტრი საკმაოდ ფართედ გაიგება. ცნობილია, რომ ურთიერთობები ტრანზიტიულია, როდესაც სიმრავლის ელემენტებს **x, y** და **z** შორის მოქმედებს შემდეგი ტიპის ტოლობა: თუ **x = y**, ხოლო **y = z**, მაშინ **x = z**. სწორედ ამ ტოლობის მოქმედებაზეა დამყარებული ლექსიკის დაჯგუფება სემანტიკური ველების შიგნით. სემანტიკური ველი არის ჯგუფი ერთი ენის სიტყვებისა, რომლებიც საკმარისად მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს აზრობრივად (Караулов 1976, 57). ამ სიმრავლის ელემენტების ექსპლიციტურობისა და ფორმალიზებულობის ხარისხი, უმეტესწილად, არ მოითხოვს ანალიზის რთულ პროცედურებს. თუმცა, ტრანზიტულობის არსებობა კონცეპტუალურ სიმრავლესთან როგორც უფრო მაღალი თანრიგის მეცნიერულ აბსტრაქციასთან მიმართებაში უშვებს იმპლიციტური, ასოციაციურ-ხატოვანი კავშირის არსებობას პროტოტიპთან. ეს კი გულისხმობს უფრო მეტად სკრუპულოზურ ანალიზს თანმდევი ვერიფიკაციით შესაბამის კოგნიტიურ კონტექსტში.

ნაშრომში უკვე გადმოცემული მთლიანი მასალა, ვფიქრობთ, თანამიმდევრულად წარმოაჩენს, რომ ლინგვომენტალური სიმრავლე „დიდება" თავის თავში მოიცავს მთელ რიგ უნივერსალურ ნიშან-თვისებებს. ამასთანავე ის ხასიათდება მჭიდრო კავშირით ნაციონალურ კულტურასა და ნაციონალურ ხასიათთან. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამდენად შეესაბამებიან ერთმანეთს ერთი და იმავე სახელწოდების კატეგორიების პროტოტიპები ორ ლინგვოკულტურაში – რუსულსა და ბრიტანულში.

კონცეპტის სემანტიკური პროტოტიპის დადგენა ხორციელდება დეფინიციური ანალიზის საშუალებით, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება როგორც კომპონენტური ანალიზის ერთგვარი გამარტივებული „შემცვლელი". ცნობილია, რომ კომპონენტური ანალიზი არის «метод исследования значений слов,

объединенных в одну лексическую микросистему по определенному интегральному смысловому признаку, путем последовательного сопоставления значений единиц этой микросистемы по различным смысловым параметрам (форма, цвет, размер и т. д.) с целью выявить дифференциальные признаки, различающие значение данных единиц в пределах микросистемы» (Вардзелашвили 2001, 55). აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ ორი პროცედურის გაიგივებისაკენ იხრება. ასე, მაგალითად, ლ. მ. ვასილიევი თვლის, რომ მნიშვნელობების განმარტება „თავისი არსით სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა კომპონენტურ ანალიზს მკაცრი თეორიული საფუძვლის გარეშე" (Васильев 1984, 3).

ცნობილია, რომ სიტყვის შინაარსის დონეების შესაბამისად განასხვავებენ ლექსიკურ, გრამატიკულ და სიტყვათწარმომქმნელ სემებს (Васильев 1981, 21). სემები შეიძლება იყოს მაიდენტიფიცირებელი და მადიფერენცირებელი. მაიდენტიფიცირებელი (ანუ ბირთვული) სემები ლექსიკურ-სემანტიკური ველის ელემენტების მსგავსების საფუძველში დევს და შედის ველის ყველა წევრის მნიშვნელობაში. ხოლო მადიფერენცირებელი (ანუ პერიფერიული) სემები ჯგუფის ყველა წევრის მნიშვნელობაში არ არის. მადიფერენცირებელი (პერიფერიული) სემები უზრუნველყოფენ სიტყვების ნებისმიერი სემანტიკური კლასის წევრების სემანტიკურ ოპოზიციას, აგებენ მათ შინაგან სტრუქტურას. მათი გამოვლენა ხდება დომინანტის მნიშვნელობასთან ან ერთმანეთთან შეპირისპირებით, ასევე ორივე მეთოდის კომბინაციით (Богданов 1977, 20). მნიშვნელობის სტრუქტურაში ასევე შედის აბსტრაქტული გრამატიკული სემები, აბსტრაქტული სემანტიკური კატეგორიები (Гак 1972, 171). აბსტრაქტული სემანტიკური კატეგორიები კონკრეტულ სემებთან მიმართებაში გვევლინებიან როგორც „ზესემები", „არქისემები", როგორც გვარეობითი ცნებები სახეობითი ცნებების მიმართ, როგორც „კლასიფიკაციის საკვანძო პუნქტები" (Гак 1971, 371), რომელთა მიხედვითაც ენობრივი სისტემის ელემენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ამით უზრუნველყოფენ სიტყვების კლასების და ქვეკლასების წარმოქმნას (Гак 1977, 14), რომლებიც ხასიათდებიან სირთულის განსხვავებული ხარისხითა და სხვადასხვა სტრუქტურაციით.

მნიშვნელობის იერარქიულად მოწესრიგებული კომპონენტური ორგანიზაციის იდეა მჭიდრო კავშირშია ველის კონცეფციასთან: მადომინირებელი (მოცემული კლასისათვის მაიდენტიფიცირებელი) სემა „ველში სემური ათვლის წერტილს იძლევა", ის წარმოადგენს სემემების ველებში გაერთიანების საფუძველს. ხოლო მადიფერენცირებელი (პერიფერიული) სემები

განაპირობებენ „ოპოზიციების სისტემის არსებობას" (Богданов 1977, 19-20) ველის ელემენტებს შორის. მნიშვნელობის კომპონენტების გამოვლენა (როგორც განსხვავებული ლექსემების მაინტეგრირებელის, ისე მადიფერენცირებელის) უპირატესად ოპერაციულად ხორციელდება ანუ ემყარება განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციებს (დეფინიციური მეთოდიკა), სადაც „მნიშვნელობა ცალკე რუბრიკაა განმარტებით ლექსიკონში, ხოლო მნიშვნელობის კომპონენტი – ცალკე სიტყვა ამ რუბრიკაში" (Караулов 1976, 183).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ნაშრომის წინა პარაგრაფში მოყვანილი კონცეპტის საკვანძო ლექსემის დეფინიციური ანალიზი შეიძლება იყოს საფუძველი კონცეპტის პროტოტიპის დასადგენად, შედარების ეტალონი ლექსიკური ერთეულების შერჩევისას, რომლებიც აყალიბებენ მოცემულ სტრუქტურას.

მეთოდის მოქმედების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჯერ რუსული ენის მასალას, შემდეგ – ინგლისურს. ბოლოს კი, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, შევუპირისპირებთ მიღებულ შედეგებს. სემური ანალიზი ჩატარდა ლექსემის «слава» ლსვ –ს დონეზე.

ერთმანეთს ემთხვევა ლექსემის სალექსიკონო დეფინიციების შემდეგი კომპონენტები:

- 1. Почетная известность, как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблести и т. п; **3.** То или иное мнение о ком-, чем-л.; репутация.; **4.** *Разг.* Слухи, толки, молва. (МАС);
- 1. Почетная, широко распространенная известность, как свидетельство всеобщего и безусловного признания чьих-н. высоких качеств, общественных заслуг, дарований и т. п ; **2.** Слухи, молва, толки (разг.); **3.** Общепринятое мнение, отзыв, репутация. (Словарь Ушакова);
- 1. Почётная известность как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблести и т.п. ; **4.** Сложившееся мнение о ком-, чём-л.; известность в каком-л. отношении, репутация.; **5.** Разг. Слухи, толки, молва (БТС-2000);
- 1. **Славой** называют всеобщее признание чьих-либо заслуг, таланта, доблести и т. п. ; 9. **Славой** называют общее устойчивое мнение о ком-либо, чём-либо. (Словарь Дмитриева);

- 1. <u>Почетная известность как </u>свидетельство признания заслуг, таланта, доблести. // перен. разг. Слухи, молва, толки.; 2. перен. Общепринятое мнение о ком-л., чья-л. репутация. (Словарь Ефремовой)

ინვარიანტული სემის დადგენის პროცედურა ემყარება შემდეგი კომპონენტების გამოვლენას:

| სიტყვა | გვარეობითი სემა | დიფერენციული სემა | ინვარიანტული სემა |
|---|---|---|---|
| Слава (ლსვ 1) | всеобщее признание | почетная известность, заслуги, талант, доблесть и т.п.; мнение, репутация, слухи, толки, молва | всеобщее признание |

განვაგრძოთ ანალიზი სემანტიკური პარამეტრის დასადგენად:

- всеообщий: «**1.** Относящийся ко всем, охватывающий всех. **2.** Общий у всех, одинаковый для всех.»
- признание: «**1.** к Признать (1-3 зн.); **3.** Общественное уважение, положительная оценка»; «Признать: **2.** что. Дать положительную оценку кому-, чему-л. *П. талант. П. роман, пьесу. П. художника. П. работы заслуженного мастера. П. не сразу. Не п. ничего* (полностью отрицать, опровергать что-л.).**3.** что и с придат. дополнит. Согласиться с чем-л., счесть истинным, действительным» (БТС-2000).

ყურადღება მივაპყროთ სემას «оценка». როგორც ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს, „В философии «оценка» – «высказывание, устанавливающее абсолютную или сравнительную ценность какого-то объекта. Способы выражения О. чрезвычайно разнообразны. Абсолютные О. выражаются чаще всего предложениями с оценочными словами «хорошо», «плохо», «(оценочно) безразлично» (Философия: Энциклопедический словарь 2004).

მოყვანილი ლექსიკოგრაფიული მასალიდან გამომდინარეობს, რომ ექსპლიციტურია აზრი „დადებითი შეფასება". თუმცა, სამყაროს კატეგორიზაციისას ადამიანის ცნობიერებას ახასიათებს წინააღმდეგობრივი წყვილების შედგენა. გარე სამყაროს კლასიფიკაციისა და მოწესრიგებისათვის ოპოზიციური წყვილების გამოყენების ეს თვისება მიჩნეულია ადრეული მეცნიერული აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად. მაგალითად, პითაგორელები ყოველივე ცოცხალის მოდელს აგებდნენ ათი საბაზისო ოპოზიციის

საფუძველზე, მაგ., ლუწი – კენტი, სინათლე – სიბნელე, მარჯვენა – მარცხენა, სწორი – მრუდე, კარგი – ცუდი, ა. შ. შესაბამისად, თუ არსებობს პოზიტიური პლიუსი, მაშინ უნდა არსებობდეს ნეგატიურიც. ამ ლოგიკით, თუ არსებობს დადებითი შეფასება, უნდა არსებობდეს უარყოფითი შეფასებაც.

გამოთქმულ აზრს ადასტურებს სალექსიკონო დეფინიციებიც. მივყვეთ: оценка: «**1.** т о л ь к о е д. Действие по гл. оценить-оценивать. Произвести оценку имущества.**2.** Назначенная или определенная кем-нибудь стоимость, цена. Низкая оценка. Высокая оценка. **3.** Мнение, суждение, высказанное о качествах кого-чего-нибудь. Правильная оценка чьих-нибудь поступков. Дать настоящую оценку кому-чему-нибудь.» (Словарь Ушакова)

შესაბამისად, სემანტიკურ მოდელად, რომლის გარშემოც ხდება კონცეპტის «слава», სტრუქტურირება რუსულ ენობრივ ცნობიერებაში, შეიძლება ჩაითვალოს «**всеобщее признание, оценка**», სადაც შეფასება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კონცეპტის «слава» ჩვენს რეკონსტრუქციაში ეს სემანტიკური პროტოტიპი ასევე განისაზღვრება როგორც მისი საბაზო გრძნობითი სახე, „მგრძნობიარე ცნება" იუ. ს. სტეპანოვის ტერმინოლოგიით (1997).

განვიხილოთ ინგლისური ენის მასალა. Webster Merriam Webster's Collegiate Dictionary აფიქსირებს ლექსემის „Glory" 5 ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს (ლსვ), Cambridge Advanced Learner's Dictionary აფიქსირებს 3 ლსვ-ს, Compact Oxford English Dictionary – 4ლსვ-ს, Collins English Dictionary – 8 ლსვ-ს, The Concise Oxford Dictionary of Current English კი – 7 ლსვ-ს. ლექსემის „Glory" ამ სალექსიკონო დეფინიციებიდან ერთმანეთს ემთხვევა შემდეგი კომპონენტები

- 1.a : praise, honor, or distinction extended by common consent : renown b : worshipful praise, honor, and thanksgiving 2 a : something that secures praise or renown b : a distinguished quality or asset / 3.a (1) : great beauty and splendor : magnificence (2) : something marked by beauty or resplendence b : the splendor and beatific happiness of heaven; broadly ;4. a : a state of great gratification or exaltation b : a height of prosperity or achievement / 5: a ring or spot of light: as a : aureole b : a halo appearing around the shadow of an object. (Webster Merriam Webster's Collegiate Dictionary).
- **2**. [U] praise and thanks, especially as given to God. •[U] great admiration, honour and praise which you earn by doing something successfully. •[C] an important achievement which earns someone great admiration, honour and praise. ( Cambridge Advanced Learner's Dictionary)

- **3**. 1.high renown or honour won by notable achievements 2. Magnificence or great beauty [count noun] (often glories) a thing that is beautiful, impressive, or worthy of praise; the splendour and bliss of heaven 3. praise, worship, and thanksgiving offered to God. 4 [count noun] a luminous ring or halo, especially as depicted around the head of Christ or a saint. (Compact Oxford English Dictionary)
- **4.** I. noun 1.exaltation, praise, or honour, as that accorded by general consent; 2. something that brings or is worthy of praise (esp in the phrase crowning glory); 3. thanksgiving, adoration, or worship; 4.pomp; splendour; 5. radiant beauty; 6. the beauty and bliss of heaven. 7.a state of extreme happiness or prosperity. 8. another word for halo , nimbus. II. verb. 1. (intr) in to triumph or exult. 2. (intr) obsolete to brag. III. exclamation , informal- a mild interjection to express pleasure or surprise (often in the exclamatory phrase glory be!) (Collins English Dictionary)
- **5**. 1, n. Exalted renown, honourable fame; subject for boasting, special distinction, ornament, pride; adoring praise & thanksgiving; vulgar excl. of surprise or delight; resplendent majesty, beauty, or magnificence, effulgence of heavenly light, imagined unearthly beauty; bliss& splendor of heaven (go to~, die; send to~, joc., kill); state of exaltation, prosperity; circle of light round head or figure of deity or saint, aureole, halo; ~-hole (sl), untidy room, drawer, or receptacle. 2, v. i. Exult, pride oneself, in thing or doing, to do. Hence ~ingLY2 adv. [f. L gloriari boast (gloria glory)] (The Concise Oxford Dictionary of Current English).

ინვარიანტული სემის დადგენის პროცედურა ეყრდნობა შემდეგი კომპონენტების გამოვლენას:

| სიტყვა | გვარეობითი სემა | დიფერენციული სემა | ინვარიანტული სემა |
|---|---|---|---|
| Glory (ლსვ 1) | renown or honour won by notable achievements | Worship, praise, honor, thanksgiving, distinguished quality, an important achievement, honourable fame, pomp, splendour, exaltation, great gratification, etc. Triumph, pride, prosperity, extreme happiness, subject for boasting, etc. | high renown or honour |

სემანტიკური პარამეტრის დასადგენად განვაგრძოთ ანალიზი:

1. High – of great eminence; very important
2. Eminence – a position of superiority, distinction, high rank, or fame
3. Renown – widespread reputation, esp. of a good kind; fame
4. Reputation – 1. the estimation in which a person or thing is generally held; opinion 2. a high opinion generally held about a person or thing; esteem ,3. notoriety or fame, esp. for some specified characteristic
5. Estimation – 1. a considered opinion; judgment; 2. esteem; respect; 3. the act of estimating
6. Honour – 1. personal integrity; allegiance to moral principles, 2. a. fame or glory b. a person or thing that wins this for another ⇒ he is an honour to the school , 3.(often plural) great respect, regard, esteem, etc, or an outward sign of this, 4. (often plural) high or noble rank, 5. a privilege or pleasure ⇒ it is an honour to serve you, 6. a woman's virtue or chastity

მოცემული ლექსიკოგრაფიული მასალა ნათლად უჩვენებს, რომ ინგლისურ ენაშიც, რუსულის მსგავსად, მკვეთრად გამოხატულია ლექსემის "Glory" ძირითადი აზრი – საყოველთაოდ აღიარებული დადებითი შეფასება. განსხვავება ის არის, რომ რუსული ენის ლექსიკონები აფიქსირებენ დიდების უარყოფით შეფასებასაც, რაც არ ფიქსირდება ინგლისური ენის ლექსიკონებში ლექსემის "Glory" მნიშვნელობების დისტრიბუციისას. ადამიანის სინკრეტული ბუნებიდან გამომდინარე, მოვლენა შეიძლება უარყოფითადაც შეფასდეს. ამიტომ, ცნება დიდებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე უარყოფითი შეფასებები გამოხატულია განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით, მაგალითად: *"vainglory", "Notoriety"*, რაც ექვივალენტია რუსული კოლოკაციისა *«дурная слава»*.

შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიის ასპექტში ყურადსაღებია, რომ რუსული ლექსიკოგრაფიული წყაროებისგან განსხვავებით, ინგლისური ენის ლექსიკონები ლექსემის "worship" განმარტებისას მიუთითებენ ამ ცნების კავშირზე რელიგიურ დისკურსთან: "**1** *[mass noun]* the feeling or expression of reverence and adoration for a deity: *worship of the Mother Goddes sancestor worship;* religious rites or ceremonies, constituting a formal expression of reverence for a deity: *the church was opened for public worship;* great admiration or devotion shown towards a person or principle: *the worship of celebrity and wealth archaic;* honour given to someone in recognition

of their merit.” (Oxford Dictionaries Online) (33); “3. a form of religious practice with its creed and ritual” (Merriam-Webster's Online Dictionary, 11th Edition) (216).

შესაბამისად, ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის “Glory” სტრუქტურირების სემანტიკურ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს “**widespread reputation, estimation”**.

შევადაროთ კონცეპტისათვის «слава» და კონცეპტისათვის “Glory” დადგენილი სემანტიკური მატრიცები

| კონცეპტი «Слава» | კონცეპტი “Glory” | |
|---|---|---|
| ***всеобщее признание, оценка***<br><br>1. почетная известность;<br>2. свидетельство всеобщего признания;<br>3.заслуга;<br>4. талант;<br>5. доблесть;<br>6. слухи, толки, молва. | ***widespread reputation, estimation***<br><br>1. Recognition,<br>2. Achievements,<br>3.High moral qualities,<br>4.Wealth,<br>5. Celebrity.<br>6. Worship | ***საყოველთაო აღიარება, შეფასება*** |

კონცეპტების «слава», “Glory” საერთო ცნებით მინიმუმს წარმოადგენს საყოველთაო აღიარება, რომელსაც მოიპოვებენ ან აღწევენ; გავრცელებული დადებითი აზრი; საზოგადოებრივი პატივისცემა. მათი ხატოვანი ნიშნები გამოიხატება სამ თემატურ ჯგუფში (ადამიანი, საგანი, ბუნება) და ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორიცაა ზეიმი, აღფრთოვანება, ტრიუმფი, გამორჩეული ღირსებები, განთქმული სახელი, ბრწყინვალება, ა. შ. კონცეპტების «слава», “Glory” ღირებულებითი კომპონენტები ქმნიან იმ ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანისა და საზოგადოების ქცევის ნორმებს და ამ ქცევის შეფასების კრიტერიუმებს.

კომპონენტური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ, მოცემული ლექსემის დეფინიციებში განსხვავების მიუხედავად (რუსულში – слухи, толки, молва, ინგლისურში – Worship), ორივე ენობრივ სურათში ფიქსირდება კონცეპტში «слава», “Glory” შემავალი საერთო მნიშვნელობა –საყოველთაო აღიარება, სახელი, პატივი (почет, honour) დამსახურების, ნიჭის, ღირსეული

ქმედების გამო. ინგლისურსა და რუსულ ენებში „დიდება" გულისხმობს ბრწყინვალებას (сияние, glory), ქებას, მადლიერებას, პატივისცემას. როცა დიდების მოპოვების სურვილი (жажда славы, desire for glory) სცილდება მაღალი კულტურული დირებულების კატეგორიას, ის გარდაიქმნება უარყოფით ენერგიად, რომელსაც შეიძლება სახელი კი მოაქვს, მაგრამ ის უკვე აღარ არის დაფასების, სიყვარულის, პატივისცემის მომტანი საზოგადოებრივი კრიტერიუმების თანახმად. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეალიის ნომინირება ინგლისურ ენაში ხდება განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით. როგორც დეფინიციის კომპონენტური ანალიზის შედეგები აჩვენებს, იკვეთება ორმხრივი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, „დიდება" მოიაზრება როგორც წარმატების, ნიჭის ნიშანი, დამსახურების აღიარება და პოზიტიურ აზრს შეიცავს; მეორე მხრივ კი – დიდების წყურვილს ნეგატიური გავლენა აქვს. უარყოფით აზრს ატარებს კონცეპტის „слава" ერთ-ერთი მნიშვნელობა რუსულ ლინგვოკულტურაში და ნიშნავს ჭორს, მითქმა-მოთქმას. და ამგვარად რუსულ ენაში слухи+молва=дурная / худая слава(ვინმეს შესახებ, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს საზოგადოებაში), რაც არ ფიქსირდება ინგლისურ ენაში.

## III.3. კონცეპტის „დიდება" ლექსემა-ნომინატორი როგორც კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი

სიტყვა-ნიშანი «слава»/"Glory", პირველ ყოვლისა, არის „მთქმელისა და მსმენელისაგან დამოუკიდებელი „მკვრივი" არსი, რომელიც შეიძლება იყოს ერთი ადამიანისაგან მეორისათვის გადასაცემი საგანი ან ურთიერთობის წრეში გაცვლის საგანი" (Степанов 1997, 250). მაგრამ სწორედ ურთიერთობის ამ წრეში იმუხტება ეს მკვრივი არსი არა მხოლოდ აღმნიშვნელი არამედ აზრის წარმომქმნელი ენერგიით. ცალკე აღებული სიტყვა, რომელიც წარმოადგენს გამონათქვამის ნაწილს ან ელემენტს, ამჟღავნებს თავის ერთ-ერთ შესაძლო მნიშვნელობას. ხოლო საერთო აზრის დაბადება არის მნიშვნელობის შერჩევის პროცესის შედეგი, რომელიც აუცილებელია მთელი გამონათქვამის ჭეშმარიტი აზრის მისაღებად. შესაბამისად, „სწორედ აზრი ააქტიურებს სიტყვის მნიშვნელობის სისტემაში მის იმ მხარეს, რომელიც განისაზღვრება მოცემული სიტუაციით, მოცემული კონტექსტით" (Валгина 2003, 244).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ლ. ს. ვიგოტსკიმ ნაშრომში «Мышление и речь» (1934) მიუთითა, რომ ყოველი სიტყვა „წარმოადგენს დაფარულ განზოგადებას", რომ ის მიეკუთვნება „არა ერთ ცალკეულ საგანს, არამედ საგანთა მთელ ჯგუფს ან მთელ კლასს"; სიტყვა „არის მეტყველება და აზროვნება ერთდროულად". ა. რ. ლურია ნაშრომში «Язык и сознание» ამტკიცებს: „თუ სიტყვის „მნიშვნელობა"წარმოადგენს კავშირებისა და დამოკიდებულებების სისტემის ობიექტურ ასახვას, მაშინ „აზრი" არის მნიშვნელობის სუბიექტური ასპექტების მოხმობა მოცემული მომენტისა და სიტუაციის შესაბამისად" (1998, 55). სწორედ ამ განსხვავებაშია დაფარული შესაძლებლობა, ენობრივი ერთეულების მნიშვნელობების ოპერირებით ავტორმა მოახდინოს საჭირო აზრების კონსტრუირება. ენობრივი ერთეული – ბუნებრივი ენის სისტემის ელემენტი – რეალიზაციისას ამყარებს რეგულარულობისა და დისჰარმონიის ურთიერთობებს, რაც წარმოშობს დაძაბულობასა და ცვლილებას თავად სისტემაში (Звегинцев 1996, 50). ნათქვამი მომდინარეობს ვ. ფონ ჰუმბოლდტის აზრიდან: «Язык следует рассматривать не как мертвый продукт, но как созидающий процесс, надо абстрагироваться от того, что он функционирует в качестве обозначения предметов и как средство общения, и, напротив того, с большим вниманием отнестись к его тесной связи с внутренней духовной деятельностью и к взаимному влиянию этих двух явлений» (Гумбольдт 1964, 90).

იმისათვის, რომ ლინგვოკულტურული ხასიათის განზოგადება მივიღოთ, მივმართავთ კონცეპტის „დიდება" საკვანძო ლექსემა-ნომინატორის ანალიზის კიდევ ერთ რაკურსს ორ ლინგვოკულტურაში. ჩვენ ამოვდივართ თანამედროვე ლინგვისტიკაში მიღებული დებულებიდან, რომ ერთი და იმავე დროის მონაკვეთის ფარგლებში მოლაპარაკეთა სოციოკულტურული და ენობრივი გამოცდილების ერთიანობა წარმოშობს შედარებით მთლიან სურათს ერთგვაროვანი ცოდნისა, რომელიც განიცდის რეფლექსიურ გააზრებას.

მოცემულ განყოფილებაში საკვლევ ბაზას წარმოადგენს ლექსიკური ერთეულების «слава» და "Glory" როგორც დისკურსში „ტოლერანტული კოგნიტიურ-სამეტყველო ურთიერთქმედების" მარკერების ფუნქციონირება (Вепрева 2005, 3). რიგი მეცნიერებისა გვთავაზობს, ასეთ ერთეულ-მარკერებს ვუწოდოთ რეფლექსივები, თუმცა გვხვდება სხვა ტერმინებიც, მაგალითად, «контекст-мнение» („კონტექსტ-შეხედულება") (Лукьянова 1986), «показания метатекстового сознания» (მეტატექსტური ცნობიერების მაჩვენებელი") (Блинова 1989), «метатекст» (მეტატექსტი") (Ростова 2000) და სხვ. ი. ტ. ვეპრევას კვალდაკვალ, ვთვლით, რომ არჩეული ტერმინი „ხაზს უსვამს მეტაენობრივი წარმონაქმნების მთავარ, გვარეობით თვისებას – ენობრივი რეფლექსიის არსებობას. აქვე ვიტყვით, რომ ტერმინი „რეფლექსივი" ახალი არ არის და ლინგვისტიკაში სხვა განმარტებაც გააჩნია (მაგ., გრამატიკაში აღნიშნავს კორეფერენტულ სიტუაციებს და მათი გამოხატვის საშუალებებს). იმასაც აღვნიშნავთ, რომ ი. ტ. ვეპრევა, რომლის ნაშრომსაც «Языковая рефлексия в постсоветскую эпоху» (2005) ვეყრდნობით მოცემულ განყოფილებაში ოპერირებს ტერმინით „მეტაენობრივი რეფლექსივი".

ტერმინს „კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი იყენებს ქ. ა. ვარძელაშვილი თავის ანალიზში (2012) და თვლის, რომ გარკვეულ კონტექსტში ენობრივი ნიშანი, კრავს რა ენას, კულტურას, ცნობიერებას, ხდება ახალი დონის სემიოტიკური ერთეული, რომელიც ხსნის მისასვლელს კონცეპტუალური შინაარსისკენ. თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაც კი გამოყენებული სიტყვა-კონცეპტუალური მარკერი შეიძლება წარმოქმნიდეს არა მხოლოდ პირდაპირ კავშირს რეფერენტთან, არამედ ცნობიერისა და არაცნობიერის სიღრმიდან იწვევდეს ყველაფერს, რაც მას აქცევს ნაგრძნობ, განცდილ ცნებად.

კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივის ფუნქციით დისკურსში ლექსიკური ერთეულის რეალიზაცია გულისხმობს მის სიღრმისეულ გაგებას კომუნიკანტების მიერ, ენობრივი ინფორმაციის დადებას მოცემულ კონტექსტში

აქტუალურ სხვა ტიპის ინფორმაციაზე. ავტორის აზრით, ასეთი ერთეულები წარმოადგენს კონცეპტუალური შინაარსის სხვადასხვა რაკურსების, აქტივიზაციის პირობით სიგნალს. ამ რაკურსებს შორის არის რეფერენტის მიზეზით გამოწვეული გაუცნობიერებელი ფსიქიკური განცდები, კულტურული კონოტაცია, ხატოვანი, ასოციაციური და შეფასებითი რიგები, რომლებიც დაკავშირებულია რეფლექსიის მარკერ-სტიმულთან.

მოცემულ კვლევაში აღნიშნული ტერმინი შემოიყვანება ენობრივი პიროვნების ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორების კომპლექსით მოტივირებული რეფლექსიის შეპირისპირებითი ანალიზისათვის კონცეპტ „დიდების" («слава»/"Glory") ერთეულ-ნომინატორებთან მიმართებაში. ენობრივი პიროვნების საკითხი განხილული იყო დისერტაციის I თავში. აქ მხოლოდ დავუმატებთ, რომ ეს მეცნიერული აბსტრაქცია საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ პიროვნება, რომელიც თავის თავში იტევს ფსიქიკურ, სოციალურ, ეთნიკურ და კულტურულ კომპონენტებს. ეს კომპონენტები გარდატეხილია იმ ენაში, რომლის მატარებელიცაა ენობრივი პიროვნება. ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებს ჩვენს კვლევით ნაშრომში.

განზოგადებულად რეფლექსია შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც სუბიექტის მიმართვა საკუთარ თავზე, არამედ მისი მოღვაწეობის პროდუქტებზე, მათ გააზრებასა და გადააზრებაზე. რეფლექსია განიხილება როგორც პიროვნებათაშორის აღქმის არსებითი შემადგენელი, ადამიანის მიერ ადამიანის შეცნობის სპეციფიკური თვისება, სამყაროს შესახებ ახალი ცოდნის შეძენის საშუალება, რასაც მივყავართ შეფასებით-აზრობრივი წარმონაქმნების თვისობრივ შეცვლამდე. ე. კასირერის მტკიცების თანახმად, რეფლექსია წარმოადგენს „უნარს, გრძნობითი ფენომენების დაუნაწევრებელი ნაკადიდან გამოყოს ზოგიერთი მდგრადი ელემენტი, რათა ამ იზოლირებულ ელემენტებზე გაამახვილოს ყურადღება" (1988). ამოვდივართ რა ამ მტკიცებიდან, ტერმინი „რეფლექსივი" გვესმის როგორც გრძნობითი ფენომენის „დიდების" „დაუნაწევრებელი ნაკადიდან" გამოყოფის მარკერი. ხოლო ცნება „აზრის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია", რომლითაც ვოპერირებთ ანალიზის დროს, გვესმის როგორც სათანადო ლინგვოკულტურული კონტექსტის ფონზე ლექსემის «слава»/"Glory" აქტუალური გამოყენების გამო ენობრივი პიროვნების „ყურადღების გამახვილების" პროცესის შედეგი.

ყოფითი ცნობიერება ცოცხალ კონტაქტშია სამყაროსთან და ასახავს მის უკიდეგანობასა და სივრცეს. ამასთანავე, მეცნიერები აღნიშნავენ ყოფითი

ცნობიერების არასისტემურობას ასახული პროცესების არსში არასიღრმისეული შეღწევის, არაკრიტიკულობის, ემოციურობის, მიკერძოებულობის გამო, რაც ხელს უშლის მიმდინარე მოვლენის ობიექტურ შეფასებას (იხ., მაგ., Кузьмина 1978, 192). ყოფით ცნობიერებაში ასევე არსებობს განწყობები, რომელიც ემყარება მითქმა-მოთქმას, ჭორებს, ცრურწმენებს (Чурилов, 2000, 3), რაც განსაკუთრებით აქტუალურია ლექსემისათვის «Слава. ЛСВ**4.** *Разг.* Слухи, толки, молва. (MAC); ხოლო ინგლისურ ენაში „Glory" კონკრეტულ კონტექსტში აღნიშნავს ტრაბახს „Glory". II. verb. 2. (intr) obsolete to brag (Collins English Dictionary); 2, v. i. Exult, pride onself, in thing or doing, to do. Hence ~ingLY2 adv. [f. L gloriari boast (gloria glory)]. (The Concise Oxford Dictionary of Current English).

ყოფითი წარმოდგენები „ფორმირდება და ექსპლიცირდება მხოლოდ პრაქტიკულ გამოცდილებაში მათი „გაზავების" შემდეგ და შემეცნებითისა და პრაქტიკულის ეს ნაზავი განსაზღვრავს მეტაენობრივი ცნობიერების ზომას (Ростова 2000, 51).

რეფლექსივი დაკავშირებულია „მოდალობის" ცნებასთან (უპირატესად შეიცავს სუბიექტურ მოდალობას). მოდალობა, თავის მხრივ, უკავშირდება ცნებებს „შეფასება", „შეფასებითი დამოკიდებულება" აქსიოლოგიური სკალის დონეებით „კარგი – ცუდი". შევადაროთ «добрая слава – дурная/худая слава»; "glory-vainglory". რეფლექსივის სამეტყველო ორგანიზაცია წარმოადგენს „უფრო შესაძლო უპირატესობების, ვიდრე მკაცრი მითითებების სისტემას" (Ростова 2000, 60) და ვრცელდება „მოლაპარაკე–მსმენელის" ურთიერთობაზე. ფორმალურად ეს ფუნქცია ვლინდება გრამატიკული მოდელების, ფრაზის კომპოზიციური სურათის, სინტაქსური წყობის არჩევანში (იხ.; Ляпон 1989, 27).

გამოყენებული სიტყვის მიმართ მოლაპარაკის დამოკიდებულების გამოხატვის საშუალებების სპეციფიკა დამოკიდებულია მოლაპარაკის კომუნიკაციურ მოდუსზე. მოლაპარაკე შეიძლება კომენტირებას უკეთებდეს სიტყვას ან მის გამოყენებას მოცემულ კონტექსტში, გამოთქვამდეს თავის დამოკიდებულებას სიტყვისადმი და, შესაბამისად, რეფერენტისადმი, რითაც დემონსტრირდება აქსიოლოგიური შეფასება რაციონალური ან ემოციური რეაქციის უპირატესობით. მეტყველებაში უფრო ხშირად გვხვდება შეფასებითი, ვიდრე მიუკერძოებელი ნათქვამი: „ორი მდგომარეობის შეხამება – ემოციურისა და მენტალურის, აზრისა და ემოციისა, ერთსა და იმავე მომენტში, ერთსა და იმავე სუბიექტთან არათუ დასაშვებია, არამედ ხშირადაც გვხვდება..." (Вольф

1996, 142). ამიტომ, რეფლექსიური კონტექსტები საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ზოგადად მიღებული შეფასების გრადუალურ კონკრეტიზაციასაც (იხ.: წინამდებარე ნაშრომის პარაგრაფი III. 1).

ნებისმიერი შეფასება წარმოადგენს ინტელექტუალური ქმედების სახეობას და სხვადასხვა პროპორციით ასახავს მის რაციონალურ და ემოციურ საწყისს. ამიტომ, შეფასებითი სემანტიკის მრავალკომპონენტიანი სტრუქტურა შედგება ზოგჯერ ძნელად მოსახელთებელი კონოტაციური ელემენტებისაგან. შეფასებითობა, როგორც რუსულ ენათმეცნიერებაში ითვლება, შეიძლება მოტივირებული იყოს ემოციური და სოციალური შეფასებითობით (იხ.: Маслова 1991; Лукьянова 1986; Стернин 1983; Шаховский 1983, 1987, 1997). კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივი შეიძლება ეყრდნობოდეს შეფასების ოპერატორებს, როგორიცაა „მიყვარს – არ მიყვარს", „მომწონს – არ მომწონს", „კარგია – ცუდია". რეფლექსივის შეფასება და აქსიოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზედსართავი სახელებით, მაგ., «всемирная слава», «громкая слава», «вечная слава», «жертвенная слава», «худая слава», «дешевая слава»; კონსტრუქციებით, როგორიცაა «слава была безгранична», «слава его была необычайна» (რუსულ ენაში) ); Grim glory, modest glory, Lone glory, blaze of glory, Grand Prix glory; the route to glory, to bask in the glory of his sensational Olympic 100 metres victory, the glory was short-lived, His glory was the late cut**.**

ნ. დ. არუტიუნოვა თვლის, რომ აქსიოლოგიური მტკიცებულების ხარისხის ინტენსივობა ახასიათებს უფრო სუბიექტს (მოლაპარაკეს), ვიდრე ობიექტს (1984). მივადევნოთ თვალი: «**Странная слава** была у этого человека – **громкая и глуховатая** в одно и то же время.» (Ю. О. Домбровский), «Моя **двусмысленная слава**, но не двусмысленный талант» (И. Северянин), «Не польщусь на **славу стоустую»** (М. Исаковский); "O, the fierce wretchedness that glory brings us!" (William Shakespeare), "Who tracks the steps of glory to the grave?" (Lord Byron), "Think where man's glory most begins and ends, and say my glory was I had such friends" (William Butler Yeats), "In the face of an Indian, you can see the natural glory of life, while we have covered ourselves with an artificial cloak" (George Bernard Shaw), "Yet, though you fight upon an alien field, the glory that you reap there shall be your own forever" (J.R.R. Tolkien). "What vanity needs for its satisfaction is glory, and it's easy to have glory without power" (Bertrand Russell), ამდენად, მოყვანილი მაგალითები უფრო მეტად ახასიათებს მათ ავტორებს, ენობრივ პიროვნებებს, რომლებიც ქმნიან საკუთარ იდიოსტილს, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კულტურაზე.

კონცეპტუალური რეფლექსივების არსებით ნიშან-თვისებას წარმოადგენს მათი გახსნილობა ინტერპრეტაციისადმი. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ტ. ვინოგრადისა და ფ. ფლორესის სიტყვები: «Когда говорят об «интерпретации», скорее всего возникают ассоциации с художественными и литературными произведениями. Музыкант, литературный критик и обычный читатель стихов или романа – все они в некотором смысле «интерпретируют» совокупность знаков на листе бумаги. Деятельность интерпретатора не ограничивается подобными ситуациями, а **пронизывает всю нашу жизнь** (ხაზგასმა ჩვენია – დ. რ.). Для осознания того, что значит думать, понимать и действовать, нам необходимо признать роль интерпретации» (Виноград, Флорес 1996, 185). რეფლექსივი იძლევა თემას კონტექსტის შიგნით, დანარჩენი კი – ინტერპრეტაციაა. ვვარაუდობთ, რომ ამ პროცესში ერთგვარი „ფილტრია" ადეკვატური კონტექსტუალური ჩარჩოს ლოგიკური სკალა, რომლის შიგნითაც ვითარდება და ინტერპრეტირდება კონცეპტუალური შინაარსი.

ლექსემა – კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი ასახავს ენის მატარებელთა კოგნიტიური პრესუპოზიციების რეალიზაციასაც, ანუ სტერეოტიპებისას, რომლებიც დაკავშრებულია „ზემყარ წარმოდგენასთან" სინამდვილის ფრაგმენტის შესახებ ყოფითი ცნობიერების პოზიციიდან (Прохоров 1997, 93), მოცემულ ანალიზში ფენომენთან „დიდება". ცნობილია, რომ სტერეოტიპი ყალიბდება რიგი ფაქტორების გავლენით, რომელთა რიცხვსაც მიაკუთვნებენ მოცემულ კულტურაში ჩამოყალიბებული ტრადიციების, ჩვეულებების გავლენასაც. ის რეალიზდება რეფერენტთან დაკავშირებული განწყობების სახით და არეგულირებს ურთიერთობის პროცესს არასამეტყველო სინამდვილის შესახებ მსგავსი, განზოგადებული წარმოდგენების საფუძველზე. თუმცა, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ (იხ., მაგალითად: В. Н. Телия 1996, Е. О. Опарина 1988), ლინგვოკულტუროლოგია მიმართული არ არის გამოავლინოს მხოლოდ და მხოლოდ სტერეოტიპები, რომლებიც გზას ხსნიან სამყაროს ეთნიკური სურათისაკენ. მისი მიზანია „ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სამყაროს ყოფითი სურათი, რომელიც წარმოდგენილია ენის მატარებელთა ყოველდღიურ მეტყველებაში და რომელსაც გააჩნია „ფუნდამენტი" და კორელაცია სხვადასხვა დისკურსში..." (196).

ერთეულ-რეფლექსივში პირობითად შეკავშირებულია ორი „დინება": ერთი – მიმართული ენისაკენ („ენობრივი აზროვნება", „ენობრივი ცნობიერება"), რომელიც აღწერილია დისკრეტულ კატეგორიებში, შევუსაბამოთ ცნების

კატეგორიზაციის საბაზისო დონეს (დროში), და დონე, რომელიც უზრუნველყოფს შემმეცნებელი ცნობიერების დისკრეტული მდგომარეობების განგრძობით კავშირს. ასეთი მიდგომის შემთხვევაში აღიარებულია, რომ „აზროვნებითი ქმედება ვერ თავსდება ენობრივი სტრუქტურების პროკრუსტეს სარეცელზე" (Жоль 1984, 238).

ამგვარად, ინახავს რა მოცემული ენობრივი ცნობიერებისათვის საერთო უნივერსუმის სემანტიკას, სიტყვა ასახავს ცალკეული ენობრივი პიროვნების მსოფლაღქმის კონცეფციას. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით ნათლად რეალიზდება მხატვრული დისკურსის ქსოვილში. ამასთან დაკავშირებით, მოვიყვანთ ცნობილი რუსი მწერლის სერგეი დოვლატოვის სიტყვებს, წარმოთქმულს რუსული ლიტერატურის ინგლისურ ენაზე თარგმნის სირთულესთან დაკავშირებით: «...есть русские писатели, все творчество которых основано на словесных аргументах. Оно погружено в корнесловие, насыщено метафорами, изобилует всяческой каламбуристикой, аллитерациями, цеховыми речениями, диалектизмами. Достаточно вспомнить Хлебникова, Замятина, Ремизова, писателей орнаментальной школы» («Переводные картинки»). თავს ნებას მივცემთ, ვისარგებლოთ დოვლატოვის „ტერმინოლოგიით": კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი ,გარკვეული აზრით, არის კიდეც „ძირი სიტყვა", „სიტყვიერი არგუმენტი", რომლის მეშვეობითაც იტოტება თხრობის აზრობრივი ქსოვილი. ავითარებს რა თავის აზრს, დოვლატოვი წერს: „რუსულიდან ბუკვალური თარგმნა შეუძლებელია. აქ სიტყვა კი არ ითარგმნება სიტყვით, ფრაზა კი – ფრაზით, არამედ იუმორი – იუმორით, სიყვარული – სიყვარულით, მწუხარება – მწუხარებით ..." («Переводные картинки»). ვფიქრობთ, რომ მწერლის ეს აზრი შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური დადასტურება ზემოთ მოყვანილი ვარაუდისა – ერთეულ-რეფლექსივში მოქმედებს პროცესები, რომელიც მიმართულია ენაზე, და პროცესები, რომელიც უზრუნველყოფს შემმეცნებელი ცნობიერების დისკრეტული მდგომარეობების განგრძობით კავშირს.

ჩვენი კლასიფიკაციით, კონცეპტის „დიდება" ნომინატორი არის კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი, რომელიც შეიცავს უპირატესობათა დინამიკურ სისტემას, დამყარებულს მოცემულ კულტურაში ჩამოყალიბებულ ცოდნაზე, ტრადიციებზე, ჩვეულებებსა და უპირატესობებზე და ასახულს კონკრეტული ენობრივი ცნობიერების მატარებელთა სამყაროს ყოფით სურათში (რაც დასტურდება კულტუროლოგიური ინფორმაციის ანალიზით).

კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივის „დიდება" ანალიზისათვის კონტექსტები შერჩეულია პირადი კარტოტეკის მასალებში რუსული ენის ნაციონალურ კორპუსში – Национальный корпус русского языка (ლექსემისათვის «слава» ნაპოვნია 4645 დოკუმენტი, გაანალიზებულია 850; შეირჩა მიყოლებული შერჩევის მეთოდით), ინგლისური ენის ნაციონალურ კორპუსში The British National Corpus (BYU-BNC (Brigham Young University)) (ლექსემისათვის "Glory", ნაპოვნია 1599 დოკუმენტი, გაანალიზებულია 500 კონტექსტი). კვლევის ამ ნაწილში ჩვენ უპირატესად ვეყრდნობოდით დედუქციურ-ჰიპოთეტური, ინტროსპექციული და კულტუროლოგიური ანალიზის მეთოდებს.

როგორც გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რუსულ ენაში რეფლექსივების უფრო მეტი რაოდენობა გვხვდება მხატვრული ლიტერატურის ტექსტებში და პირობითად წოდებულ „სუბიექტურ-ანალიტიკურ ტექსტებში": სტატიებში აქტუალურ თემებზე, კომენტატორთა სვეტებში, ინტერვიუებში კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან. ბრიტანულ ნაციონალურ კორპუსში ამ ნუსხას ემატება სპორტული კომენტარები, ქადაგებები, სარეკლამო ტექსტები.

მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარების შეხედულების თანახმად, გააზრებას ექვემდებარებიან მხოლოდ კონკრეტული ლინგვოკულტურული ერთობისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტები. ამდენად, ქვემოთ მოყვანილი მასალა შეიძლება გახდეს კიდევ ერთი დადასტურება ნაშრომში წამოყენებული თეზისისა კონცეპტ „დიდების" როგორც სამყაროს სურათის საბაზისო (საკვანძო, დასაყრდენი) კონცეპტის სტატუსის შესახებ. საბაზისო „საკვანძო სიტყვების" საშუალებით ენა აფიქსირებს „ადეკვატური მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის ადამიანის აზრის განსაკუთრებულად დაძაბული აქტიურობის პუნქტებს", რის გამოც მოცემული რიგის ენობრივი ერთეულები ერთდროულად ხდება „კალაპოტი, რომელშიც ჩვეულებისამებრ მიედინება საერთო ეროვნული ცნობიერების არაცნობიერი შემოქმედებითი აქტიურობა, და დისკუსიის ასპარეზი, ადამიანში სამყაროს ხატის შექმნის შემოქმედებითი ლაბორატორია (Постовалова 1994, 208).

შერჩეული გამონათქვამების კორპუსი სასარგებლო იქნება თითოეული შესაპირისპირებელი ენობრივი ცნობიერების მატარებლის აბსტრაქტული ლინგვომენტალური პორტრეტის აღსადგენად. მასალა ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ცნების კონცეპტუალიზაციის დიაქრონიულ ასპექტთან დაკავშირებული პროცესების საილუსტრაციოდ, რომელიც ასახულია კულტურული ეპისტემის მოდელს.

ორ შეპირისპირებულ ლინგვოკულტურაში კონცეპტის „დიდება” სახელის დისკურსული რეალიზაციის ანალიზის შედეგები თავმოყრილია ორ განმაზოგადებელ ცხრილში, თითოეული მათგანი შედგება ხუთი სექციისაგან. ობიექტური მიზეზების გამო მათში მოყვანილია გაანალიზებული მასალის მხოლოდ ნაწილი. კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივები განლაგებულია თითოეული ლინგვოკულტურისათვის დადგენილი სემანტიკური მატრიცების შესაბამისად (იხ.: პარაგრაფი III.2.), რაც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ რეფლექსიის ძირითადი ვექტორი კონკრეტულ კონტექსტში და სისტემაში მოვიყვანოთ მასალა. გვერდით მოყვანილია ცნება „დიდების” რეკონსტრუირებული კონცეპტუალური ინტერპრეტაცია (ჩანანიშნით **„კი”**), რომელიც ემყარება საკვანძო აზრებს. ისინი შეიძლება გააქტიურდნენ მოცემულ კონტექსტში რეფლექსიის გამტარებელი ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში (დადგენილია გავარჯიშებული ინტროსპექციის მეთოდით). შემდეგ აღინიშნება მოდალობა (ჩანანიშნები **„ომ”, „სმ”, „ო/ს”**: ობიექტური მოდალობა, სუბიექტური მოდალობა, შეხამებული მოდალობა), ნიშნებით „+”, „–” ან „+/–” ჩანანიშნით **„შკ”** დაფიქსირებულია გამოყვანილი შეფასებით-ემოციური კომპონენტი (დადებითი, უარყოფითი, შეხამებული შეფასება), რომელსაც მთქმელი აქსოვს იმ სიტყვა-რეფლექსივში და რომელზეც იმედს ამყარებს ადრესატისადმი მიმართვისას. ჩანანიშნი **„კე”** – კონცეპტუალიზაციის გამოყვანილი რაკურსი, რომელიც მომდინარეობს მაკროარეალში „დიდების” უნივერსალური გააზრებიდან.

| სემანტიკური მატრიცა | კი | მ | შკ | კე |
|---|---|---|---|---|
| **<u>1. Почетная известность</u>** | | | | |
| *«Ваша **<u>слава</u>** **<u>всемирна</u>**, и я уверен, что ваше обращение будет выслушано с жадным вниманием миллионами людей...»[Столетие загадки: звуковая 'открытка' Толстого американскому народу // РИА Новости, 2008.02.26];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა →საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | ომ | + | <u>აღორძინება, განმანათლებლობა.ჰუმანიზმი,</u> |
| *«Он, действительно народный артист, и **<u>за эту народную любовь</u>** и **<u>славу</u>** он расплатился с лихвой, сполна.» [Оксана Прупис. На фестивале в Ханты-Мансийске почтили память Александра Абдулова // РИА Новости, 2008.02.23];* | პიროვნების საქმიანობის შეფასება → ტალანტი → ღირსება→ თავმდაბლობა დიდება→ საყოველთაო აღიარება→სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | +/– | <u>შუა საუკუნეები, რაინდობა</u>+<u>აღორძინება, განმანათლებლობა</u> |
| *«Одного из самых знаменитых французских писателей XX века **<u>слава</u>** **<u>догнала</u>** лишь **<u>после смерти.</u>**» [Юлия Рахаева. Как стать успешным черным котом (2003) // «Известия», 2003.02.06;* | ტალანტი →სახელი→პატივი →პოპულარობა→ სახელგანთქმულობა→ წარმატება→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ პრესტიჟი | ომ | +/– | <u>წარმართობა, ანტიკური ხანა (სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი)</u> + <u>თანამედროვეო</u> |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | → სიმდიდრე→ დიდება | | | ბა |
| *«В Америке **успех и слава — не одно и то же**.»[Сергей Довлатов. Переводные картинки // «Иностранная литература», 1990];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი → დიდება | სმ | +/– | აღორძინება,განმანათლებლობა+ XX საუკუნე (კულტურული ფონის ელვისებური შეცვლა) |
| *«**Слава мне не нужна, это уже было (не слава, разумеется, а нужда в ней)**.» [Юрий Трифонов. Предварительные итоги (1970)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი→ საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | +/– | აღორძინება,განმანათლებლობა+XX საუკუნე კულტურული ფონის ელვისებური შეცვლა |
| *«К **славе тоже можно приноровиться**, тем более что **слава была не наша**.» [Д. А. Гранин. Месяц вверх ногами (1966)];* | წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი→ საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | +/– | XX საუკუნე კულტურული ფონის ელვისებური შეცვლა |
| *«Кипренский не знал, да и не мог знать, что **слава для таких людей, как он, — страшнее смерти**.» [К. Г. Паустовский. Орест Кипренский (1936)];* | ტალანტი → ღირსება→ თავმდაბლობა→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი→ საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | +/– | შუა საუკუნეები, რაინდობა+აღორძინება, განმანათლებლობა |
| *«Одной все — **мировая слава,** успех, а другая прозябает на старости лет в каком-то Ростове. [М. Шишкин. Венерин волос (2004) // «Знамя», 2005];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება სახელი→ პატივი + წარმატება→ პრესტიჟი→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა →დიდება | ო/ს | + | აღორძინება, განმანათლებლობა + თანამედროვეობა, ცნების დევალვაცია |
| *«В. В. Болотов весьма сдержанно относился к **научным степеням и почестям,** докторской степени себе не искал, но его **научная слава превосходила** эту степень.» [150 лет со дня рождения профессора Санкт-Петербургской духовной академии В. В. Болотова (2004) // «Журнал Московской патриархии», 2004.03.29]* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | – | აღორძინება, განმანათლებლობა, ჰუმანიზმი |
| «*...моя **особая слава** (разоблаченного стукача) со временем достигла такого уровня, что Органы потеряли ко мне интерес.» [Нина Воронель. Без прикрас. Воспоминания (1975-2003)];* | სახელი→სკანდალური სახელი→ დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | +/– | XX საუკუნე ცნების იდეოლოგიზაცია, დევალვაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *«И если **экстремальная слава** нынешнего президента началась, как известно, в Чечне, то будущий президент в своей предвыборной программе будет апеллировать также к местам далеко немирным.» [Н. Журавлев. Пластическая операция для Путина (2003)//«ПОЛИТКОМ.РУ», 2003.06.30];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა +ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ → საყოველთაო აღიარება →პატივი→ დიდება | სმ | +/– | წარმართობა, ანტიკური ხანა +( სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი)+ შუა საუკუნეები, რაინდობა + XX საუკუნე ცნების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *«Во-первых, **слава в большой степени лишает человека свободы**: чем больше человек известен, тем менее свободным он становится. Во- вторых, **слава накладывает на тебя огромную ответственность.** [Владимир Нузов. Евгений Кисин: Слава лишает человека свободы (2003) // «Вестник США», 2003.07.09]* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | ომ | + | აღორძინება, განმანათლებლობა. ჰუმანიზმი |

## 2. Свидетельство всеобщего признания

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *«Но **наивысшую славу** торговому дому «Братья Елисеевы» принесла деятельность внука основателя династии Григория Григорьевича Елисеева.» [5 февраля // РИА Новости, 2008.02.05];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ სიმდიდრე და ძალა-უფლება, →პატივი→ დიდება | ომ | + | ძველი აღქმა |
| | | | | |
| *«На самом деле тебе дороги **всеобщее обожание, твоя всемирная слава, успех у женщин и вращение в светском обществе**! [Алексей Слаповский. Гибель гитариста (1994-1995)];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ სიმდიდრე და ძალა-უფლება, →პატივი→ პოპულარობა→ წარმატება→ პრესტიჟი→ სახელგანთქმულობა→ დიდება | სმ | +/– | ძველი აღქმა +თანამედროვეობა, ცნების დევალვაცია |
| *«У неё в Москве в особняке на Пречистенке была студия молоденьких балерин-босоножек, и **её слава была безгранична**.» [В. П. Катаев. Алмазный мой венец (1975-1977)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება → სიმდიდრე →პატივი→ დიდება (ირონიული კონოტაცია) | ომ | +/– | აღორძინება, განმანათლებლობა |
| *«Впрочем, он принадлежал к тем счастливчикам, которым не приходится **гоняться за славой. Слава сама гонялась за ними**.» [В. П. Катаев. Алмазный мой венец (1975-1977)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება → სიმდიდრე →პატივი→ დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | + | აღორძინება, განმანათლებლობა |
| *«Через год или полтора появился двухтомник Хемингуэя и началась его **бешеная вторая русская слава**.» [Василий Аксенов. Круглые сутки нон-стоп // «Новый Мир», 1976];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | ომ | + | აღორძინება, განმანათლებლობა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| «***Слава полностью расцветает примерно лет через сто***, *но зато далее не меняется.»[Д. А. Гранин. Месяц вверх ногами (1966)];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | + | წარმართობა, ანტიკური ხანა +( სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი: ადამიანი ისწრაფვის, დაემსგავსოს ღმერთებს, რათა დიდების საშუალებით უკვდავებას მიაღწიოს)+ აღორძინება, განმანათლებლობა |
| *«Она была особой натурой, -* ***не богатство, не слава, не сила привлекали её****.» [Василий Гроссман. Жизнь и судьба, часть 3 (1960)];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ სიმდიდრე და ძალა-უფლება, →პატივი→ დიდება | ომ | – | ძველი აღქმა+ ღვთის აბსოლუტური სიდიადე+ რაინდობა („честь-слава”) |
| *«Он мечтал о том, как всюду - в остериях и дворцах, в Ватикане и академиях, среди прелестных римлянок и завистливых художников—* ***громкая слава летит за ним, кружит головы, даёт богатство, беспечность, любовь, преклонение.****» [К. Г. Паустовский. Орест Кипренский (1936)];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ სიმდიდრე და ძალა-უფლება→ რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | ომ | + | ძველი აღქმა + აღორძინება, განმანათლებლობა |
| *«...прекрасны были те нежные, сложные чувства, что пробудила в ней встреча с некрасивым человеком, в котором текла необычная кровь, ибо ведь, в конце концов, и не важно, что именно пробуждает девичью душу, —* ***деньги ли, слава ли, знатность ли рода****...» [И. А. Бунин. Господин из Сан-Франциско (1915)];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ სიმდიდრე და ძალა-უფლება→ დიდება | სმ | + | ძველი აღქმა |
| *«Только* ***слава что сукно****, а подуй ветер, так* ***разлетится****.» [Н. В. Гоголь. Шинель (1842)];* | ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება→ამპარტავნება → შეიძულო ადამიანური დიდება→ ღვთიური დიდება და ბრწყინვალება→ ღვთის აბსოლუტური სიდიადე→ დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება“) | სმ | – | ძველი აღქმა ± ქრისტიანობა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *«Как же может или богатство,* ***или слава человеческая, или скипетр подать сердцу бесстрастие и великодушие****, если не будет в нём дух премудрости и дух крепости, равно утверждающий сердце во всяком состоянии, дабы и* ***гордость житейская не соблазнила*** *и нищета человека не привела в отчаяние?» [Григорий Сковорода. Толкование из Плутарха о тишине сердца (1766-1794)];* | ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება→ →ამპარტავნება → შეიძული ადამიანური დიდება→ ღვთიური დიდება და ბრწყინვალება→ ღვთის აბსოლუტური სიდიადე→ დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება") | სმ | – | ძველი აღქმა ± ქრისტიანობა |
| *«Слишком много Саломее досталось: возбудимая душа артистки,* ***внезапно рухнувшая, превратившаяся в воспоминания слава*** *и еще особая, вызванная болезнью нервность.» [Сергей Есин. Марбург (2005)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება სახელი→ პატივი + წარმატება→ პრესტიჟი→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა →დიდება | ომ | – | აღორძინება, განმანათლებლობა + თანამედროვეობა, ცნების დევალვაცია |
| *«В своих мечтах я уносился в те блестящие (и как мне казалось, близкие) времена, где* ***ослепительно сияет слава,*** *гремят аплодисменты, а портреты - мои и моих питомцев - украшают все города планеты. [Вальтер Запашный. Риск. Борьба. Любовь (1998-2004)];* | რჩეულობა →ტალანტი →ფიზიკური ძალა →პიროვნება სახელი→ პატივი + წარმატება→ პრესტიჟი→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა →დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | + | აღორძინება, განმანათლებლობა + თანამედროვეობა, ცნების დევალვაცია |
| *«В кинобизнесе несообразную роль играет* ***магия имен: слава таланта застит очи, быть объективным все труднее.****» [Валерий Кичин. Лукуллов пир. Видеосеанс (2003) // «Известия», 2003.01.17];* | ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სიმდიდრე და ძალა-უფლება, პატივი | ო/ს | – | თანამედროვეობა ცნება „დიდების" დევალვაცია |
| *«В прошлое под лозунги с плакатов* ***СЛАВА*** *советскому народу – народу-герою!», «За власть Советов! [Анастасия Морозова. В прошлое под лозунги с плакатов (2004) // «Вечерний Екатеринбург», 2004.11.06];* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | – | XX საუკუნე ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *Выше — лозунг на эстонском и русском языках: "****Слава советским спортсменам****!" [Василий Аксенов. Пора, мой друг, пора (1963)];* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | – | XX საუკუნე ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *Открыли для себя Прибалтику, уже заграница,* ***помню потрясение: «Слава КПСС» написано не белым по красному, а белым по голубому!*** *[Александр Терехов. Каменный мост (1997-2008)];* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | – | XX საუკუნე ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *Аплодисменты нарастали и вскоре превратились в ритмическое грохотание с периодическими возгласами* ***«Слава нашей родной Коммунистической партии!»*** *[Василий Аксенов. Таинственная страсть* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი | სმ | – | XX საუკუნე ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *(2007)]* | ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება (ირონიული კონოტაცია) | | | ფეტიშიზაცია |
| *«Антонина, Москва: А что, по Вашему, заст авляет самих экстрасенсов идти на известно е ТВ шоу? Жажда **славы?** Так называемый " пиар" и желание стать более известным... [Паранормальные способности человека: очевидное-невероятное // РИА Новости, 2008.02.19];* | ნებისმიერი სახის რეპუტაცია→ სახელგანთქმულობა→ პოპულარობა→ წარმატება→ვარსკვლავი→ სიმდიდრე | სმ | – | თანამედროვე ობა<br>ცნება<br>„დიდების"<br>დევალვაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3. Заслуга** | | | | |
| *«Ей до слез хотелось поскорее узнать оценку своего выступления теми, кто является **славой и гордостью** мирового хореографического искусства.» [Ольга Семенова.'Танцевальный Олимп': **средний уровень вырос, но ярких звезд нет** // РИА Новости, 2008.02.16]* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება → სიმდიდრე →პატივი→ დიდება (შკლოვსკის „ჰამბურგული ანგარიში") | სმ | + | აღორძინება, განმანათლებ ლობა |
| *«Она была вовсе не **глянцевой красавицей с хорошим пиаром** (как иногда кажется, гля дя на ее зарубежные успехи), а заводной, живой, артистичной, потрясающе музыка-льной и **очень честно отрабатывающей свою славу** певицей.» [Екатерина БИРЮКОВА. Он сказал, что еще вернется // Известия, 2007.12.24];* | პოპულარობა→ წარმატება→ პრესტიჟი→ სახელგანთქმულობა→ ვარსკლავი→ ტალანტი → ღირსება→ თავმდაბლობა→ ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა→ წარმატება →სიმდიდრე→ დიდება („честь-слава") | სმ | + | თანამედროვე ობა, ცნების დევალვაცია+ შუა საუკუნეები, რაინდობა |
| *«Между столами, между группами сновали молодые, у которых всё было впереди – **и громкая слава, и горькие неудачи.** [Даниил Гранин. Зубр (1987)];* | ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება →ყველაფერს თავისი დრო აქვს → დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება") | სმ | – | ძველი აღქმა ±<br>ქრისტიანობა |
| *«У Черкасова **была дача, машина, квартира и слава.** [Сергей Довлатов. Чемодан (1986)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება →სახელი→ პატივი→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი → დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | +/– | აღორძინება,განმანათლებლობა+ XX საუკუნე (კულტურული ფონის შეცვლა) |
| *«**Что-то очень хорошее, неясно что, но его заслуга, слава.**» [И. Грекова. Фазан (1984 ];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება →სახელი→ პატივი→ წარმატება→ | სმ | + | აღორძინება,განმანათლებ ლობა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პრესტიჟი → დიდება | | | |
| *«В самых замысловатых выражениях он открыл провинциалу, что* ***поэтический подвиг неотделим от жизненного,*** *что поэт должен не только писать, но и жить, и гореть — и что, словом, надо мальчику,* ***если он не ничтожество и не трус, рискнуть*** *своим капиталом для устройства издательства, тем более что и риск не велик, возможны даже прибыли,* ***а слава обеспечена****.» [В. Ф. Ходасевич. О меценатах (1936)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ წარმატება →სიმდიდრე→ ძალა-უფლება→ პრესტიჟი → დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | +/— | აღორძინება,განმანათლებლობა+ XX საუკუნე (კულტურული ფონის შეცვლა) |
| *«****Слава,*** *конечно же, в нашем деле* ***чисто условное понятие****, ты должен готовить себя к безвестности и находить в ней свою приятность, но* ***кроме славы есть репутация****.» [Леонид Зорин. Юдифь (2008) // «Знамя», 2009];* | ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება→ →ამპარტავნება → შეიძული ადამიანური დიდება→ ღვთიური დიდება და ბრწყინვალება→ ღვთის აბსოლუტური სიდიადე→ დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება + (რეპუტაცია)”) | სმ | +/— | ძველი აღქმა ± ქრისტიანობა + თანამედროვეობა |
| *«Вот уже два года мы вручаем учрежденный по моей инициативе* ***орден "Родительская слава".*** *[Дмитрий Медведев. Послание Президента РФ Федеральному Собранию Российской Федерации // «Российская газета», 2010];* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება | ომ | + | XX საუკუნე ცნება „დიდების” იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *«Только в 2004 году государственные наград ы России получили 17 человек, более 160 человек награждены ведомственными знаками и отличия:* ***Шахтерская слава,*** *Почетный го рняк, Почетный металлург и другими. [В. П. Бруев. Есть миллиард на МГОКе! (2004) // «Горная промышленность», 2004.06.30] ;* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება | ომ | + | XX საუკუნე ცნება „დიდების” იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| *«****Слава и гордость*** *здесь не абстрактные понятия, а вопросы жизни и смерти.» [Эльмар Гусейнов. Чисто французское самоубийство. Покончил с собой один из самых известных кулинаров страны (2003) // «Известия», 2003.02.25];* | პიროვნების საქმიანობის შეფასება → ტალანტი → ღირსება→ თავმდაბლობა დიდება→ საყოველთაო აღიარება →სახელი→ პატივი→ დიდება | სმ | +/— | წარმართობა, ანტიკური ხანა +შუა საუკუნეები, რაინდობა |
| *«Хорошо бы, если бы Чубайс, раз уж ему та к хочется, и дальше бы занимался повышени ем эффективности нашей энергетики так, как она создавалась под дулом автома-та и истеричный лай овчарок!...* ***Слава российской энергетике!»*** *[Ирина Дедюхова. И родина щедро поила меня! (2003)// «Лебедь» (Бостон), 2003.12.28];* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება (ირონიული კონოტაცია) | სმ | — | XX საუკუნე ცნება „დიდების” იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია ± თანამედროვეობა ცნება „დიდების” დევალვაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *«Средмаш - **это слава, триумф, величайшие достижения науки и техники СССР**. [обобщенный. Новые книги // «Наука и жизнь», 2006] перенос на неживое* | საბჭოთა რეალობის მითოლოგიზაცია →ღმერთისა და სულიწმიდის შეცვალა ადამიანისა და მისი ამქვეყნიური საქმიანობის თაყვანისცემით →დიდება | ომ | + | XX საუკუნე ცნება „დიდების" იდეოლოგიზაცია და ფეტიშიზაცია |
| **4. Талант** | | | | |
| *«Здесь он создал произведения, составившие ему **литературную славу**.» [6 февраля // РИА Новости, 2008.02.06];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება →სახელი→ პატივი→ წარმატება→ პრესტიჟი → დიდება | ომ | + | აღორძინება,განმანათლებლობა |
| *«Никогда **слава не придёт к тому, кто сочиняет дурные стихи**.» [М. А. Булгаков. Мастер и Маргарита, часть 1 (1929-1940)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება→სახელი→ პატივი→ წარმატება→ პრესტიჟი → დიდება | ო/ს | + | აღორძინება,განმანათლებლობა |
| *«В 1939 году на экраны вышел фильм «Унес енные ветром», вознесший Гейбла на верши ну **славы** и сделавшие его «звездой» на все времена.» [1 февраля // РИА Новости, 2008.02.01];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ წარმატება→ პრესტიჟი → ვარსკლავი→ დიდება | ო/ს | + | აღორძინება,განმანათლებლობა+ XX საუკუნე ცნება (ცნების ფეტიშიზაცია) |
| *«Андрей Иванович, огромный профессор, сказал, что Виктор – герой, что **он слава нашей научной молодёжи, что когда-нибудь его имя**...» [Василий Аксенов. Звездный билет // «Юность», 1961];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება→სახელი→ პატივი→ დიდება имя=репутация | ო/ს | + | აღორძინება, განმანათლებლობა. ჰუმანიზმი |
| *«За Циолковским закрепилась **слава талантливого**, очень необычного, обожаемого учениками преподавателя. [Е. Архипцева. Ученый и учитель милостью Божьей // «Наука и жизнь», 2007];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → →სახელი→ პატივი→ დიდება | ომ | + | აღორძინება, განმანათლებლობა, ჰუმანიზმი |
| *«Венец стариков - сыновья сыновей, а **слава детей** - родители их. [Владимир Губарев, Геннадий Месяц. Академик Геннадий Месяц: интеллект в России по-прежнему над о защищать!» // «Наука и жизнь», 2006]* | პიროვნების საქმიანობის შეფასება→ სახელი→რეპუტაცია→ умирая не возьмет ничего→ суета→დიდება (ირონიული კონოტაცია)დიდება=გვირგვინი | სმ | +/– | ანტიკური ხანა+ძველი აღქმა +თანამედროვეობა |
| *«Закипела работа, а с нею пришла и **слава**, -* | რჩეულობა →ტალანტი | ო/ს | + | აღორძინება, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *сначала, конечно, на чужой стороне, а зате м и у себя.» [Геннадий Горелик. Андрей Сахаров. Наука и свобода (2004)];* | →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება (ირონიული კონოტაცია) | | | განმანათლებლობა. ჰუმანიზმი + XX საუკუნე ცნება (ცნების იდეოლოგიზაცია) |
| *«Вот тогда, я думаю, Гурченко поняла, что человек не хозяин своего* ***таланта****, он только проводник его, его слуга, и* ***никакие блага жизни, никакая слава*** *не смогут, не должны заставить использовать талант только для достижения их.» [Н. Михалков. Предисловие (2004)];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება დიდება vs ტალანტი | ო/ს | + | აღორძინება, განმანათლებლობა ჰუმანიზმი + თანამედროვეობა ცნება „დიდების" დევალვაცია |
| *«Кумир нескольких поколений, чья* ***слава*** *оказалась* ***сильнее политических катаклизмов и долговечнее политического строя,*** *давно уже воспринимается как явление национальной культуры.»[ Юлия Кантор. Вячеслав Тихонов: «Я ушел совсем в другую жизнь». Тайна встречи Штирлица с женой (2003) // «Известия», 2003.02.05];* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა → საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება | ო/ს | + | აღორძინება, განმანათლებლობა, ჰუმანიზმი + XX საუკუნე ცნება (ცნების იდეოლოგიზაცია) |
| *«Но так* ***начинается любая*** *слава* ***с осуждения****.» [Ольга Новикова. Мне страшно, или Третий роман // «Звезда», 2003]* | რჩეულობა →ტალანტი →პიროვნება, გენიალობა → საყოველთაო კეთილდღეობა →საყოველთაო აღიარება → სახელი→ პატივი→ დიდება (ირონიული კონოტაცია) | ო/ს | +/– | აღორძინება, განმანათლებლობა, ჰუმანიზმი + თანამედროვეობა ცნება „დიდების" დევალვაცია |
| **5. Доблесть** | | | | |
| *«-"****Вечная слава воинам*** *Четвёртой дивизии народного ополчения, павшим смертью храбрых за честь, независимость и так далее… от министерства финансов." [Александр Солженицын. В круге первом, т.1, гл. 26-51 (1968) // «Новый Мир», 1990];---* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ დიდება | ომ | + | წარმართობა, ანტიკური ხანა სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი |
| *«День* ***воинской славы*** *России в 1943 году советские войска разгромили немецко-фашистские войска в Сталинградской битв е. День воинской* ***славы*** *России.»[2 февраля // РИА Новости, 2008.02.02];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ დიდება | ომ | + | წარმართობა, ანტიკური ხანა სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი |
| *«На его стенах висели 150 черных мраморных досок с именами* ***погибших во славу*** *своего Отечества российских офицеров и матросов. [Победа и память // РИА Новости, 2008.02.28];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ დიდება | ომ | + | წარმართობა, ანტიკური ხანა სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი |
| *«В нашей стране вообще очень любят* ***всё героическое.*** *Так вот, газета называется* ***"Слава Севастополя"*** *[Игорь Вольский.* | „საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ | სმ | +/– | **თანამედროვეობა** ცნება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *Пропасть им. Пантюхина: будет ли новый мировой рекорд? (1994)];---* | პატივი→ დიდება“ ლოგოსქემის საკვანძო ცნებების უარყოფა (ირონიული კონოტაცია) | | | „დიდების” დევალვაცია |
| *«Люба, Володя и их товарищи со студенческой скамьи шагнули в пекло боя, оперировали в полевых госпиталях при свечах, коптилках и карманных фонариках, многим сохранили жизни - **<u>вечная им за это слава и благодарность</u>**.» [Анатолий Рыбаков. Тяжелый песок (1975-1977)];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ დიდება | ომ | + | <u>წარმართობა, ანტიკური ხანა</u> სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი |
| *«Вся эта **<u>с л а в а , весь этот труд, всё это геройство, все эти богатства</u>** — где они теперь и кто о них заботится?» [А. В. Дружинин. Русские в Японии в конце 1853 и в начале 1854 годов (1855)];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება → ყველაფერს თავისი დრო აქვს დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება“) | ომ | +/– | <u>წარმართობა, ანტიკური ხანა</u> +<u>შუა საუკუნეები, რაინდობა+ ძველი აღქმა ± ქრისტიანობა</u> |
| «*Будь эта зала величиною с Марсово поле: увы! **<u>воинская слава</u>** России померкла бы навсегда и бранные трофеи украшали бы не храмы Господни, а её окна.» [И. А. Гончаров. Хорошо или дурно жить на свете? (1841)]; ---* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება→ყველაფერს თავისი დრო აქვს → დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება“) | ომ | +/– | <u>წარმართობა, ანტიკური ხანა</u> +<u>შუა საუკუნეები, რაინდობა+ ძველი აღქმა ± ქრისტიანობა</u> |
| «***<u>Слава героям</u>**, павшим в борьбе за свободу и независимость нашей Родины.» [И. П. Максимов. Буда (Из фронтового дневника) // «Бельские Просторы», 2010];*<br>*«Но в период перестройки к ней пришла **<u>всемирная слава</u>**, её голос звучал на многих международных конференциях и симпозиумах, а доклад для «служебного пользования» был издан за рубежом в книге под впечатляющем названием «Голос реформ» (A Voice of Reform / Essays by Tatiana Zaslavskaya / Ed. [И. И. Елисеева. Мужество мыслить свободно // «Вестник РАН», 2009];* | საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ პატივი→ დიდება<br>საგმირო საქმე→ მოქალაქეობრივი ვალის ღირსეული მოხდა→ გამბედაობა→ სიმამაცე→პატივი→ დიდება | ომ<br>ომ | +<br>+ | <u>წარმართობა, ანტიკური ხანა</u> სიკვდილთან მიმართების კონსტრუქციული ტიპი<br><u>წარმართობა, ანტიკური ხანა+ შუა საუკუნეები, რაინდობა+ XX საუკუნე ცნება (ცნების იდეოლოგიზაცია)</u> |
| *«Кого из нас убьют - царство небесное, **<u>живым - слава</u>**!» [Михаил Шишкин. Письмовник (2009) // «Знамя», 2010];* | ქრისტიანული მოძღვრების იდეალები+საბრძოლო ოსტატობა→ გამბედაობა→ სიმამაცე→ სიბრძნე → დიდება (საკრალური-პროფანული) | ომ | + | <u>შუა საუკუნეები, რაინდობა</u> |
| «***<u>Героическая слава</u>** российских городов, жизнь духовных наставников народа, несгибаемая стойкость россиян, мужественные победы наших пращуров* | ქრისტიანული მოძღვრების იდეალები→ საბრძოლო ოსტატობა→ გამბედაობა→ სიმამაცე→ სიბრძნე → | ომ | + | <u>შუა საუკუნეები, რაინდობა</u> |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *предстают перед взором читателей во всем величии и красоте, не дав забвению погрести под зыбучими песками столетий славное прошлое наших народов...» [А. М. Воловик. «Честь превыше выгоды!» // «Наука и жизнь», 2006];* | დიდება (საკრალური-პროფანული) | | | |
| *«Стимулировать полноценное возвращение в армию и в народ* ***понятий «честь», «гордость» и «слава защитника Родины»,*** *которые не могут ни покупаться, ни продаваться. [В. Д. Рябчук. Военная доктрина и система приоритетов в теории и практике военной безопасности (2004) // «Военная мысль», 2004.11.15];* | ქრისტიანული მოძღვრების იდეალები→ საბრძოლო ოსტატობა→ გამბედაობა→ სიმამაცე→ სიბრძნე → დიდება (საკრალური-პროფანული) | ომ | + | შუა საუკუნეები, რაინდობა+ XX საუკუნე ცნება (ცნების იდეოლოგიზაცია |
| *«С каждой весной от нас все дальше и дальше уходят сороковые-роковые, однако* ***слава Великой Победы не меркнет*** *в народной памяти.»[Ю. П. Трутнев, Н. А. Девяткин. Уважаемые жители Пермской области! (2003) // «Пермский строитель», 2003.04.28]* | ქრისტიანული მოძღვრების იდეალები→ საბრძოლო ოსტატობა→ გამბედაობა→ სიმამაცე→ სიბრძნე → დიდება (საკრალური-პროფანული) | ომ | + | შუა საუკუნეები, რაინდობა+ XX საუკუნე ცნება (ცნების იდეოლოგიზაცია |
| **6. Слухи, толки, молва** | | | | |
| *«Успехи или неуспехи,* ***добрая слава и дурная молва*** *не значат ничего.» [Александр Филиппов. Участь эксперта // «Отечественные записки», 2003];* | ადამიანის მიერ ადამიანის შეფასების უმნიშვნელობა→ ფუჭი → ამაოება→ →ამპარტავნება→ შეიძული ადამიანური დიდება→ დიდება („ღვთაებრივი-მიწიერი დიდება“) | სმ | +/– | ძველი აღქმა + ქრისტიანობა + თანამედროვეობა (ცნების დევალვაცია) |
| | | | | |
| *«Буре, за которым давно закрепилась* ***слава одного из самых независимых игроков НХЛ,*** *воспринял идею тренера в штыки.» [Алексей Демин. Железные рукавицы для Русской Ракеты. «Флориду» Павла Буре возглавил Майкл Кинэн (2001) // «Известия», 2001.12.03];* | ფიზიკური ძალა→ სიმამაცე→ საბრძოლო ოსტატობა→ ტალანტი→ პიროვნება→რჩეულობა→ სახელი→ ვარსკლავი→ წარმატება→ სიმდიდრე→დიდება | ომ | + | რაინდობა+ თანამედროვეობა+ აღორძინება+ თანამედროვეობა |
| *«Для многих притягательна* ***скандальная слава,*** *которую приобретает учение А. Т. Ф., раздуваемая теперь уже и телевидением.» [А. А. Зализняк. Лингвистика по А. Т. Фоменко // «Вопросы языкознания», 2000];* | ნებისმიერი სახის რეპუტაცია→ სახელგანთქმულობა→პოპულარობა→ დიდების სურვილი →დიდება | სმ | – | თანამედროვეობა ცნება „დიდების" დევალვაცია |
|---|---|---|---|
| 229 | Хвалить-захвалить | | |
| 230 | Хвалиться | | |
| 231 | Хвальба | | |
| 232 | Хвастанье | | |
| 233 | Хвастать-хвастаться | | |
| 234 | Хвастливо | | |
| 235 | Хвастовство | | |
| 236 | Царь-царица | | |
| 237 | Царить | | |
| 238 | Царственный | | |
| 239 | Царственно | | |
| 240 | Царственность | | |
| 241 | Царствовать | | |
| 242 | Царствующий | | |
| 243 | Церемония | | |
| 244 | Честь | | |
| 245 | Честный | | |
| 246 | Честность | | |
| 247 | Честной | | |
| 248 | Чествовать | | |
| 249 | Чествоваться | | |
| 250 | Чествование | | |
| 251 | Честить | | |
| 252 | Честолюбивый | | |
| 253 | Честолюбие | | |
| 254 | Честолюбец | | |

რუსულ ენაში საბაზისო სიაში შეტანილია 254 ლექსიკური ერთეული, ინგლისურში – 222. როგორც მოყვანილი აღწერიდან გამომდინარეობს (შევნიშნავთ, რომ ის გარკვეულწილად სუბიექტური ხასიათისაა), ამ პარამეტრის მიხედვით შესაპირისპირებელი ენები ერთმანეთისგან სიმბოლურად განსხვავდება. ეს შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: რიგი ფსიქოლოგებისა დიდებას მიაკუთვნებს ეგრეთწოდებულ „გლორიულ ემოციებს" (იხ.: И. Додонов

1978). „ეს ემოციები დაკავშირებულია თვითდამკვიდრების, სახელის მოხვეჭის მოთხოვნილებასთან, აღიარების, პატივისცემის მოპოვების მისწრაფებასთან. ისინი წარმოიშობა რეალური ან წარმოსახვითი „დაფნის გვირგვინის მოპოვებისას", როდესაც ადამიანი საერთო ყურადღებისა და აღტაცების საგანი ხდება. საპირისპირო შემთხვევაში მას უჩნდება უარყოფითი ემოციები. ეს ემოციები თავს იჩენენ შელახული თავმოყვარეობის გრძნობაში და რევანშის აღების სურვილში, სიამაყის, პატივმოყვარეობის, საკუთარი უპირატესობის გრძნობაში, თვითკმაყოფილებაში, თითქოს ადამიანი საკუთარ თვალში გაიზარდა" (189). და, თუ სწორია, რომ დიდება ემოციაა, მაშინ გამოვლენილი ფაქტის რელევანტური ხდება ა. ვეჟბიცკაიას დაკვირვება: „რუსული ენა ემოციებსა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს (ვიდრე ინგლისური) და გააჩნია მათი გამიჯვნის უფრო მდიდარი ლექსიკურ და გრამატიკულ გამონათქვამთა რეპერტუარი" (ციტ.: Маслова 2001, 10).

ბუნებრივია, რომ გამოთქმული მოსაზრების დამტკიცებას ესაჭიროება ორივე ენაში შეპირისპირებული კონცეპტუალური სიმრავლეების უფრო ღრმა ანალიზი.

კვლევის ველი შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ორივე ლინგვოკულტურის პარემიოლოგიური ფონდის მასალებით, რომელიც გარკვეული ენობრივი ცნობიერების მატარებელთა ფონური ცოდნისა და აქსიოლოგიური განწყობების შეუფასებელი წყაროა. ამასთანავე, ლინგვოკულტურის ეს ფონდი შეიცავს არა მხოლოდ ეთნიკურად მარკირებულ, არამედ უნივერსალურ კონცეპტუალიზებულ აზრებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საკვლევი კონცეპტუალიზებული ზონის (211) რუსული და ინგლისური პარემიების შეპირისპირებითი ანალიზის ფრაგმენტს.

| ინგლისური პარემია | ზოგადი აზრის თარგმანი | რუსული ექვივალენტი |
|---|---|---|
| A good name is better than riches. | კარგი სახელი სიმდიდრეს სჯობია. | Добрая слава лучше богатства. Денег ни гроша, да слава хороша. Лучше быть бедняком, чем разбогатеть с грехом. |
| A good name is sooner lost than won. | კარგი რეპუტაციის დაკარგვა უფრო იოლია, ვიდრე შეძენა. | Слава приходит золотниками, а уходит пудами. |
| A good name keeps its luster in the dark. | კარგი სახელი სიბნელეშიც ანათებს. | Золото и в грязи блестит . |
| A little body often harbors a great soul. | პატარა სხეულში ხშირად იმალება დიდი სული. | Мал золотник, да дорог. Мала искра, да великий |

| | | |
|---|---|---|
| | | пламень родит. Мал соловей , да голосом велик . |
| All that glitters is not gold. | რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის. | Не всё то золото, что блестит. Не всякая блестка – золото. |
| An ass is but an ass, though laden with gold. | სახედარი სახედრად დარჩება, თუნდაც ოქროთი იყოს დატვირთული | Свинья в золотом ошейнике – всё свинья. Осел останется ослом и в орденах и в лентах! |
| An empty vessel gives a greater sound than a full barrel. | ცარიელი ჭურჭელი სავსე კასრზე მეტად ხმაურობს. | Пустая бочка звонче (пуще) гремит. В пустой бочке звону много. Где река всего глубже, там меньше шумит. |
| Better a glorious death than a shameful life. | სახელოვანი სიკვდილი სჯობს სამარცხვინო სიცოცხლეს. | Лучше смерть славная, чем жизнь позорная. Лучше смерть, но смерть со славой, чем бесславных дней позор. |
| Better be the head of a dog than the tail of a lion. | უბრალო ადამიანებს შორის პირველობა სჯობს დიდგვაროვნებსა და მდიდრებს შორის უკანასკნელობას. | Лучше быть головой кошки, чем хвостом льва. Лучше быть первым в деревне, чем вторым в городе |
| Better die standing than live kneeling. | ჯობს ფეხზე მდგარი მოკვდე, ვიდრე დაჩოქილმა იცოცხლო. | Лучше смерть славная, чем жизнь позорная. |
| Death is the grand leveler. | სიკვდილის წინაშე ყველა თანაბარია. | Смерть всех равняет. У смерти все равны. Смерть не разбирает чина. И пономарь и владыка в земле равны. |
| Each bird loves to hear himself sing. | ყველა ჩიტს საკუთარი სიმღერის მოსმენა უყვარს. | Всяк сам себе загляденье. Всяк сам себе хорош. Всякая лиса свой хвост хвалит. Гречневая каша сама себя хвалит. |
| Every ass loves to hear himself bray. | ყველა სახედარს თავისი ყროყინის გაგონება უყვარს. | Всяк сам себе загляденье. Всяк сам себе хорош. Всякая лиса свой хвост хвалит. |
| Every bean has its black. | უნაკლო ადამიანები არ არსებობენ; ყველაფერს აქვს საპირისპირო მხარე. | И на солнце есть пятна. |
| Fortune favors the brave (the bold). | ბედი გაბედულებს სწყალობს. | Успех неразлучен с храбрым. Смелым сопутствует удача. |
| Jackdaw in peacock's feathers. | Галка в павлиньих перьях. | Ворона в павлиньих перьях. |
| Little things amuse little minds. | წვრილმანები მეწვრილმანე გონებას ართობს.. | Малые птички свивают малые гнезда. |

| | | |
|---|---|---|
| Pride goes before a fall. | ამპარტავნება დაცემის წინამორბედია. | Дьявол гордился, да с неба свалился. Кто слишком высоко летает, тот низко падает. |
| Prosperity makes friends, and adversity tries them. | კეთილდღეობა მეგობრებს აჩენს, უბედურება კი მათ მეგობრობას ცდის. | Друг познается при рати да при беде. Друзья познаются в беде. |
| Self-praise is no recommendation. | საკუთარი თავის ქება რეკომენდაცია არ არის. | Не хвали себя сам, пусть люди тебя хвалят. |
| Success is never blamed. | წარმატებას არასოდეს განსჯიან. | Победителей не судят. |
| There are lees to every wine. | ლექი ყველა ღვინოს აქვს. | И на солнце пятна бывают. |

როგორც პარემიების შეპირისპირებითი ანალიზის მოცემული ფრაგმენტიდან გამომდინარეობს, კვლევაში ამ მასალის ჩართვა ზრდის ორივე ლინგვოკულტურაში კონცეპტუალურ სიმრავლეში „დიდება" ერთეულების რაოდენობას უკვე არა მხოლოდ დენოტაციური, არამედ სიგნიფიკაციური ნიშნითაც. მაშასადამე, ცხრილში წარმოდგენილ საბაზისო სიას შეიძლება დავუმატოთ: **богатство – Riches**, **смерть – Death, мужество, смелость – Brave, Bold, удача – Fortune, успех – Success, процветание – Prosperity, самовосхваление – Self-praise**.

სამყაროს გაგებისა და ხედვის თავისებურება აისახება პარემიებში, რომლებიც კონცეპტუალიზებული აზრის მიხედვით სინონიმურია, მაგრამ ამ აზრის გადმოცემისას განსხვავებულ ხატოვან რიგს ეყრდნობა. მაგალითად: **Little things amuse little minds ↔ Малые птички свивают малые гнезда; There are lees to every wine ↔ И на солнце пятна бывают**. ამ ხატებს ენის მატარებელი ყოველთვის არ ამოიცნობს კულტურის აზრებად, მაგრამ ისინი ზემოქმედებენ მოლაპარაკის სამეტყველო სტრატეგიებზე. როგორც მასლოვა აღნიშნავს, «Нельзя не видеть, что есть многие вещи в жизни и поведении нации, которые объясняются культурными факторами. Например, обязательное присутствие отчества у русского человека – это особый почет и уважение, которые ему оказывают соплеменники. Русские говорят: по имени называют, по отчеству – величают» (Маслова 2001, 32).

გადმოცემული აზრის გარდა, ეს ციტატა საინტერესოა იმითაც, რომ მასში შესაძლებელია გამოიყოს ერთეული «отчество», რომელიც სიგნიფიკაციური ნიშნით ასევე არის კონცეპტუალური სიმრავლის «слава» წევრი: «по отчеству – величают». ნათქვამის ვერიფიკაციისათვის მივმართოთ სალექსიკონო განსაზღვრებას: «**ВЕЛИЧА́ТЬ**, величаю, величаешь, несовер., *кого-что*. **1.** *кем-чем*.

Называть по титулу или званию (устар., теперь ирон.). Величать графа его сиятельством. Величать кого-нибудь профессором.|| Называть кого-что-нибудь более значительным, важным именем (из желания придать называемому большую ценность по сравнению с действительной, а также в насмешку или в шутку). Величать профессором учителя пения. Величать статейку ученым трудом. Величать писаку гением.|| Называть по отчеству (прост. обл.). - Как вас величают? - Петровичем.|| перен. Называть кого-нибудь каким-нибудь прозвищем (с оттенком шутки, насмешки). Лицеисты величали Пушкина французом. Величать кого-нибудь негодяем, глупцом.**2.** Чествовать поздравительными песнями, обрядами (нар.-поэт.). Величать жениха с невестою. Цыганский хор величал гостя. **3.** Прославлять, превозносить (церк.-книжн. устар.). Величать музу.» (დ. ნ. უშაკოვის ლექსიკონი). ამიტომ, ზმნა «величать» ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვასთან «отчество» ერთად შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც პატივისცემის, აღიარების ნიშანი, რაც დასტურდება შესაბამისი კონტექსტებით, მაგ.: «Волковский управитель хотя и не величал его по отчеству, но уже не тыкал Ивашкой, а звал уклончиво Бровкиным.» (ა. ნ. ტოლსტოი). მოვიყვანოთ ინგლისური ენის საბაზისო სიის გაფართოების მაგალითი: “The soldiers died bravely in the battle and earned themselves never ending glory”. კონტექსტუალური პროპოზიციები“died bravely; never ending” კონცეპტუალური მაკავშირებლი ხდება, თანაც ზედაპირულ ენობრივ დონეზეც კი თითოეული ცალკეული გეშტალტი ”Brave/bravely”, ”Dieth”, “End” ახორციელებს კონცეპტ „დიდებასთან” დაკავშირებულ აზრებს. სპეციალური ანალიზის შემთხვევაში მტკიცდება ამ ერთობის კავშირი კონცეპტთან “Glory”. მაგალითად, პარემიაზე “Fortune favours the brave” (a successful person is often one who is willing to take risks) დაყრდნობით, სადაც **Fortune** არის: “ Chance or luck as an arbitrary force affecting human affairs; the success or failure of a person or enterprise over a period of time” (Compact Oxford English Dictionary). შესაბამისად, კონტექსტების ლინგვოკულტუროლოგიურმა ანალიზმა პროტოტიპთა შედარებისა და კონტექსტუალური ინტერპრეტაციის მეთოდიკის გამოყენებით შეიძლება მოგვცეს მდიდარი მასალა კონცეპტის ვერბალიზაციის რაოდენობრივი ასპექტის დასადგენად და ამ სიმრავლეში ჩართული ენობრივი საშუალებების ანალიზისათვის.

ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციიდან, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ პარემიებში გვხვდება უექვივალენტო ლექსიკაც, რომელიც შეიძლება სპეციალური შეპირისპირებითი ანალიზის საგანი გახდეს. მაგალითად, «Дурную славу нажить, как пить попросить; в хорошие люди попасть, не

**скидерку (стожок) складть.**». თუმცა, ნომინაციური ერთეულების ნაციონალურ-კულტურული თავისებურება მხოლოდ უექვივალენტო ერთეულების არსებობით არ გამოიხატება. ითვლება, რომ ლაკუნების არსებობა რომელიმე ენაში ყოველთვის შესაბამისი დენოტატის არარსებობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ „კულტურისათვის თითქოსდა უმნიშვნელოა ასეთი განსხვავება" (Маслова 2001).

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: რუსულ ენობრივ ცნობიერებაში ნომინაციური ერთეულის «слава» ნაციონალურ-კულტურული თავისებურება მოტივირებულია XX საუკუნეში ცნების მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიზაციით, რაც დაწვრილებით განვიხილეთ წინა პარაგრაფში. კონტრასტული ანალიზის შედეგად გამოვლენილ ამ ფაქტს ჩვენ ვთვლით ლაკუნად არა დენოტატის, არამედ სიგნიფიკატის, იმპლიციტური კულტურული სემების დონეზე, რომელთა ჩამოყალიბებაც უკავშირდება კულტურული პროცესის მიმდინარეობის თავისებურებებს. ეთნოსპეციფიკურად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისური ფრაზეოლოგიზმის "Mover and Shaker'' აზრი, რომელიც ითარგმნება როგორც „გავლენიანი ადამიანი, საზოგადოებრივი აზრის ლიდერი, რომელიც პოლიტიკას ქმნის". კონცეპტუალური ტრანსფერების «власть», «влияние», «сила» მეშვეობით ეს ფრაზეოლოგიზმი აბსტრაქციის უმაღლეს დონეზე კორელირებს პროტოტიპთან "widespread reputation, estimation" (არაპირდაპირი რეფერენტული კავშირი). შესაბამისად, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც კონცეპტუალური სიმრავლის "Glory" წევრი.

ლინგვოკულტუროლოგიისათვის უდავოა, რომ კულტურისა და ხალხის მენტალიტეტის შესახებ ცნობების ერთ-ერთი მდიდარი წყაროა ენის ფრაზეოლოგიური ფონდი, რომელშიც ირიბად აირეკლება ნააზრევი, იდეოლოგია, ღირებულებები. ფრაზეოლოგიზმების შინაგანი ფორმის ანალიზი მისაწვდომს ხდის ეთნოსის მატერიალურ კულტურას მაშინ, როცა ენის ფრაზეოლოგიური ფონდის მიერ მეტნაკლებად ხშირად ნომინირებული არაენობრივი აზრების კლასიფიცირებისას შესაძლებელია უტყუარი დასკვნების გაკეთება ხალხის სულიერი კულტურის საფუძვლის შემადგენელი კულტურის ღირებულებითი დომინანტების, მორალურ-ეთიკური აზრების შესახებ.

აქედან გამომდინარე, კონცეპტის „დიდება" ლინგვოკულტურული ველის შეპირისპირებითი ანალიზისას, საბაზისო სიასთან ერთად კვლევაში მოვიხმეთ ორივე ენის ფრაზეოლოგიური ფონდის მონაცემები. კონცეპტზე «слава» მუშაობისას ძირითად წყაროდ გამოვიყენეთ Большой фразеологический

словарь русского языка (153), Фразеологический словарь русского литературного языка (ა. ი. ფიოდოროვის რედაქციით, 1991) და Фразеологический словарь русского языка (ა. ი. მოლოტკოვის რედაქციით, 1968); ხოლო ინგლისური ენისათვის – Oxford dictionary of English idioms, Longman dictionary of English idioms, Большой англо-русский фразеологический словарь (А.В. Кунин) და სხვ.

მასალის გაანალიზებისას მხედველობაში გვქონდა შემდეგი: ფრაზეოლოგიური და ლექსიკური მნიშვნელობა დეტერმინებულია ნომინაციური ფუნქციით. სიტყვების მსგავსად, ფრაზეოლოგიური ერთეულებიც შეიძლება შეეფარდოს სინამდვილის ერთსა და იმავე ელემენტს, ჰქონდეს ერთი და იგივე დენოტაცია და სიგნიფიკაცია. თუმცა, მათთვის არანაკლებ არსებითია მნიშვნელობის კონოტაციური კომპონენტი. მაგალითად: «подмоченная репутация» (შელახული რეპუტაცია), "A crown of glory" (დიდების გვირგვინი), "Death or glory" (სიკვდილი ან დიდება), "Every inch a king" (თხემით ტერფამდე ნამდვილი [მეფე]). შეგახსენებთ, რომ სიტყვები **რეპუტაცია, გვირგვინი, სიკვდილი, მეფე** შედის ორივე ენის ლინგვოკულტურული ველის საბაზისო სიაში.

შერჩეულმა მასალამ საშუალება მოგვცა სამყაროს სურათის გაანალიზებულ ფრაგმენტზე თვალი მიგვედევნებინა, სხვადასხვა კულტურაში სემანტიკური ქმედების პროცესში როგორ ერთიანდება სინამდვილის სხვადასხვა პლანი კონცეპტუალურ მთელად. ორივე ლინგვოკულტურის გაანალიზებული მონაცემები ადასტურებს ლინგვოკულტურული ველის „დიდება" შიგნით არსებობს კონცეპტუალური ოპოზიციები: მორალურ-ეთიკური ოპოზიცია „დადებითი-უარყოფითი შეფასება ვინმეს დამსახურების, ვაჟკაცობის, საქმიანობის, ტალანტის" და მეტაფიზიკური ოპოზიცია „საკრალური – პროფანული".

კონცეპტის სტრუქტურის მოდელირების შემდეგი ეტაპია ერთეულების სტრუქტურაცია მის პირობით ფრეიმებად და სუბფრეიმებად (აზრობრივი ჯგუფები და ქვეჯგუფები) შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში. ლინგვოკულტურული ველის ფორმალური მოდელის შემუშავების მიზანი არა მხოლოდ გასაანალიზებელი სიმრავლის სიმბოლიზაცია, არამედ კონცეპტის „დიდება" სტრუქტურის კომპაქტურად და თვალსაჩინოდ წარმოდგენის მცდელობაა. ეს თეორიული მოდელი გაიგება როგორც ცნების კონცეპტუალიზაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგი, რომელიც კულტურასთან ერთად განიცდის ევოლუციას და აისახება ენობრივ ფორმებსა და ფაქტებში.

ორივე ლინგვოკულტურის ენობრივი მასალის ანალიზი, კულტურული ეპისტემის „დიდება” (ცნების კონცეპტუალიზაციის უნივერსალიზმი კულტურის მაკროარეალში) სინოპსისისათვის შეგროვილი მონაცემები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ლინგვოკულტურული ველების «слава» და“Glory” რეკონსტრუქცია შეიძლება განხორციელდეს ერთი უნივერსალური მოდელის მიხედვით.

**ლინგვოკულტურული ველი „დიდება”**




ლინგვოკულტურული ველი აიგება რუსული და ინგლისური ენების იმ ენობრივი ერთეულების კლასიფიკაციის საფუძველზე, რომლებიც თავიანთ სემანტიკაში ექსპლიციტურად და იმპლიციტურად ასახავს სამყაროს სურათის უნივერსალური ფრაგმენტის „დიდება” კოგნიტიურ ათვისებას. ველის მოდელირებისას გამოყენებული იქნა ლექსემის «слава» ასოციაციური ანალიზის მასალები, წარმოდგენილი ასოციაციურ ლექსიკონში (175), და ვირტუალური ასოციაციური სქემები ლექსემისათვის “Glory”, წარმოდგენილი ლექსიკონში Visual English Dictionary and Thesaurus (150), რაც შეესაბამება კონცეპტების ლინგვოკულტუროლოგიური და კოგნიტიური კვლევის მეთოდიკას. რეკონსტრუირებული ლინგვოკულტურული ველი „დიდება” პირობითად დაყოფილია რვა ფრეიმად და შვიდ სუბფრეიმად. სუბფრეიმები გამოიყოფიან დადგენილი უნივერსალური ოპოზიციის: „დადებითი – უარყოფითი შეფასება ვინმეს დამსახურების, ვაჟკაცობის, საქმიანობის, ტალანტის” (I, II, II, IV, V, VII ფრეიმებისათვის) და „საკრალური –პროფანული” (VI ფრეიმისათვის)

საფუძველზე. ხაზს ვუსვამთ, რომ დადებითი ან უარყოფითი შეფასებისას ადამიანი ცდილობს არსებული ფაქტები შეუთავსოს სამყაროს იდეალიზებულ მოდელს, რომლისკენაც ის მიილტვის. ნ. დ. არუტიუნოვა თვლის, რომ „შეფასება მიზანმიმართულია როგორც ფართე, ისე ვიწრო გაგებით. ის გამოიყენება ყველაფრისათვის, რაც მიისწრაფის მცირე და დიდი სამყაროს გაკეთილშობილებისაკენ, ანუ, რასაც ადამიანი სიკეთედ თვლის" (Арутюнова 1999, 181-182). მეცნიერის აზრით, ლინგვისტიკის კომპეტენცია ვერ განსაზღვრავს, თუ რა არის უმაღლესი სიკეთე. მას მხოლოდ იმის დაზუსტება შეუძლია, რომ შეფასებითი პრედიკატების გამოყენებას (ამ შემთხვევაში კარგი-კარგად) განაპირობებს მათი მიმართება სამყაროს გაიდეალებულ მოდელთან.

აღსანიშნავია, რომ ფრეიმთა რაოდენობა ისევე, როგორც გაანალიზებული მასალის შემდგომი განაწილება ფრეიმებსა და სუბფრეიმებში, ვერ იქნება სუბიექტურობას მოკლებული. მაგრამ ამ საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ცნობილი ენათმეცნიერის იუ. ს. სტეპანოვის თვალსაზრისს სიტყვათა კლასიფიკაციის საერთო პრობლემის შესახებ: „ აქ შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისი, და ეს შემთხვევითი არ არის, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ადამიანების შეხედულებებს შორის განსხვავებებით, არამედ პირველ ყოვლისა ენის ობიექტური მოწყობით: ჩვეულებრივ, ლექსიკა არ შეიცავს ქვესისტემებს მათემატიკური სიზუსტითა და სიმეტრიულად განაწილებული უჯრედებით..." (Степанов 1975, 40).

- **I ფრეიმი – Честь, достоинство/Honour, dignity** (безгрешный, восхищение, гордый, дело чести, удоститься чести, с честью выполнить долг ↔ pride ლსვ1, a) (to take great pride in…), lordiness ლსვ3, matter of honour, be given/afforded the honour (of ger), honourably discharge one's duty (to), valour); სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (бесчетие, бесславный, уязвленная гордость, гордыня, мания величия, покрывать позором, много чести ↔ wounded pride, self-conceit, worthy (of), chastity ლსვ2, ლსვ4, lordiness ლსვ2, glorifity ლსვ3, cowardice, (he) doesn't deserve the honour);

- **II ფრეიმი – Доблесть/ Valour** (герой, смерть, бессмертие, лавр, славить, мемориал, победа, стяжать славу ↔ worthinesse, hero, immortal fame, sing smb's praises, glorifity ლსვ1, Death or glory); სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (бесславие, позор, слава померкла ↔ dishonour, dishonesty, self-restraint, disgrace, infamy);

- **III ფრეიმი – Известность/ Fame** (великий, популярность, блистать, почет, кумир, овация, звезда, самовосхваление, медные трубы, звезда первой величины ↔

worship, Grand, the Great, outstanding, nobleman, star, ovation); სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (славолюбивый, честолюбец, калиф на час, слава тускнеет ↔ pride ლსვ1, b) (His pride may still be his downfall), self-praise, to burst with pride, King for a day);

- IV **ფრეიმი – Имя, репутация/Renown, reputation** (авторитет, именитый, идеал, достойный, реноме, достопочтенный, безупречный, неподкупный, человек чести ↔ radiance, distinguished, famous, The radiance of the regal name, worthy of (one's) name, man of honour, hold dear [value] one's reputation); სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (тщеславие, дешевая, двусмысленная, скандальная, худая [слава], не делать чести (кому-л.) ↔ vanity, vainglory, conceit, glorifity ლსვ3, vanity Fair, to dishonour one's name, do no honour);

- V **ფრეიმი – Власть/ Power** (властелин, король, царь, коронованный, властвовать, вождь, знатность ↔ imperious, leader, noble, lord ლსვ1, ლსვ2, ლსვ3, Lord ლსვ2, King of glory); სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (властолюбец, властность, властолюбивый ↔ haughty, oberbearing, power-loving);

- VI **ფრეიმი – Божественная слава/ Divine glory** (ореол, нимб, венец, сияние, осанна, слава в вышних Богу! , Славить Христа, превозносить до небес ↔ wordhip, nimbus, halo, shaining, halo of sanctity and miracle, glory to God in the highest, to praise to the skies); სუბფრეიმი „პროფანული" (на славу, Слава богу, слава тебе, господи!: ) შორისდებული, ჩართული, შემასმენლის მნიშვნელობით; 2) ჩართული; 3) შემასმენლის მნიშვნელობით ↔God be praised!, thank goodness!, thank God!);

- VII **ფრეიმი – Слухи, толки, молва / Disglory**, **praise** (одобрение, славословить, хвала, восхвалять ↔ extol, to sing one's praises, to bestow; სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება" (молва, слухи, слушок, ославлять – ославить, ходит [дурная] слава, только и слава ↔ defame, defamation, dishonour, asperse, discredit, gossip (about), cencure);

- VIII **ფრეიმი –ანთროპონიმები** (Ярослав, Вячеслав, Святослав, Владислав, Ростислав, Мирослав, Изяслав, Бронислав ↔ Robert ("bright with glory," hrod- "fame, glory" + -berht "bright."), Chloe (blooming and verdant glory), Klarissa ("bright, famous"), Gloria, Adela, Roberta, Clelia, Albert (Noble, Bright), Ambrose (Immortal), Clarence (Famous)).

ყველა ერთეული, რომელიც ფრეიმებს აყალიბებს, უმეტესწილად მდებარეობს აბსტრაქციის პირობით I და II დონეებზე, რაც არ ვარაუდობს რთული ლინგვომენტალურ პროცედურებს ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში.

ენობრივი ერთეულები, რომლებიც აყალიბებენ ლინგვოკულტურული ველის სტრუქტურას, ფრეიმებში განაწილებულია ექსპლიციტური/იმპლიციტური რეფერენტული კავშირის ან პროტოტიპთან დადგენილი სიგნიფიკაციური კავშირის საფუძველზე. ანალიზისათვის მოხმობილია შერჩეული ერთეულების კონტექსტუალური გამოყენების მდიდარი მასალა, რამაც საშუალება მოგვცა, ცალკეულ შემთხვევებში გამოგვევლინა მათი სემანტიკური ვარირება შეფასების დადებითი პოლუსიდან უარყოფითისაკენ. ცნობილია, რომ ლექსიკონები ხშირად არ აფიქსირებენ მნიშვნელობათა შეფერილობას, რომელიც რეალიზდება ენის მატარებელთა სამეტყველო პრაქტიკაში. ამიტომ ფრეიმებსა და სუბფრეიმებში განაწილებისას ცალკეული ერთეულები იმავდროულად შეტანილი იქნა სხვადასხვა ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მაგალითებს.

რუსული ლექსემების და დერივატების «известнтый», «известность»; «знаменитый», «знаменитость» (**III ფრეიმი – Известность/ Fame)** სალექსიკონო დისტრიბუციის მოყვანილი ანალიზი ადასტურებს მათ პირდაპირ კავშირს კონცეპტუალური ველის «слава» პროტოტიპთან: «**ИЗВЕСТНЫЙ**: **2.** Пользующийся известностью, всеобщим признанием; знаменитый, прославленный. *Лаптев знал фамилии всех известных художников и не пропускал ни одной выставки.* Чехов, Три года. *Начальником Главсевморпути был в те годы известный полярный деятель, имя которого нетрудно найти на любой карте русской Арктики.*Каверин, Два капитана. *Молодой, уже известный драматург Александр Пастухов приехал – на родину, в Саратов.* Федин, Первые радости.» (МАС); «**ИЗВЕСТНОСТЬ: 2.** Слава, знаменитость, широкая популярность. *В это время он уже был превосходный артист, и скоро его быстро возрастающая известность доставила ему место в оркестре оперного театра.* Достоевский, Неточка Незванова. *Опера Гуно[«Фауст»] пользуется европейской известностью.* А. Серов, «Фауст». *[Онуфрович] приобрел известность --- как опытный заводский химик, а затем мартеновец.* М. Павлов, Воспоминания металлурга. **3.** *разг.*Об известном, знаменитом человеке. *–Поздравляю, вы – уже известность и начинаете завоевывать славу.* Чехов, Пассажир 1-го класса.» (МАС). «**ЗНАМЕНИТЫЙ: 1.**Пользующийся широкой известностью, прославленный. *Знаменитый артист. Курорт знаменит целебными источниками.* □ *Матвей Лозинский из Лозищей стал на несколько дней самым знаменитым человеком города Нью-Йорка, и каждый шаг его в эти дни был прослежен очень точно.* Короленко, Без языка. *Во внешности его не было решительно ничего такого, что соответствовало бы представлению о выдающемся, крупном, даже знаменитом хирурге.* Герман, Подполковник медицинской службы.» (МАС);

«**ЗНАМЕНИТОСТЬ**, (разг.) Тот, кто знаменит или прославился чем-либо» (Словарь Ефремовой); «**1.** отвлеч. сущ. к знаменитый (книжн.). Знаменитость певца не спасла его от нищеты на старости лет. **2.** Знаменитый человек. Он стал знаменитостью. В этом сезоне гастролировало много знаменитостей». პირდაპირი კავშირი პროტოტიპთან და საერთო კონცეპტუალურ აზრთან ჩანს ჩვენს მიერ შერჩეულ კონტექსტებში, მაგ.: «Журнал Forbes опубликовал рейтинг «50 главных российских знаменитостей – 2012». Их совокупный доход побил рекорды, составив 219 млн долларов. Список охватил от представителей шоу-бизнеса и моды до известных журналистов и спортсменов» (Российская газета) (200).

ვ. ვ. ვინოგრადოვი სიტყვებს «известность» და «знаменитость» მიაკუთვნებს რუსული ენის სიტყვათა მცირე ჯგუფს, რომლებიც ზედსართავი სახელებისაგან იწარმოება აბსტრაქტული არსებითი სახელები სუფიქსის -ость დართვით და გამოიყენება ადამიანის სულიერი თვისებების, უნაის ან საზოგადოებრივი კვალიფიკაციის დასახასიათებლად: *знаменитость*, *известность*, *посредственность, бездарность* და სხვ. მეცნიერის აზრით, ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში ისინი არალიტერატურულად აღიქმებოდნენ, მაგრამ 40-იანი წლებისათვის დაიწყო მათი ლიტერატურულ ნორმად დამკვიდრება. ამ დროს მიეკუთვნება სწორედ სიტყვის *бездарность* წარმოქმნა მონაცემების არმქონე, უნიჭო ადამიანის აღსანიშნად («О некоторых вопросах русской исторической лексикологии слова», 82-84). ვ. ვ. ვინოგრადოვს მოჰყავს ჩატარებული ანალიზისათვის საინტერესო ფაქტი: «У И. И. Панаева в очерке «Литературный заяц» (1844): «Можно бы написать большую книгу об авторском самолюбии вообще, и о сочинительском самолюбии в особенности. Первому бывают подвержены люди с талантом; второму – *посредственность* и *бездарность*» (Панаев, 1888, 2, с. 467). Следовательно, слова «известность», «знаменитость» концептуализировалось в русском языке как антноимичные понятиям «бездарность», «посредственность», «бесталанный, ничем не выдающийся человек». На этом основании лексемы «знаменитость», «знаменитый», «известность», «известный» входят в группу слов моделируемого лингвокультурного поля, содержащих положительную оценку по названным характеристикам. Вместе с тем, их дискурсивное употребление может сопровождаться ярко выраженной отрицательной коннотацией. Например: «Г-жа Собчак, которая теперь отличается серьезным видом и носит очки в черной оправе, недавно буквально в один миг превратилась в секс-символ протестного движения, основанного на «Твиттере». В этом месяце она начала вести новое ток-шоу на русском MTV, и темой первой ее программы стал г-н Путин. Ее «твиты» и выступления на антипутинских

митингах привлекают внимание, как благодаря историческим тесным связям ее семьи с премьер-министром, так и благодаря тому, **что она – знаменитость (из тех, что известны в первую очередь своей известностью).**» (186). კონტექსტში მოცემული ავტორისეული კონვენციონალური კომენტარი ააქტიურებს ლექსემის სიღრმისეულ სემანტიკაში პოტენციურად არსებულ იმპლიციტურ კონოტაციას. სიტყვის კონტექსტუალური გამოყენება საფუძველს იძლევა, ერთეული **знаменитость** მივაკუთვნოთ არა მხოლოდ ლინგვოკულტურული ველის **III ფრეიმს – Известность/ Fame** (პირდაპირი რეფერენტული კავშირი პროტოტიპთან), არამედ **VII ფრეიმის – Слухи, толки, молва/ Disglory, praise** სუბფრეიმსაც „უარყოფითი შეფასება".

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისათვის საინტერესოა, რომ ლექსემის «знаменитость» კონტექსტუალური გამოყენება უჩვენებს ჩვენს კვლევაში გამოვლენილ უნივერსალურ ტენდენციას – ცნება „დიდების" დევალვაციას და კომერციალიზაციას. მივმართოთ კონტექსტს: «При составлении рейтинга авторы учитывали три фактора: доходы за год, внимание СМИ и интерес, который звезда вызывает у аудитории в интернете. Стоит отметить, что в списке есть такие мэтры, как Валерий Гергиев (26-е место) и Владимир Спиваков (47-е место). Их коллега Дмитрий Мацуев находится на последней, 50-й строчке рейтинга» (Российская газета) (200). ლექსემები «звезда»/"star" ორივე ლინგვოკულტურაში გვევლინებიან უნივერსალურ ვერბალიზატორებად კონცეპტუალური აზრისა: «**ЗВЕЗДА.** **2.** *перен.* Знаменитость, выдающийся по своим талантам и общественным заслугам человек (книжн. ритор.). *З. нашей литературы. З. экрана.*» (Словарь Ушакова); "STAR. 5.**a :** the principal member of a theatrical or operatic company who usually plays the chief roles**b :** a highly publicized theatrical or motion-picture performer**c :** an outstandingly talented performer <a track *star*>**d :** a person who is preeminent in a particular field" (Merriam-Webster's Online Dictionary, 11th Edition) (216). როგორც სალექსიკონო დისტრიბუციიდან ირკვევა, «звезда» და "star" ტრადიციულად ითქმის გამორჩეულ ადამიანზე, თანაც, ლექსიკოგრაფიულ წყაროში Merriam-Webster's Online Dictionary, 11th Edition სრულიად გარკვევით არის მითითებული პიროვნების გამორჩეული მონაცემების რეალიზაციის სფერო. თუმცა, თუ გავაფართოებთ კონტექტუალურ ჩარჩოს, აღმოჩნდება, რომ „ვარსკვლავებს" ეძახიან შოუ-ბიზნესისა და მოდის წარმომადგენლებს, ცნობილ ჟურნალისტებსა და სპორტსმენებს. ამ რანგის „ვარსკვლავების" ჩამოთვლის შემდეგ ავტორი აუცილებლად მიიჩნევს, აღნიშნოს,

რომ სიაში არიან მეტრებიც (ვალერი გერგიევი, ვლადიმირ სპივაკოვი), მაგრამ ისინი მკვეთრად ჩამორჩებიან ცნობილებს – „დიდ ვარსკვლავებს”.

ლინგვოკულტურული ველის მოდელირებისა და საერთო კონცეპტუალური აზრის ვერბალიზატორების სისტემატიზაციისას ლექსიკონებში ცალკეული სიტყვის დისტრიბუციის თანმხლები ჩანანიშნები («перен.», «разг.» და სხვ.) გვევლინებოდნენ აბსტრაქციის დონის მომატების[5] მაჩვენებლად. ამიტომ, გამოყოფილი ფრეიმების შიგნით ერთეულები დალაგებულია აბსტრაქციის პირობითი დონეების მიხედვით. აბსტრაქციის დონეები არის კონცეპტის პროტოტიპული ბირთვიდან პირდაპირი რეფერენტული კავშირის დაშორების ხარისხი. მაგალითად, ლექსემების **славный, знаменитый, триумф, триумфатор, победа, торжество, ликование**, **achievement glorifity, triumph, to triumph, victory, success, dishonour, nonachievement** კონცეპტთან „დიდება” კუთვნილების ვერიფიკაციისათვის საჭირო არ არის ანალიზის სპეციალური პროცედურები. საკმარისია პირადი ენობრივი გამოცდილების შედარება სალექსიკონო დეფინიციებთან.

დავაკვირდეთ, რამდენად ექსპლიციტურია პროტოტიპთან კონცეპტუალური კავშირი უზუალურ სიტყვათხმარებაში, რომლის საილუსტრაციო მასალაც ამოკრებილია ორივე ენის ლექსიკონებიდან: *Триумф* русского балета.; Показ фильма прошёл *с успехом* (получил признание).; *Торжество* по случаю победы над врагом.; «Победу над врагом Россия снова *торжествует*.» Пушкин.; «*И славен* буду я, доколь в подлунном мире жив будет хоть один пиит.» Пушкин.; *«Богат и славен Кочубей.» Пушкин.* ││They earned a magnificent *triumph* over the invading army.; They had a feeling of *triumph* after finishing the project.; It was a great *achievement*. An enormous popular and critical *success*, *The Liars' Club* was credited with (or blamed for) launching a new wave of memoir-writing. (Karr deflects this accusation: “I think memoir started with St. Augustine,” she told Salon in 1997.) -Mollie Wilson O'Reilly, *Commonweal*, 23 Oct. 2009. ; What made you want to look up *glorify*?; The only thing needed for evil to triumph is for good men to do nothing. (*E. Burk*). ამიტომ ჩვენს მოდელში ისინი განლაგებულია კოგნიციის I პირობით დონეზე.

აბსტრაქციის გაცილებით უფრო მაღალ დონეზე კონკრეტული სიმრავლის ერთეულები პროტოტიპთან კავშირს ამჟღავნებენ, უპირატესად, სიგნიფიკატური მნიშვნელობით, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც ცნების ენობრივი გარდატეხა, დაკავშირებული ენობრივი პიროვნების –კულტურის

---

[5] უპირატესად ეხება რუსულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე მუშაობას.

აზრების მატარებლის კოგნიტიურ და კომუნიკაციურ ქმედებასთან. განვიხილოთ ერთეულის **премия** და მისი ინგლისური ეკვივალენტის **prize** (ლს35) მაგალითზე, რომლებიც შედიან ჩვენი ლინგვოკულტურული ველის **III ფრეიმში – Известность/ Fame**: «Официальное денежное или иное материальное поощрение в награду за что-н.»/ a reward or honour for victory or for having won a contest, competition, etc. პირობითი ენობრივი პიროვნებისათვის ორივე ლინგვოკულტურაში გასაგები უნდა იყოს ერთეულის კავშირი პროტოტიპთან, რადგანაც სოციალური გამოცდილებიდან ცნობილია, რომ დამსახურების, ტალანტის, ვინმეს საქმიანობის აღიარება ხშირად გამოიხატება საპატიო პრემიის მინიჭებით: ნობელის პრემია, სახელმწიფო პრემია, ა. შ. პრემიასთან ერთად ჩვეულებრივ მოდის დიდებაც.

იგივე შეიძლება ვამტკიცოთ მოცემულ სიმრავლესთან ერთეულის «маэстро» კავშირზე: «Почетное название крупных музыкантов, живописцев, выдающихся шахматистов, а также почтительное обращение к ним»; .»; " a musician who people admire and respect a lot, especially an orchestra conductor". "**Respect**. 1 *[mass noun]* a feeling of deep admiration for someone or something elicited by their abilities, qualities, or achievements" (213). ორივე მაგალითში კონცეპტუალური კავშირის ტრანსფერს წარმოადგენს ვინმეს საქმიანობის შეფასება, რაც ენობრივ დონეზე რეალიზდება სემით «почет»/" respect". შევამოწმოთ დისტრიბუცია ლექსიკონში: «**ПОЧЁТ** -а; *м.* Уважение, оказываемое кому-л. обществом, окружающими людьми.» (БТСРЯ Кузнецова). შემდეგ: «**УВАЖЕ́НИЕ** -я; *ср.***1.** Почтение, почтительное отношение, основанное на **признании**[6] чьих-л. заслуг, качеств, достоинств и т.п.» (იქვე). ლექსემების «почет» და «уважение» კომპონენტურ ანალიზს მივყავართ კონცეპტის პროტოტიპულ ელემენტთან – «**всеобщее признание, оценка**» (დადებითი ან უარყოფითი)/"**widespread reputation, estimation"**. ამავე ვექტორით იგება კავშირი კონცეპტთან ლექსემისათვის «мастер»/ "master".

ლექსემების **хвастать, хвастаться/boast** კავშირს კონცეპტუალურ სიმრავლესთან არგუმენტირებული ექსტრალინგვისტური ახსნა აქვს: დიდების წყურვილი როგორც სოციალური მოვლენა, ზოგასაკაცობრიო „გლორიული ემოციები" (ი. დოდონოვის ტერმინოლოგიით). კონცეპტუალურ აზრთან (პეიორატიულ პოლუსზე) კორელაცია დასტურდება სალექსიკონო დეფინიციებით: «Высказываться с неумеренной похвалой о самом себе; рассказывать с неуместным восторгом о чём-л. своём или о ком-л. из своих близких. » (კუზნეცოვის БТСРЯ); "**1** [ r e p o r t i n g   v e r b ] talk with excessive pride and self-satisfaction about one's

---

[6] ხაზგასმა ჩვენია - დ. რ.

achievements, possessions, or abilities; **2** [with object] (of a person, place, or thing) possess (a feature that is a source of pride): the hotel boasts high standards of comfort.***noun*** an act of talking with excessive pride and self-satisfaction:I said I would win and it wasn't an idle boast" (Oxford Dictionaries Online) (212).

ენობრივი ერთეულების საბაზისო სიაში დამატებასთან ერთად იზრდება II დონეს მიკუთვნებულ ერთეულთა რაოდენობა, მაგ.: **богатство, великолепие, наговаривать [на кого-л.], пустозвон, отчество; richiness, resplendence, slander, windbag, worthiness** (დასტურდება ასოციაციური ლექსიკონების და ინტროსპექციის მასალით). ეს დონე ყალიბდება ასევე პარემიებით, ხატოვანი კოლოკაციებითა და უზუალური მეტაფორებით: **калиф на час, мания величия, культ (личности), масштаб (дарования), Дела славят, а люди <u>величают</u>|| King of glory, Star glory, Glory of the snow, it is beneath (his) dignity, self-respect; proper pride, Fortune favours the brave.**

შეპირისპირებით ასპექტში ყურადღებას იქცევს ის, რომ ბრიტანულ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის ნომინატორი აქტიურად არის ამოქმედებული მეტაფორული ნომინაციის ენობრივ მექანიზმში. მოვიყვანოთ მცენარეთა სახელები (ბოტანიკური ტერმინები), რომლებიც ინგლისურ ენაში მეტაფორული ნომინაციით არის წარმოქმნილი: **Beach Morning Glory or Goat's Foot (Ipomoea pes-caprae), Star glory, red morning-glory annual herb having scarlet flowers, wild morning-glory common Eurasian and American wild climber with pink flowers, genus Gloriosa = glory lily, morning glory, Glory of the snow (chionodoxa), Japanese crimson glory vine.** ბუნებრივია, ანალოგიური პროცესი, როგორც ადამიანის ცნობიერების უნივერსალური თვისება, დამახასიათებელია რუსული ენისთვისაც. შევადაროთ რუსულ ენაში მეტაფორული ნომინაციით წარმოქმნილი მცენარეთა სახელები: **божий мех, пастушья сумка, венерин башмачок, медвежьи лапки, адамова свеча, мать-и-мачеха, львиный зев.** მაგრამ ინგლისურში ვაფიქსირებთ კონცეპტუალურ სიმრავლესთან „დიდება" დადგენილ კავშირს.

როგორც მითითებულია მეტაფორული ნომინაციის საკითხების კვლევებში, ნომინაციის სისტემაში მეტაფორის უნიკალური როლი დაკავშირებულია იმასთან, რომ მეტაფორული ნომინაციის წყალობით აღდგება წონასწორობა აუხსნელ და თითქმის აუხსნელ დასახელებასა და ახსნად, გამჭვირვალე დასახელებას შორის. ამასთანავე, უკვე არსებულ, მზა ენობრივი ერთეულების ბაზაზე სემანტიკური ტრანსპოზიციის შედეგად წარმოიქმნება ახალი დასახელება. ამის შედეგად, ახალი დასახელება ფორმალურად და

სემანტიკურად მოტივირებული მეორეული ერთეულია. მიღებულია მოსაზრება, რომ არსებობს მეტაფორული ნომინაციის გარეგნული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ორი ელემენტით: შედარების ტერმინით, როგორც სიტყვათშეთანხმების მეტაფორად გარდაქმნილი კომპონენტი, და საყრდენი სიტყვით როგორც მეტაფორად გარდამქმნელი კომპონენტი, რომელიც წარმართავს მეტაფორული მნიშვნელობის თემას და საშუალებას იძლევა, განისაზღვროს დენოტატი მეტაფორისა Glory – widespread reputation, estimation.

კონცეპტის პროტოტიპულ ელემენტთან აბსტრაქტული კავშირის უმაღლესი ხარისხი აქვთ ერთეულებსა და კოლოკაციებს, რომლებიც რეალიზდება მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ენაში (უმეტესწილად ინტერვიუ, ესსე) და ასახავს ავტორის ინდივიდუალურ მსოფლხედვას. კონცეპტის დონეებად ორგანიზაციის შემოთავაზებული ლოგიკის კვალდაკვალ, ასეთი ერთეულები აყალიბებენ პირობით III დონეს. კონცეპტუალიზაციის ამ დონეზე კონცეპტის ბირთვულ კომპონენტთან კავშირი „ამოიკითხება" კონტექსტიდან, ავტორის კონვენციური კომენტარიდან, ენობრივი პიროვნების ინტერტექსტუალური ცოდნიდან, რაც მთლიანობაში გვაძლევს სიგნიფიკატთან მენტალური იზოგლოსების დადგენის საფუძველს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პაულო კოელიოსთან ინტერვიუს ფრაგმენტს: «...я считаю, что **завышенная оценка**[7] самого себя и определенная **доза мании величия** [8] являются необходимыми предпосылками **успеха**[9]. Меня часто приглашают на такие мероприятия, как, например, Всемирный экономический форум в Давосе. И я слышу там речи, в которых известные предприниматели и менеджеры высшего уровня бесконечно рассуждают о ценностях. И тогда я говорю: «Ценности – это очень важно, но **не забывайте о своем великом эго**[10]. В основном именно ему вы обязаны тем, что вы здесь сидите. Если бы у вас было маленькое эго, то вы потерпели бы неудачу, столкнувшись с первым же препятствием». Иметь большое эго для меня только тогда становится грехом, когда человек не знает, как и с какой целью его использовать» (192).

მოყვანილ კონტექსტში გამოვყავით სიტყვა-კვანძები, რომლებიც სპეციალური ანალიზისას შეიძლება გაერთიანდეს ლოგოსქემაში: **завышенная самооценка + доза мании величия = успех слава.** ავტორის კონვენციური კომენტარი იმაზე მიუთითებს, რომ ის არ ეთანხმება ჩამოთვლილი პიროვნული

[7] ხაზგასმა ჩვენია-დ. რ.
[8] ხაზგასმა ჩვენია-დ. რ.
[9] ხაზგასმა ჩვენია-დ. რ..
[10] ხაზგასმა ჩვენია-დ. რ.

თვისებების შესახებ საზოგადოდ მიღებულ უარყოფით შეფასებას. პირიქით, კოელიო თვლის, რომ სწორედ ამ „დიდი ეგოთი" მოტივირებულ თვისებებს მიჰყავს ადამიანი წარმატებისაკენ. შესაბამისად, ავტორის მსოფლაღქმაში ყალიბდება ღირებულებათა ინდივიდუალური სკალა, სადაც შეფასებების უარყოფითი და დადებითი პოლუსები ადგილებს ცვლიან. ლექსემა **«успех»** შედის ორივე ენობრივი ცნობიერების სიტყვათა ჩვენ მიერ შედგენილ საბაზისო სიაში. ორივე ენაში ის დაკავშირებულია პროტოტიპთან **«всеобщее признание, оценка»** (დადებითი ან უარყოფითი შეფასება); **"widespread reputation, estimation"** პირდაპირი რეფერენტული კავშირით: «**УСПЕХ.** 3 Общественное признание, одобрение чего-л., чьих-л. достижений.» (კუზნეცოვის БТСР); **Success**.1 the accomplishment of an aim or purpose; the attainment of fame, wealth, or social status; a person or thing that achieves desired aims or attains fame, wealth, etc. 2 *archaic* the good or bad outcome of an undertaking (Oxford Dictionaries Online) (214).

მოყვანილ ფრაგმენტში „ეგოს" კონტექსტუალური გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს **V ფრეიმის – Власть/ Power** კონცეპტუალური აზრის ვერბალიზატორად აბსტრაქციის პირობით III დონეზე.

ლექსემა **«миссия»**, რომელიც რეალიზებულია მომდევნო კონტექსტში, ასევე შეიძლება ჩაითვალოს მოდელირებული სიმრავლის წევრად აბსტრაქციის პირობით III დონეზე: «...путь нарастающего отвращения к людям и уверенности в собственной исключительной миссии...» (Дм. Быков. Календарь) (166). ამ ერთეულს ჩვენ მივაკუთვნებთ **IV ფრეიმს – Имя, репутация/ Renown, reputation**.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსტრაპოლირებულ ჯგუფებს შორის საზღვრები პირობითია. ამიტომ, ვუშვებთ, რომ მოყვანილ კონტექსტში კონცეპტუალიზებული აზრის კოგნიტიურმა ინტერპრეტაციამ სხვა ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში შეიძლება ის მიაკუთვნოს **V ფრეიმის – Власть/ Power** სუბფრეიმს „უარყოფითი შეფასება". ლექსემის „მისია" უზუალური მნიშვნელობა ასევე უშვებს მის შესვლას ლინგვოკულტურული ველის რამდენიმე ფრეიმში: «**1.** Задание, определенное поручение (книжн.). Возложить важную миссию на дипломата. Трудная миссия была выполнена им блестяще. **2.** *только ед.* Жизненная, историческая роль какого-нибудь деятеля или общественной группы (книжн.). Выполнить, осуществить свою миссию. Революционная миссия пролетариата. Миссия поэта.» (უშაკოვის ლექსიკონი)││ **"Mission: 3** a strongly felt aim, ambition, or calling: *his main mission in life has been to cut unemployment*" (Oxford Dictionaries Online).შესაბამისად, ის შეიძლება შედიოდეს **I ფრეიმის – Честь, достоинство/ Honour, dignity** (ღირსეულად მოიხადო

ვალი ↔ ღირსეულად შესრული მისია) და **III ფრეიმის – Известность/ Fame** (რომელიმე მოღვაწის ან საზოგადოებრივი ჯგუფის სასიცოცხლო, ისტორიული როლი) სიტყვათა ჯგუფში.

ლინგვოკულტურული და ლინგვოკოგნიტიური ანალიზის მეთოდის საშუალებით შეიძლება დადგინდეს მენტალური იზოგლოსები, რომლებიც ახდენენ კონცეპტის „დიდება" და რუსულ ლექსემას **пошлость** (I ფრეიმი – **Честь, достоинство/Honour, dignity;** სუბფრეიმი „უარყოფითი შეფასება") შორის უმაღლესი ხარისხის აბსტრაქტული კოგნიტიური კავშირის ვერიფიკაციას. ა. ვეჟბიცკაიას აზრით, რუსული ზედსართავი სახელის **пошлый** და მისი წარმოებულების **пошлость, пошляк, пошлячка** თარგმნა ევროპულ ენებზე შეუძლებელია,[11] რადგანაც მათში არ არსებობს ამ მანკის ერთი მოქნილი სიტყვით აღწერის ენობრივი საშუალება. ინგლისური სიტყვები **cheap, sham, common, smutty, pink-and-blue, high falutin, in bad taste** აღწერენ რუსული **пошлость** სემანტიკურ ველში გაერთიანებულ ცალკეულ აზრებს და კომპონენტებს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, რომ ქართული ენა მეტნაკლებად ადეკვატურად გადმოსცემს ამ ცნებას ლექსიკური ერთეულით **„უხამსი"**. თუმცა, რუსული სიტყვის **пошлый** სემურ სტრუქტურაში არის ისეთი სემები, რომლებსაც კომპონენტური ანალიზი ვერ ავლენს მის ქართულ შესატყვისში. მაშ, რის საფუძველზე შეიძლება მათი სინონიმურად მიჩნევა? ქართული „უხამსი" ნაწარმოებია პროპოზიციიდან „ხამსი" უარყოფითი მოდუსის მქონე პრეფიქსის „უ-" საშუალებით[12]. ქართულ ენაში ამოსავალია ცნება „ხამსი", რომლის რუსული ეკვივალენტია «достойный», «достоинство» მნიშვნელობით «совокупность высоких моральных качеств». ღირსება ადამიანის შინაგანი სამყაროს კატეგორიის გარეგანი გამოხატულებაა, რომელიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად შეიცავს აქსიოლოგიურ კლასიფიკაციას. «Достоинство: **2.** Совокупность высоких моральных качеств, их уважение в самом себе; сознание своих прав, своей значимости. *Чувство собственного (человеческого) достоинства. Ронять, унижать своё (собственное) д. Считать что-л. ниже своего достоинства.* * *У меня есть своё, русское достоинство и гордость* (Шолохов). // Внешнее проявление самоуважения, сознания своей значимости. *Говорить, держаться, вести себя с достоинством. Д. движений, осанки.*» (კუზნეცოვის БТСРЯ).

---

[11] ვეჟბიცკაია ეყრდნობა ვ. ვ. ნაბოკოვის მოსაზრებას.
[12] სემანტიკურად შეესაბამება რუსულ «не-» ან «без-».

ქართული „ხამსი" შეიცავს დადებით აზრებს, რომელთა უარყოფაც კონცეპტუალიზდება რუსულ ცნებაში «пошлый»: მდაბალი, არარაობა სულიერად, ზნეობრივად; რაიმე უწესო, ურცხვი; არაორიგინალური, გაცვეთილი, ბანალური. ამგვარად, ცნების «пошлый» კონცეპტუალიზაცია ქართულში ხორციელდება სიტყვის „ხამსი" აზრობრივ სტრუქტურაში აკუმულირებული დადებითი საწყისის უარყოფის მექანიზმით. პროტოტიპული ელემენტია კონცეპტი-გეშტალტი «достоинство», რომელიც შედის ჩვენი მოდელის კონცეპტუალიზებულ ზონაში „დიდება". ამ ცნებაში კონცეპტუალიზებული მორალისა და ზნეობრიობის ნორმებიდან გადახრას ქართული ენობრივი ცნობიერება გადაჰყავს ანტონიმურ „უხამსში".

პოეტი და პუბლიცისტი დიმიტრი ბიკოვი ახლახან გამოსულ წიგნში „კალენდარი" (2011) წერს: «На вопрос, что такое пошлость, ни один русский литератор еще не дал вразумительного ответа. Предложенный Набоковым английский аналог **posh lust** – **жажда блеску, шику**[13] – остроумен, нет слов, но не исчерпывает проблемы. /.../ Пошлость – все, что человек делает ради самоуважения или чужого восхищения, все, что делается для соответствия образцу, а не внутреннему побуждению. Когда все цели иллюзорны, а методы скомпроментированы, человеку остается одна задача – самоутверждаться в собственных глазах» (166). ნათქვამის ლოგიკიდან გამომდინარე, უხამსობა როგორც («жажда блеску, шику» ) „ბრწყინვისა და ლაზათის წყურვილი" გარკვეულ კონტექსტუალურ გამოყენებაში შეიძლება კორელირებდეს დიდების წყურვილთან.

რადგან შერჩეული და გაანალიზებული მასალის სრულად წარმოდგენის საშუალება აქ არ გვაქვს, კონცეპტის „დიდება" ბირთვული აზრის კონცეპტუალიზაციის დონეების სტრუქტურის ჩვენეულ გაგებას წარმოგიდგენთ სქემაზე.

[13] ხაზგასმა ჩვენია, დ. რ.




რეკონსტრუირებული ლინგვოკულტურული ველის ფრეიმებს შიგნით ენობრივი ერთეულები შედიან სინონიმიისა და ანტონიმიის სისტემურ კავშირში. ლინგვოკულტურული ველის ჩვენს მოდელში ფრეიმის კონცეპტუალური მნიშვნელობის ანტონიმია წარმოდგენილია შესაბამის სუბფრეიმებში დაჯგუფებული ენობრივი ერთეულებით. მაგ., ფრეიმს **«Честь, достоинство» / “Honour, dignity”** აქვს საერთო კონცეპტუალური მნიშვნელობა: 1)პიროვნების მორალურ-ეთიკური პრინციპები 2) პატივი, პატივისცემა, რომელიც შეპირისპირებულ ენებში გადმოცემულია ერთეულებით: **безгрешный, восхищение, гордый, дело чести, удоститься чести, с честью выполнить долг, pride** ლსვ1, **a) (to take great pride in…), lordiness** ლსვ3, **matter of honour, be given/afforded the honour (of ger), honourably discharge one's duty (to), valour**. მნიშვნელობის წარმომადგენლობითობის ხარისხის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს გრადუალური სინონიმები. მნიშვნელობით საპირისპირო წარმოდგენილია ამ სუბფრეიმის სიტყვათა ჯგუფით, მაგ.: **бесчетие, бесславный, уязвленная гордость, гордыня, мания величия, покрывать позором, много чести, wounded pride, self-conceit, worthy (of), chastity** ლსვ2, ლსვ4, **lordiness** ლსვ2, **glorifity** ლსვ3, **cowardice, (he) doesn't deserve the honour.**

საყურადღებოა, რომ აბსტრაქციის III პირობით დონეზე კონცეპტ „დიდების" არეალში ჩართულ ერთეულებს შეუძლიათ დაარღვიონ ჩვეული სინონიმურ/ანტონიმური დამოკიდებულება, რაც მოტივირებულია ავტორის კონვენციური კომენტარებით, ან ეს დარღვევა ლოგიკურად გამომდინარეობს კონტექსტიდან. მაგ., ნაბოკოვის «нежность, талант и гордость» კონტექსტუალურ სინონიმებად გვევლინება და აქვს პირდაპირი კავშირი დიდებასთან – სწორედ ამ თვისებებისა და არა სტილის გამო დააფასებდნენ მას მომავალში, მიაჩნდა ნაბოკოვს.

როგორც მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარეობს, ყველა სუბფრეიმის ერთეულები დაჯგუფებულია ოპოზიციის „დადებითი – უარყოფითი შეფასება", გარდა ფრეიმისა **«Божественная слава»/ ''Divine glory"**, რომელშიც მოქმედებს ოპოზიცია „საკრალური – პროფანული". აქვე აღვნიშნავთ, რომ უდავოა, ქრისტიანულმა რელიგიამ გავლენა მოახდინა კონცეპტ დიდების ჩამოყალიბებაზე. თუმცა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მისი შემდგომი განვითარება და თანამედროვე ფუნქციონირება რელიგიური ნორმებისა და ღირებულებების გავლენას განიცდის. ამასთან ერთად, კონცეპტის განვითარებას ახასიათებს მემკვიდრეობითობა. ამიტომ რელიგიურ-ქრისტიანულ განწყობებთან დაკავშირებული კონცეპტუალიზებული აზრების ელემენტები მონაწილეობენ თანამედროვე ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში სტიმულთან „დიდება" დაკავშირებული კონცეპტუალიზაციისა და რეფლექსიის პროცესებთან.

ორივე ლინგვოკულტურის შერჩეული ენობრივი მასალა მოწმობს კონცეპტის ლექსიკური ერთეულების გამოხატული აზრობრივ კავშირს ეთიკის კატეგორიებთან და კონცეპტთან „ზნეობრიობა".

ლინგვოკულტურული ველის რეკონსტრუირებული მოდელი საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ სამყაროს ყოფითი სურათის ფრაგმენტი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ენის მატარებელთა ყოველდღიურ მეტყველებაში, განსხვავებულ დისკურსში და კულტურის ვერბალურ ტექსტებში. კონცეპტის არეალში მოქცეული ერთეულები ფუნქციონირებენ ტექსტში –რთულ კომუნიკაციურ სისტემაში – და იყენებენ ლექსიკური, გრამატიკული, კულტუროლოგიური კავშირის სხვადასხვა ტიპებს კოდირებული ინფორმაციის გადასატანად, რაც არის ადრესანტისა და რეციპიენტის კოგნიტიურად და ინტენციურად სტრუქტურირებული ქმედებების საფუძველი.

შემდგომი მუშაობა დაგროვილი მასალის აღწერის უნივერსალური მოდელის გამოყენებით საშუალებას მოგვცემს: ა) დაზუსტდეს პროტოტიპული

მიდგომის საფუძველზე კონცეპტების რეკონსტრუქციის მეთოდიკა; ბ) დადგინდეს არაენობრივი ობიექტის ლინგვისტიკური ღირებულება კონცეპტის სემანტიკური სიმჭიდროვის საფუძველზე; გ) დახასიათდეს მიღებული სიმრავლე მეტყველების მრავალასპექტური პროცესის პოზიციიდან, რომელიც რეგულირდება „პრაგმატული და კომუნიკაციური მიზნებით, ღირებულებების იერარქიით /... / კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალურ-როლური და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებებით" (Кобозева, Лауфер 2003, 533). შესაბამისად, შედეგად მივიღებთ მრავალკომპონენტიან სტრუქტურას, რომელიც გამოავლენს ენობრივი შინაარსის ყველანაირი „პროექციის" ჩართვის მისწრაფებას.

გაანალიზებული მასალა საშუალებას იძლევა, რომ ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება" ჩაითვალოს ორივე ენობრივი ცნობიერების მატარებელთა სამყაროს სურათის კონსტანტად. ამაზე მიუთითებს შემდეგი ნიშნები:

- კონცეპტის ჩამოყალიბებულობა (მტკიცდება სემანტიკური სიმჭიდროვით, სინონიმიისა და ანტონიმიის დადგენილი შიდა სისტემური დამოკიდებულებებით, კონცეპტუალიზაციის დონეების არსებობით);
- ყველა ცხოვრებისეულ სფეროში გამოყენება (მტკიცდება დისკურსული რეალიზაციის ანალიზით);
- საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ფუნქციონირება (მტკიცდება ერთეულების სტილიტური მარკირებულობით, რაც ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ფიქსირდება სათანადო ჩანანიშნებით);
- კონცეპტის შინაარსის დინამიკა: მისი აზრობრივი შინაარსის ცვლილება ეროვნული მსოფლმხედველობის ცვლილებების შესაბამისად (მტკიცდება კულტურული ეპისტემის მასალით და კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივების ანალიზით);
- კულტურაში ხანგრძლივი არსებობა (მტკიცდება კულტურული ეპისტემის სინოპსისის მასალით);
- ფარდობითი სემანტიკური მდგრადობა (მტკიცდება ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტუალური ანალიზის მონაცემებით).

მიღებული მასალა ადასტურებს, რომ ცნების „დიდება" კონცეპტუალიზაციის პროცესები, რომელიც შეიძლება „გამომჟღავნდეს" მისი კონცეპტის ვერბალიზებული ნაწილის რეკონსტრუქციისას, მოიცავს ცნების, მნიშვნელობისა და აზრის კატეგორიებს. თითოეული მათგანი მოტივირებულია როგორც შემეცნების ლოგიკით, ისე იმ კულტურით, რომელშიც ის ყალიბდება.

ამდენად, კონცეპტუალიზაცია ენასა და ცნობიერებაში მიმდინარე დინამიკური პროცესია, რომელსაც განაპირობებს ფაქტორთა რთული კომპლექსი.

წარმოდგენილი მონაცემები ნათელყოფენ ერთიანობას კონცეპტუალური აზრის უნივერსალურ ათვისებაში, რაც უპირატესად ვლინდება მთავარი – პროტოტიპული ელემენტის დონეზე, ფრეიმების კონცეპტუალური მნიშვნელობის ვერბალიზაციისათვის საჭირო ერთეულების რაოდენობით, კონცეპტუალიზაციის საბაზისო დონის ძირითადი ენობრივი ერთეულების ეკვივალენტობით (უპირატესად კოგნიციის I დონე). ამასთანავე, შეპირისპირებითმა ანალიზმა გამოავლინა რუსული და ბრიტანული ლინგვოკულტურებისათვის უნიკალური, სამყაროს, ადამიანის, მისი საქმიანობისა და დამსახურების გაგებაში. ამაზე მიუთითებს არასრული ექვივალენტურობა, მნიშვნელობათა ლაკუნარობა, რაც დაკავშირებულია უკვე აღწერილ დივერგენციის პროცესთან კულტურაში, რის ფონზეც ხდებოდა უნივერსალური ცნების „დიდება" ევოლუცია. შეპირისპირებულ კულტურათა საძირკველში დევს ზოგადადამიანური და ზოგად ცივილიზაციური საწყისი. ამასთანავე, „ნებისმიერი კულტურა წარმოადგენს ცვლილებების, გარემოსთან შეგუების პროცესს და შედეგს" (Маслова 2001, 18). ამიტომ კონცეპტში „დიდება" შეპირისპირებითი ანალიზის დროს გამოვლენილი ლაკუნები გაიგება როგორც რუსულ და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში მომხდარი ცვლილებებისა და გარემოსთან შეგუების ანარეკლი.

წარმოდგენილი კვლევა საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ „დიდება" როგორც უნივერსალური არაპარამეტრული, საგნობრივი შინაარსის მქონე რეგულაციური კონცეპტი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის შეფასებას, რომელსაც აკონკრეტებს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური ნორმები. ის განისაზღვრება ისეთი სოციოკულტურული ფაქტორებით, როგორიცაა ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, აზროვნების სტერეოტიპები და ქცევის მოდელები, რომლებიც ყალიბდება ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში. ამ პოზიციიდან, კონცეპტი არა მხოლოდ კოგნიტიური ერთეულია, არამედ კულტურის ფაქტიც არის; კულტურა განსაზღვრავს კონცეპტს იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს კულტურის ელემენტების ერთგვარ მენტალურ პროექციას.

ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი თეზისის თანახმად, ყოველ კულტურას ინვარიანტულის ათვისების, ინტერპრეტირებისა კონცეპტუალიზებისას მასში შეაქვს ნაციონალურ-სპეციფიკური. ვიმედოვნებთ,

რომ სადისერტაციო ნაშრომში ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის კვლევისას გამოყენებული ანალიტიკური ხერხებით, ოპერაციებითა და პროცედურებით გაანალიზებული მასალა ადასტურებს ლინგვოკულტუროლოგიის ამ თეზისის მართებულობას.

## დასკვნა

თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა გაიგება როგორც „ანთროპოლოგიური ფენომენი", აზროვნების, ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელი რგოლი. ენათმეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ენა ასახავს სამყაროს შეცნობის დინამიკურ პროცესს, რომ ენაში დაფიქსირებულია რეალიებისა და მოვლენების ცოდნის, გამოცდილების და კატეგორიზაციის სტრუქტურები, რომ ის ერთდროულად არსებობს როგორც სისტემა და როგორც ქმედება, რომელიც არ შეიძლება განიხილებოდეს ადამიანისაგან დამოუკიდებელ სისტემად. კვლევის ობიექტისადმი ასეთი მიდგომა ხსნის არა მხოლოდ ენის რთული დიალექტიკური ბუნების არსებობას, არამედ ენისა და ენობრივი ერთეულების კვლევის და აღწერის მეთოდოლოგიური პრინციპების მუდმივი ძიების პროცესს, რომელსაც სულ უფრო მეტად ახასიათებს დისციპლინათაშორისობა.

მეცნიერული ცოდნის ჰუმანიზაცია, მთლიანი ანთროპოცენტრული წრის დისციპლინათა მონაცემების სინთეზი და არა მხოლოდ ინტრალინგვისტურ მასალაზე დაყრდნობა, რთული მეცნიერული აბსტრაქციებით ოპერირების გამოცდილება განაპირობებს ლინგვისტთა ინტერესს ისეთი საკითხების კვლევის მიმართ, როგორიცაა: კატეგორიზაციის და კონცეპტუალიზაციის პროცესები, რომლებიც ენაში ასახვისას რეკონსტრუირდებიან ცნებითი სისტემების სახით, ადამიანის მიერ შექმნილი სიმბოლიკური სამყაროს ვერბალიზაცია, ლოგიკური უნივერსალური და სპეციფიკური ენობრივი კატეგორიების სტრუქტურებს შორის შესაძლო შესაბამისობების დადგენა, ხალხების მენტალიტეტის ამსახველი სამყაროს ნაციონალური სურათების რეკონსტრუქცია-შეპირისპირება და ა. შ. ენის კვლევებისადმი ასეთი მიდგომა ლაპიდარულად მდგომარეობს ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთკავშირის სიღრმისეული პროცესების გამოვლენასა და ანალიზში. მკვლევართა აზრით, უახლესი ლინგვისტიკის კვლევის არეალში მოექცა არა მხოლოდ და შეიძლება არა იმდენად ახალი ფაქტები, რამდენადაც

განსხვავებული კუთხით დანახული ძველი პრობლემა: ჩამოთვლილი საკითხები არსებობდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსების შრომებში, ახალი დროის გამოჩენილ ფილოსოფოსთა და ენათმეცნიერთა ნაშრომებში. თუმცა, ადამიანის აზროვნების ენისა და კულტურისაგან განუყოფელი პროცესების ანალიზისადმი სისტემურმა მიდგომამ ლინგვისტიკაში, უპირველეს ყოვლისა, კოგნიტიური მეცნიერების ჩარჩოში, ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის ბოლო მესამედში.

კოგნიტიურ ლინგვისტიკაში კონცეპტუალიზაციის ერთეულს წარმოადგენს კონცეპტი, სინთეტური ხასიათის დისკრეტული კოგნიტიური სტრუქტურა. ის არის მეცნიერული აბსტრაქცია, მენტალური ლექსიკონის პირობითი ერთეული, რომლის ანალიზი, რეკონსტრუქცია და მოდელირება კვლევითი მიზნებისათვის ხორციელდება. კონცეპტების გამოვლენა ძირითადად ხდება ემპირიული კვლევის პროცესში: ენის ფაქტების ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე და ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემებზე დაყრდნობით.

კონცეპტი დისციპლინათაშორისი ტერმინია, რომელიც მეცნიერულ დისკურსში „ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარულია", მაგრამ მისი არსისა და ჰიპოთეტური სტრუქტურის კვლევის შესახებ არსებულ ნაშრომთა სიუხვის მიუხედავად, ის ისევ არის „ყველაზე ნაკლებ ერთგვაროვნად განსაზღვრული ტერმინი თანამედროვე ლინგვისტიკაში" (Грузберг 2003, 184). ეს ფაქტი აიხსნება როგორც ენასა და ცნობიერებასთან კონცეპტის ორმხრივი კავშირით გამოწვეული სირთულით, ისე იმით, რომ თეორიულ ენათმეცნიერებაში კონცეპტის განმარტება და ანალიზის მეთოდოლოგია დაკავშირებულია სხვადასხვა სკოლების წარმომადგენელთა მიერ მის გაგებასთან და კვლევის რაკურსთან.

კონცეპტის როგორც ლინგვოკულტუროლოგიის საბაზისო ცნების გაგება აქტიურდება XX ს-ის 80-იან წლებში ვ. ნ. თელიას სამეცნიერო სკოლის, იუ. ს. სტეპანოვის, დ. ს. ლიხაჩიოვის, ნ. დ. არუტიუნოვას, ვ. ა. მასლოვას, ს. გ. ხროლენკოს და სხვათა შრომებში. ლინგვოკულტუროლოგია არის ლინგვისტიკის დარგი, რომელიც წარმოიქმნა ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის გზაჯვარედინზე, და იკვლევს ხალხის კულტურის გამოვლინებებს, ასახულსა და დამაგრებულს ენაში. ამერიკული ტრადიციის თანახმად, ამ საკითხთა დიდი ნაწილი შეისწავლება კულტურულ ანთროპოლოგიაში. ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში კონცეპტი გაიგება

როგორც „ეთნიკურად, კულტურულად განპირობებული, სტრუქტურულ-აზრობრივი, ლექსიკური და/ან ფრაზეოლოგიურად ვერბალიზებული წარმონაქმნი, რომელიც ემყარება ცნებით საფუძველს” (Красавский 2002). ეს წარმონაქმნი კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ცნობიერებაში ატარებს კონკრეტული კულტურის ანაბეჭდს და მჭიდროდ უკავშირდება „ღირებულების” ცნებას.

კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კონცეპტოლოგიის დარგში არსებული მოსაზრებებისა და ჩატარებული კვლევების შედეგების განზოგადებით, ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონცეპტის დამახასიათებელი შემდეგი ნიშან-თვისებები, რომლითაც კვლევაში ვიხელმძღვანელეთ:

- მეცნიერული აბსტაქცია, მენტალური ლექსიკონის პირობითი ერთეული, რომლის ანალიზი, რეკონსტრუქცია და მოდელირება ხორციელდება კვლევითი მიზნებისათვის;
- კონცეპტების გამოვლენა ძირითადად ხდება ემპირიული კვლევის პროცესში: ენის ფაქტების ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე და ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემებზე;
- კონცეპტებს საფუძვლად უდევს ყველა ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული რეალიები; ასევე – გამოგონილი, წარმოსახვითი არსებები, ფანტაზიის ნაყოფი;
- კონცეპტში როგორც სამყაროს შესახებ ცოდნისა და მეხსიერების ერთეულში დაფიქსირებულია მსგავსი თვისებების მქონე საგნების დიდი რიცხვი. ის მოიცავს რეალიების მთელ კლასს;
- ვერბალიზებული კონცეპტების შინაარსი ხელმისაწვდომი ხდება სიტყვების სემანტიკის, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კოლოკაციების, წინადადებების სქემების, პრეცედენტული ტექსტების ანალიზით, რომლებიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად შეიცავენ კონცეპტის ნიშნებს.
- ლინგვოკულტურული კონცეპტი ნაშრომში გაიგება როგორც კულტურულად განპირობებული და კულტურულად ნიშანდობლივი ლინგვომენტალური სიმრავლე კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ცნობიერებაში, რომელიც ვერბალიზებული სახით ფიქსირდება ენის ფაქტებში. კონცეპტის სემანტიკური სიმჭიდროვე დაკავშირებულია მის ონტოლოგიურ სტატუსთან და წარმოადგენს მისსავე აქსიოლოგიურ მარკერს, რაც მოწმობს კონცეპტის ადგილზე ლინგვოკულტურაში.

სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები, აღიარებენ რა, რომ სამყაროს ყველა სურათის საფუძველია სამყაროზე ანთროპომეტრული შეხედულება, თანხმდებიან მოსაზრებაზე, რომ კონცეპტი არის სამყაროს ნაციონალური სურათის ერთეული, რომელიც აისახება სამყაროს ენობრივ კლასიფიკაციაში. სამყაროს ენობრივი სურათის ძირითადი მახასიათებლები – ინტეგრალურობა და უნივერსალურობა – გამოიყვანება ენის როგორც კულტურის ფაქტის და მისი არსებობის პირობის, როგორც ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის უნივერსალური საშუალების გაგებიდან. კონცეპტების ერთობლიობა ქმნის მოწესრიგებულ კონცეპტოსფეროს – ამა თუ იმ ერის სამყაროს სურათის ფრაგმენტს. კონცეპტუალური ანალიზისადმი ასეთი მიდგომა მისაწვდომს ხდის, გავიგოთ, თუ როგორ კონცეპტუალიზდება სამყარო ცალკეული ენის პრიზმაში, როგორ ფიქსირდება შემეცნებითი გამოცდილება ენის მატარებელთა მიერ აგებულ სამყაროს სურათში.

ლინგვოკულტუროლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონცეპტის ეთნოკულტურული შემადგენლის გამოყოფის მცდელობა, რადგან უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო კონცეპტებიც კი სპეციფიკურად ვერბალიზდება სხვადასხვა ენაში (ლინგვისტური, პრაგმატული და კულტუროლოგიური ფაქტორების გამო). როგორც სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი მოწმობს სამყაროს სურათის საბაზისო (საკვანძო) კონცეპტების დადგენა და გამოკვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას. კულტურის საკვანძო კონცეპტებს ვ. ა. მასლოვა უწოდებს კულტურით განპირობებულ «ядерные (базовые) единицы картины мира, обладающие экзистенциальной значимостью как для отдельной языковой личности, так и для лингвокультурного сообщества в целом» (Маслова, 2001, 51).

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება კონცეპტის „დიდება” («слава»/”Glory”) როგორც სამყაროს ენობრივი სურათების სტრუქტურული ელემენტის ჩამოყალიბების, ევოლუციის და ვერბალიზაციის შეპირისპირებით ანალიზს რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში. კვლევის მიზნად განისაზღვრა ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის „დიდება” («слава», “Glory”) ძირითადი სემანტიკურ-პრაგმატული და ნაციონალურ-კულტურული ნიშან-თვისებების დადგენა, კომპლექსური გამოკვლევა და აღწერა; კონცეპტების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეთოდიკის დაზუსტება და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით რუსული და ინგლისური ენების სამყაროს სურათის ფრაგმენტისა და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის აღწერის შეძლებისდაგვარად

შევსება. კვლევის ორგანიზაციის არჩეულმა ხერხმა საშუალება მოგვცა აგვეგო ცნების კავშირი, ერთი მეორეში ჩაგვექსოვა სხვადასხვა სახის ცოდნა, ჩამოგვეყალიბებინა ნაშრომის ჰიპოთეზა, მიზანი და თანამიმდევრულად შეგვესრულებინა დასახული ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულ იქნა თანამედროვე ლინგვისტიკური მეცნიერების ანთროპოცენტრული მიმართულების კალაპოტში შესრულებული უცხოელი და ქართველი მეცნიერების მრავალრიცხოვანი ნაშრომები კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, სამეტყველო ქმედების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის, ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის სფეროში (მ. ბახტინი, იუ. ს. სტეპანოვი, ნ. დ. არუტიუნოვა, ვ. ა. მასლოვა, ა. ვეჟბიცკაია, ჰ. გ. გადამერი, მ. ჰაიდეგერი, კ. ლევი-სტროსი, ე. სეპირი, ჯ. ლაკოფი, უ. მ. ლოტმანი, ე. კასირერი, იუ. ნ. კარაულოვი, ვ. ნ. თელია, ვ. ვ. კოლესოვი, ე. ს. კუბრიაკოვა, ა. რ. ლურია, ზ. დ. პოპოვა, ნ. ა. სტერნინი, მ. მინსკი, ა. ა. ლეონტიევი, რ. მ. ფრუმკინა, ჟ. ა. ვარძელაშვილი, ნ. ნ. ბოლდირევი, ა. ა. ზალევსკაია). ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულ იქნა თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეპტუალური დებულება ენის, შემეცნებისა და კულტურის დიალექტიკური ურთიერთკავშირისა და მათი ურთიერთ განპირობებულობის შესახებ, რაც თავის მხრივ გულისხმობს კვლევის განსხვავებული მეთოდების ინტეგრაციულობას. არჩეულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა, მოგვეხდინა კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კონცეპტოლოგიის, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მიღწევების სინთეზირება, ანალიზისათვის მოგვეხმო ვრცელი ექსტრალინგვისტური მასალა და უზრუნველგვეყო კვლევის საგნის მთლიანობაში განხილვა.

მეთოდოლოგიური ბაზის დაზუსტებისა და ლინგვოკულტუროლოგიის კატეგორიალური აპარატის საბაზისო ცნებებსა და ტერმინებში ორიენტირებისათვის, რომელთა შინაარსობრივი შევსება ვარირებს სხვადასხვა სკოლებსა და მკვლევართა შრომებში, ნაშრომში შედგენილია ტერმინთა გლოსარიუმი (ანბანის მიხედვით). შემოთავაზებული გლოსარიუმი მოიცავს ისეთ ცნებებს, რომელთა საშუალებითაც მეცნიერული კვლევისას კულტურული ინფორმაცია ფიქსირდება, აღიწერება და ვერიფიცირდება ენობრივ ერთეულებში.

სამეცნიერო წყაროების ჩატარებულმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა, წარმოგვედგინა საგნობრივი სფეროს ძირითადი განსაზღვრებების

სისტემური თანამიმდევრობა, რაც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ კონცეპტებისა აღწერისა და სამყაროს სურათის ფრაგმენტების მოდელირებისას, არამედ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე სალექციო კურსებსა და სემინარებზე. გლოსარიუმში განიმარტება შემდეგი ცნებები და ტერმინები: **კულტურის განწყობები, კულტურის ენა, კულტურის კონცეპტები, კულტურის საკვანძო კონცეპტები, კულტურის ტექსტი, კულტურის ტიპი, კულტურული ეპისტემა, კულტურული კონოტაცია, კულტურული პროცესი, კულტურული სემა, კულტურული სივრცე, კულტურული ფონი, კულტურული ფონდი, კულტურული ტრადიცია, კულტურული ღირებულებები, ლინგვოკულტურემა, ლინგვოკულტურული ველი, სამყაროს ენობრივი სურათი.**

კონცეპტის გაგების, ტიპოლოგიის, მოდელირებისა და აღწერის საკითხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა საშუალება მოგვცა, თეორიულად დაგვესაბუთებინა გამოთქმული მოსაზრება, რომ ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება" შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც: **არაპარამეტრული რეგულატიური კონცეპტი** (ვ. ი. კარასიკის ტერმინოლოგიით), რომლის შინაარსში მთავარი ადგილი უჭირავს ღირებულებით კომპონენტს, **კონცეპტი-მაქსიმუმი** (ა. ვეჟბიცკაიას ტერმინოლოგიით), **ურთიერთობის წრებრუნვის კონცეპტი** (იუ. ს. სტეპანოვის ტერმინოლოგიით), რომელიც თავისი მთლიანობით, ნიშან-თვისებების ერთობლიობით კულტურულად მნიშვნელოვანია (იუ. ს. სტეპანოვი). ამ კონცეპტს გააჩნია სხვა კონცეპტებთან დაკავშირებითი თვისებები: ის ჩართულია დომენებში და აქვს თავისი გარემო, **domain matrix** (ჯ. ლაკოფის ტერმინოლოგიით).

კონცეპტი მეცნიერული აბსტრაქციაა, ხოლო აბსტრაქციების ნებისმიერი კლასიფიკაცია პირობითი ხასიათისაა და მას ვერ ექნება როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი პარამეტრები, ასევე მკაფიოდ გამოკვეთილი საზღვრები. დადგინდა, რომ, ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება" ვერ ეტევა ლინგვოკულტურული კონცეპტების ვ. ა. მასლოვას მიერ ჩამოყალიბებულ და ფართოდ გავრცელებულ კლასიფიკაციაში (2006, 75). მასლოვას კლასიფიკაციაში ის უნდა მიეკუთვნებოდეს კონცეპტების ტიპს „სოციალური ცნებები და დამოკიდებულებები". მაგრამ აგრეთვე ექსპლიციტურია მისი კავშირი ჯგუფთან „წარმოდგენები ადამიანზე", რის შედეგადაც კონცეპტი „დიდება" იჭრება ჯგუფში „ზნეობრივი კონცეპტები", რადგან კულტურული მეხსიერება უკავშირებს მას ცნებებს „ჭეშმარიტება", „სინდისი", „რწმენა". ენობრივ ცნობიერებაში,

დიდება უკავშირდება არა მხოლოდ ადამიანს, მაგალითად: *«Божественная слава», «Слава Отцу и Сыну и Святому духу»* და სხვ. (რუსულ ენაში), *"Glory be to God", "Christ in glory", "Therefore I glory in Christ Jesus in my service to God"* და სხვ. (ინგლისურ ენაში), „დიდება უფალს", „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო" და სხვ. (ქართულ ენაში). აღსანიშნავია ისიც, რომ ლინგვოკულტურული კონცეპტები „დიდება" შეიცავს დიქოტომიას „საკრალური – პროფანური", რაც აგრეთვე უნდა იქნას ასახული ასეთი ტიპის კონცეპტების კლასიფიცირების დროს. გამოვლენილი ფაქტი ადასტურებს ლინგვოკულტუროლოგიის თეზისს, რომ კონცეპტები ,,სულიერი არსის მატარებლებია, რომლებსაც ძალუძთ უზრუნველყონ კავშირი სამყაროს სხვადასხვა თანრიგის იდეებს შორის – ღვთიურსა და ადამიანურს შორის, რომლებიც აღინიშნება უკიდურესი სულიერი დაძაბულობით. კონცეპტები არის ადამიანის სულიერი კულტურის ელემენტები, შექმნილი ადამიანის მიერვე, რათა შეიცნოს საკუთარი თავი და საკუთარი ადგილი სამყაროში. მათ რიცხვს მიეკუთვნება სიყვარული, რწმენა, სიკვდილი და უკვდავება, ჭეშმარიტება ... და სხვა" (Воркачев 2004, 10-15).

ნაშრომში გამოყვანილია ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება"ნიშან-თვისებების თეორიული სისტემატიზებული ჩამონათვალი. შედგენისას ჩვენი ორიენტაცია მიმართული იყო ლინგვოკულტურული კონცეპტის პრობლემის გამოჩენილ მკვლევართა შეხედულებებზე. **როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტი, „დიდება" წარმოადგენს ყოფითი ფილოსოფიური ცნობიერების ერთეულს, რომელსაც გააჩნია კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური გააზრება, მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია** (ნ. დ. არუთიუნოვა) **და ემოციური შეფერილობა. ის არის უნივერსალური კონცეპტი, რომლის აბსტრაგირებაც ხდება სხვადასხვა ენობრივი რეალიზაციიდან, რაც უზრუნველყოფს ენათა შეპირისპირებისა და თარგმანისათვის აუცილებელ შედარების ეტალონს** (იუ. ს. სტეპანოვი); **კონცეპტი-მაქსიმუმი** (ა. ვეჟბიცკაია); **ზნეობრივი კონცეპტი** (ვ. ა. მასლოვა).

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში განსაზღვრულია კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა, სისტემაშია მოყვანილი თეორიული აპარატი, აუცილებელი ენისა და კულტურის ფაქტების დამუშავებისას, შემოთავაზებულია ლინგვოკულტურული კონცეპტის ცალკეული რაკურსის აღწერის მეტაენა, წარმოდგენილის, კონცეპტების ტიპების კლასიფიკაცია და მის ფარგლებში ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" («слава», "Glory") სტატუსი.

შემუშავებული თეორიული დებულებები საფუძველი გახდა წამოგვეყენებინა ჰიპოთეზა: კონცეპტი „დიდება“ მიეკუთვნება კულტურის უნივერსალურ საბაზისო კონცეპტთა კატეგორიას, რომელთაც საერთო ცივილიზაციური საფუძველი გააჩნიათ. მის ნაციონალურ ვარიანტებს (კონცეპტების «слава» და “Glory” მაგალითზე) გააჩნიათ როგორც ზოგადი ნიშნები, ისე მითითებები მენტალიტეტისა და დისკურსული პრაქტიკების, აქსიოლოგიური პრიორიტეტებისა და სტერეოტიპების სპეციფიკაზე, რომელიც თითოეულ ცალკეულ ლინგვოკულტურაში ჩამოყალიბდა. ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება” ნომინატორი მიეკუთვნება „კულტურისათვის საკვანძო სიტყვათა” რიცხვს. კონცეპტი „დიდება” უკავშირდება კულტურის დომინანტებს, რომლებთან ერთად ის აფიქსირებს და ასახავს მოცემული კულტურის თავისებურებებს.

არჩეული რაკურსის კვალდაკვალ, კონცეპტის „დიდება” («слава», “Glory”) ონტოლოგიური საფუძვლების დასადგენად შეგროვდა და გაანალიზდა ვრცელი ექსტრალინგვისტური მასალა კულტურული ეპისტემის „დიდება” სინოპსისისათვის. მისი შედეგები ნაშრომში წარმოდგენილია განმაზოგადებელი ლოგოსქემების სახით, რომლებიც შეესაბამება კონცეპტუალიზაციის ისტორიულ ეტაპებს. აღვნიშნავთ, რომ ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება“ ანალიზი ადრე არ ჩატარებულა მისი კულტურული ეპისტემის სინოპსისის მასალაზე, რომელშიც ასახულია ცნების ფორმირებისა და ევოლუციის პროცესი რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში. ცნების „დიდება” ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ანალიზმა კულტურულ-ისტორიულ ასპექტში საშუალება მოგვცა, გამოგვევლინა ცნებათა კავშირის ის კვანძები, რომლებიც ისტორიულად არიან ამოქმედებული ცნება „დიდების” კონცეპტუალიზაციაში და, ნაშრომის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად უნდა აისახებოდნენ გასაანალიზებელი ლინგვოკულტურების ენობრივ ერთეულებში.

დადგინდა, რომ ადამიანისათვის დიდებისაკენ ლტოლვა დაკავშირებულია ბუნებრივ, პირველყოფილ და ზოგადადამიანურ სურვილთან არ გაქრეს გარდაცვალების შემდეგ. აქედან ვასკვნით, რომ ცნება „დიდების” კონცეპტუალიზაციას საფუძვლად უდევს უნივერსალური არქეტიპული ანტონიმია „სიცოცხლე-სიკვდილი”. დადგენილია, რომ დიდების ფენომენის კონცეპტუალიზაცია არის პროცესი, რომელიც დამოკიდებულია საზოგადოებაში დომინირებულ რელიგიურ და მორალურ-ეთიკურ განწყობებზე. მორალურ-ეთიკური განწყობები შეპირისპირებულ კულტურებში ჩამოყალიბდა შედარებით

მსგავსი ისტორიული კონტექსტის ფონზე (ანტიკური ხანიდან თანამედროვეობამდე, რაც დასტურდება ევროპის ისტორიის მიღებული პერიოდიზაციით) და ქრისტიანობის როგორც დომინირებული რელიგიის გავლენით. ამასთან ერთად, ცნობიერებისა და კულტურის ევოლუციის პროცესში ცალკეული ეთნოსი ავითარებს მსოფლაღქმის უნიკალურ თვითმყოფად თვისებებს (მაგალითად, XVIII ს. ბრიტანულ ლინგვოკულტურაში კალვინისტური იდეების ზეგავლენით ცნების „დიდება“ ღირებულებითი ორიენტაციის გადანაცვლება და ცნებასთან „სარგებლობა” დაკავშირება *(modesty, kindliness, learned, veryknowing, sensibility)*; ცნების „დიდება“ იდეოლოგიზაცია რუსულ ლინგვოკულტურაში XX ს.: *«Слава труженикам советской науки и техники!», «Слава труду!»*).

კულტუროლოგიური ექსტრალინგვისტური ინფორმაციის დიაქრონული ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ ცნება „დიდება” მიეკუთვნება ადამიანური ბუნების „უნივერსალურ-მუდმივ” საწყისებს. გამოყვანილია დიდების კონცეპტუალიზაციის უნივერსალური რაკურსები: ღირსება და დამსახურება, რეპუტაცია, პატივი, პატივისცემა, პრესტიჟი, მატერიალური კეთილდღეობა, სახელგანთქმულობა, პოპულარობა, დიდება და სახელის განთქმა ნებისმიერი საშუალებით, 15-წუთიანი დიდება ნებისმიერისათვის, დიდება ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ მის საქმეზეც). ცნების „დიდება” ჩამოყალიბების პროცესის დინამიკურობა და დაუსრულებლობა, ასევე მისი უნივერსალურობა დასტურდება გამოვლენილი ცნების დევალვაციის და კომერციალიზაციის საერთო თანამედროვე ტენდენციით.

კვლევის ამ ნაწილში გაკეთებული დასკვნების თვალსაჩინოებისათვის, აიგო კულტურული ეპისტემის „დიდება” შემეცნებითი ველის მოდელი-სქემა, რომელზეც პირობითობის გარკვეული წილით, ასახულია ის საკვანძო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ცნების „დიდება” კონცეპტუალიზაციას რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში. მათი ქრონოლოგიური სკალის მიღმა არსებობს ადამიანის ცნობიერების უნივერსალური თვისება – ანთროპომორფული კოდის რეალიზაცია როგორც გამჭოლი კომპონენტი. შეკრებილი მონაცემები და გამოტანილი დასკვნები საფუძვლად დაედო ცნება „დიდების” კონცეპტუალიზაციის უნივერსალურ მოდელს – კულტურულ ეპისტემას „დიდება“.

კონცეპტის კულტურული მოდელიდან ლინგვოკოგნიტიურ მოდელზე გადასვლა განხორციელდა ანალიზის რაკურსის შეცვლის მიზნით და საკითხის ლინგვისტიკური ასპექტის გამოკვლევისათვის. კულტურული ეპისტემა „დიდება" საფუძვლად დაედო მოცემული კვლევის ძირითადი მოდელის – ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" («слава», „Glory) სტრუქტურის რეკონსტრუქციას და ორი ლინგვოკულტურის ემპირიულ მასალაზე ენობრივ ცნობიერებასთან დაკავშირებული მეცნიერული აბსტრაქციის კონსტრუირებას.

ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება" თეორიული მოდელი კვლევაში გაიგება როგორც ცნების კონცეპტუალიზაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგი, რომელიც კულტურასთან ერთად განიცდის ევოლუციას და აისახება ენობრივ ფორმებსა და ფაქტებში (ვარძელაშვილი 2011). ყოველივე ზემოთ თქმულმა საშუალება მოგვცა, კვლევაში გამოგვევლინა სულ უფრო მეტად აბსტრაქტული კონსტრუქტები, რომლებიც საფუძველად უდევს სამყაროს სურათისა და მისი ენობრივი რეპრეზენტაციის სეგმენტის მოდელირების მოცემულობებს. ნათქვამი მიესადაგება ლინგვოკოგნიტიურ და ლინგვოკულტურულოგიურ კვლევათა უკვე აღნიშნულ ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ თეზისს, რომელიც გულისხმობს ერთი ცოდნის მეორე, უფრო ზოგად ცოდნაში, საბოლოოდ კი კულტურაში ჩაწერას.

ცნების კონცეპტუალიზაციის პროცესები, რომელიც „გამომჟღავნდა" მისი კონცეპტის ვერბალიზებული ნაწილის რეკონსტრუქციისას, მოიცავს ცნების, მნიშვნელობისა და აზრის კატეგორიებს. თითოეული მათგანი მოტივირებულია როგორც შემეცნების ლოგიკით, ისე იმ კულტურით, რომელშიც ის ყალიბდება. ამდენად, კონცეპტუალიზაცია ენასა და ცნობიერებაში მიმდინარე დინამიკური პროცესია, რომელსაც განაპირობებს ფაქტორთა რთული კომპლექსი.

შრომის ამ ნაწილში ჩვენ ამოვედით იქიდან, რომ კონცეპტუალური სიმრავლე ნომინირებულია იმ სიტყვით, რომელშიც ყველაზე უფრო კონცენტრირებულად „მატერიალიზდება" ცალკეული საგნობრივი სფეროს იდეა, ცნება და ცნობიერებაში არსებული კულტურის „შენადედები". ეს სიტყვა იძენს კონცეპტის სახელის სტატუსს (Арутюнова 1999; Вежбицкая 1997; Нерознак 1998). საკვანძო ლექსემის სემანტიკური შინაარსის გამოვლენა გულისხმობს ენაში კონცეპტის რეპრეზენტატორი სიტყვის შინაგანი ფორმის ანალიზს სალექსიკონო განმარტებების მასალაზე, რომლებიც განიხილება კონცეპტების აზრობრივ, საგნობრივ და ხატოვან შემადგენლებთან მიახლოების ერთ-ერთ საშუალებად.

კონცეპტუალური სიმრავლის «слава» საკვანძო ლექსემის შინაგანი ფორმისა და სემანტიკური შევსების ანალიზი ჩატარდა რუსული ენის შემდეგი ლექსიკონების მასალაზე: ვლ. დალის Толковый словарь живого великорусского языка, Толковый словарь русского языка დ. ნ. უშაკოვის რედაქციით, Малый академический словарь (МАС) ა. პ. ევგენევას რედაქციით, Большой толковый словарь русского языка ს. ა. კუზნეცოვის რედაქციით (БТС-2000), დ. ვ. დმიტრიევის Толковый словарь русского языка (2003), Русский семантический словарь ნ. იუ. შვედოვას საერთო რედაქციით (1998-2007), Фразеологический словарь русского языка ა. ი. მოლოტკოვის რედაქციით. ასევე, ონლაინ ვერსია ტ. ვ. ეფრემოვას Новый толково-словообразовательный словарь русского языка-2000 (ითვლება არსებულ განმარტებით ლექსიკონებს შორის მოცულობით ყველაზე უფრო სრულ ლექსიკონად). ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა მონაცემები შემდეგი წყაროებიდან: Национальный корпус русского языка: синтаксический, семантический, частотный, поэтический, Словарь глагольной сочетаемости непредметных имен და იუ. ს. სტეპანოვის Словарь констант русской культуры (2004). МАС-ში ლექსემა «слава» წარმოდგენილია ექვსი ლსვ-ით, დ. ნ. უშაკოვის Толковый словарь русского языка აფიქსირებს შვიდ ლსვ-ს, БТС-2000 – ხუთს დ. ვ. დმიტრიევის Толковый словарь русского языка – ცამეტს, ტ. ვ. ეფრემოვას Новый толково-словообразовательный словарь русского языка - 2000 – სამს.

ლექსემის «слава» ლექსიკონებში გამოყოფილი მნიშვნელობების ანალიზის შედეგად დავასკვენით შემდეგი: მიუხედავად სემანტიკური სპექტრის ვარირებისა, რომელიც უკავშირდება ცალკეული ლექსიკონის შედგენის სოციო-კულტურულ კონტექსტს და სიტყვის დისტრიბუციის შერჩეულ მეთოდიკას, ყველა მათგანში მნიშვნელობის ძირითადი კომპონენტები ერთმანეთს ემთხვევა: *почетная известность как свидетельство всеобщего признания чьих-л. заслуг, таланта, доблестии т. п.; известность в каком-л. отношении, репутация; сложившееся мнение оком-, чём-л.; слухи, толки, молва; название русской хвалебной величальной песни.* დ. ნ. უშაკოვის ლექსიკონში ჩანანიშნით «церк. устар.» მოცემულია «*величие, блеск, великолепие как атрибут божества*», ოღონდ როგორც ლექსემის «слава» მნიშვნელობათა იერარქიაში ბოლო პოზიცია. გამოვლენილი ფაქტი, კულტუროლოგიური ანალიზის თვალსაზრისით, ნაშრომში შეფასებულია როგორც ენის იდეოლოგიზაციის მაგალითი. სიტყვა «слава» იძენდა იდეოლოგემის სტატუსს, სიტყვისა, რომელსაც გააჩნია გამოკვეთილი

იდეოლოგიური მიმართება პოლიტიკურ დოქტრინასთან. თუმცა ჩანანიშნით «церк. устар.», მან მაინც დააფიქსირა სიტყვის სემანტიკაში აღნიშნული მნიშვნელობა. სხვა ლექსიკონები, ქრონოლოგიურად დაწყებული MAC-ით და დამთავრებული ეფრემოვას ლექსიკონით, ლექსემაში ამ მნიშვნელობას არ გამოყოფენ. MAC-ში ჩანანიშნით ◊ – «фразеология» მოყვანილია: **«Слава богу** *см.*бог.». ზმნისზედისა და ჩართული სიტყვის – საბედნიეროდ – მნიშვნელობით ეს აზრი წარმოდგენილია კუზნეცოვის (2000) და დმიტრიევის ლექსიკონებში (2003).

გამოვლინდა, რომ ლექსიკონებში არსებული ინფორმაცია როგორც რუსულ ენობრივ ცნობიერებაში გააზრებული „დიდების" ყველაზე უფრო ზოგადი და გამორჩეული ნიშან-თვისებები, აფიქსირებს ცნების კონცეპტუალიზაციის შემდეგ ვექტორებს: *почетная известность, всеобщее признание, сложившееся мнение.* «церк. устар.» მოცემულია: *величие, блеск, великолепие как атрибут божества.* დმიტრიევის ლექსიკონში დაფიქსირებულია თანამედროვე აზრი *популярность.* ნაშრომში გამოყენებული ყველა ლექსიკონი ერთნაირად აფიქსირებს ენობრივი ცნობიერებით გააზრებულ დიქოტომიას: **почетная известность← слава →слухи, толки, молва.** დაფიქსირებული დიქოტომია ეფუძნება ღირებულებითი ნიშნის გრადაციას: **слава → всеобщее признание достоинств, доблести** и т.п. (უმაღლესი რეგისტრი) და **слава→слухи, толки, молва** (ღირებულებითი ნიშნის დაკნინება). ეს დამოკიდებულება ხასიათდება აზრის ანტონიმიზაციით «общее мнение о ком, о чем»: ენობრივი ცნობიერება უშვებს კონცეპტუალიზაციას: **добрая ↔ слава ↔ худая**. კოლოკაცია «худая слава» ხდება კონცეპტუალური სინონიმი მნიშვნელობისა «слухи, толки, молва» (ლექსიკონებში დაფიქსირებულია ჩანანიშნით «перен.») და «репутация». გამოყვანილია გრადუაციის სქემა:▼უმაღლესი რეგისტრი→всеобщее признание достоинств, доблести и т.п.;▼საშუალო რეგისტრი→сложившееся мнение о ком-, чём-л., репутация; ▼დაბალი რეგისტრი→слухи, толки, молва (უმეტესწილად უარყოფითი კონოტაციით).

ნაშრომში ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ კონცეპტის ვერბალიზატორების სემანტიკაში დაფიქსირებული მნიშვნელობები არის სიტყვის შინაარსის პლანი და არა კონცეპტისა: «анализ толкования любого слова в толковом словаре показывает, что все семы, входящие в толкование, отражают именно знания о предмете, называемом словом» (Стернин 1982, 13). ამდენად, რუსულ ენაში

ლექსემაში «слава» სწორედ „ცოდნა საგნის შესახებ" აქტიურებს შესაბამის აზრობრივ ვარირებას კონტექსტებში, მაგ., *«По Саве и слава»; «Кто как поживет, такая слава и пойдет»; «По Саве и слава»* და სხვ.

კონცეპტუალური სიმრავლის "Glory" საკვანძო ლექსემის სემანტიკური შემავსებლისა და შინაგანი ფორმის ანალიზისათვის დავეყრდენით ინგლისური ენის ლექსიკონების მასალას: Merriam Webster's Collegiate Dictionary, რ. ედ. უებსტერის რედაქციით; Compact Oxford English Dictionary, Collins English Dictionary, The Concise Oxford Dictionary of Current English, ჰ. ვ., ფ. გ. ფოულერების რედაქციით, Cambridge Advanced Learner's Dictionary, The British National Corpus (BYU-BNC (Brigham Young University). სალექსიკონო დეფინიციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა მოცემულ ლექსიკონში იკვეთება ძირითადი კომპონენტები: *high renown or honour won by notable achievements; an important achievement which earns someone great admiration, honour and praise; magnificence or great beauty; the beauty and bliss of heaven; aureole, halo; exaltation, triumph.* გარდა ამისა, უებსტერის, კემბრიჯისა და ოქსფორდის ლექსიკონები აფიქსირებს ლექსემის "Glory" მნიშვნელობას: *praise, worship, and thanksgiving offered to God.* უებსტერის, კოლინსისა და თანამედროვე ინგლისურის ოქსფორდის დაწვრილებით ლექსიკონებში აგრეთვე შეტანილია მნიშვნელობა: *a state of extreme happiness or prosperity*, რომელსაც უებსტერის ლექსიკონში, ჩანანიშნით „ფართე გაგებით", დაერთვის მნიშვნელობა *eternity*. კოლინსისა და თანამედროვე ინგლისურის ოქსფორდის დაწვრილებით ლექსიკონებში დაფიქსირებულია მნიშვნელობა ჩანანიშნით, "*informal, vulgar excl. of surprise or delight – glory be!"*. იგივე ლექსიკონები აფიქსირებენ მნიშვნელობას *"boasting", "to brag"*. ამ უკანასკნელში ასევე ფიქსირდება *"honourable fame"*, *"pride"*. დაფიქსირებულია, რომ ლექსემა "Glory" ორგვარი კონოტაციისაა ფრაზებში *"go to glory"*[*die*]; *"send to glory"*, [joc.], ხოლო სლენგში *"glory–hole"* ფიქსირდება ირონიული მნიშვნელობით *"untidy room, drawer, or receptacle"*.

კვლევაში გამოყენებული ყველა ლექსიკონი აფიქსირებს ბრიტანული ენობრივი ცნობიერებით გააზრებულ დიქოტომიას, რომელიც ემთხვევა რუსულ ენობრივ ცნობიერებაში დაფიქსირებულ შინაარსობრივ განშტოებას: **high renown or honour←glory→ honourable fame; subject for boasting.** ბრიტანულ ენობრივ ცნობიერებაშიც დაფიქსირდა ღირებულებითი ნიშნის გრადაცია:▼უმაღლესი რეგისტრი→ praise, honor, renown, a distinguished quality, accorded by general consent; ▼

საშუალო რეგისტრი – pomp, honourable fame; ▼ დაბალი რეგისტრი→ subject for boasting, to brag, რომელშიც, რუსულის მსგავსად, შეინიშნება ღირებულებითი ნიშნის დაქვეითება.

ლექსემების «слава» და “Glory” დიაქრონულმა ანალიზმა მოგვცა საშუალება განვაზოგადოთ: რუსულ ენაში კონცეპტის «слава» სახელი სათავეს იღებს სიტყვებიდან «честь, похвала; слух, молва». კონცეპტის სახელის ფორმირების ისტორიამ მოგვცა საშუალება, თვალი მიგვედევნებინა იმ აზრების ათვისებისათვის, რომლებიც ისტორიულად ერთვებოდა კონცეპტუალიზებულ ზონაში «слава»: честь, похвала, слухи, молва, хвала, почет, великолепие, роскошь → **слава**→ славить → возвещать, петь. აქ ჩამოთვლილი ზონებიდან თითოეული წარმოადგენს არა მხოლოდ შემეცნებისა და კულტურის ევოლუციის ენობრივ ანარეკლს, არამედ ასევე მიუთითებს ადამიანის სულიერი სამყაროს მოდელების ჩამოყალიბების ზოგიერთი კანონზომიერების უნივერსალურობაზე. კონცეპტის “Glory” სახელი ინგლისურ ენაში ეტიმოლოგიურად უკავშირდება ცნების ათვისების შემდეგ საფეხურებს: from O.Fr. glorie, from L. gloria "fame, renown, great praise or honor", Greek doxa "expectation", "opinion, fame", ultimately "glory" (in Biblical writing). ენობივი მონაცემების ბაზაზე რეკონსტრუირებულია აზრების ათვისების ევოლუცია და გაფართოვება კონცეპტუალიზებულ სფეროში “Glory”: brightness, splendor, magnificence, majesty, fame, renown, great praise or honor, worldly honor → **glory** (n.) → glory (v.) → to boast, vaunt, brag, pride oneself.

საკვანძო ლექსემის ეტიმოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო კანონზომიერებათა უნივერსალიზმი მოდელების «слава» და “Glory” ფორმირებაში, რომლებიც მიეკუთვნება ადამიანის სულიერი სამყაროს კატეგორიებს (მეორეულობა ღვთაებების უსიტყვო თაყვანისცემის სტადიასთან მიმართებაში). კონტრასტული ანალიზის პოზიციიდან საინტერესოა, რომ ორივე ენის მოხმობილ ლექსიკონებში საერთოა მითითება ეტიმოლოგიურ კავშირზე ბერძნულთან δόξα,, თუმცა, მ. ფასმერის თანახმად, რუსული «слава»-ს შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბერძნული κλέος როგორც საგმირო საქმეების, ძირითადად საბრძოლო და სპორტული მიღწევების სიტყვიერი განდიდება, ხოტბა. ეს არის ადამიანის დიდება და არა ღმერთებისა. ადამიანმა შეიძლება დაიმსახუროს როგორც ნამდვილი დიდება, ისე – ცუდი სახელი (дурная, черная, худая слава). სამყაროს რუსულ ენობრივ სურათში საკვანძო ლექსემა შეიძლება ეხამებოდეს პეიორატიულ ლექსიკას და ენის მატარებლების ცნობიერებაში მაგრდებოდეს მზა მოდელი – კოლოკაციების სახით.

სამყაროს ინგლისურ ენობრივ სურათში პეიორატიული შინაარსის აზრების კონცეპტუალიზაცია გადმოიცემა, მაგალითად, მოტივირებული საკვანძო ლექსემის vainglory *მნიშვნელობით: "the vainglory that nations have historically shown after they have achieved military supremacy".* ინგლისურ ენაში საკვანძო სიტყვა "Glory" შეიძლება შეიცავდეს აზრს "honour", რომელიც მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან "honos", სადაც ის აღნიშნავდა ჩვეულებრივი მოქალაქის კეთილსინდისიერების, ჩინის, საპატიო თანამდებობებისა და ჯილდოების მიღების ერთნაირი საფეხურების საზოგადოდ დაწესებას. მაგრამ ინგლისური ენა ამ აზრს გამოყოფს ცალკე ველში, რომელიც ნომინირებულია სიტყვით "Honour" და მისი დერივატივების მნიშვნელობით. რუსული ენობრივი ცნობიერება კონცეპტუალიზაციის ამ ვექტორის ვერბალიზებას ახდენს ლექსემით «честь» მნიშვნელობით «внутреннее нравственное достоинство человека, доблесть, честность, благородство души и чистая совесть» (Словарь В. И. Даля) და მისი სემანტიკური ვარირებით. ამგვარად, კონცეპტუალიზებული ზონის „დიდება" გაფართოება ორივე ლინგვოკულტურაში მატერიალიზდება ენის ნიშნით, რომელიც საკვანძო ლექსემასთან მდგომარეობს ურთიერთობაში „ჰიპონიმი – თანაჰიპონიმი". რუსულ ენაში ეს არის **слава→честь**, ინგლისურში კი – **glory→ honour**.

ლექსემების «слава» და "Glory" ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ რუსულსა და ინგლისურ ლინგვოკულტურაში საკვანძო სიტყვით „დიდება" ვერბალიზდება უნივერსალური კონცეპტუალიზირებული დიქოტომია: **ღვთიური დიდება (შეიძლება აგრეთვე ღმერთის რომელიმე სხვა ქმნილების მიმართაც გამოიყენებოდეს) ↔ ადამიანური დიდება.** გამოვლენილი მსგავსებები ასახავს ადამიანის მსოფლაღქმის უნივერსალურობას, რომელიც უკავშირდება სამყაროს სურათის კარკასის შემადგენელ ცნებათა კონცეპტუალიზაციას.

კონცეპტების სტრუქტურების რეკონსტრუქციისათვის, მოცემული აზრობრივი ერთობის წარმომქმნელი ლექსიკური ერთეულების შერჩევისა და სისტემატური აღწერისათვის აუცილებელი იყო სემანტიკური პარამეტრის განსაზღვრა, რომელიც ასრულებს პროტოტიპული სისტემის წარმომქმნელი ელემენტის ფუნქციას. სემანტიკური პროტოტიპი (კონცეპტის ბირთვი, საერთო ცნებითი მინიმუმი) ნაშრომში გაიგება როგორც კონსტანტური ელემენტი, „კატეგორიის საუკეთესო ნიმუში", რომელიც ექსპლიციტური თუ იმპლიციტური ფორმით შედის მოდელირებულ აბსტრაქციაში ჩართულ ყველა წევრში. ჩატარებული შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლინგვომენტალური სიმრავლე „დიდება" თავის თავში მოიცავს მთელ რიგ

უნივერსალურ ნიშან-თვისებებს. ამასთანავე, ის ხასიათდება მჭიდრო კავშირით ნაციონალურ კულტურასა და ნაციონალურ ხასიათთან. აქედან გამომდინარე, კვლევის ამ ნაწილში აქცენტი გაკეთდა იმის გამოვლენაზე, თუ რამდენად შეესაბამებიან ერთმანეთს ერთი და იმავე სახელწოდების კატეგორიების სემანტიკური პროტოტიპები რუსულსა და ბრიტანულში ლინგვოკულტურაში.

კონცეპტების სემანტიკური პროტოტიპების დადგენა განხორციელდა ლექსემა-ნომინატირების დისტრიბუციული, დეფინიციური და კომპონენტური ანალიზის საშუალებით. მიღებული შედეგები გაანალიზდა შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდიკის გამოყენებით. დეფინიციის ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსულ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტი «слава» სტრუქტურირდება საერთო ცნებითი მინიმუმის, სემანტიკური პროტოტიპის **«всеобщее признание, оценка»** საფუძველზე, სადაც შეფასება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კონცეპტის «слава» ჩვენს რეკონსტრუქციაში ეს სემანტიკური პროტოტიპი ასევე განისაზღვრება როგორც მისი საბაზო გრძნობითი სახე, „მგრძნობიარე ცნება" იუ. ს. სტეპანოვის ტერმინოლოგიით (1997). რუსულის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც, მკვეთრად გამოხატულია ლექსემის "Glory" ძირითადი აზრი – საყოველთაოდ აღიარებული დადებითი შეფასება. განსხვავება ის არის, რომ რუსული ენის ლექსიკონები აფიქსირებენ დიდების უარყოფით შეფასებასაც, რაც არ ფიქსირდება ინგლისური ენის ლექსიკონებში ლექსემის "Glory" მნიშვნელობების დისტრიბუციისას. ადამიანის სინკრეტული ბუნებიდან გამომდინარე, მოვლენა შეიძლება უარყოფითადაც შეფასდეს. ამიტომ, ცნება დიდებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე უარყოფითი შეფასებები გამოხატულია განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით, მაგალითად: *"vainglory", "Notoriety"*, რაც ექვივალენტია რუსული კოლოკაციისა *«дурная слава»*.

შეპირისპირებითი ლინგვოკულტუროლოგიის ასპექტში ყურადსაღებია, რომ რუსული ლექსიკოგრაფიული წყაროებისგან განსხვავებით, ინგლისური ენის ლექსიკონები ლექსემის *"Worship"* განმარტებისას ფართოდ მიუთითებენ ამ ცნების კავშირზე რელიგიურ დისკურსთან. დეფინიციის კომპონენტური ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის "Glory" სტრუქტურირების საერთო ცნებითი მინიმუმი, მისი სემანტიკური პროტოტიპია "**widespread reputation, estimation"**. როგორც ანალიზიდან გამომდინარეობს, კონცეპტის „დიდება" პროტოტიპული ელემენტი ორივე ლინგვოკულტურაში ერთმანეთს ემთხვევა, რაც სხვა

ფაქტებთან ერთად მიუთითებს მის როგორც უნივერსალური ლინგვოკულტურული კონცეპტის სტატუსზე.

დეფინიციის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი დასკვნები: ლექსემების დეფინიციების რაოდენობაში განსხვავების მიუხედავად (რუსულში – ექვსი, ინგლისურში – ხუთი), ორივე ენობრივ სურათში ფიქსირდება კონცეპტში შემავალი საერთო მნიშვნელობა: საყოველთაო აღიარება, სახელი, პატივი (*почет, honour*) დამსახურების, ნიჭის, ღირსეული ქმედების გამო. ინგლისურსა და რუსულ ენებში „დიდება" გულისხმობს ბრწყინვალებას (*сияние, glory*), ქებას, მადლიერებას, პატივისცემას. როცა დიდების მოპოვების სურვილი (*жажда славы /desire for glory*) სცილდება მაღალი კულტურული ღირებულების კატეგორიას, ის გარდაიქმნება უარყოფით თვისებად, რომელიც ორივე ენობრივი საზოგადოებრივი კრიტერიუმების თანახმად, აღარ არის დაფასების და პატივისცემის მომტანი. დეფინიციის კომპონენტური ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ლექსემას «слава» ერთ-ერთი მნიშვნელობა რუსულ ლინგვოკულტურაში უარყოფით აზრს ატარებს და ნიშნავს ჭორს, მითქმა-მოთქმას: слухи+молва=дурная/худая слава (ვინმეს შესახებ, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს საზოგადოებაში), რაც არ ფიქსირდება ინგლისურ ენაში.

კვლევის ამოცანების სისტემური გადაჭრისათვის პირველად ჩატარდა ლექსემა-ნომინატორების როგორც კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივების ანალიზი პირობითი ენობრივი პიროვნების პოზიციიდან ორივე ლინგვოკულტურაში. ე. კასირერის მტკიცებით, რეფლექსია წარმოადგენს „უნარს, გრძნობითი ფენომენების დაუნაწევრებელი ნაკადიდან გამოყოს ზოგიერთი მდგრადი ელემენტი, რათა ამ იზოლირებულ ელემენტებზე გაამახვილოს ყურადღება" (1988). ტერმინი „რეფლექსივი" გვესმის როგორც გრძნობითი ფენომენის „დიდების" „დაუნაწევრებელი ნაკადიდან" გამოყოფის მარკერი. ხოლო ცნება „აზრის კონცეპტუალური ინტერპრეტაცია", რომლითაც ვოპერირებდით ანალიზის დროს, გვესმის როგორც სათანადო ლინგვოკულტურული კონტექსტის ფონზე ლექსემა «слава»/"Glory" აქტუალური გამოყენების გამო ენობრივი პიროვნების „ყურადღების გამახვილების" პროცესის შედეგი.

კონცეპტუალური მარკერ-რეფლექსივის „დიდება" ანალიზისათვის კონტექსტები შერჩეულია პირადი კარტოტეკის მასალებში, რუსული ენის ნაციონალურ კორპუსში (ლექსემისათვის «слава», გაანალიზებულია 850; შეირჩა მიყოლებული შერჩევის მეთოდით). ინგლისური ენის ნაციონალურ კორპუსში

(ლექსემისათვის “Glory”, გაანალიზებულია 500 კონტექსტი). კვლევის ამ ნაწილში ჩვენ უპირატესად ვეყრდნობოდით დედუქციურ-ჰიპოთეტური, ინტროსპექციული და კულტუროლოგიური ანალიზის მეთოდებს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ რუსულ დისკურსში ყველა მოყვანილ კონტექსტში ლექსემას «слава» ახლავს ავტორის კონვენციური კომენტარი, რომელიც მოტივირებს სიტყვა-ნიშნის ისტორიულ-კულტურულ რელევანტურობას, მაგალითად: *«Стимулировать полноценное возвращение в армию и в народ понятий «честь», «гордость» и «слава защитника Родины», которые не могут ни покупаться, ни продоваться («Военная мысль», 2004. 11.15).* თვალი მივადევნოთ კონტექსტში ცნებების «слава», «гордость», «честь» კორელაციასაც. კონტექსტში მითითება-კოდია **«не могут ни покупаться, ни продаваться» → можно только заслужить**. სიტყვის გამოყენების ღირებულებითი შემადგენელი მომდინარეობს მაკროარეალისათვის დიდების უნივერსალური შეფასებიდან, რომელმაც, კულტურული ეპისტემის შესაბამისად, კონცეპტუალიზაცია განიცადა პერიოდში „შუა საუკუნეები, რაინდობა“.

თუმცა, რეფლექსიის პროცესის გაანალიზებისას შეიძლება გამოვლინდეს ცნების იდეოლოგიზაციის კონოტაციური ელემენტებიც. ისინი კულტურული ეპისტემის მონაცემების თანახმად, კონცეპტუალიზებული იქნა XX საუკუნეში და განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ რუსული ენობრივი ცნობიერებისათვის. ასე, მაგალითად, რუსული ენობრივი ცნობიერების მატარებლისათვის იდეოლოგიური კომპონენტი მარკერ-რეფლექსივში «слава» ბუნებრივი ელემენტია ისეთი ტიპის კონტექსტების აღსაქმელად, როგორიცაა: *«Открыли для себя Прибалтику, уже заграница, помню потрясение: «Слава КПСС» написано не белым по красному, а белым по голубому!» (А. Терехов. Каменный мост (1997-2008).* ავტორისეული კომენტარები ხსნის კონცეპტის ეთნიკური ხასიათის შემავსებელს, ადრესატს უგზავნის კულტურულ კოდს და მონიშნავს რეფლექსიის ვექტორს. პირველ ფრაგმენტს წითელი და ლურჯი ფერების დაპირისპირება შეიძლება გახდეს შემდეგი ლოგოსქემის საფუძველი: წითელი სსრკ დროშის ფერია, ცისფერი/ლურჯი კი –ესტონეთის დროშის ფერი გასაბჭოებამდე. შესაბამისად, *«Слава КПСС»*, დაწერილი არა წითელ არამედ ცისფერზე ქვეყნის დამოუკიდებლობის ხსოვნის სიმბოლოა. კონვენციური ავტორისეული «помню потрясение» ასტიმულირებს რეფლექსიას: გაბედულება, იმედი, რწმენა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება. მენტალური იზოგლოსა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: **красный vs. голубой/синий**

**→ смелость→ свобода →независимость →слава настоящая vs. «Слава КПСС».** რეფლექსია ლოკუსზეც მიგვანიშნებს – ლურჯი, შესაბამისად, იგულისხმება ესტონეთი, რომელიც კონტექსტში პირდაპირ არ არის დასახელებული. ამგვარად, მოცემულ კონტექსტში ემოციურ კოდს ემატება სამყაროს ენობრივი სურათის სივრცითი კოდიც.

კონტექსტუალური რეფლექსია გულისხმობს კულტურული და ემოციური კოდების ზემოქმედებას, სადაც მაკოორდინირებელ სისტემად კვლავ ენა რჩება. ამრიგად, მარკერ-რეფლექსივში შეიძლება თვალი მივადევნოთ მოვლენას, რომელსაც კოგნიტივიზმში **code-switching** –კოდების გადართვას უწოდებენ, იქნება ეს კულტურული, ტემპორალური, სივრცითი, ანთროპომორფული, ემოციური თუ თეომორფული.

კონცეპტუალური მარკერი-რეფლექსივი არა მხოლოდ ავტორის ცნობიერების პროდუქტია, არამედ ისევე, როგორც მთლიანად დისკურსი მიმართულია ადრესატისაკენ. ამიტომ ვუშვებთ, რომ მოცემული პირობითი ერთეული ატარებს „ემპატიის მოლოდინის" ენერგიას, ანუ „დიდებასთან" პროგნოზირებული დამოკიდებულების გაგებას, რაც შეიძლება გამოხატული იყოს მთელი კონტექსტის სინტაქსური წყობით. მაგალითად: *"Why were they proud? again we ask aloud, **Why in the name of Glory were they proud**?" (John Keats, Lamia, Isabella, The Eve of St. Agnes and Other Poems, 'Isabella; or, The Pot of Basil', stanza16)"; "On the other hand, he wrote, there are people like Goldberg, like Moss and McGrindle, who believe in nothing, except perhaps in **personal power and glory,** though they would like to believe in something' higher'" (The big glass. Josipovici, Gabriel. Manchester: Carcanet Press, 1991).*

